PRIME Time

N45 (243) ორშაბათი, 11 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

სკანდალური გამოძიება, რომლითაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს ბრალი კიდევ დაუმძიმდებათ

ინგა გრიგოლია: „უჩა ნანუაშვილი ამბობს, რომ ეს მასალები მეტისმეტად ხმაურიანი იქნება. არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაციაც, თითქოს ამ ჩვენებებში არა მხოლოდ ყოფილი, არამედ ამჟამად მოქმედი მაღალი რანგის პოლიციელების გვარებიც იკვეთება“

ვის ჩააბარა ღარიბაშვილმა საგამოძიებო უწყებები?

EXCLUSIVE

პირველად „პრაიმტაიმში“

თამაზ თამაზაშვილი: „თამაზაშვილი საკადრო საკითხებში ერევაო. მეცინება, ამას რომ ამბობენ... მე ვინ ვარ, რომ საკადრო საკითხები გადავწყვიტო?!“

EXCLUSIVE

გოგა ხაჩიძე: „სამწუხაროდ, ეკლესია იქცა პოლიტიკური ნიშნების მქონე ძალად, რომელიც ხან ფრაგმენტულად, ხან ჯგუფურად გამოხატავს კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს“

EXCLUSIVE

რა კავშირშია ზაზა ხატიაშვილი „კანონიერ ქურდებთან“?

ექსკლუზიური ინტერვიუ ირინა იმერლიშვილთან

EXCLUSIVE

„ცხადია, გიგა ბოკერია დაიკითხება, თუ ეს საქმე არის გამოძიების ქვეშ“

დაპირისპირება ბაგრატიონებში

ლევან ვასაძე: „გიორგი მარგველაშვილთან მონარქიის აღდგენაზე არ მისაუბრია“

SCANDAL

„ნაციონალური მოძრაობის“ „ობშიაკის“ სქემა

EXCLUSIVE

როგორ დააგროვა სააკაშვილმა 7 მილიარდი და რა დოკუმენტები შევიდა პროკურატურაში

„ეს ფული სააკაშვილის პირადი ფულია, დანამდვილებით ვიცი, 7 მილიარდზე გაცილებით მეტი თანხა გავიდა საქართველოდან...“

ვანო მაჭავარიანი: „როგორც ვიცი, სამართლებრივი პროცესი დაწყებულია, თუმცა არანაირი სერიოზული ბრალდება სააკაშვილის მიმართ არ არსებობს“ EXCLUSIVE

კახი კალაძე: „არ გამოვრიცხავ, ბატონ სააკაშვილსაც მოუწიოს გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა“ EXCLUSIVE

SOS! 40 ათასამდე თბილისელს აფეთქება ემუქრება!

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი საგადასახადო შეღავათებით

შალვა ფიფია: „პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იქნება მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, რომელსაც საშუალება ექნება, მიიღოს საგრანტო დაფინანსება დაბეგვრის გარეშე“

EXCLUSIVE

გიორგი ბარამიძე: „ზურას ოჯახის წევრებს ვერ გავუბრაზდები ვერანაირად, ვერც ადამიანურად... თუმცა მათგან ამას არც მოველოდი და ვერც წარმოვიდგენდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE ინტერვიუ

my View
მირიან ბოქოლიშვილი

„ყველაზე რადიკალური „ნაციონალები“ გაჩდნენ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პარტიების ნევრები და იგივე ხალხმა ფრაქციას დაარქვა სხვა სახელი - „ნაციონალური მოძრაობის“ ნაცვლად „ქართული ოცნება“

„მითანამშროლია გიგა ბოკერიასთან და ვერ ვიტყოდი, რომ ეს იყო ცუდი თანამშრომლობა“

რადენიმე დღეში უშიშროების საბჭოს ოფიციალურად გადაიბარებს იუსტიციის გენერალი და მოქმედი დეპუტატი ირინა იმერლიშვილი, გიგა ბოკერიამ კი თანამდებობის დატოვების შესახებ განცხადება უკვე დაწერა. რა გეგმები აქვს ბოკერიას შემცვლელს? რას ფიქრობს წინამორბედის საქმიანობაზე? გაიზრდება თუ არა ახალი ხელისუფლების მიერ სეკვესტრირებული უშიშროების საბჭოს ბიუჯეტი და შერბილდება თუ არა უსაფრთხოების კონცეფცია რუსეთთან მიმართებაში?

„პრაიმტაიმი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს უშიშროების საბჭოს მომავალ მდივან ირინა იმერლიშვილთან.

- პირველ რიგში წარმატებას გისურვებთ ახალ საქმიანობაში და მინდა გკითხოთ, ფუნქციების თვალსაზრისით რა შეიცვლება უშიშროების საბჭოს მუშაობაში?

- კონსტიტუციური ჩანაწერით ეს არის პრეზიდენტის სათათბირო ორგანო და ცხადია, ასეთად დარჩება. უბრალოდ, აქ საუბარია უფლებამოსილების გამიჯვნაზე. მოგეხსნებათ, როგორც კი ახალი პრეზიდენტი დადებს ფიცს, ძალაში შევა ახალი კონსტიტუცია, სადაც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური აღარ იქნება პრეზიდენტი. მისი ფუნქციები განისაზღვრება საგარეო ურთიერთობებით, თავდაცვის საკითხებით და ა.შ. საშინაო საკითხებზე, როდესაც ხდებოდა კოორდინირება უშიშროების საბჭოში ეს ალბათ ნაკლებად იქნება უკვე. ჩვენი აზრით ეს ფუნქციები უნდა ჰქონდეს საქართველოს მთავრობას, შესაძლოა, პრემიერ მინისტრთან შეიქმნას მართვის ცენტრი, მაგრამ რაც შეეხება კრიზისების მართვას, ეს ფუქნცია ცხადია, დარჩება უშიშროების საბჭოს იმიტომ, რომ მაგალითად, საგანგებო მდგომარეობას ქვეყანაში, ახალი კონსტიტუციითაც, პრეზიდენტი აცხადებს. შესაბამისად, უშიშროების საბჭოს შესაფასებელი იქნება საგანგებო სიტუაციამდე არის თუ არა საქმე მისული. ეს ხომ მარტო ომს არ შეეხება, დავუშვათ, ღმერთმა დაგვიფაროს და რომელიმე მდინარეში ჩაიღვარა დარიშხანი. როდის ხდება ეს საკითხი პრეზიდენტის ჩარევის საგანი და ქვეყნის, ან მის რომელიმე ნაწილში არის თუ არა საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება საჭირო, ამას სწორედ უშიშროების საბჭო შეაფასებს. ამრიგად, ეს ნაწილი იქნება კარგად გასამიჯნი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა მოამზადეს თავიანთი პრეზენტაცია და რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ამერიკის ელჩი გახსნის ამ პრეზენტაციას 19 ნოემბერს. ამ ღონისძიებაზე მეც ვარ მიწვეული. ამიტომ ძალიან საინტერესოა მათი მოსაზრებები. შემიძლია გითხრათ, რომ თვისობრივად ახალი ორგანო იქმნება უშიშროების საბჭოს სახით. საინტერესო იქნება ჩვენი პარტნიორების, მათ შორის ამარიკელების ხედვა, რომელიც ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა უშიშროების საბჭოსთან და ასეც გაგრძელდება.

- რაც შეეხება უსაფრთხოების კონცეფციას... ამ დოკუმენტში ქვეყნის ნომერ პირველ საფრთხედ დასახელებულია რუსეთი და ნახსენებია ტერმინი „ოკუპანტი“... გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ერთგვარად დათბობის პოლიტიკა აწარმოოს რუსეთთან, რამდენად შესაძლებელია ამ კონცეფციაში ცვლილებების შეტანა, თუნდაც ტერმინოლოგიის შერბილების დონეზე?

- ამ მიმართულებით რადიკალურ ცვლილებებს არ ველი. არაღიარების პოლიტიკა არის ის თემა, რომელიც ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა წინა პლანზე დააყენა. მე მგონი ჩვენი ხელისუფლების დასავლური კურსი ყველაზე სკეპტიკოსებისთვისაც აღარ დგას კითხვის ნიშნის ქვეშ. ურთიერთობის დალაგება შესაძლებელია სხვაგვარადაც. ჩვენ თვითონ არ უნდა წამოვეგოთ პროვოკაციებზე, არ გავამწვავოთ სიტუაცია და რაც მთავარია, პირველ რიგში, მაქსიმალურად გამოვიყენოთ კარაინი-აბაშიძის ფორმატი, რომელიც ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაზე მაინც გაგვიყვანს.

- ანუ, აქედანვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყნის მთავარ სტრატეგიულ დოკუმეტში რუსეთთან მიმართებაში არსებით ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ?

- ამ ნაწილში რაიმე ცვლილებებს ნამდვილად არ ველი.

- თქვენს წინამორბედს რაც შეეხება, არის თუ არა გიგა ბოკერიას საქმიანობიდან რაიმე ნაწილი, რომელიც თქვენს დადებით შეფასებას იმსახურებს?

- გიგა ბოკერიას მე ვიცნობ, თუმცა ჩვენ ერთად არასდროს გვიმუშავია. ურთიერთობა გვქონდა უშიშროების საბჭოს ფორმატში, როდესაც უწყებათაშორისი კომისია ჯერ კიდევ ამ ორგანოს ფორმატში მუშაობდა. ვფიქრობ, ეს კომისია საკმაოდ კარგად და ეფექტურად მუშაობდა პრევენციის ნაწილში. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, როდესაც ჩვენ ვიყავით ოპოზიციაში და ეს კომისია მუშაობდა უშიშროების საბჭოს ფარგლებში, ბევრი პრევენცია განხორციელებულა, ნამდვილად შესაძლებელი იყო კომუნიკაცია იმ ორგანოს მეშვეობით, რომელსაც უძღვებოდა გიგა ბოკერია. მოგეხსენებათ მაშინ წარმოუდგენელ პრობლემებთან გვქონდა საქმე და ხშირად სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზეც კი გადიოდა სხვადასხვა საკითხი, მაგრამ იყო შესაძლებელი რაღაცების პრევენცია თუკი დროულად მივიდოდა საკითხი ამ კომისიამდე. რა თქმა უნდა, შედარებაც არ შეიძლება იმ კომისიის მუშაობასთან, რომელიც მუშაობდა საპრეზიდენტო არჩევნებზე უკვე თეა წულუკიანის უწყების ფორმატში. აქ აღარ იყო იმ მასშტაბის დარღვევებზე საუბარი, როგორიც იყო საპარლამენტო არჩევნების დროს და ყველამ, შინაურმაც და გარეულმაც, აღიარა, რომ ეს იყო ნამდვილად ევროპული დონის არჩევნები. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ამ ნაწილში მითანამშროლია გიგა ბოკერიასთან და ვერ ვიტყოდი, რომ ეს იყო ცუდი თანამშრომლობა.

- ხელისუფლების ცვლილების შემდეგ უშიშროების საბჭოს საკმაოდ შეუმცირდა დაფინანსება... რამდენად საკმარისია ის თანხა, რომელიც ამჯამად არის გამოყოფილი და ხომ არ მოითხოვთ მის გაზრდას?

- უშიშროების საბჭოს ჰქონდა 26 მილიონზე მეტი დაფინანსება. აქედან, როგორც ჩანს, დიდი ნაწილი ქეშად იყო აღებული და გადახდილი ლობისტურ კომპანიებზე. მოგეხსნებათ, სწორედ ეს იყო მთავარი პრეტენზია ამ უწყების მიმართ. წელს, ეს უწყება კვლავ იმავე დაფინასებას ითხოვდა, რაზეც ფინანსთა სამინისტრომ უარი თქვა და დააფინანსა მხოლოდ 1 მილიონ 800 ათასით. ამის 90 პროცენტი იხარჯება სახელფასო ანაზღაურებაზე, ვინაიდან 38 ადამიანი მუშაობს უშიშროების საბჭოს აპარატში. მე მქონდა მართლაც ფინანსთა მინისტრთან საუბარი, რომელსაც ვთხოვე, რომ თუ არის შესაძლებელი 200 ათასით გაზრდილიყო ფონდი, რათა მივლინენების საშუალება ჰქონოდა უშიშროების საბჭოს. ანუ, საუბარია უშიშროების საბჭოს ბიუჯეტის 2 მილიონამდე გაზრდაზე.

- იგივე მწირი დაფინანსების გა-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირინა იმერლიშვილთან

უშიშროების საბჭოს მომავალი მდივანი ნოდარ ხადურს დაფინანსების გაზრდას სთხოვს

მო თქვენს ორგანოს აღარ ექნება თუნდაც ლობისტური კამპანიის წარმოების საშუალება...

- არა, ჩვენ გვეყოლება თვისობრივად სხვა უშიშროების საბჭო, ისევე, როგორც გვეყოლება თვისობრივად სხვა პრეზიდენტი. ახალმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ ძალიან ნაკლები პიარაქციებით შემოიფარგლოს. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენი საქმიანობის ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია კონკრეტულ შედეგებზე და არა პიარაქციებზე. პიარის ელემენტები დაყვანილია მინიმუმამდე. ამ პოლიტიკის ნაწილად მოვიაზრებ მე ლობისტურ საქმიანობასაც.

- თუმცა იგივე საერთაშორისო მხარდაჭერისა და არაღიარების პოლიტიკის გასაგრძელებლად, ალბათ, ეს კომპონენტიც საჭიროა...

- მე ვფიქრობ, ჩვენი მხარდაჭერის აუცილებლობა საქმით უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს პარტნიორებს და არა პიარტექნელოგიებით. ასეთი გახლავთ ჩვენი და პრემიერ-მინისტრის ხედვა. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ ლობისტური საქმიანობის წარმოება ყველაზე ნაკლებად არის უშიშროების საბჭოს პრეროგატივა. თუკი ქვეყანაში ვინმე უნდა მუშაობდეს ამ მიმართულებით და რაღაც დოზით ამაზე ფული უნდა დაიხარჯოს, მიმაჩნია, რომ ეს ყველაზე ნაკლებად არის ჩვენი სამსახურის გასაკეთებელი.

- თუმცა, ცნობილია, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობდა უშიშროების საბჭო გიგა ბოკერია დროს, რაც მის წინააღმდეგ ბრალდებების საფუძველიც გახდა... რამდენად შესაძლებელია დადგეს გიგა ბოკერიას სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი?

- ამაზე მე ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, თუმცა ცხადია, ალბათ, დაიკითხება, თუ ეს საქმე არის გამოძიების ქვეშ. სრული პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ არ ვართ ის ხელისუფლება, რომელიც პოლიტიკური ნიშნით ვინმეს გაასამართლებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, იმის გამო, რომ ვინმე არის ჩვენი ოპონენტი, მას დანაშაული ეპატიოს. თუ იქნება კონკრეტული დანაშაული, ცხადია, პასუხისმგებლობის საკითხი დადგება, თუ არა და არავინ იქნება პოლიტიკური ნიშნით დევნილი. ჩვენ კარგად ვიცით რას ნიშნავს პოლიტიკური დევნა, ეს ჩვენს თავზე ვიწვნიეთ და ნამდვილად არ გვსურს იმავე გზის გაგრძელება.

- სულ რამდენიმე დღეში გიორგი მარგველაშვილი ოფიციალურად დადებს ფიცს და მიხეილ სააკაშვილი დატოვებს თანამდებობას... საზოგადოებაში არსებობს მოლოდინი, რომ პრეზიდენტის მიმართ დაიწყება გამოძიება სხვადასხვა საქმეზე... მეორე მხრივ, ვიცით დასავლელი პარტნიორების დამოკიდებულება... შეგახსენებთ იგივე კარლ ბილდტის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ თუ სააკაშვილის მიმართ დაიწყება გამოძიება, ეს იქნება უარესი, ვიდრე ტიმოშენკოს შემთხვევა და საბოლოოდ განსაზღვრავს საქართველოს საგარეო კურსს... რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული თქვენი გუნდის მიერ?

- კიდევ ვიმეორებ, ნებისმიერ ადამიანს იცავს უდანაშაულობის პრეზუმფცია, რაც არ უნდა მოარული ხმები ისმოდეს მის მიმართ, თუ არ დაუმტკიცდა, ის ითვლება უდანაშაულოდ. ეჭვს არ ბადებს, ჩვენი ხელისუფლების ჩაურევლობა სასამართლო საქმიანობაში. როდესაც მიხეილ სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, კარგად გვახსოვს, მაღალჩინოსნების მასობრივი დაპატიმრებები, საძინებლებში შევარდნები და ა.შ.

- თუმცა მაშინ დღის წესრიგშიც არ დამდგარა ედუარდ შევარდნაძის დაპატიმრების საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ ექსპრეზიდენტის მიმართ საკმაოდ მძიმე ბრალდებები არსებობდა.

- კი ბატონო, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თუ ვინმემ დააფარა ხელი, კარგია. მაღალი რანგის თანამდებობის პირების სამართალში მიცემა დასავლეთს ნამდვილად არ უკვირს, თუ, რა თქმა უნდა, ეს იქნება დასაბუთებული და თავისუფალი პოლიტიკური ელემენტებისგან. თუ ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანობის განცდა არ დაუბრუნდა ხალხს, მაშინ იმ ჭაობიდან ვერ ამოვალთ, როგორშიც ვიყავით წლების განმავლობაში. მე ძალიან მიხარია, რომ საზოგადოება პოლიტიკურად უფრო მწიფდება. თქვენ იცით, რომ იყო დაკვეთა მიხეილ სააკაშვილის ვადაზე ადრე წასვლაზე, საუბარია იგივე პარლამენტის ვადამდელ არჩევნებზე, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ის რაოდენობა, რომელიც წარმოდგენილია პარლამენტში არ ასახავს რეალურ განწყობებს.

- თუმცა ვადამდელი არჩევნების მხარდამჭერებს ასევე აქვთ არგუმენტი, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ საპარლამენტო უმრავლესობა ლეგიტიმაციას კარგავს, რადგან ხალხმა ხმა სწორედ ივანიშვილს მისცა...

- დიახ, არსებობს ასეთი მოსაზრებაც, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ქვეყნისთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, რომ დემოკრატიულად არჩეულმა ინსტიტუტებმა ვადა მიიყვანონ ბოლომდე, მიუხედავად იმისა, მოგვწონს თუ არა პრეზიდენტი, ან პარლამენტი, ან ადგილობრივი თვითმმართველობები, სადაც ყველაზე რადიკალური „ნაციონალები“ გახდნენ კოალიციაში შემავალი სხვადასხვა პარტიების წევრები და იგივე ხალხმა ფრაქციას დაარქვა სხვა სახელი - „ნაციონალური მოძრაობის“ ნაცვლად „ქართული ოცნება“. გასაგებია იმ ადამიანების გულისწყრომა, რომლებიც ყოველდღე უყურებდნენ ასეთი კატეგორიის ხალხის სამქიანობას, მაგრამ ამის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ყველა ინსტიტუტმა საკუთარი უფლებამოსილების ვადა უნდა მიიყვანოს ბოლომდე.

- და ბოლოს მინდა გკითხოთ ღარიბაშვილის კაბინეტზე, რამდენად ეფექტური იქნება განახლებული მთავრობა?

- ირაკლი ღარიბაშვილი იყო ყველაზე წარმატებული მინისტრი ჩვენს გუნდში, მან მოახერხა და მოკლე ხანში სრულიად პოლიტიზირებული პოლიცია გაათავისუფლა პოლიტიკური ელემენტებისგან. ამის ნათელი მაგალითი გახლდათ საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც პოლიციის არსებობა თითქმის არც კი შეუმჩნევია საზოგადოებას. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ ისეთივე წარმატებული პრემიერი იქნება, როგორიც იყო შს მინისტრიო. რაც შეეხება გამოწვევებს, ყველამ ერთად უნდა მოვახერხოთ, რომ არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით მაქსიმალურად მოვახდინოთ საერთაშორისო თანამეგობრობების კონსოლიდირება. ასევე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა გიორგი მარგველაშვილზე, რომელიც პრაქტიკულად ვილნიუსის სამიტით იწყებს თავის მოღვაწეობს. საკმაოდ წარმატებული დასაწყისია, რაც ძალიან მახარებს. გიორგი იქნება ყველა ადამიანის პრეზიდენტი და არა რომელიმე პოლიტიკური გუნდის.

- მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა, რომ ირაკლი ალსანია და თეა წულუკიანიც მომავალ მინისტრთა კაბინეტში იქნებიან, მაინც ვრცელდება ხმები, რომ სულ მალე ალასანიას გუნდს მთავრობიდან გაუშვებენ...

- არა მგონია, რომ ამ მიმართულებით რაიმე ცვლილებას უნდა ველოდოთ. ირაკლიც და თეაც არიან საკმაოდ წარმატებული და კარგი მინისტრები. ირაკლი არის მგონი პირველი თავდაცვის მინისტრი, რომელსაც არ მიუთითებია ჯარისკაცებისთვის თუ ვის უნდა მისცენ ხმა არჩევნებზე. გუნდში პრობლემას მე ვერ ვხედავ. ჩვენ ვართ კოალიციური მთავრობა, ისევე როგორც პარლამენტი, დაპირებები ერთად მივეცით ხალხს და ვფიქრობ, ერთად უნდა ჩავაბაროთ ანგარიში ოთხი წლის თავზე, რა შევასრულეთ და რა ვერა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

40 ათასამდე თბილისელს

„იცით, რა შეიძლება მოხდეს? თუ აირის კონცენტრაცია ჰაერში ხუთიდან თხუთმეტ პროცენტამდეა, იქ ხდება აფეთქება, მის ქვემოთ და ზემოთ ხდება აალება. წარმოგიდგენიათ, რა კატასტროფის წინაშე ვართ?“

მარიამ ნადირაძე

თუ თქვენს სადარბაზოში გაზის მრიცხველები გარეთ უკვე გამოიტანეს, კარგად დააკვირდით, რა სახის მილებით არის დაქსელილი სადარბაზო. იქვე იმასაც დააკვირდით, რამდენად ახლოს გადის პოლიეთილენის თეთრი მილი, რომელიც თქვენს მრიცხველს უერთდება მაღალი ძაბვის სადენთან...

თუკი ეს ყველაფერი უკვე შეათვალიერეთ და ზოგი რამ უკვე გენიშნათ კიდეც, შეგვიძლია, გირჩიოთ, რომ სტატიის კითხვის დასაწყისში პროფილაქტიკისთვის მიიღეთ ნებისმიერი რამ, რაც თქვენს ნერვულ სისტემას საფრთხეების მიმართ მდგრადობას შემატებს, ვინაიდან შეიტყობთ, რომ თქვენ რეალურად ძალიან საშიშ ბომბზე ცხოვრობთ და თუ რატომ, ამის შესახებ საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებთ.

გამოცდილება აჩვენებს, რომ, როცა საქმე გვაქვს მაღალი დონის სახელმწიფო ან სახელმწიფოთაშორის ავანტიურასთან, ყველაფერი ჯერ ნორმატიული ბაზის ცვლილებებით იწყება. შეიძლება გაგიკვირდეთ, რა კავშირი აქვს თქვენს სადარბაზოში გაფანჩულ გაზის პოლიეთილენის მილებს ნორმატიულ აქტებთან და მით უმეტეს, ასეთ ავანტიურასთან, მაგრამ აჯობებს ამბავს ქრონოლოგიურად მივყვეთ და ბოლოს, გარწმუნებთ, ყველაფერი დღესავით ნათელი გახდება. ამ სახიფათო ლაბირინთში კი „პრაიმტაიმის“ გზამკვლევი დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტი, გიორგი ნიკოლაიშვილი იქნება, რომელმაც ყველა თავისი მოსაზრება შესაბამისი დოკუმენტით დაგვიდასტურა და თხრობაც არცთუ დამაიმედებლად დაიწყო: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ 2009 წელს დაიწყო მუშაობა იმაზე, რომ თბილისი ექციათ ახალ საკონცენტრაციო ბანაკად“...

მაშ ასე: საქართველოში ენერგომომარაგებაზე ზედამხედველობას, როგორც წესი, შესაბამისი სამსახური ახორციელებდა. რაკი ვეხებით იმ პერიოდს, როდესაც ქვეყანას „ნაციონალური მოძრაობა“ მართავდა, ვინმემ მიკერძოებაში ცილი რომ არ დაგვწამოს, ისევ იმ ხელისუფლებისდროინდელ დოკუმენტს მოგიყვანთ არგუმენტად: ეს არის საქართველოს მთავრობის 2005 წლის 20 დეკემბრის დადგენილება, რომელშიც მაშინდელი პრემიერი, ზურაბ ნოღაიდელი თავისი ხელმოწერით ადასტურებს, რომ უსაფრთხოების ტექნიკისა და შრომის დაცვის ეროვნული საინფორმაციო ცენტრის ნაცვლად იქმნება საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია, რომელიც ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო ზედამხედველობას უწევდა, სხვა ჩამოთვლილი სფეროების გარდა, „მაგისტრალური გაზსადენებისა და გაზმომარაგების სისტემების დაპროექტებას, მშენებლობასა და ექსპლუატაციას, თხევადი გაზის (პროპანი-ბუტანი) ტრანსპორტირებასა და შენახვას“ და ა.შ...

მოგვიანებით, ეს სამსახური სადღაც მიილია, გადაკეთდა საagენტოდ და მას ფუნქციებიც ნელ-ნელა „შემოეძარცვა“. ვიყოთ მიამიტები და ვიფიქროთ, რომ ამაში წინასწარი ჩანაფიქრი არ არსებობდა, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე წელიწადში სახეზე გვქონდა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, რომლის მე-18 მუხლში (ობიექტები და მათი ზედამხედველობა) ჩამოთვლილია ობიექტები, სადაც აღარ სად აღარ არის „გაზმომარაგება“ და გვრჩება მხოლოდ მაგისტრალური გაზსადენი...

ამის გარდა: 2010 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მაშინდელმა მინისტრმა, ქალბატონმა ვერა ქობალიამ მიიღო ბრძანება „საქართველოს ტერიტორიაზე და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესებისა და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ (?! – მ.ნ.). დანართში მითითებულ ნორმათა ჩამონათვალში 23-ე ნომრად წერია გაზმომარაგება. 2011-შიც და 2012-შიც იგივე ბრძანების დუბლირება მოხდა.

ამ ხსენებულ ნორმებშიც კი, 4.85-ე მუხლში შავით თეთრზე წერია: პოლიეთილენის მილების გამოყენება დაუშვებელია 6-ბალიან სეისმოლოგიურ ზონაში (ექსპერტის განმარტებით, საქართველო რვაბალიან სეისმოლოგიურ ზონაშია – მ.ნ.)...

მკითხველს სხვადასხვა ნორმატიული აქტის მუხლებისა და პუნქტების რახარუხით თავი რომ არ მოვაბეზროთ, აქვე გეტყვით, რომ სწორედ ამ აქტებში ცვლილებების, თუ ახლის შექმნის პარალელურად „ყაზტრანსგაზმა“ შეშფოთება გამოთქვა – დიდი დანაკარგი გვაქვს და გაზის მოხმარების გასაკონტროლებლად მოსახლეობის ბინებიდან მრიცხველები გარეთ უნდა გამოვიტანოთო. საქმესაც მაშინვე შეუდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ პოლიეთილენის მილები ელიავას ბაზრობაზე მეტრი ლარად იყიდება, მომწოდებელი კომპანიაც მოქექეს და მისი „გავლით“ მწარმოებელი ქარხანაც. პირველი ქართული კომპანიაა – „ჩარკფი“, მეორე კი – თურქული „ფირატი“. აქ რა თქმა უნდა, თემას აღარ გავშლით იმ მიმართულებით, რაში სჭირდებათ მომწოდებელი კომპანია, როდესაც პირდაპირ შეიძლება ქარხანაზე გასვლა, რადგან ამაზე საუბარი სხვა მიმართულებით და თანაც ძალიან შორს წაგვიყვანს. ჩვენი მკითხველი ასეთ „ფანდებს“ ისედაც უკვე გაცნობილია სხვა მსგავსი ისტორიებიდან...

„ჩარკფი“ კი უდავოდ კარგი სამსახური გაუწია „ყაზტრანსგაზს“, როდესაც შექმნა მეწარმე სუბიექტის სტანდარტი, სადაც საოცარია, მაგრამ ვკითხულობთ, რომ, თურმე ეს სტანდარტი „ვრცელდება მეტალოპლასტიკის მილებზე PEXb-AL-PEXb (პოლიეთილენი-წებო-ალუმინი-წებო-პოლიეთილენი), რომელიც დამზადებულია თურქული კომპანია „ფირატის“ მიერ და გამოიყენება წყლისა და ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებისთვის.

აი, სწორედ აქ იწყება ყველაზე დიდი ინტრიგა: რაკიღა დღეს თითქმის ნებისმიერი ინფორმაცია ხელმისაწვდომია, შეგიძლიათ, შებრძანდეთ ამ თურქული კომპანიის საიტზე და თავად წაიკითხავთ, რას წერს მწარმოებელი ქარხანა ამ მილების შესახებ: „გამოიყენება ცხელი და ცივი წლის მომარაგების, გათბობის სისტემებში“. არსად არ ახსენებენ ბუნებრივი აირის ტრანსპორტირებას...

ბუნებრივია, ამ ინფორმაციების გაცნობის შემდეგ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება „ყაზტრანსგაზის“ პოზიცია ამ მილების მონტაჟთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამ კომპანიის პრესსამსახურთან ამ ეტაპზე დაკავშირება ვერ შევძელით, თუმცა, ჩვენთვის ცნობილია, როგორ იმართლებდა თავს დაახლოებით წლინახევრის წინათ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ სპეციალური მმართველი, ანა თაქთაქიშვილი სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის დირექტორისთვის მიწერილ წერილში: „მილები, რომლითაც ხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების გაზმომარაგების ქსელის შეცვლა, წარმოადგენს მეტალოპლასტიკის „ALUPEX“-ის (PE-Xc/AL/PE-Xb) გაზის ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილ მრავალშრიან მილებს, რომელთა გამოყენებაც და გადაბმის წესი (ფიტინგების მეშვეობით) პრაქტიკულად გამორიცხავს გაზის გაჟონვას და, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სრულიად მისაღებია. ამასთანავე, გამორიცხულია მილების კოროზიაც... მილების მექანიკური დაზიანების თავიდან ასაცილებლად გათვალისწინებულია მათი მოთავსება დამცავ მოწყობილობაში (მკითხველს თავად შეუძლია შეამოწმოს, რამდენად დაცულია ეს მილები მათ სადარბაზოებში. – მ.ნ.)... თუმცა აღვნიშნავთ, რომ არათანაზომიერი მექანიკური ზემოქმედების შედეგად შესაძლოა, დაზიანდეს როგორც მეტალოპლასტიკის, ასევე ფოლადის მილებიც...“

ეს წერილი დათარიღებულია 2012 წლის 11 იანვრით. 2013 წლის სექტემბერში კი საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარემ, გულიკო ზუმბაძემ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროდან დასკვნა მიიღო, სადაც წერია: „საერთაშორისო სტანდარტ ISO 4437:2007“-ის (პოლიეთილენის მილები აირგაყვანილობისთვის) მიხედვით, ამ მიზნით გამოყენებადი მილების პირობითი აღნიშვნებია PE 80 და PE 100. სხვა დასახელების, მათ შორის PEXb-AL-PEXb-ის მარკის მილები აღნიშნულ სტანდარტში ნახსენები არ არის...“

ამდენად, ექსპერტ გიორგი ნიკოლაიშვილს საფუძვლიანი ეჭვი უჩნდება, რომ „ჩარკფიმ“ ეს სტანდარტი რეგლამენტებისა და მეტროლოგიის სააგენტოში გარკვეული დაინტერესებით გააყალბა...

თუმცა, ეს კიდევ არ არის ყველაფერი:

თუ კიდევ გაიხედავთ თქვენს სადარბაზოში და დააკვირდებით, რომ ეს მილები ერთმანეთზე ფიტინგებით არის გადაბმული, ცხადია, საქმეში უკვე გათვითცნობიერებულს გაგიჩნდებათ კითხვა – რამდენად ვარგისია ეს ფიტინგები გაზისთვის? შეგიძლიათ, ინტერნეტში თავად მოიძიოთ

გიორგი ნიკოლაიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

აფეთქება ემუქრება!

რატომ შეწყვიტა „ყაზტრანსგაზმა“ გაზის მრიცხველების გატანა?!

ინფორმაცია და დარწმუნდებით, რომ ისინიც მხოლოდ ცხელი და ცივი წყლისთვის გამოიყენება.

ამასთანავე, ფიტინგში დგას ე.წ. ჩობალი. ის გამოიყენება სივრცის შესავსებად. წარმოიდგინეთ, რომ ამ მარკის ჩობალიზეც მწარმოებელმა სულ რამდენიმე დღის წინ თავის საიტზე დადო ინფორმაცია – არ არის რეკომენდებული გაზისთვის...

ახლა კი იმის შესახებ, კონკრეტულად რა საფრთხის შემცველია ეს ყველაფერი... „პრაიმტაიმს“ გიორგი ნიკოლაიშვილი ესაუბრება:

– წარმოიდგინეთ: მილები გაზის გაშვებისთვის არ გამოიყენება, იგივე დანიშნულებით არ გამოიყენება მილების გადასაბმელებიც... ამასთანავე, ფიტინგში დგას ე.წ. ჩობალი. ის გამოიყენება სივრცის შესავსებად. წარმოიდგინეთ, რომ ამ მარკის ჩობალიზეც ინტერნეტში პირდაპირ წერია – არ არის რეკომენდირებული გაზისთვის...

– გასაგებია ეს ყველაფერი, რომ მილები, ფიტინგები და ჩობალები არ შეესაბამება გაზს, მაგრამ კონკრეტულად რა საფრთხეს შეიცავს ასეთ მილებში გაზის გადინება?

– ეს გაზი აფუჭებს მათ და ძალიან მალე დაიწყება გაჟონვები... ამ დოკუმენტებს ჩემთან ერთად იძიებდა საკრებულოში ფრაქცია „ოცნება – თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე. რამდენიმე დღის წინ ჩატარდა სხდომა საკრებულოში. „ყაზტრანსგაზმა“ იქ უკვე აღიარა, რომ ამ მილებით მონტაჟს არ ახორციელებს და შეაჩერა მონტაჟი.

– რაც უკვე დამონტაჟებულია, იმ აბონენტებს რა ეშველებათ?

– ისინი, სამწუხაროდ, მაღალი რისკის ზონაში ცხოვრობენ.

– რამდენი ადამიანია ასეთი საფრთხის ზონაში?

– ამ ციფრის დასახელებას ჩემს თავზე ვერ ავიღებ. დანამდვილებით გეტყვით, რომ ეს ასი და ორასი აბონენტი არ არის. ბევრად მეტია. გაჩვენებთ დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც საქართველოში გაზის გაყვანილობა უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ ლითონის მილებით. ძალიან ბევრს ხტუნაობს „ყაზტრანსგაზი“, რომ ევროპაში დაშვებულია ასეთი მილები გაზმომარაგებაშიო, მაგრამ ევროსტანდარტი კრძალავს პოლიეთილენით გაზის გაყვანას მრავალსართულიან სახლებში. „აისო სტანდარტიც“ კრძალავს ამას. დსთ-ს სამშენებლო ნორმებისა და წესების მიხედვით, რომელიც 2002 წელშია მიღებული, ის ნებას იძლევა ასეთი მილების მხოლოდ სამსართულიან სახლში გამოყენებაზე, ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სართულზე ერთი ბინაა. თბილისში ეს მილები გაყვანილია ელექტროსადენებთან ახლოს. ვინაიდან ამ ჩობალებიდან შეიძლება მოხდეს გაზის გაჟონვა, ძალიან სერიოზული საფრთხის წინაშე ვდგებით. თქვენ წარმოიდგინეთ, რადიოხაზთან არ შეიძლება ამის გაყვანა, სადენებში კი არის მოხეტიალე დენი. იცით, რა შეიძლება მოხდეს? თუ აირის კონცენტრაცია ჰაერში ხუთიდან თხუთმეტ პროცენტამდეა, იქ ხდება აფეთქება, მის ქვემოთ და ზემოთ ხდება აალება. წარმოგიდგენიათ, რა კატასტროფის წინაშე ვართ?

– ეს ყველაფერი რას ნიშნავს, ბატონო გიორგი? დივერსიასთან გვაქვს საქმე?

– აქ რომ დიდი პოლიტიკის ინტერესი არ ყოფილიყო, ეს ყველაფერი ასე ურცხვად არ მოხდებოდა...

– რას გულისხმობთ? დაგვიკონკრეტეთ...

– სამწუხაროდ, დოკუმენტები ჯერ მოძიების სტადიაშია და როცა ყველა მექნება სრულად, მერე მოგანვდით სრულ ინფორმაციას ამის თაობაზე. მანამდე კი შემიძლია გითხრათ, რომ ამაში ძალიან დიდი ფული მოიხსნა.

– რამდენად დიდი?

– წარმოიდგინეთ, სტანდარტული რვასართულიანი კორპუსი, სართულზე სამი ბინით: პოლიეთილენის მილებით რომ გამოიყვანონ მრიცხველი გარეთ, ეს ჯდება სამოცი ლარი. რომ გამოეტანათ რკინის მილებით, ეს სამას სამოცი ლარი დაჯდებოდა. წარმოგიდგენიათ რამხელა ეკონომია გაწია „ყაზტრანსგაზმა“ და რამხელა ფული მოიხსნა? იმედი მაქვს, ამ ყველაფრით პროკურატურა დაინტერესდება და ყველაფერს გამოიძიებს, ლობისტების ჩათვლით.

– რატომ დასჭირდა ქალაქს ამ მილებით მრიცხველების გარეთ გატანა?

– გამოთქვეს ეჭვი, რომ მოსახლეობა გაზს იპარავდა და განაცხადეს, რომ კონტროლს ასე უკეთ განახორციელებდნენ. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ჩვენი გამოძიების ფარგლებში სამხარაულის საექსპერტო ბიურომაც ჩაატარა ექსპერტიზა და მანაც კი ვერ მოახერხა, მთლიანად დაეცვა „ყაზტრანსგაზი“. მის დასკვნაში წერია, რომ ეს მილი გაზისთვის განკუთვნილი მილების ჩამონათვალ სიაში არ არის. ფიტინგებზეც გვინდოდა ექსპერტიზა, მაგრამ სამხარაულმა თავი აარიდა, ამაზე სპეციალური კვლევა მჭირდებაო და თვითონ თურქებმა თქვეს, არ შეიძლებაო.

– „ყაზტრანსგაზი“ რა პოზიციაზეა?

– დამნაშავე იტყვის, დამნაშავე ვარო? სხვათა შორის, სუბიექტი სტანდარტში წერია, რომ ეს მილი ვარგისია გაყიდვიდან 12 თვის განმავლობაში. იქვე უამრავი რეკომენდაციაა, გოფრირებულ მილში უნდა ჩაისვასო, მერე რკინის ყუთი უნდა გაკეთდესო. რეალურად გაკეთდა თუნუქის სიფრიფანა მილი, რომელიც დაჯახებაზეც კი შეიძლება მოძვრეს კედლიდან. ეს მილი უპრობლემოდაც იხვრიტება...



– თქვენ ამბობთ, რომ ეს ყველაფერი ფულის მოსახსნელად გაკეთდა?.. საიდან მოიხსნა ეს ფული?

– „ყაზტრანსგაზს“ საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაეხადა აბონენტზე სამას სამოცი ლარი და გადაიხადა სამოცი. ეს მილი იაფია. მეტრი ლარია. ბაზრობა სავსეა ასეთი მილებით. ეკონომია გააკეთეს და უხარისხო მილები დააყენეს, რომელიც გაზისთვის აკრძალულია.

– და მაინც, რამდენი აბონენტია ასეთი საფრთხის ქვეშ?

– საკრებულოში „ყაზტრანსგაზის“ წარმომადგენლებმა დაასახელეს ციფრი, რომელიც არარეალურია... მაგრამ ეს არ უნდა გაჟღერდეს...

– რატომ? საკრებულოში ხომ უკვე გაჟღერდა ეს ციფრი?

– 10-12 ათასი აბონენტი დაასახელეს თბილისში. მაგრამ ეს უბედურება რუსთავშიც მოხდა. როცა ამბობენ აბონენტს, საშუალოდ 3 ადამიანი იგულისხმება. ის ვერ დაუდგენია „ყზატრანსგაზს“, 10 ათასი აბონენტისთვის არის გატანილი მრიცხველი, თუ 12 000 აბონენტისთვის. ასეც რომ იყოს, 36 ათასი ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია. ცოტაა?..

– იქნებ უფრო კონკრეტულად აგვიხსნათ, რაში მდგომარეობს საფრთხე?

– ჩობალი არ არის განკუთვნილი გაზისთვის. ის გამოშრება და დაიწყებს გამოჟონვას. საერთოდ, როგორც ექსპერტი, კატეგორიულად ვაცხადებ, ვარგისი ჩობალიც კი მაქსიმუმ ხუთი წლის განმავლობაშია ვარგისი... თუ ფანჯარა ღიაა, აალდება, დახურულ სივრცეში, აუცილებლად აფეთქდება. აი, ამ საფრთხის ნინაშე დაგვაყენეს.

„პრაიმტაიმი“ იმედოვნებს, რომ „ყაზტრანსგაზს“ ექნება არგუმენტები ამ საფრთხეების შესახებ ეჭვების გასაფანტად. და თუ ასეთი არ არსებობს, ჩვენი მკითხველი დიდი ინტერესით გაეცნობოდა მათ პოზიციას მეტალოპლასტიკის მილების მონტაჟის შეჩერებასთან დაკავშირებით და იმ ღონისძიებებს, როდის და რა წესით მოხდება უკვე დამონტაჟებული მილების დემონტაჟი. ამ ეტაპზე ჩვენ ვერ მოვახერხეთ „ყაზტრანსგაზთან“ დაკავშირება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნაციონალური მოძრაო

როგორ დააგროვა სააკაშვილმა 7 მილიარდი და რა დოკუმენტები შევიდა პროკურატურაში

მარიამ ნადირაძე

რაც უფრო ახლოვდება ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის დღე, შთაბეჭდილება იქმნება, რომ რამდენიმე თითზე ჩამოსათვლელდღიანი პრეზიდენტის გარშემო სივრცე უფრო და უფრო ვიწროვდება. ექსპერტები ამ ბოლო კვირაში სააკაშვილისგან ბევრ სიურპრიზს ელიან, მაგრამ ამ მოულოდნელ-მოსალოდნელი გადაწყვეტილებების შესახებ საუბარი არ არის ჩვენი დღევანდელი განსჯის თემა. ისევ შევიწროებულ საპრეზიდენტო სივრცეს დავუბრუნდეთ და რამდენიმე „ტვინის ვარჯიშიც“ ჩავატაროთ:

მაშ ასე, ინაუგურაციის დღესთან დაკავშირებით დაისვა კითხვა... კითხვას მაღალი თანამდებობის პირის სკანდალური პასუხი მოყვა... ამ ყველაფერს კი დროში დაემთხვა მეტად საინტერესო საკადრო ცვლილება და დასკვნებამდეც დიდი მანძილი აღარ დაგვრჩენია...

კვერცხის და ქათმის წარმოშობის ვადების დამდგენებს რომ არ დავემსგავსოთ, მოდით, ერთად დავალაგოთ დაფა, სადაც ამოცანად დაისმება სააკაშვილისთვის ქიშის გამოცხადება. რაც შეეხება თამაშის სტრატეგიას, ის სრულიად მარტივად შეიძლება განისაზღვროს:

„პრეზიდენტმა სარეზერვო ფონდიდან სრულად გამოიყენა მთელი წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯები და ის ათ თვეში დახარჯა... პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებისა და ყოფილი თანამდებობის პირების სწავლის დაფინანსებას, ასევე მათ სოციალურ და ერთჯერად დახმარებებს მოხმარდა, შესაბამისად, მომავალი ორი თვის განმავლობაში პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი აღარ იარსებებს“, - ეს განცხადება რამდენიმე დღის წინ ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა გააკეთა... მისივე თქმით, ფონდის ხარჯვის შესახებ მასალები პროკურატურაში გაიგზავნება...

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ახალი მთავარი პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე წარუდგინეს, რომელიც ამ პოსტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსობიდან გადმოინაცვლებს... ლოგიკურად გამოდის, რომ ახალი მთავარი პროკურორი ახალ პოსტზე ძველი პოსტიდან წამოღებული მასალებით მივა და თანაც პრეზიდენტის შესახებ...

„პრეზიდენტის ფონდის მიზნობრიობაში არ იგულისხმება დისკოთეკების მოწყობა და ბოტოქსების კეთება, ნაშებში სიარული და მათთვის საჩუქრების ყიდვა“

ეს ყველაფერი დასკვნებამდე მისაახლოებლად...

ახლა კი მოკლე პრეისტორია:

2006 წლის განმავლობაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით სარეზერვო ფონდები პარლამენტის განსაკუთრებული კონტროლის რეჟიმისგან გათავისუფლდნენ. მას შემდეგ სარეზერვო ფონდების ხარჯვის დროს აღარ მოქმედებს განსაკუთრებული ანგარიშვალდებულება საქართველოს პარლამენტის წინაშე. ამას გარდა, პრეზიდენტის ფონდი სრულად გათავისუფლდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოქმედებისგან. ასე რომ, ამ მხრივაც გაუქმდა კონტროლი.

ფონდი არ ახორციელებს თავის ბუღალტერიას. მას ბიუჯეტით ჯერ 50 მილიონი, ამ წელს კი 10 მილიონი ჰქონდა გამოყოფილი (მარგველაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში ფონდი 5 მილიონამდე მცირდება - მ.ნ.) და ამ თანხის განკარგვა სწორედ ფინანსთა სამინისტროს მეშვეობით ხორციელდებოდა - პრეზიდენტი გასცემს განკარგულებას, უგზავნის ფინანსთა სამინისტროს და გადარიცხავს კონკრეტულ დაწესებულებაზე, რომელსაც ხარჯვის უფლება აქვს, ფინანსთა სამინისტრო ახორციელებს. ასე რომ, სააკაშვილის ფონდის ხარჯვის შესახებ სრული ინფორმაცია ხადურის უწყებას აქვს სწორედ და საჭიროების შემთხვევაში, ფარცხალაძის საგამოძიებოს (?!)...

სააკაშვილის ხარჯების ყბადაღებული თემა, დაგვეთანხმებით, ალბათ, რომ ხადურის განცხადებით არ დაწყებულა. „პრაიმტაიმმა“ რამდენიმე თვის წინ გამოაქვეყნა დოკუმენტები იმის თაობაზე, თუ როგორ ხარჯავდა ძვირადღირებულ სურათებში, საჩუქრებში, ბოტოქსებსა და გამაჯანსაღებელ ვარჯიშებში პრეზიდენტი დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გამოყოფილ სპეცსახსრებს. მაშინ მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსმა ხათუნა პაიჭაძემ დაგვიდასტურა კიდეც, რომ ამ საქმეზე გამოძიება დაწყებული იყო. ისე, როგორც სხვა მრავალი ასეთი გამოძიებისას, ფინალს ამ შემთხვევაშიც ვერ ველირსეთ, თუმცა, როგორც ჩანს, სააკაშვილის ხარჯები და ხარჯვები ახალი მთავარი პროკურორის საიმიჯო საქმე ხდება.

პრეზიდენტის ფონდის ხარჯვის რამდენიმეწლიანი შედეგები ახალგაზრდა იურისტებმაც გამოიკვლიეს. მოკლე სურათი ასეთი იყო: თუ 2010 წელს ფონდის ფინანსების უმეტესი ნაწილი (12 890 824 ლარი) კონცერტებს, საახალწლო ღონისძიებებს, მუსიკალურ კლიპებს მოხმარდა, 2011 წელს 8 080 164 ლარი საცურაო აუზების, ბულვარებისა და სტადიონების კეთილმოწყობაში დაიხარჯა, 2012 წლის იანვრიდან სექტემბრამდე კი (წინასაარჩევნოდ - მ.ნ.) პრეზიდენტის ფონდის 74% - სულ 33 150 000 ლარი სხვადასხვა ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების დასაფინანსებლად გამოიყო და საქართველოს თითქმის ყველა ადგილობრივ მუნიციპალიტეტს გადაეცა...

ეს, რაც შეეხება ხარჯვის თეთრ ნაწილს... მაგრამ უკანასკნელ ხანს ინტენსიურად საუბრობენ ე.წ. „ნაციონალურ ობშიაკებზეც“, და ამ სქემის გარშემო უამრავ ლეგენდას გაიგონებთ. სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ცნობილმა ბიზნესმენმა, ლევან ვასაძემაც განაცხადა - სხვადასხვა მონაცემებით, მიხეილ სააკაშვილმა 7, თუ 8 მილიარდი გაიტანა ქვეყნიდანო...

საინტერესო დამთხვევაა, მაგრამ ინფორმირებული წყაროები ქართულ მედიაში ავრცელებენ ინფორმაციას იმის შესახებაც, რომ თითქოს, ერთი თვის წინ, დავით ბაქრაძესა და დავით უსუფაშვილს შორის შედგა შეხვედრა, სადაც უსუფაშვილმა ნაციონალებს 7 მილიარდი მოსთხოვა, სამაგიეროდ კი მათ ზედა რგოლს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა. ეს სწორედ ის თანხაა, რომელიც უფლებადამცველი ნიკა მჟავანაძის ინფორმაციით წინა ხელისუფლებამ უკანონოდ მიიტაცა.

გახდება თუ არა ეს 7 მილიარდი პრეზიდენტის ფონდის საქმესთან ერთად გამოძიების დაინტერესების საგანი ამას მომავალი და ოთარ ფარცხალაძე გვიჩვენებს, ახლა კი ვნახოთ, რა ინფორმაციას ფლობს ჩვენი რესპონდენტი, რომელიც თავის დროზე იმ ანტიკრიზისული საბჭოს წევრი იყო, რომელსაც 2008 წლის ომის შედეგების ლიკვიდაციისთვის ამერიკიდან და ევროპიდან შემოსული 4,5 მილიარდი იაფი კრედიტის ხარჯვები უნდა ეკონტროლებინა:

ჯონდი ბაღათურია:

- არამარტო პრეზიდენტის, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხების არამიზნობრივად ხარჯვაზე მუდმივად გვქონდა პრეზიდენტზე ზეწოლა, მაგრამ ის ყოველთვის არიდებდა თავს ამაზე პასუხს.

- არამიზნობრივში რას გულისხმობთ?

- ამ ფონდს სააკაშვილი ძირითადად გასართობად და პირადი ნივთების შეძენისთვის იყენებდა.

- არ არსებობს კონტროლის მექანიზმი და ვინ განსაზღვრავს ფონდის ხარჯვის მიზნობრიობას?

- მთლად ასე არ არის. ჩვენ, ოპოზიცია, ამ ხარჯვას ვერ ვაკონტროლებდით. მარტო პრეზიდენტის ფონდის 50 მილიონი კი არ მიჰქონდა ქარს, ამას მთავრობის ფონდის 50 მილიონიც ემატებოდა. ფონდს ცხადად აქვს მითითებული მიზნობრიობა. იქ არსებული თანხები უნდა დაიხარჯოს სტიქიური უბედურების და მსგავსი სიტუაციების დროს, შეიძლება ეს თანხები სამხედრო ხარჯებისთვისაც გამოიყოს, როცა ბიუჯეტი არ ეყო ამ მიზნებს... ანუ, ეს ფონდი განსაზღვრულია გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის. პრეზიდენტის ფონდის მიზნობრიობაში არ იგულისხმება დისკოთეკების მოწყობა და ბოტოქსების კეთება, ნაშებში სიარული და მათთვის საჩუქრების ყიდვა. ერთი სიტყვით, ამ გაუთვალისწინებელ ხარჯებში, პრეზიდენტის გართობის მრავალსახეობა არ იგულისხმება. ხადურის განცხადება ცოტა არასერიოზულად მიმაჩნია. ასეთ განცხადებებს მე ვაკეთებ პარლამენტის და სხვა ტრიბუნიდან, მაგრამ ხადურმა, როგორც ფინანსთა მინისტრმა, თუ თვლის, რომ პრეზიდენტმა ფული არამიზნობრივად გახარჯა, საქმე პროკურატურას უნდა გადასცეს.

- ხადურმა ამის შესახებ უკვე განაცხადა...

- ერთი წელია სააკაშვილის უმ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბის“ „ობშიაკის“ სქემა



EXCLUSIVE

ახალი მთავარი პროკურორის საიმიჯო საქმე სააკაშვილის გაფლანგული ფონდები ცდება?!

იზნო ხარჯების შესახებ გვესმის და აქამდე რატომ არ გადასცა?

- პრეზიდენტის ფონდის გარდა სააკაშვილს საქართველოდან გატანილ მილიარდებსაც ედავებიან. თქვენი ინფორმაციით რამდენად შეიძლება ეს სიმართლეს შეესაბამებოდეს? ახლახან ამის შესახებ ლევან ვასაძემაც განაცხადა, რომ სააკაშვილმა საქართველოდან 7 მილიარდი წაიღო...

- ეს საკითხი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს. „ნაციონალურ მოძრაობას“ ე.წ. შავი „ობშიაკი“ ჰქონდა, რომელიც ხალხისგან გამოძალული ფულით ივსებოდა.

- გულისხმობთ პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს განვითარების ფონდებს, რომელიც საპროცესო შეთანხმებებში გადახდილი კოლოსალური თანხებით ივსებოდა?

- ეს კიდევ სულ სხვა ფონდებია, რომელიც ასევე ტერორით და გამოძალვით ივსებოდა. მასაც სჭირდება გამოძიება. ამ ფონდებიდან აბსოლუტურად გაუგებარი მიმართულებით გავიდა ნახევარ მილიარდამდე ფული. ეს სუფთა კრიმინალური გზით ივსებოდა და ასეთივე წესით იხარჯებოდა. „შავ ობშიაკში“ ვგულისხმობ იმ ანგარიშებს, რომელზეც თანხები პარტიული ინტერესების დაცვისთვის გროვდებოდა, ვთქვათ, საარჩევნოდ. ამ „ობშიაკში“ ფულის შეტანის ვალდებულება ჰქონდა მათ ყველა კარის ბიზნესმენს, ასევე ჩინოვნიკებს. ამ კრიმინალურ „ობშიაკს“ თავისი მაყურებელიც ჰყავდა, შემგროვებელი...

- ვის ეკავა ეს „პოსტი?“

- ჩემი ინფორმაციით ის დავით კეზერაშვილი იყო... ეს კრიმინალური სისტემა უნდა იქნას გამოძიებული და საზოგადოებისთვის მიწოდებული, არა ჩემი პოლიტიკური შეფასების დონეზე ნათქვამი, არამედ სუფთა სამართლებრივი ასპექტებით განხილული. რაც შეეხება 7 მილიონის გატანას, ეს ფული სააკაშვილის პირადი ფულია, თორემ დანამდვილებით ვიცი 7 მილიარდზე გაცილებით მეტი თანხა გავიდა საქართველოდან აგვისტოს ომამადე. მაშინ საქართველოს საბანკო სისტემა პრაქტიკულად დაიცალა.

- და ეს ფული საქართველოში აღარ დაბრუნებულა?

- ძალიან მცირე ნაწილი, ალბათ, 10-15 პროცენტი დაბრუნდა. მაშინ ამაზე ხმამაღლა საუბარი არ შეიძლებოდა. ეს რომ გაჟღერებულიყო, არსებობდა საფრთხე, რომ დარჩენილი თანხებიც გამოეტანათ კერძო პირებს მასობრივად. ამით ისევ ხალხი დაზარალდებოდა. თუმცა მაშინდელი ხელისუფლებიდან იყო დაპირება, რომ ფული დაბრუნდებოდა.

- გამოდის, რომ ისინი არ უარყოფდნენ ფულის გატანის ფაქტს...

- ისინი არ ამბობდნენ, ჩვენი ფული იყოო. ამბობდნენ, თანხები ბიზნესმენებმა გაიტანესო, მაგრამ რეალურად ის „ბიზნესმენები“ თვითონ იყვნენ. ჩვენგან მოითხოვდნენ კონსტრუქციულობას. ამიტომაც ჩემს განცხადებებში ვსაუბრობდი, რომ წითელ ხიდზე ჩინოვნიკები მაცივრებით და ტელევიზორებით გარბოდნენ-მეთქი. 2008 წლის შემდეგ ნაციონალები ფეხზე მყარად ვეღარ დადგნენ, ამიტომაც თანხის დიდი ნაწილი საზღვარგარეთ დარჩა. მისი 80 პროცენტი კი იყო პრეზიდენტის და მისი კრიმინალური ბანდის.

- არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ნაციონალური „ობშიაკების“ შესახებ. ერთნი ამტკიცებენ, რომ ამას ადეიშვილი აკონტროლებდა, სხვები თვლიან, რომ მთავარი „უსტაბაში“ კეზერაშვილი იყო... ბოლოს და ბოლოს, რასთან გვქონდა საქმე? მართლა არსებობდა ხელისუფლებაში ქურდულ კანონებზე დამყარებული ასეთი სქემა?

- ეს იყო ქურდული კანონებით შეკრებილი გუნდი... მათი ლექსიკაც სუფთა კრიმინალური იყო. ვიცი, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში ბიზნესის ტერორი კეზერაშვილს ჰქონდა ჩაბარებული - მათივე ტერმინებით რომ გითხრათ, „ახევები“, „დაკაჩავება“... „კეზერა“ იწყებდა „გატისკვას“. თუ ვინმე არ „გაიტისკავდა“ თავს, მერე უკვე სპეცრაზმი ჩაერეოდა ხოლმე.

- შეგიძლიათ გვითხრათ რა თანხებს ფლობს დღეს სააკაშვილი?

- რაიმე ციფრის დასახელება ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლობა იქნება, მაგრამ კონკრეტულად სააკაშვილი დღეს რამდენიმე მილიარდის მფლობელია.

- ამას წინათ თქვენ განაცხადეთ, რომ პროკურატურაში მასალები შეიტანეთ. ამ მასალების რამე ნაწილი შეეხება სააკაშვილის ნაშოვნ მილიარდებს?

- არა, ამაზე ინფორმაცია მაქვს, მაგრამ მასალები - არა. ომის შემდეგ საქართველოში შემოვიდა 4,5 მილიარდი ამერიკიდან და ევროპიდან იაფი კრედიტების სახით, რომელიც ომის შედეგების ლიკვიდაციას უნდა მოხმარებოდა. ნაწილობრივ მოხმარდა კიდეც, მაგრამ მაშინაც ძალიან დიდი ფული მოიპარეს.

- როდესაც მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი გამოთქვამს ეჭვს, რომ პრეზიდენტმა თანხები არამიზნობრივად გახარჯა, რას ელით მისი განცხადების შემდეგ?

- საუბრით იფარგლება ოპოზიცია, მაგრამ ხელისუფლებას დანაშაულის აღკვეთა, ან უკვე ჩადენილის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლია. ეს ხადურის პირდაპირი ვადებულებაა და სხვა არაფერი.

- თქვენი აზრით, არის რამე კავშირი ხადურის ამ განცხადებასა და მთავარ პროკურორად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებოს უფროსის მთავარ პროკურორად გადაყვანას შორის?

- სწორედ ამ კავშირის გამო ვიტოვებ იმედს, რომ ეს არ დარჩება მხოლოდ განცხადებად და ბოლოს და ბოლოს პასუხს აგებს ეს ბანდა დაწყებული ბელადით და დასრულებული რიგით წევრამდე.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„არანაირად არ არის საუბ

EXCLUSIVE

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

მასზე ამბობენ, რომ ვილნიუსის სამიტის შემდეგ მაია ფანჯიკიძეს ჩაანაცვლებს. თავად არც უარყოფს და არც ადასტურებს. ამბობს, რომ ვილნიუსამდე არაფერი შეიცვლება. ვილნიუსამდე კი ვანო მაჭავარიანი გიორგი მარგველაშვილის მრჩევლად დაინიშნება საგარეო საკითხებში.

ვანო მაჭავარიანი მიხეილ მაჭავარიანის ძმაა. სააკაშვილის მმართველობის დროს საქართველოს ელჩი იყო იაპონიაში. შემდეგ, 2009 წლიდან მათი გზები გაიყო. მიხეილ მაჭავარიანი სააკაშვილის გუნდში დარჩა, ვანო ივანიშვილთან გადავიდა.

როგორც ჩანს, ვანო მაჭავარიანი ახლა აქტიურ პოლიტიკაში შემოდის. „პრაიმტამთან“ ინტერვიუში მან ქართული პოლიტიკისა და პოლიტიკოსების თავისებურებებზე ისაუბრა. საუბარი კი საპრეზიდენტო მარათონით დაიწყო.

ვანო მაჭავარიანი, გიორგი მარგველაშვილის მრჩეველი საგარეო საკითხებში:

– ნინო ბურჯანაძემ სწორედ ის რადიკალური ფრთა მიიმხრო, რომელიც სისხლის გუბეებს ელოდებოდა, ასევე, ელოდებოდა ბიზნესის დაბრუნებებს. სხვათა შორის, ეს პროცესი ძალიან არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. სწორედ რომ ნინო ბურჯანაძის ასეთი აგრესიული კამპანიის შედეგად მოხდა ნაციონალების მხარდამჭერთა მობილიზაცია. „ქართულმა ოცნებამ“ კი შეაგროვა მხარდამჭერების სწორედ ის რაოდენობა, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის არ იყო, როგორც ეს პირველი ოქტომბრის არჩევნებზე მოხდა. ამ შემთხვევაში არსებობს საზოგადოებრივი თანხმობა, რომ „ოცნებას“ აქვს ის კრედიტი, ის პროგრამა, რომელიც ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს. რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი იყო, არის და იქნება მნიშვნელოვანი – ეს ყველაფერი არის დამახასიათებელი ნორმალური ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის. თუ ვინმეს ეს ესმის, ეცოდინება, რომ სწორედ ეს სიტუაციაა ქვეყნის განვითარების წინაპირობა. მთავრობა მაქსიმალურად მუშაობს იმაზეც, რომ საშუალო და მცირე ბიზნესი ჩართული იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში, ეს ასე არ იყო მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამიტომ საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის, ევროპული თუ კიდევ სხვა ბაზრები. ბიზნესის განვითარება იძლევა იმის საშუალებას, რომ სოციალური თუ ეკონომიკური ფონი გამოსწორდეს, უთანასწორობის კოეფიციენტი გასწორდეს და უფრო და უფრო მეტი ადამიანი ჩაერთოს პროცესში. ამას ჰქვია ეკონომიკის სტრუქტურული ცვლილება და ეს ძალიან რთული პროცესია. მით უფრო ათწლიანი მმართველობიდან ნელ-ნელა გადასვლა აბსოლუტურად განსხვავებულ მმართველობაზე. ამას ერთი წელი არ ეყოფა. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება,

ღარიბაშვილს მიეცეს საშუალება, საკუთარი გუნდი ჩამოაყალიბოს. აქედან გამომდინარე, ინაუგურაციისა და ვილნიუსის სამიტის შემდეგ ღარიბაშვილს მაინც მოუწევს, კრიტიკულად გადახედოს მინისტრთა კაბინეტს და მთავრობას, რამდენად კარგად ასრულებენ ისინი მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს. ეს, რა თქმა უნდა, ოპოზიციას აღიზიანებს. მათ არ უნდათ, ამ ეტაპზე რაიმე წარმატებები იყოს მიღწეული, რადგან კარს არის მომდგარი ადგილობრივი არჩევნები. ამ მხრივ, ნინო ბურჯანაძეც აქტიური იქნება, ის მუდმივად გაკაპასებული ტონით გამოვა ნებისმიერი წარმატების წინააღმდეგ და დააბრალებს და იტყვის, რომ ეს შედეგი არის ნაციონალებთან გარიგების გამო. აქედან გამომდინარე, ასე ფიქრი არის შიშველი, პრიმიტიული ხედვა. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ უფრო სხვა კუთხით დავანახო საზოგადოებას რეალობა. მიმაჩნია, რომ შეხედულება არ უნდა იყოს აწყობილი კონკრეტული პოლიტიკოსის გამონათქვამზე.

– საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში იყო საუბარი მთავარი პროკურორის შეცვლაზე, ახლა, როცა კბილაშვილმა თანამდებობა დატოვა, ელოდებით თუ არა, რომ თუნდაც სააკაშვილის მიმართ აღიძვრება სისხლის სამართლის საქმე და თქვენ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატის მრჩეველი,

„ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი ჯანმრთელობის და წარმატების საწინდარია

მასაჟის აღწერილობის ისტორია სათავეს ინდოეთიდან და ჩინეთიდან ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე მესამე ათასწლეულში იღებს. თუმცა მანამდე მასაჟი ცნობილი იყო როგორც სამკურნალო საშუალება და მას პირველყოფილი ადამიანები საკუთარი განვითარების ძალიან ადრეულ ეტაპზეც კი მიმართავდნენ. ძველ საბერძნეთში თვლიდნენ, რომ მასაჟი არა მხოლოდ მედიცინაში იყო საჭირო, არამედ ყოველდღიურობაში და სპორტში.

XXI საუკუნეში მასაჟი ჯანსაღი ცხოვრების წესთან ერთად, სილამაზის და განტვირთვის საუკეთესო საშუალებად იქცა. მსოფლიოში აღიარებული გერმანული, ნომერ პირველი კომპანიის „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფ სთაილ სტუდიო“ სოლარიუმის მომსახურებასთან ერთად მომხმარებელს ჯანსაღი ცხოვრებისა და მეტი კომფორტის შესაქმნელად, მასაჟის მომსახურებას სთავაზობს.

იმისთვის, რომ თქვენი გარუჯული კანი, სექსუალურად, მიმზიდველად და, რაც მთავარია, ჯანმრთელად გამოიყურებოდეს, „ერგოლაინში“ სხვადასხვა სახის მასაჟის მომსახურებით შეგიძლიათ ისარგებლოთ.

საერთო საკორექციო ლიმფო-დრენაჟი და ანტიცელულიტური, საკორექციო და ზურგის მასაჟით, სარგებლობა მომხმარებელს ახალ მისამართზე, აბაშიძის 22-ში შეეძლება.

აქ სასიამოვნო და კომფორტულ მომსახურებასთან ერთად გამოცდილი სპეციალისტები სხვადასხვა პროცედურებს, თაფლის მასაჟს, შიაცუს, ლიმნისა და ყავის პილინგს შემოგთავაზებენ.

შიაცუ ეს არის იაპონური მასაჟი, რომელიც მიმართულია შინაგანი ენერგიის დაბალანსებაზე. ჩინური მედიცინის თვალსაზრისით, თუ ენერგია ადამიანის სხეულში თანაბრად მოძრაობს, ადამიანი ჯანმრთელია. შიაცუს ძირითადი მეთოდი არის ზემოქმედება ე.წ. მერიდიანებზე, რაც ენერგიის გამავალი არხია.

გარდა ამისა, „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტში შეგიძლიათ ზოგად საკორექციო და სარელაქსაციო მასაჟით სარგებლობა.

ზოგად საკორექციო მასაჟზე ძირითადი აქცენტი ხდება პრობლემურ ზონებზე. სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის გაუმჯობესების ხარჯზე ხდება ამ ზონების კორექცია.

ზურგის მასაჟი არის საუკეთესო საშუალება ოსტეოხონდროზის პროფილაქტიკისთვის. ძირითადად იმ ადამიანებისთვის ვისაც დიდი ხანი უწევს სავარძელში ყოფნა.

რაც შეეხება საერთო საკორექციო მასაჟს, ის საკმაოდ დადებითად მოქმედებს ცენტრალურ ნერვიულ სისტემაზე, ადამიანს ეხმარება ყოველდღიური სტრესის მოხსნაში. აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, რაც დადებითად მოქმედებს კუნთების ტონუსზე. „ერგოლაინის“ მასაჟის კაბინეტი მძიმე და დაღლილი სამუშაო დღის შემდეგ განტვირთვის საუკეთესო საშუალებას გაძლევთ.

მომსახურება და ფასები

„ერგოლაინური“ გაზაფხულის სიახლეებით მომხმარებელს სარგებლობა ხელმისაწვდომ ფასებში შეუძლია. ამიტომაც მასაჟის მომსახურების მიღება სულ რაღაც 40 ლარშია შესაძლებელი.

იყავით ჯანმრთელი, „ერგოლაინური“ მასაჟი თქვენი წარმატების და ჯანმრთელობის საწინდარია.

სოლარიუმ ერგოლაინ ლაიფსტაილის სპეციალური შემოთავაზება!!

ეფექტური გასახდომი პაკეტი სულ რაღაც 350 ლარად!
· 10 მასაჟი –7 ლიმფოდრენაჟი, 3 საკორექციო. მასაჟის ხანგრძლივობა 1 საათი !
· შოკოლადის-5 შეფუთვა +საკორექციო მასაჟის ხანგრძლივობა 1:30წთ!
· 10 სეანსი კოლაგენარიუმში, რაც წონის დაკლებას უფრო ეფექტურს ხდის!
ამის გარდა კოლაგენარიუმი გაგიახალგაზრდავებთ კანს და მას უფრო ელასტიურს გახდის.

ი.აბაშიძის ქ.22 ტელ: 2 25 33 03 / 2 22 04 14

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არი ევრაზიულ კავშირზე“

„მე როგორც ვიცი, სამართლებრივი პროცესი დაწყებულია, თუმცა არანაირი სერიოზული ბრალდება სააკაშვილის მიმართ არ არსებობს“

„ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველმა ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ შესთავაზა მთავარ ოპოზიციურ ძალად

როგორ შეაფასებთ ყოფილი პრეზიდენტის და ზოგადად, ყოფილი სახელისუფლებო გუნდის მიმართ სამართლებრივ ქმედებებს? როგორ იმოქმედებს ეს ქვეყნის იმიჯზე, ან როგორი იქნება თქვენი რჩევა პრეზიდენტის მიმართ ამ საკითხზე?

– ჩემი როლი ცალსახად შეზღუდულია საგარეო-ეკონომიკურ-პოლიტიკურ თუ უსაფრთხოების თემებზე. გიორგი მარგველაშვილი ნათელი ლიდერია „ქართულ ოცნებაში“, მას სჭირდება გუნდი, რომელიც იქნება დაკომპლექტებული პროფესიონალებისა და სწორი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანებით, რომლებიც საკუთარი შეხედულებებით ახლოს იქნებიან „ოცნების“ ლიდერებთან. ამ მხრივ, რა თქმა უნდა, იქნება სუბიექტური მომენტები, მაგრამ ჩვენ უნდა შევხედოთ ობიექტურად, რამდენად სწორ ან საერთოდ რა შედეგებს გამოიღებს ეს ქვეყნისთვის. სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოში არავის გაუუქმებია. რა თქმა უნდა, აქ იქნება თემები, რომლის მიმართაც ძალიან ბევრი კითხვა დაგროვდა. აქედან გამომდინარე, ეს იქნება სუფთა სამართლებრივი განსჯის საკითხი. შესაბამისად, ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი კოლეგები ყოველთვის მოგვიწოდებენ იმისკენ, რომ პროცესი უნდა წარიმართოს სამართლებრივად და ეს არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ დასმენებისა და კონკრეტული ადამიანების ჩვენებებს. ყველაფერი კონკრეტული ფაქტებით უნდა იყოს გამყარებული. თუ ფაქტები იარსებებს, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ჩვენი პარტნიორი ქვეყნის ლიდერი ამას გაგებით მოეკიდება. მაგრამ ამ ეტაპზე, მე როგორც ვიცი, სამართლებრივი პროცესი დაწყებულია, თუმცა არანაირი სერიოზული ბრალდება სააკაშვილის მიმართ არ არსებობს. შემიძლია ვთქვა, რომ ნებისმიერი ჩვენი პარტნიორი, ბუნებრივია, მეტ დასაბუთებას, მეტ არგუმენტაციასა და მეტ პოლიტიკურ შეფასებას მოითხოვს.

– ფიქრობთ, რომ ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აქვთ?

– მე ამ რეალობას პერსპექტივაში ვერ ვხედავ, რადგან გუნდის სათავეში დგას მიხეილ სააკაშვილი. ამ ეტაპზე, საზოგადოების განწყობის თვალსაზრისით, მიმაჩნია, რომ საზოგადოებამ ნაციონალების ათწლიანი მმართველობა საკმარისად ჩათვალა. ძალიან რთული წარმოსადგენია, რომ პერსპექტივაში დავინახოთ ასეთი რადიკალური შემობრუნება. გარდა ამისა, არჩევნებზე ვნახეთ, რომ დავით ბაქრაძე უფრო, როგორც ოპოზიციური ლიდერი იქნა მოწონებული, ვიდრე ზოგადად ქვეყნის მმართველი.

– აღიარებთ მათ მთავარ ოპოზიციურ ძალად?

– ეს აღიარა არჩევნებმა, გამოჩნდა, რომ „ქართულ ოცნებას“ ამომრჩეველმა ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ შესთავაზა მთავარ ოპოზიციურ ძალად. ბუნებრივია, ნაციონალების მხრიდან გამოყენებული იყო ის შესაძლებლობები, რომელიც მათ ჯერ კიდევ ჰქონდათ დარჩენილი, იგივე გუბერნატორების სახით, ასევე ბურჯანაძის როლმა შეასრულა თავისი წვლილი...

– თქვენ ამბობთ, რომ ბურჯანაძემ ნაციონალების სასარგებლოდ იმოქმედა?

– რა თქმა უნდა. ბურჯანაძის აგრესიულმა განცხადებებმა ნაციონალების აქტივისტების, მხარდამჭერების მობილიზაცია გამოიწვია.

– ეს თავისდაუნებური საქციელი იყო ბურჯანაძის მხრიდან?

– კი, თავისდაუნებური. ნაციონალებს ახასიათებთ დისციპლინა, ამ მხრივ, თვითგადარჩენის ინსტინქტი ამოქმედდა. მათ გუნდში გამოცდილი ადამიანები არიან შეკრებილები, მათ უნდათ, რომ ქვეყანაში პერსპექტივა ჰქონდეთ. ცოტა უფრო გრძელვადიან პერსპექტივაზე დაფიქრდებიან და ბუნებრივია, ამ ჭიდილში შემოდის ნინო ბურჯანაძე, რომელიც არის „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი. ბუნებრივია, ბურჯანაძეც ცდილობს, თავი დაიმკვიდროს, როგორც მესამე პოლიტიკურმა ძალამ. ის ცდილობს, მაქსიმალურად გადაიბიროს ის რადიკალური ამომრჩეველი, რომელიც მეტი რადიკალიზმის მომხრეა. აქედან გამომდინარე, სწორედ ასეა გადალაგებული რეალობა. შეიძლება ვიღაცას არ მოსწონს ეს რეალობა, ასეთები ამბობდნენ კიდეც არჩევნებამდე, თუ მეორე ტური არ იქნებოდა და პირველივე ტურში მეორე ადგილს არ დაიკავებდნენ, აუცილებლად გამოვიდოდა ხალხი ქუჩაში. სად არის ეს ხალხი? საზოგადოებამ მიიღო ეს რეალობა და თუ ვინმეს სურდა სიტუაციის არევა, აღმოჩნდა, რომ არც ამის საშუალება არ არის. ამის საშუალება რომ ჰქონოდა ბურჯანაძეს, აუცილებლად აურევდა, მაგრამ, როგორც კი დაინახა ის რესურსი, რაც არსებობდა, თქვა: მარტო ხომ არ გამოვალ ქუჩაშიო... ამიტომაც გადაიფიქრა.

– თქვენ, როგორც საგარეო მიმართულების მრჩეველი, მომავალ პრეზიდენტს ურჩევთ, რომ აბაშიძე-კარასინის ფორმატი შენარჩუნდეს?

– აბაშიძე-კარასინის ფორმატი საკმაოდ ეფექტურია იმ თემებთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ხალხთა შორის ურთიერთობას. „ნაციონალურ მოძრაობას“ ჰქონდა შემდეგი პოლიტიკა: ან ყველაფერი, ან არაფერი. მე ამას ყოველთვის კრიტიკულად ვუყურებდი და ეს ძალიან ცუდად შემოუტრიალდა ქვეყანას 2008 წელს. რუსეთი არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ჩვენ არ ვიცნობთ. ჩვენ ვიცით, რა გააკეთა მან და ეს თავადაც ძალიან კარგად იცის. აბაშიძე-კარასინის ფორმატი ამ თვალსაზრისით არის პირველი ნაბიჯი ურთიერთობის ნორმალიზაციის. ეს ეფექტურია, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ, აუცილებლად უნდა გადაიზარდოს სხვა ფორმატში. რაღაც პერიოდის შემდეგ ახლანდელი ურთიერთობები უკვე რუსეთისთვისაც აღარ იქნება მომგებიანი, რადგან ის რეალურად გამუდმებით აწყდება პრობლემებს დასავლელ პარტნიორებთან. რუსეთს არანაირად არ სჭირდება, რომ იყოს მუდმივი ქილიკისა და კრიტიკის საგანი საერთაშორისო ფორმატში. მით უფრო საქართველოს ევროპასთან დაახლოების გზაზე ეს თემები ვერ მიიჩქმალება. თუ შეთანხმება მოხდება იმ პრობლემებზე, რომლებზეც ვერ ვთანხმდებით, ესეც პროგრესი იქნება. იმიტომ რომ არსებობს წითელი ხაზი, რომელსაც ამ ეტაპზე მართლაც ვერ გადავალთ. რადგან რუსეთი არ არის მზად ამ თემებზე სასაუბროდ.

– დაახლოებით მაინც არსებობს გათვლა, რა პერიოდში გადავალთ მოლაპარაკებების ახალ ეტაპზე?

– ჩინელებს აქვთ ასეთი გამოთქმა: მე გეტყვი ზეგ, რა იქნება ხვალ. აქედან გამომდინარე, მე შემიძლია გითხრათ, რომ 17 ნოემბრის შემდეგ მარგველაშვილი ოფიციალურად შეუდგება მუშაობას და ეს იქნება თემები, რომლებზეც ჩვენ ვიმუშავებთ. ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ ამ საკითხებს პარტნიორებთან ერთად. ძალიან ბევრი ქვეყანა მზად არის, საკაშვილის წასვლის შემდეგ საქართველოს მეტად დაუდგეს გვერდზე.

– ევროპულ ქვეყნებს გულისხმობთ?

– ევროპისა და აზიის ქვეყნებსაც ვგულისხმობ, ისინი მზად არიან იმ თვალსაზრისით დაუდგნენ გვერდით საქართველოს, რომ მას თავისუფალი არჩევანის საშუალება ჰქონდეს, რომელ პოლიტიკურ სივრცეში იყოს გაწევრიანებული. ამ თვალსაზრისით, როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე ყველაფერი არ ითქმება, მაგრამ ჩვენ შევეცდებით, ყველა რესურსი გამოვიყენოთ.

– თავისუფალ არჩევანში ევრაზიულ კავშირს ხომ არ გულისხმობთ?

– არანაირად არ არის საუბარი ევრაზიულ კავშირზე. აქ ერთი ფაქტორია, რომ ევრაზიულ კავშირში გაწევრიანებულ ქვეყნებთანაც ჩვენ ორმხრივი ურთიერთობები გვაქვს, რომელიც სასარგებლოა ორივე მხარისთვის. ჩვენ ამ ორმხრივ ურთიერთობებს კიდევ უფრო გავაღრმავებთ და ზუსტად მათთან ერთად შევძლებთ ბევრი თემის დაძვრას, როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს. ისინი ჩვენი მეგობრები არიან და ამ მეგობრობის არგამოყენება არ შეიძლება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„თამაზაშვილი საკადრო საკითხებში ერევაო. მეცინება, ამას რომ ამბობენ... მე ვინ ვარ, რომ საკადრო საკითხები გადავწყვიტო?!“

„არავითარ შემთხვევაში მე არაფერში არ ჩავერევი... შეიძლება შემეკითხონ და ჩემი აზრი გამოვთქვა, მაგრამ ჩემი სიტყვა არ არის გადამწყვეტი, დამიჯერეთ... მე არ ვაკადრებ არც ჩემს თავს და არც ირაკლის, რომ ვინმეზე ვუთხრა, სადმე დანიშნე-თქო... ეს გამორიცხულია...“

„საქართველოში მერაბიშვილის დრო აღარ დაბრუნდება. დასრულდა წამების ხანა, ახლა სხვა რეალობაა“

my View
თამარ გორთამაშვილი

გენერალ თამაზ თამაზაშვილს ცნობადობა არც მანამდე აკლდა, სანამ მისი უფროსი ქალიშვილი – პირველი ლედი, თავად კი ჯერ შინაგან საქმეთა, შემდეგ უკვე პრემიერ-მინისტრის სიმამრი გახდებოდა. როგორც ამბობს, სიკვდილ-სიცოცხლის გზაზე გაიარა, როცა სააკაშვილის ხელისუფლებამ ციხეში გამოკეტა. მისი სახელი დღესაც აქტუალურია, ნაციონალები მას კლანურ მმართველობაში ადანაშაულებენ. - “მე რას ვმართავ, ჩემთვის ვარ სახლში, როცა სტუმარი მოდის, ვმასპინძლობ და თავისუფალ დროს ვვარჯიშობ, ეს არის დღეს ჩემი ცხოვრება...” - ამბობს პრემიერის სიმამრი “პრაიმტაიმთან” ინტერვიუში. გენერალ თამაზ თამაზაშვილს ჩვენ დედოფლისწყაროში ვესტუმრეთ.

თამაზ თამაზაშვილი: „ქართული ოცნების“ ყველაზე დიდი მონაპოვარია ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ფარ-ხმალი დაყარა. მართალია, მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ისინი, ვინც დავით ბაქრაძეს ხმა მისცა, არ არიან ნამდვილი მამულიშვილები. როგორ შეიძლება, იმ ფონზე, რაც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა... მხოლოდ ცოცხებზე არ მაქვს საუბარი... კლავდნენ, აწამებდნენ, ცოლებს უუპატიურებდნენ, ნარკოტიკებს უყრიდნენ, რაღას არ უკეთებდნენ ადამიანებს... და როგორ შეიძლებოდა, რომ მათთვის ვინმეს ხმა მიეცა. რა მენტალობის ადამიანები გააკეთებდნენ მათზე არჩევანს, ხომ წარმოგიდგენიათ?! – პირველი მონაპოვარი სწორედ ესაა, რომ დღეს ასეთი ადამიანები უმცირესობაში არიან.

მეორე მონაპოვარი კი ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილმა თანმიმდევრული მოქმედება დაამკვიდრა პოლიტიკაში. „მოჩქარეს მოუგვიანდესო“, ნათქვამია... გახსოვთ, ალბათ, ის უპასუხისმგებლო განცხადებები, რაც კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებით კეთდებოდა: მოვდივართ ორი ტანკით და 5000 კაცითო. პირდაპირ ტელევიზიით აცხადებდნენ ამას, შემდეგ კი უსაფრდებოდნენ და ხოცავდნენ. ივანიშვილი ამ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს, თანმიმდევრულად, გეგმაზომიერად მიუდგა, რაც, ვფიქრობ, გამართლებულია, სხვანაირად არ შეიძლება მოიქცე. ეს არის უჭკვიანესი კაცი, რომელმაც ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა მოაგვაროს ესა თუ ის საკითხი, რაც არ უნდა პრობლემური იყოს ის. ესენი კიდევ გამოდიან და მას აკრიტიკებენ, არადა უნდა ილოცონ ამ კაცზე. ეს არის ძალიან გულწრფელი ადამიანი, ყველას ყველაფერს პირდაპირ ეუბნება.

კოჰაბიტაცია არ მოსწონდა გარკვეულ ნაწილს, ესეც მესმის, იმიტომ რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ მთელი საქართველო ჰყავდა ნაწამები და გაუბედურებული... ნაციონალებს შინაგანი ინტელექტი არ გააჩნიათ, შეიძლება ადამიანმა იცოდეს 7 ენა და პროფესორიც იყოს, მაგრამ არ ჰქონდეს შინაგანი ინტელექტი, ვერ არჩევდეს კარგსა და ცუდს – ეს ღვთის მადლია, რომელიც მათ არ აქვთ... სააკაშვილი გამოდის და კიდევ ჩემზე ლაპარაკობს: „თამაზაშვილისნაირებმა არ უნდა მართონო...“ – რატომ არ უნდა მართონ?! ჯერ ერთი, მე რას ვმართავ, ჩემთვის ვარ სახლში, როცა სტუმარი მოდის, ვმასპინძლობ და თავისუფალ დროს ვვარჯიშობ, ეს არის დღეს ჩემი ცხოვრება... თამაზაშვილი საკადრო საკითხებში ერევაო. მეცინება, ამას რომ ამბობენ... მე ვინ ვარ, რომ საკადრო საკითხები გადავწყვიტო?! არავითარ შემთხვევაში მე არაფერში არ ჩავერევი... შეიძლება შემეკითხონ და ჩემი აზრი გამოვთქვა, მაგრამ ჩემი სიტყვა არ არის გადამწყვეტი, დამიჯერეთ... მე არ ვაკადრებ არც ჩემს თავს და არც ირაკლის, რომ ვინმეზე ვუთხრა, სადმე დანიშნე-თქო... ეს გამორიცხულია... ამას იგონებენ ჩიორასნაირი ადამიანები – თაქთაქიშვილები და ნადირაშვილები... საუბედუროდ, ჟურნალისტებიც ახდენენ ამის ტირაჟირებას... „მაესტროზე“, გოგელია რომ უმეორებს რესპონდენტებს, თამაზაშვილზე ამბობენ, კადრებში ერევაო, იმას რატომ არ აკონკრეტებს ამ კითხვაში, ვინ ამბობს ამას ჩემზე, ან იმას რატომ არ იხსენებს, როგორ აწამებდნენ თამაზაშვილს და მის ოჯახს, ათას ბინძურ კლიპს რომ იღებდნენ ჩემზე და მერე უშვებდნენ სოციალურ ქსელებში... ამას ხომ ისინი აკეთებდნენ, ვინც დღეს ჩემზე ამბობს, საკადრო საკითხებში ერევაო. ესეც უნდა დააკონკრეტოს ჟურნალისტმა, როცა ჩემზე ეკითხება ვინმეს... აქ მთივლიშვილია, კიდევ ერთი ჟურნალისტი, არც ვიცნობ და არც ის ვიცი, რატომ გადაგვეკიდა ასე... ფაქტია, რომ რაღაც ხდება! ეტყობა, წარმატება არავის არ უხარია, არადა ის, რაც მოხდა, ყველა ქართველს უნდა უხაროდეს, იმიტომ რომ ბიძინა ივანიშვილი დადის დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის გზით და აზროვნებით... არ შეიძლება, ამ კაცმა ცუდი გააკეთოს.

„მე, არანაირ თანამდებობაზე მოსვლას არ ვაპირებ... მინდა, რომ თავი დამანებონ ამ ნაციონალურმა ნარჩენებმა, მაგათ ბოდიში აქვთ მოსახდელი ჩემთან, იმ ცილისწამებისთვის, რასაც იმ შემზარავ კლიპებში ატრიალებდნენ...“

– რატომ ისმის ასე ხშირად თქვენი კრიტიკა იგივე კლანურ მმართველობასა და ნეპოტიზმზე?

– მინდა, რომ თავი დაგვანებონ, ამ უსაფუძვლო და ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებებით. ეყოთ ის, რაც ჩვენს ოჯახებს გაუკეთეს... ამდენი ხალხი დარჩა მერაბიშვილ-ახალაიების, ჩვენ მათ ვერ ვენდობოდით და ამის შემდეგ, ბუნებრივია და რა არის გასაკვირი იმაში, რომ სანდო ადამიანს ჩააბარო პასუხისმგებლობა?! ... ერთი სანდო და პროფესიონალი ადამიანი რომ დაინიშნოს, ეს დანაშაულია? მაგრამ ესენი ხმაურს ტეხენ, თუმცა ძირითადად დაბალი ინტელექტის ადამიანებზე მუშაობენ და ეს ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენს აღებულ კურსზე... საქართველოში მერაბიშვილის დრო აღარ დაბრუნდება. დასრულდა წამების ხანა, ახლა სხვა რეალობაა და ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები ამას კარგად ხვდებიან... ჩემდა სამწუხაროდ, შინაგანი ინტელექტის დეფიციტი მაინც არის ხალხში, იმ ადამიანებში, ვინც ბაქრაძეს მისცეს ხმა – ხბოს თვალებით რომ იყურება, არადა ეს არის ყველაზე საშიში ადამიანი, უბრალოდ, ძალიან მოზომილია. სააკაშვილი არის სულელი, ბოროტი სული და ბოროტი გენი, მაგრამ უარესია ბაქრაძე, იმიტომ რომ სააკაშვილი თავის თავს ამჟღავნებს, ბაქრაძე კი – არა, ის თავისი მომღიმარი სახით იმ დაბალი ინტელექტის ხალხზე მუშაობს, რომლებმაც საბოლოოდ მას მისცეს კიდეც ხმა.

– თქვენ კიდევ ხედავთ საფრთხეს „ნაციონალური მოძრაობიდან“?

– როგორც ბაბუაჩემი მიტო ვერ ადგება საფლავიდან, ისე ეგენი ვერ დაბრუნდებიან ხელისუფლებაში. შეიძლება სხვა პოლიტიკური ძალა მოვიდეს, მაგრამ ნაციონალები ვეღარ მოვლენ... ეს ვიცი ზუსტად! ამათ იმდენი მტერი გაიჩინეს, მარტო ისინი მოუვლიან მაგათ... როგორ გაჩერდებიან, როცა ცოლი გაუბახეს, შვილს ჩაუდეს ნარკოტიკი, აწამეს და გააუბედურეს ოჯახები... მათი პატიება ხომ გამორიცხულია?! მინდა, კარგად დაიმახსოვრონ, რომ ქართველებმა, ფიზიკურთან ერთად, ინტელექტუალური სისხლის აღებაც იციან – მათ სწორედ ინტელექტუალურად გაანადგურებენ... სჯობს, გაჩუმდნენ, მაგრამ მათ არ აქვთ ღვთის მადლი და არ იციან, რა შეიძლება მოჰყვეს მათ გაუთავებელ ყაყანს...

– ხშირად ისმის საყვედური, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ჩქარი ტემპით არ მიდის... ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში, ამ მხრივ, რამე შეიცვლება?

– სამართლიანობა აუცილებლად აღდგება, ამაში დარწმუნებული ვარ, მაგრამ ქართული ანდაზა გაიხსენეთ – მოჩქარეს მოუგვიანდესო... ყველაფერი თანმიმდევრული ნაბიჯებით მოხდება... ჩვენ ხომ არ ვიცით, კიდევ რა გარიგებები არსებობდა ნაციონალებსა და დასავლურ ინსტიტუტებს შორის, ყველაფრის თქმა არ შეიძლება. თავად ბიძინა ივანიშვილმაც კი განაცხადა, რომ ევროპარლამენტი წყვეტდა ჩვენს ქვეყანასთან ურთიერთობას იმის გამო, რომ ამბობდნენ, დემოკრატებს იჭერენო. ამიტომ უნდა მიხვდეს ხალხი, რომ ერთბაშად ეს ვერ მოხდება. ბიძინა ივანიშვილი არის ძალიან გონიერი კაცი... ჯერ მარტო მისი ბოლო ნაბიჯია ძალიან ღირსეული და გონივრული – ვის დაუტოვებია თანამდებობა წარმატების პიკში?! – მეც კი მქონდა თანამდებობა და ალალად გეტყვით, სულ ვცდილობდი, შემენარჩუნებინა... ამ კაცმა კი მიიღო გადაწყვეტილება და დატოვა პოსტი.

– თქვენ ხომ არ აპირებთ, დაბრუნდეთ თანამდებობაზე?

– არა! ჩემი თანამდებობა ახლა ჩემი ოჯახია... ჩემი მოვალეობაა სტუმარი მივიღო და მივყვე ცხოვრების ჯანსაღ წესს, ვივარჯიშო, რომ ვიყო ფორმაში...

– პრემიერის ნათესაობა გზღუდავთ ?

– არა, მე თვითონ არ მინდა, იმიტომ რომ ვხედავ, ეს ახალგაზრდები ძალიან ჭკვიანები და ენერგიულები არიან, ვიცი, რომ საქმეს თავს კარგად გაართმევენ... რაც შემეხება მე, არანაირ თანამდებობაზე მოსვლას არ ვაპირებ... მინდა, რომ თავი დამანებონ ამ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ისა და პირველი ლედის ოჯახიდან

„პირდაპირ შემოვიდა და მითხრა, ნუნუკას თაობაზე მოვედი თქვენთანო. რას ჰქვია, ნუნუკას თაობაზე-მეთქი და მითხრა, მიყვარსო... როგორც კი ნუნუკას შევხედე, მივხვდი, რომ მასაც უყვარდა, ისეთი თვალები ჰქონდა... შევიპატიჟე და დავლოცე...“

ნაციონალურმა ნარჩენებმა, მაგათ ბოდიში აქვთ მოსახდელი ჩემთან, იმ ცილისწამებისთვის, რასაც იმ შემზარავ კლიპებში ატრიალებდნენ... სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ზოდელავამ ხომ გამოაცხადეს, თამაზაშვილმა მოაწყო ცოცხების სკანდალიო, თითქოს მე გადმოვიბირე ციხის თანამშრომლები და მე გავაკეთებინე ცოცხები, ამ დროს ციხეში ვიყავი და გამომძიებელიც კი არ შემოსულა ჩემთან. რატომ არ შემოვიდა? – იმიტომ რომ ცილი დამწამეს, ტყუილად დამაბრალეს ყველაფერი და ამას რაღა გამოძიება სჭირდება?! – ისედაც ფაქტია... ამიტომ მე ყველა მათგანს ვუჩივლებ, განცხადება უკვე შეტანილიც მაქვს პროკურატურაში... მე ამას აუცილებლად გავაკეთებ.

– რა შეიცვლება ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერებით? რა პროგნოზის გაკეთება შეგიძლიათ, როგორი პრემიერი იქნება თქვენი სიძე?

– ეს არის უდიდესი ტვირთი. ძალიან ბევრს გაუხარდა ეს ამბავი, მთელ კახეთს, მთელ ქიზიყს უხარია ირაკლის გაპრემიერება. რა თქმა უნდა, ჩვენც ძალიან გაგვიხარდა, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან რთული იქნება მისი მოღვაწეობა. თუმცა მჯერა, რომ ის ქართული სული, რომელიც მასშია, ამას შეაძლებინებს. ირაკლი ძალიან ეკლესიურია, სტიქაროსანიც იყო... ძალიან მართალი კაცია, ტყუილად არავის დაჩაგრავს, სხვის უბედურებაზე თავის ბედნიერებას არასოდეს ააგებს, სამშობლო უყვარს, ქართველი ხალხი უყვარს და მგონია, რომ თავს მოაბამს ამ ქვეყნის მართვას... ძალიან კარგი ადამიანია... მე მაქვს ირაკლის იმედი...

– როგორი პირველი ლედი იქნება თქვენი ქალიშვილი? რა თვისებები აქვს მას ისეთი, რომელიც გამოარჩევს. ივანიშვილმა ისაუბრა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადმობირების მიზნით, მაშინ როდესაც თქვენ ციხეში იყავით, ნუნუკას ემუქრებოდნენ...

– ეს ძალიან მძიმე პერიოდი იყო ჩემი ოჯახისთვის... სააკაშვილის, მერაბიშვილისა და ადეიშვილის დავალებით ნუნუკას ურეკავდნენ კუდ-ის ან სოდ-ის ვიღაც თანამშრომლები და ემუქრებოდნენ, რომ ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინათ, მაგრამ ჩემს შვილზე ასე ზემოქმედებას ვერ მოახდენდნენ, იმიტომ რომ ბავშვობიდანვე გაზრდილი მყავს ეკლესიურად, ტრადიციულად... მან ძალიან კარგად იცის, რომ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი...“ ნუნუკა არ შეშინდებოდა... მეც ახლა გავიგე, რა უთქვამს მას ბიძინასთვის, – თუ საჭიროა, მეც თქვენ გვერდით დავდგებიო... ჩემთვის მისი ეს სიტყვები არ იყო ცნობილი, არ უთქვამს... ნუნუკამ იცის, მე როგორი ვარ. მე ვერ გამტეხდნენ, მე ნაზრახ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია... მე უკვე წაკითხული მქონდა ზეციურ საქართველოში ასასვლელი ლოცვები და თუ გამომძიებელი გამიყვანდა, იქ ძალიან ცუდი რამ მოხდებოდა, მაგრამ, ღვთის წყალობით, როცა ციხის კადრების მეორე ნაწილი დაიდო, ყველაფერი გაირკვა...

– როგორი ურთიერთობა გაქვთ ირაკლი ღარიბაშვილის მშობლებთან?

– თვითონ სიტყვა მძახალი ნიშნავს დამძახებელს, ჩემთვის ისინი ძალიან ძვირფასი ადამიანები არიან. ჩვენ ერთნაირი ინტელექტი გვაქვს, ამიტომაც კარგად ვეწყობით. ერთად გავიარეთ ცხოვრების გზა, ორივეს ტრადიციული ოჯახები გვაქვს და ამიტომაც ყველაფერში კარგად ვუგებთ ერთმანეთს. ძალიან გახსნილი ურთიერთობა გვაქვს, თუ რაღაც არ მოგვეწონა ერთმანეთის, პირდაპირ ვეუბნებით...

– შვილების ცხოვრებაში ერევით?

– რატომ არ უნდა ჩავერიოთ?

– როგორ გაიგეთ, რომ თქვენი შვილი ირაკლიზე იყო შეყვარებული?

– ჩემს მეუღლეს, მაიას უთხრა ნუნუკამ ამის შესახებ და მეუღლემ შემდეგ მე მითხრა, რაშიც იყო საქმე. მეც მეუბნებოდა, კარგი ბიჭიაო. მე სპორტსმენი ბიჭები მიყვარს და ვეუბნებოდი, შეხედე ვინ არის, ვინმე ისეთი არ მომიყვანო, რომ არ მომეწონოს-მეთქი...

– როგორ გთხოვათ ქალიშვილის ხელი ირაკლიმ?

– პირდაპირ შემოვიდა და მითხრა, ნუნუკას თაობაზე მოვედი თქვენთანო. რას ჰქვია, ნუნუკას თაობაზე-მეთქი და მითხრა, მიყვარსო... ვუთხარი, შემოდი, თუ თანახმაა, კი ბატონო-მეთქი. სიყვარულს როგორ დავუშლიდი ადამიანებს. ნუნუკა რომ ჩამოდიოდა კიბეზე, ძალიან მორიდებულია და ვფიქრობდი, იუარებდა, მაგრამ, როგორც კი შევხედე, მივხვდი, რომ მასაც უყვარდა, ისეთი თვალები ჰქონდა... მეც აღარ დავძაბე ბავშვი, შევიპატიჟე და დავლოცე.

– როგორი სიძეა ირაკლი ღარიბაშვილი?

– ძალიან კარგი ბიჭია, წყნარი, გონიერი, ძალიან უყვარს ნუნუკა და შვილები. ოჯახის კაცია...

– რჩევებს იღებს თქვენგან?

– იცით, როგორი ბიჭია? – რაც კარგია, ყველაფერს იწოვს და ცუდს არ იკარებს. შეიძლება მე რაღაც ვთქვა, რაც მის გონებაში არ ჯდება და იმას არ მიიკარებს, რაც კარგია – მიიღებს.

– ახლა რა რჩევას მისცემდით?

– რჩევას ირაკლის ვეღარ მივცემ, იმიტომ რომ მან ყველა თავისი დადებითი თვისება გამოავლინა. რაც მთავარია, მან იცის, რომ სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება არ უნდა ააგოს, მან იცის ურთიერთობა ადამიანებთან, სამშობლოს გულისთვის ყველაფერს გააკეთებს. ჩემი რჩევა მხოლოდ ის იქნება, რაც შეიძლება მეტი იმუშაოს, რომ ამ ქვეყანას ეშველოს. დანარჩენი ჩემს გულში მაქვს შენახული, რას ვურჩევ...

– რა უფრო დიდი პასუხისმგებლობაა თქვენთვის, პრემიერის სიმამრობა, თუ პირველი ლედის მამობა?

– ორივე ძალიან საპასუხისმგებლოა. შებოჭილი ხარ თავისდაუნებურად, იმიტომ რომ დიდი ყურადღება მოდის შენკენ. ამავდროულად სიამაყის გრძნობაც არის. ორივე სასიამოვნოა, რა თქმა უნდა, პირველი ლედის მამობაც და პრემიერის სიმამრობაც...

– როგორია ნუნუკა?

– ძალიან ტრადიციული გოგოა, მეომარია... მე ხომ სულ ვიბრძოდი და რასაც უყურებდა, ისეთი გაიზარდა ნუნუკა – მეომარი, ძალიან ძლიერი სულის გოგო...

როდესაც თამაზ თამაზაშვილს ოჯახში ვესტუმრეთ, მისი მძახალიც იქ იყო. ამიტომ გენერალ სიმამრთან საუბრის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილის მამას, ტარიელ ღარიბაშვილსაც გავესაუბრეთ. როგორც ჩანს, პრემიერის მამას არ უყვარს ბევრი ლაპარაკი, მით უმეტეს, როცა საქმე მისი შვილის დახასიათებას ეხება. რა პასუხისმგებლობაა, იყო პრემიერის მამა? ამ კითხვაზე ტარიელ ღარიბაშვილი მოკლედ პასუხობს: „ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, იყო პრემიერის მამა... მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრში ხარ... ყველაფერზე კარგად დაფიქრება გმართებს... რთულია ამხელა ყურადღების ცენტში ყოფნა...“



EXCLUSIVE

ტარიელ ღარიბაშვილი:

„ძალიან რთული და საპასუხისმგებლოა, იყო პრემიერის მამა...“

ქვემო მაჩხაანის წმინდა სამების სახელობის ლედათა მონასტერი

მამა ნიკოლოზი

მამა ნიკოლოზი: „2003 წელს სწორედ აქ მოხდა ირაკლის და ნუნუკას დაწინდვა. მინდა ორივეს ვუსურვო, რომ წარმატებული იყოს მათი მოღვაწეობა. ქართველი ხალხი მართლაც ღირსია, ჰყავდეს ღირსეული პრემიერი და პირველი ლედი. ვფიქრობ, ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც შეძლებენ გაამართლონ ჩვენი იმედები. მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს ორივე ოჯახთან და როცა მათი დაქორწინება გადაწყდა, ძალიან დიდი სიხარულით შევხვდი ამ ამბავს, იმიტომ რომ მართლაც ვფიქრობდი, ირაკლი, თავისი განათლებით, თავისი აზროვნებით, ადამიანობით, ღვთის მადლითა და წყალობით, წარმატებული ადამიანი იქნებოდა, თუმცა, თუ ამდენს მიაღწევდა და პრემიერი გახდებოდა, ეს მაშინ ვერ წარმომედგინა“.

თამაზ თამაზაშვილის პაპის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, ვასო თამაზაშვილის ძველი სახლი ქვემო მაჩხაანში, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილი სამი თვე იმალებოდა

ვასო თამაზაშვილი და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დაპირისპირება

განმარტება: ipn-ის ეს ფოტოები „პრაიმტაიმის“ წინა ნომერში ტექნიკური მიზეზით ლოგოს გარეშე გავიდა

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ლევან ვასაძე: „გიორგი მარგველაშვილთან მონარქიის აღდგენაზე არ მისაუბრია“

საქართველოსთვის მეფეს ზრდიან. როგორც ამბობენ, საკითხი დღის წესრიგში კიდევ უფრო აქტიურად დაახლოებით ოც წლის შემდეგ დადგება. მანამდე კი საზოგადოება, ერი, ბერი, არასამთავრობოები, ხელისუფლება უნდა ამაღლდეს იმ დონემდე, რომ საკონსტიტუციო მონარქიის უალტერნატივობა დავინახოთ. ზოგიერთები უკვე ამაღლებულები არიან. მაგალითად, ლევან ვასაძე. თუმცა საკონსტიტუციო მონარქიის აღდგენაზე საუბარი ლევან ვასაძეს არ დაუწყია. ის ერთ-ერთი მომხრეა, თუმცა არა ინიციატორი. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ პირველი, ვინც მეფის ინსტიტუტის დაბრუნების იდეით გამოვიდა, ეს იტალიაში მცხოვრები ქეთევან ბაგრატიონი იყო. საკუთარი იდეა იტალიაში გავლენიანი გვარის – ორსინების რძალმა შევარდნაძისდროინდელ ხელისუფლებას გააცნო. როგორც ამბობენ, მაშინ ქეთევან ბაგრატიონს თანხმობა მიუღია, ოღონდ ერთი პირობით. ბაგრატიონების შთამომავალსა და ორსინების რძალს ბაგრატიონები ტახტის მემკვიდრის ერთ კანდიდატზე უნდა დაეთანხმებინა. ქეთევანს მაშინ ვერც კი წარმოედგინა, მისი იდეა „ტროას ომს“ რომ გამოიწვევდა ბაგრატიონებში. ბუნებრივია, კანდიდატები მაშინვე გამოჩნდნენ, ყველა საკუთარ უპირატესობას ამტკიცებდა. ერთი სიტყვით, ჯერ კიდევ არარსებული ტახტის მემკვიდრეობაზე ისეთი ომი ატყდა, იდეა ისევ თავად ქეთევან ბაგრატიონმა უარყო და იტალიას იმედგაცრუებული დაუბრუნდა. ამის შემდეგ თითქოს ყველას მიავიწყდა ბაგრატიონებიცა და სამეფო ტახტიც. თუმცა საკითხი უფლისწულ გიორგის დაბადების შემდეგ, აქტუალურობის თვალსაზრისით, პიკს აღწევს, მით უფრო, რომ სულ რამდენიმე დღის წინ ის მოინათლა და მისი ერთ-ერთი ნათლია იდეის მომხრე ლევან ვასაძე გახდა. ის მზად არის, იდეას პოპულარიზაცია გაუწიოს და თუ საჭირო გახდა, ფინანსურ მხარდაჭერასაც გაუწევს. თუმცა საინტერესოა, მზად არის თუ არა საზოგადოება, მეფის ოჯახის შენახვაზეც იზრუნოს... ბიზნესმენის განცხადებით, ეს მეასეხარისხოვანი პრობლემაა, თუმცა იმ საზოგადოებისთვის, სადაც უმუშევრობის პროცენტი წარმოუდგენლად მაღალია, ალბათ, ბევრი რამ მნიშვნელოვანი ხდება.

ლევან ვასაძე, ბიზნესმენი:

– ეს პრობლემა არის ჩვენგან ათი ათას კილომეტრში. ეს ერის ღირსების საკითხია, თუკი ერი, დემოკრატიული ინსტიტუტები ამას მოინდომებს, ეს გახდება შესაძლებელი. ნურავის ეგონება, რომ ამის დამძალებელი ვინმეა.

– შეიძლება ძალიან ცუდ შედარებას ვაკეთებ, მაგრამ საზოგადოების ნაწილი „საზოგადოებივ მაუწყებელს“ რომ უხდის თანხას, იმასაც კი აპროტესტებს და ფიქრობთ, რომ მეფის ოჯახის შენახვაზე ვინმე თანახმა იქნება?

– კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა ვერ მოხდება ქვეყნის, ერის სურვილის გარეშე.

– თუ იცით, როგორია გიორგი მარგველაშვილის პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

– არ ვიცი, მასთან ამ თემაზე არ მისაუბრია.

– ფიქრობთ, რომ წინააღმდეგი არ იქნება?

– წარმოდგენა არ მაქვს.

– აპირებთ, რომ ახალ პრეზიდენტს ამაზე დაელაპარაკოთ?

– მე ვარ რიგითი, კერძო სექტორის წარმომადგენელი, გიორგი მარგველაშვილი არის ჩემი მეგობარი და ნებისმიერ საკითხზე დავილაპარაკებთ.

– პირადად თქვენ მზად ხართ, დააფინანსოთ მონარქია, აღდგენის შემთხვევაში?

– მე, როგორც მოქალაქე, მონაწილეობას მივიღებ და ბედნიერი ვიქნები, თუ ქართველი ერი ოდესმე იქამდე ამაღლდება, რომ მონარქიის აღდგენის გადაწყვეტილება მიიღოს.

ორი წლის გიორგი ბაგრატიონს უკვე ზრდიან, როგორც მომავალ მეფეს, თუმცა მის გარდა, უკვე არსებობს ორი რეალური პრეტენდენტი და იდეაში რამდენიმე ჯერ კიდევ არდაბადებული შთამომავალიც მოიაზრება. ია ბაგრატიონ-მუხრანელის განცხადებით, პირადად მას სურდა, ბიძინა ივანიშვილს ამ საკითხზე სასაუბროდ შეხვედროდა. შეხვედრა რატომღაც არ შედგა, თუმცა ქალბატონი ია იმედს არ კარგავს, რომ ივანიშვილი ახლა მაინც, როცა საზოგადოებრივ სექტორში გადავა, მოიცლის ქვეყნის მომავალზე სასაუბროდ. თავის მხრივ კი, ბაგრატიონ-მუხრანელი დარწმუნებულია, რომ ივანიშვილს მონარქისტული ნყობილების აუცილებლობაში დაარწმუნებს.

ია ბაგრატიონ მუხრანელი, სამეფო ოჯახის წარმომადგენელი:

– რა პერსპექტივა აქვს და როდის შეიძლება გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები?

– მე ვფიქრობ, მონარქიის აღდგენა ერთადერთი იდეაა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს. რა თქმა უნდა, ამ იდეას აქვს მომავალი. მადლობა ღმერთს, არიან ახალგაზრდა ბაგრატიონები. ჩვენ ძირითად ფოკუსირებას ვაკეთებთ იმაზე, რომ მათი პირმშოები საპატრიარქოს წიაღში აღიზარდონ. თუ მეფე მორწმუნე არ იქნება, რა მონარქიაზეა საუბარი. ის დავით აღმაშენებელთან უნდა ასოცირდებოდეს. ნაწინასწარმეტყველია, რომ მხოლოდ მონარქისტულმა იდეამ შეიძლება მოუტანოს ჩვენს ქვეყანას ერთიანობა.

– კონკრეტულად ვის განიხილავთ სამეფო ტახტის მემკვიდრედ? ვიცით, რომ დავით და ანა ბაგრატიონების ვაჟს აქედანვე ამზადებენ ამისთვის...

– კონკრეტულ პერსონებს არა აქვს მნიშვნელობა. დავითისა და ანას ვაჟი გიორგი 2 წლის გახდა, შესანიშნავი ბავშვია, თუმცა არიან სხვებიც, რომელთა განხილვაც შეიძლება. შეიძლება კიდევ გამოჩნდეს. ჩვენი ბოლო წმინდანის, მამა გაბრიელის სიტყვებს გაგახსენებთ: საქართველო გაბრნყინდება მაშინ, როდესაც ქვეყანას ღვთივკურთხეული მეფე მოევლინება.

– პირადად თქვენ ემხრობით გიორგი ბაგრატიონის ვარიანტს?

– რა თქმა უნდა, ძალიან საინტერესოა ბაგრატიონთა ორი შტოს შეუღლების ნაყოფი. გიორგი პატარაა, ალბათ, მოხდება მისი მომზადება. ვფიქრობ, საპატრიარქოს წიაღში ბაგრატიონთა რამდენიმე პირმშო უნდა აღიზარდოს და შემდეგ გამოჩნდება, ვინ არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო.

– ანუ ძირითადი სიტყვა მაინც საპატრიარქოზე იქნება?

– საპატრიარქოს წიაღში უნდა გამოიკვეთოს ეს, სხვაგვარად ვერ მოხდება.

– და მაინც, გიორგი ბაგრატიონის გარდა, კიდევ ვინ შეიძლება განვიხილოთ ტახტის მემკვიდრედ?

– არიან უცოლო ბაგრატიონებიც, რომლებსაც შვილები გაუჩნდებათ და ცხადია, შესაძლოა, მათი განხილვაც. მაგალითად, ირაკლი ბაგრატიონი, მუხრანის შტოს წარმომადგენელი, და ღვანკითიდან იმერეთის შტოს ნარმომადგენელი ერეკლე ბაგრატიონი. ასევე, ბავშვები ჰყავთ უკვე ოთარ ბაგრატიონსა და სანდრო ბაგრატიონს. უცოლოა დავით ბაგრატიონის უმცროსი ძმა ჰუგო, რომელიც ესპანეთში ცხოვრობს. მათგან როგორ უნდა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბაგრატიონებში

ვინ იბრძოლებს სამეფო ტახტისთვის, ვინ ვის უჭერს მხარს და ვინ ვის დააფინანსებს

ია ბაგრატიონ-მუხრანელი: „ვფიქრობ, საპატრიარქოს წიაღში ბაგრატიონთა რამდენიმე ჰირმშო უნდა აღიზარდოს და შემდეგ გამოჩნდება, ვინ არის საუკეთესოთა შორის საუკეთესო“

ნუგზარ ბაგრატიონი: „უფლის ნებით უნდა მოხდეს ყველაფერი. ამისთვის მზად უნდა იყოს ერი და ბერი, ქვეყანა უნდა მოემზადოს ამისთვის. ამას შეიძლება ოცი წელი დასჭირდეს“

მოხდეს გამორჩევა, ამის მზა რეცეპტი არ არსებობს. თუმცა 7 წლის ბავშვში უკვე ჩანს რაღაც ნიშნები, რომლითაც შეიძლება ის შეფასდეს, როგორც მომავალი მემკვიდრე. კიდევ ვიმეორებ, მთავარია, მათი აღზრდა საპატრიარქოს ზედამხედველობით. მან უნდა იცოდეს ქართული, მაგალითად, ესპანელმა ბაგრატიონებმა არ იციან ქართული, რაც, გარკვეულწილად, სირთულეა. უკვე დაბადებული მემკვიდრეები ჯერ ძალიან პატარები არიან იმისთვის, რომ რეალური მსჯელობა დავიწყოთ მათზე, თითქმის თანატოლები – 2-3 წლისანი.

– რა ვადაში წარმოგიდგენია საქართველოში მონარქიის აღდგენა?

– ამას დასჭირდება, ალბათ, სადღაც 20 წელი. საზოგადოება უნდა იყოს ამისთვის მზად. მანამდე ჩვენ, სამეფო გვირგვინის წარმომადგენლები და თავადაზნაურობა ვაპირებთ, ერი მოვამზადოთ. გარდამავალ ეტაპზე ქვეყანას ნამდვილად სჭირდება საპარლამენტო მოწყობა. ხალხს უნდა ავუხსნათ, რომ მეფე კი არ წაართმევთ რამეს, არამედ, პირიქით, ეს იქნება მათი კეთილდღეობის გარანტი. რა წართმევაზეა საუბარი. მაგალითად, მე ვარ მუხრანელი, მაგრამ ერთი მტკავლელი მიწა არ მაქვს მუხრანში. სამაგიეროდ ახლა იქ მომჯდარია ახალი მუხრან ბატონი, მამუკა ხაზარაძის სახით. მე კი იქ ძირძველი ქართული მეღვინეობის სანახავად ბავშვები მყავდა წაყვანილი და პრობლემები შემიქმნეს შესვლაზე, არ გვიშვებდნენ.

იგივე ოც წელინადზე საუბრობს გიორგი ბაგრატიონის ბაბუა, ნუგზარ ბაგრატიონი. როგორც ჩანს, მომავალი ოცი წლის განმავლობაში ბევრჯერ მოგვიწევს მოსმენა, რომ ეს ჩვენივე გადარჩენის ერთადერთი გზაა. თუმცა დღეს საკითხს სერიოზულად არავინ აღიქვამს. თანაც იმდენად, რომ ამაზე კომენტარის გაკეთებაზეც არ იწუხებენ თავს. ლაშა ბაქრაძე, ლაშა ბუღაძე, ბექა მინდიაშვილი – ადამიანები, ვისი აზრიც, ალბათ, ბევრისთვის ბევრისმთქმელი იქნებოდა, კომენტარისგან თავს იკავებენ. აქ ორი ვერსია შეიძლება განვიხილოთ. ისინი ან ზედმეტად არასერიოზულად მიიჩნევენ მეფის ინსტიტუტის შესაძლო აღდგენას და ამაზე საუბარს დროის ფუჭად ხარჯვის მიზნით გაურბიან, ანდა ფიქრობენ, რომ იმდენად შორეული პერსპექტივაა, დღეს ამაზე მსჯელობა ადრეა. დაახლოებით ისევე, როგორც ეს პოლიტიკაში ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით ხდება. ნებისმიერ პოლიტიკოსს, კომენტარი რომ სთხოვთო, პასუხი ერთი ექნება: ევრაზიული კავშირი ჯერ შექმნილიც კი არ არის და საერთოდ, ეგ რა საკომენტარო თემაა...

სხვათა შორის, საქართველოში სამეფო ტახტის აღდგენის იდეას ევრაზიული კავშირის იდეის ავტორს უკავშირებენ. ეს მოსაზრება პირველად ნაციონალებმა გაავრცელეს და თანაც რამდენიმე წლის წინათ. მაშინ ჯერ კიდევ შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილს მიერ გაჟღერებულ მოსაზრებას სერიოზული კრიტიკა მოჰყვა ადგილობრივი ოპოზიციისგან. გიორგი თარგამაძემ, გიორგი ცაგარეიშვილმა, შალვა ნათელაშვილმა და კიდევ რამდენიმე პოლიტიკოსმა მერაბიშვილი ლამის ანათემას გადასცეს, სასწრაფოდ უკან წაიღოს საკუთარი სიტყვებიო... არადა ამ მოსაზრებას, მინიმუმ, არსებობის უფლება მაინც ჰქონდა...

ვანო მერაბიშვილი, 2010 წელი:

– მოსკოვში საქართველოზე პასუხისმგებელ პირად პრიმაკოვი დანიშნეს. ამის შემდეგ უცებ გაჩნდა ქართველი მეფის პროექტი ბაგრატიონთა გვარიდან. ბაგრატიონთა შთამომავალი სასწრაფოდ დააქორწინეს ამავე გვარის სხვა შტოს მემკვიდრეზე, თანაც საამისოდ ქალი ქმარსაც კი დააშორეს. და რა? – პროექტი ქორწინებასთან ერთად დაიმსხვრა. მოსკოვში გამუდმებით ეძებენ მემკვიდრეს საქართველოსთვის, მაგრამ ეს სრულიად უპერსპექტივო მცდელობებია.

ეს 2010 წლის ინტერვიუა, რომელიც შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა „Коммерсантъ“-ს მისცა. მერაბიშვილს აღარ დაუზუსტებია, თუმცა კითხვები, ბუნებრივია, იყო. გეგმა შორეული რომ არის, ამას ტახტის მემკვიდრეობის ერთ-ერთი კანდიდატის ბაბუაც ადასტურებს.

ნუგზარ ბაგრატიონი, ანა ბაგრატიონის მამა:

– ამაზე ისედაც ბევრს საუბრობენ და მე რაღა უნდა გითხრათ? არავის არ უთქვამს, რომ უნდა აღდგეს მეფის ინსტიტუტი, ეს არც უწმინდესობას უთქვამს. უბრალოდ, იყო ბავშვის ნათლობა, სხვა არაფერი. საუბარია საკონსტიტუციო მონარქიაზე, რომლის გზა გვაქვს გასავლელი მანამდე.

– როდისთვის იქნება მზად ქვეყანა ამისთვის?

– ამის თქმა არავის შეუძლია, უფლის ნებით უნდა მოხდეს ყველაფერი. ამისთვის მზად უნდა იყოს ერი და ბერი, ქვეყანა უნდა მოემზადოს ამისთვის. ამას შეიძლება ოცი წელი დასჭირდეს.

ისტორიკოს მარიკა ლორთქიფანიძის განცხადებით, ქვეყნის გაერთიანების ერთადერთი გზა არსებობს და ეს სწორედ კონსტიტუციური მონარქიაა, თუმცა, ქალბატონ მარიკას თქმით, ამისთვის საზოგადოება ჯერ მზად არ არის.

მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი:

– მეფე ყოველთვის იყო გაერთიანების სიმბოლო საქართველოში. ბაგრატიონებს ყოველთვის განსაკუთრებული მდგომარეობა ჰქონდათ საქართველოში, მთელ ქრისტიანულ სამყაროში ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი დინასტია. არასოდეს ყოფილა ისტორიაში ფაქტი, როდესაც ტახტიდან გადაეგდოთ ბაგრატიონების შთამომავალი, მათი ხელისუფლებიდან გადაგდების მცდელობაც არ ყოფილა. კი, იყო, რომ ძმა ძმას შუღლობდა, მაგრამ არასოდეს დამდგარა საკითხი ბაგრატიონების სხვა დინასტიით ჩანაცვლების. ეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლების სურვილით მოხდა.

რუსებმა ძალიან კარგად იცოდნენ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ქართველებს მეფის მიმართ და სამეფო ოჯახის მიმართ. მაშინ ბაგრატიონების ყველა შთამომავალი გადაასახლეს საქართველოდან. თაობები ისე აღიზარდნენ, რომ მათ ბაგრატიონების მიმართ დიდი მოწიწება არ ჰქონიათ.

– ახლა მზად ვართ ამისთვის?

– არც ახლა არ ვართ მზად.

– როდისმე ვიქნებით?

– ამის თქმა ძალიან რთულია. ხელისუფლების ყველაზე კარგი ფორმა სწორედ კონსტიტუციური მონარქიაა. ეს არ არის მხოლოდ ჩემი აზრი.

– რატომ თვლით ასე?

– იმიტომ, რომ მონარქია მაინც არის ქვეყნის მარეგულირებელი ფორმა. ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციური მონარქიაა, არის მშვიდი და წყნარი სიტუაცია. ყველა მათგანი განვითარებული ქვეყანაა. მაგრამ ჩვენ მზად არ ვართ, რადგან საზოგადოება არ არის ამ საკითხის მიმართ დადებითად განწყობილი. საზოგადოება მიიჩნევს, რომ თავადაზნაურობა მოითხოვს თავის მიწებს, თუმცა, ჩემი აზრით, არავინ არაფერს მოითხოვს. ასეთი ორგანიზაცია არსებობს კიდეც, თავად-აზნაურები არიან გაერთიანებულები, მაგრამ არასოდეს არაფერი მოუთხოვია. როდესაც მე და ჩემს ძმას ხელისუფლებამ საგვარეულო მიწები გადმოგვცეს, ჩვენ ეს მიწები ეკლესიას გადავეცით. ძალიან კარგია, რომ ეს ბავშვი დაიბადა, ძალიან კარგია, რომ ის მოინათლა, მაგრამ ჩვენ ახლა არ ვართ მზად იმისთვის, რომ საზოგადოებამ მეფე აღიაროს. სხვათა შორის, 1990-იან წლებში ვთქვი, რომ საქართველოში არიან ქართულ-კახეთისა და იმერეთის სამეფოს კანონიერი მემკვიდრეები. ქართულ-კახეთის კანონიერი მემკვიდრე, ნუგზარ ბაგრატიონი არის ერთიანი საქართველოს მეფის კანონიერი მემკვიდრე და შთამომავალი. სწორედ მაშინ გამოვედი იდეით, იქნებ უმტკივნეულოდ მოხდეს ამ ორი შტოს გაერთიანება ქორწინებით-მეთქი. იცით, რა ამბავი ატყდა? ეს როდის იქნება, ან როდის ბავშვი დაიბადება, ან როდის ის გაიზრდებაო... მიმაჩნია, რომ ამას დრო სჭირდება. საზოგადოებამ უნდა გაიცნობიეროს, ვინ იყვნენ ბაგრატიონები, რა როლი შეასრულეს ისტორიაში. ბაგრატიონებმა ტიტულის აღდგენა თავისი მოღვაწეობით დაიმსახურეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რატომ არ დაპატიჟეს ბაგრატიონების ი

რა საფრთხეებზე საუბრობს იმერეთის ტახტის მემკვიდრე?

my View
დეა თავბერიძე

ბაგრატიონთა „სამეფო კარის“ ინტრიგები - ეს ის თემაა, რომელიც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ საკმაოდ აქტუალური გახლდათ და რაგორც ჩანს, არც მომავალში იქნება ინტერესს მოკლებული... რამდენიმე დღის წინ სვეტიცხოველში უფლისწული გიორგის ნათლობაზე უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. სადღესასწაულო ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო პოლიტიკური სპექტრი, სამღვდელოება, საზოგადო მოღვაწეები და ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილი თავად-აზნაურობა. მიწვეულ სტუმრებს შორის არ გახლდათ ბაგრატიონთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტო. იმერელი ბაგრატიონები უფლისწულის ნათლობაზე არ დაპატიჟეს. მაშინ, როდესაც „სამეფო კარი“ უფლისწულის ნათლობას ზეიმობდა, იმერეთის შტოს გამგრძელებელი ირაკლი ბაგრატიონი თაბორის მონასტერში ღვთის მსახურებას ეწეოდა. ის წელიწად-ნახევარია ამ მონასტრის სტიქაროსანია. ჩვენ ირაკლი ბაგრატიონს სწორედ თაბორის მონასტერში ვეწვიეთ.

„საქართველოში მონარქიის აღდგენა გეორგიევსკის ტრაქტატის აღდგენის წინაპირობას ხომ არ შექმნის?“

„ვცხოვრობ ისე, როგორც გული მკარნახობს, ტიპიკონს ვემორჩილები და ღვთის მადლის მოპოვებისთვის ვიღწვი“, - ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ირაკლიმ.

როგორც უკვე გითხარით, ის უფლისწულის ნათლობაზე არ ყოფილა. „დიდგვაროვნებს“, რატომღაც მიავიწყდათ იმერეთის ტახტის მემკვიდრე... თავად ირაკლი ბაგრატიონს ამასთან დაკავშირებით არანაირი წყენა არ გამოუთქვამს, მას სხვა კითხვები აქვს და პასუხსაც ითხოვს.

- როცა ამ ორიოდე წლის წინათ ღვანკითში გესტუმრეთ, მახსოვს, მითხარით, აქ ყოფნას არაფერი სჯობიაო, ხეების დარგვითა და მამულის პატრონობით იყავით დაკავებული...

- საშემოდგომო ჭირნახული მივინახეთ ღვანკითში და ახლა აქ ვიმყოფები. წელიწად-ნახევარია, რაც თაბორის მონასტერში ვცხოვრობ, სტიქაროსანი ვარ. ვცდილობ, ქრისტიანულად ვიცხოვრო. სემინარიაშიც ჩავაბარე, ფსიქოლოგია -თეოლოგიის განხრით ვსწავლობ. იმაზე დიდი მადლი არაფერია, იქ იცხოვრო, სადაც დაიბადე და გაიზარდე, ხეც დარგო, კარ-მიდამოსაც მიხედო, მაგრამ ერთ ადგილას ყოფნა რთულია, ვერ განვითარდები ადამიანი, სიახლე აუცილებელია, ალბათ, ამ ახლის წყურვილმა ჩამომიყვანა დროებით თბილისში.

- როგორც ვიცი, უფლისწულ გიორგის ნათლობაზე არ ყოფილხართ....

- არა, ნათლობაზე არ ვყოფილვარ, რადგან მონასტერში ვცხოვრობ და მონასტრის ტიპიკონს ვემორჩილები. სასიხარულოა, რომ კიდევ ერთი ქრისტიანი შეემატა მართლმადიდებლობას და ეს გიორგი ბაგრატიონია, სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ სვეტიცხოველში მოინათლა და ნათლობაში მეუფეები მონაწილეობდნენ, ეს დიდი მადლია...

- მიწვეული იყავით?

- არა, მიწვეულიც არ ვყოფილვარ.

- რატომ, წესით ხომ უნდა ყოფილიყავი, როგორც ვიცი ქორწილში მიგიპატიჟეს.

- ვერ გეტყვით, მიწვეული უნდა ვყოფილიყავი თუ არა, ამას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს. ნათლობა სამადლო საქმეა და ვისაც სურვილი ჰქონდა, შეეძლო ჩასულიყო სვეტიცხოველში და ნათლობაში მიეღო მონაწილეობა.

- პატარა გიორგის რას უსურვებთ?

- გიორგის დიდი გაძლება და მადლი სჭირდება, ალბათ... მისი ცხოვრება არ იქნება ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება. როცა დედ-მამა ბაგრატიონი გყავს და თან, როცა გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფი ფიქრობს, რომ ბავშვი შეიძლება საქართველოს მომავალი მეფე იყოს, მისი ცხოვრება თავისთავად ჩვეულებრივი ბავშვის ცხოვრებას არ ემსგავსება, ამიტომ ამ პატარა ქართველს, პირველ რიგში, ღვთის მადლს, ქართველკაცობას და გაძლებას ვუსურვებ.

- პირადად თქვენ პატარა გიორგის ტახტის მემკვიდრეობაზე რას ფიქრობთ?

- ამ პატარას აღვიქვამ როგორც პატარა ქართველ კაცს, დიდი სიყვარულითა და დიდი ადამიანობით. რაც შეეხება ტახტის მემკვიდრეს, ალბათ, ჯერ უნდა მივიდეთ იქამდე, რომ საერთოდ ტახტი გვქონდეს ქართველებს, უნდა ვკითხოთ ჯერ ქართველ ერს და არა ცალკეულ პირებს, უნდათ თუ არა ტახტი?

- თუმცა, ეს ჯერ მაინც შორეული პერსპექტივაა...

- საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში შესაძლოა, უფლისწულს რეგენტი ახლავე დაენიშნოს, რაც ფაქტობრივად მეფობას ნიშნავს.

- თქვენ რამდენად გაქვთ მონარქიის აღდგენის სურვილი?

- პირველ რიგში, ჩვენ უნდა ვიკითხოთ, მონარქიის აღდგენა უნდა თუ არა ქართულ საზოგადოებას. ეს არის ყველაზე მთავარი. მერე უნდა ვიკითხოთ, თუ რა ფორმით უნდა აღვადგინოთ საქართველოში მონარქია და საერთოდ, ეს ორასწლიანი წყვეტა რა შედეგს მოგვიტანს. ეს არ არის უბრალო თემა. ამას გარკვეული კვლევა სჭირდება და კომპეტენტურ ადამიანთა ჯგუფის დასკვნები იმაზე თუ რა შედეგი დადგება და როგორ მომავალს უწინასწარმეტყველებს ქვეყანას. ასე რომ, მე, როგორც ბაგრატიონი, ჩემს აზრს მაინც იმ ხალხს მივანდობ, რომელიც გადაწყვეტს უნდათ თუ არა საქართველოში მონარქია. ჩემს სათქმელს ისინი იტყვიან და მეც მათთან ერთად ვიქნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ირაკლი ბაგრატიონი:

„ჩემს გაწვდილ ხელს უარყოფენ, ყველანაირად აიგნორებენ იმერეთის შტოს და არ ცდილობენ ლეგიტიმურად მოხდეს დინასტიის გაერთიანება“...

„ამ პატარა ქართველს, პირველ რიგში, ღვთის მადლს, ქართველკაცობას და გაძლებას ვუსურვებ“

EXCLUSIVE

- ისევ ღვანკითი მინდა გავიხსენო და თქვენი ბაბუა, რომელმაც წერილით მიმართა კათოლიკოს პატრიარქს - „თუ კი ოდესმე საქართველოში მონარქია აღდგება, ამის ყველაზე დამსახურებული კანდიდატი ჩემი შვილიშვილიაო“.

- ეს ნათქვამი ბაბუის სიყვარულიდან გამომდინარე იყო, სერიოზულად მაგ თემას მე არ ვფიქრობ, რომ მე ვარ საქართველოს ტახტის მემკვიდრე, მე ვარ ერთი უბრალო ადამიანი, რომელიც ცდილობს იცხოვროს ქართული ტრადიციებით და თუ ნაკლებს შემაწუხებენ, ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრად კარგი იქნება...

- როდესაც დავით ბაგრატიონის ფარულმა ვნებამ, ხოლო შემდეგ კი ანა ბაგრატიონთან შეხლა-შემოხლის სცენებმა ისტორიკოსთა ნაწილი გააღიზიანა და ახალ კანდიდატს დაუწყეს ძებნა, სწორედ მაშინ გამოითქვა აზრი, რაღა ესპანეთიდან ჩამოვიყვანოთ იოანე-ხუან ბაგრატიონი, როცა იმერეთში ბაგრატიონთა შტოს გამგრძელებელი არისო, მგონი თქვენ გგულისხმობდნენ.

- კი, მე ვარ იმერეთის სამეფოს შტოს პირდაპირი შთამომავალი, მაგრამ კიდევ ერთხელ გეუბნებით, მე ჩემს თავს ვერ მოვიაზრებ საქართველოს მეფედ. საერთოდ, ვინმეს მეფობაზეც ზედმეტია საუბარი, რადგან დღესდღეობით საქართველოში მონარქიული ოჯახი, როგორც ერთიანი დინასტიური ოჯახი არ არსებობს. საქართველოს დინასტია გაერთიანებული არ არის. რადგან ფუნქციონალურად იმერეთის შტო ამ დინასტიაში არ გაერთიანებულა. ეს ფაქტია. მაგრამ ხდება ამ ფაქტის დამახინჯება. აქედან გამომდინარე, ერთიანი მემკვიდრეც ვერანაირად ვერ იქნება; გარკვეული პირები კი ბაგრატიონთა სახლის მემორანდუმს იშველიებენ, რომელზეც ჩვენ ხელი არა გვაქვს მოწერილი, როგორც იმერეთის ოჯახს, იმერეთის შტოს ნაცვლად ნახსენებია ბაგრატიონ იმერეტინსკი, რომლებიც მეოცე საუკუნეში ფაქტობრივად აღარ არსებობდნენ. ბევრი ლაფსუსია, მაგრამ ამბობენ, რომ ეს მემორანდუმი ჩვენმა ცნობილმა ისტორიკოსებმა მოიწონეს. ეს მაფიქრებინებს, რომ ჩვენს სახელოვან აკადემიკოსებს ეს აქტი არ წაუკითხავთ, იმდენად ზედაპირზე დევს აქ გაუმართაობა. მე მზად ვიყავი წერილობით დამედასტურებინა ჩემი თანხმობა, მაგრამ ისინი ჩემს გაწვდილ ხელს უარყოფენ, ყველანაირად აიგნორებენ იმერეთის შტოს და არ ცდილობენ ლეგიტიმურად მოხდეს დინასტიის გაერთიანება.

- ანუ გამოდის რომ....

- მე ვფიქრობ, აუცილებელია შეიქმნას კომისია, რომელიც დაკომპლექტებული იქნება ისტორიკოსებით და არა ისეთი ადამიანებით, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ მონარქიაზე. აქ ორი საკითხია, ერთი, გვინდა თუ არა მონარქია, რაზედაც ყოველ მოქალაქეს თავისი აზრი აქვს, და მეორე, ისტორიკოსთა მსჯელობის შედეგი. აუცილებლად უნდა ჩაერთოს იურისტიც. მე მაინტერესებს პასუხები კომპეტენტური პირებისგან. ასევე, რამდენადაც ვიცი, რუსეთშიც ძლიერია მონარქისტული ტენდენციები, ამიტომ საჭიროა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტის დასკვნა: საქართველოში მონარქიის აღდგენა გეორგიევსკის ტრაქტატის აღდგენის წინაპირობას ხომ არ შექმნის?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კახა კალაძე: „ჩვენ გვაქვს პრეტენზია,

my View
თამარ
გორთამაშვილი

მის სახელს და გვარს ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი მოლოდინი უკავშირდება. საპრეზიდენტო არჩევნებამდე არაოფიციალურად პრეზიდენტობის კანდიდატადაც დასახელდა, შემდეგ ითქვა, პრემიერი ხდებაო, ბოლოს კი, ხმებსაყოლილმა საზოგადოებამ შს მინისტრის პოსტიც მისთვის გაიმეტა... დღეს ის ენერგეტიკის მინისტრის და ვიცე-პრემიერის პოსტს იკავებს, თუმცა თუ ახალი პრემიერი გადაწყვეტს, მზადაა სხვა უწყება ჩაიბაროს. კახა კალაძე ამბობს, რომ არანაირი შეთავაზება არ ყოფილა და არც მისი კანდიდატურა განხილულა გუნდში. დღეს ის სამინისტროში მედიასთან შეხვედრას მართავს და საზოგადოებას ერთწლიანი მუშაობის ანგარიშს აბარებს, თუმცა მანამდე „პრაიმტაიმს“ მინისტრთა კაბინეტში დაგეგმილ ცვლილებებზე ესაუბრება. კახა კალაძე ამბობს, რომ არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილება მისთვის მიულოდნელი არ ყოფილა, რაც შეეხება ახალ პროკურორს, ვიცე-პრემიერი ოთარ ფარცხალაძის პროფესიონალიზმს მაღალ დონეზე აფასებს.

„ჩემს კანდიდატურაზე გუნდში არანაირი მსჯელობა არ ყოფილა“

კახა კალაძე: „არჩილ კბილაშვილის გადაწყვეტილება ჩემთვის სიახლე არ ყოფილა. მოლოდინი იმისა, რომ ის პოსტს დატოვებდა, მანამდე გაჩნდა, როდესაც მან ამის შესახებ რამდენიმე მინიშნება გააკეთა თავის განცხადებებში. იყო საუბარი, რომ თითქოს უთანხმოებას ჰქონდა ადგილი, რომ რაღაც დაძაბულობა იყო გუნდში, რაც, მინდა გითხრათ, რომ აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს. არც ირაკლი ღარიბაშვილთან და არც ბიძინა ივანიშვილთან არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა. მან მიიღო გადაწყვეტილება გადავიდეს სამოქალაქო სექტორში და ბიძინა ივანიშვილთან ერთად იქიდან ემსახუროს თავის ქვეყანას.

- საინტერესოა, რამ მიიყვანა ის ამ გადაწყვეტილებამდე?

- ეს თავად არჩილს უნდა ჰკითხოთ და თავად გაგცემთ პასუხს, თუ რის გამო მიიღო ეს გადაწყვეტილება. რაც შეეხება გარკვეულ საკითხებზე განსხვავებულ აზრს, ვფიქრობ, რომ ეს ნორმალურია და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს ისე, როგორ ეს წინა წლებში ხდებოდა. მაშინ გარკვეულ საკითხებზე ერთი აზრი იყო და სწორედ ამ ყველაფერმა გამოიწვია ის სიტუაცია, რომელიც 9 წლის განმავლობაში გაგრძელდა, ერთ ადამიანზე იყო ყველაფერი მორგებული, რაც კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის, მით უმეტეს, რომ ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანაში ცხოვრების პრეტენზია გვაქვს, სადაც ნებისმიერ ადამიანს შეეძლება დააფიქსიროს თავისი აზრი და პოზიცია.

რაც შეეხება აღებულ კურსს, მოგეხსენებათ, ჩვენი კურსი გახლავთ ევროპისკენ, რომ რაც შეიძლება მალე, უახლოეს პერიოდში, შევძლოთ და გავხდეთ ევროკავშირისა და ნატოს სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. ჩვენ გვაქვს ამის პრეტენზია და ძალიან მნიშვნელოვან რეფორმებს ვახორციელებთ ამისთვის. ეს არის ჩვენი ძირითადი მიმართულებები და კადრების ცვლილებებით მიდგომები არ შეიცვლება.

- ისევ კბილაშვილის თემას მინდა დავუბრუნდე, მას ის ხომ არ ჩაუთვალეს სისუსტედ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ისეთი ტემპით ვერ წავიდა, როგორი მოლოდინიც იყო?

- სამართლიანობის აღდგენა დაწყებულია, ეს პროცესი მიმდინარეობს და მე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ არ ვართ რევანშისტული ხელისუფლება, რადგან მოვედით გავაკეთოთ ის, რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ გააკეთა, როდესაც ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ, ჩვენ ამას არ ვიკადრებთ. ყველა ის ადამიანი დაისჯება, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნის და ხალხის წინაშე. პასუხი ყველას მოეთხოვება, არავინ დარჩება დაუსჯელი, არა აქვს მნიშვნელობა რა თანამდებობაზე იყო. ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ციხეში ზის, ასევე შინაგან საქმეთა მინისტრიც. კიდევ ბევრ ადამიანთან იქნება კითხვები და არ გამოვრიცხავ, ბატონ სააკაშვილსაც მოუწიოს გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა. ეს არის პროცესი, შეიძლება იყოს განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენა ნელი ტემპით მიდის, მაგრამ პროცესი დაწყებულია და კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ჩვენ ყველაფერს ისე ვაკეთებთ, როგორც ეს ქართველ ხალხს და ჩვენს ქვეყანას ეკადრება და არა ისე, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ იმსახურებს. ამაზე არ უნდა ავაწყოთ ჩენი პოლიტიკა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე.

- რაც შეეხება მთავარი პროკურორის ადგილმონაცვლე ოთარ ფარცხალაძეს, როგორია თქვენი შეფასება ამ კადრთან დაკავშირებით?

- მე ოთარს ძალიან კარგად ვიცნობ და მივესალმები მის კანდიდატურას. დარწმუნებული ვარ, რომ ის ეფექტური გენერალური პროკურორი იქნება.

- იქნება მკაცრი ხელი პროკურატურაში?

- ამას დრო გვიჩვენებს...

- რაც შეეხება დაანონსებულ საკადრო ცვლილებებს, თქვენ დარჩებით ამ თანამდებობაზე, თუ შესაძლოა თქვენც შეგეხოთ ცვლილება და მოხდეს გადანაცვლება სხვა უწყებაში?

- არ ვიცი, ვერ გეტყვით, მე ისეთივე მინისტრი ვარ, როგორც სხვა დანარჩენი მინისტრთა კაბინეტში, ასევე ვარ ვიცე-პრემიერი, ბიძინა ივანიშვილის მოადგილე, მაგრამ ვნახოთ, ახალი პრემიერი გადაწყვეტს ვინ იქნება ახალ მინისტრთა კაბინეტში. მე არ მინდა მოვლენებს წინ გავუსწრო, დაველოდოთ, ეს ყველაფერი ძალიან მოკლე დროში გაცხადდება და ყველა ყველაფერს გაიგებს, ვინ სად და რა მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას.

- თუმცა თქვენ მუდმივად სახელდებოდით სხვადასხვა პოსტზე, იყო რაიმე შემოთავაზება?

- არა, ნამდვილად არ ყოფილა. ეს არის ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ხმა და სიმართლეს არ შეესაბამება. თქვენ გახსოვთ, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნები იყო, მაშინაც ძალიან აქტიურად საუბრობდნენ ჩემს კანდიდატურაზე და მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ეს არ იყო სიმართლე, რადგან, საკითხი განხილულიც არ ყოფილა. ახლაც იგივე შემიძლია გითხრათ, ჩემს კანდიდატურაზე გუნდში არანაირი მსჯელობა არ ყოფილა.

- თუმცა თქვენ ადასტურებთ, რომ ცვლილებები გაგძელდება?

- ცვლილებები ნამდვილად იქნება, ამაში მე დარწმუნებული ვარ. შესაძლოა, ფუნდამენტური ცვლილებები არ იყოს, მაგრამ გარკვეული ცვლილებები მოხდება.

- მინისტრთა კაბინეტში ახალი სახეები გამოჩნდებიან?

- ვერ გეტყვით, ეს კითხვა მომავალ პრემიერს უნდა დაუსვათ.

- რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილს, რა მოლოდინი გაქვთ მასთან დაკავშირებით?

- ირაკლიზე მე ძალიან ბევრი შემიძლია ვისაუბრო, არა იმის გამო, რომ ის ჩემი ახლო მეგობარია, უბრალოდ, ის არის ძალიან სუფთა და უბრალო პიროვნება, ძალიან პრინციპული, ძალიან განათლებული... წლების განმავლობაში ის იყო მრავალმილიონიანი „ქართუ ფონდის“ ხელმძღვანელი. შინაგან საქმეთა სამინისტროში მისი მისვლის შემდეგ სერიოზული ცვლილებები განხორციელდა დადებითი კუთხით და ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ირაკლი ღარიბაშვილმა შეძლო მოეხდინა პოლიციის დეპოლიტიზირება. მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული დანაშაულის შემცირების და გახსნის კუთხით. მე მივესალმები მის გაპრემიერებას და დარწმუნებული ვარ, რომ მისი მთავარი ამოცანა იქნება ეკონომიკური ზრდა, რაც ჩვენს გუნდს აქვს დასახული და გვაქვს იმის პრეტენზია, მაჩვენებელი ორნიშნა რიცხვით იყოს გაზრდილი. ამის რესურსი აქვს ქვეყანას და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, ერთად, ამ ყველაფერს შევძლებთ.

- მინდა გადავიდეთ ბოლო დროის ერთ-ერთ ყველაზე ხმაურიან თემაზე - ხუდონჰესზე... არსებობს არაოფიციალური ინფორმაცია, რომ ამ ყველაფრის უკან დგას კონკრეტული ადამიანი, ლევან პირველი, რომელიც არც თავად მალავს უკმაყოფილებას ამ პროექტის გამო და მზადაც არის ხელისუფლებას კონსულტაცია გაუწიოს სხვა ინვესტორთან დაკავშირებით... რასთან გვაქვს საქმე, სად არის რეალურად პრობლემა და სად თემის პროვოცირება?

- ეს პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ნებისმიერ ქვეყანაში, როდესაც ასეთი მასშტაბური პროექტი ხორციელდება, არის ხოლმე სირთულეები, მაგრამ ეს ყველაფერი გადაჭრადია. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ამ პრობლემას მოვაგვარებთ. მერწმუნეთ, ჩვენთვის ძალიან სენსიტიურია საკითხი, რომელიც ეხება ადგილობრივ მოსახლეობას. ჩვენ შევძლებთ ადგილობრივი მოსახლეობის დარმწუნებას, რომ მათ ავუხსნათ რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება. ძალიან კარგად ვიცით დაინტერესებული ძალები, რომლებიც ამ პროექტის წინააღმდეგ მოქმედებენ, შეიძლება ლევან პირველიც იყოს ამ ადამიანების სიაში, შესაბამისი უწყებები ამ მიმართულებით მუშაობენ და ძალიან მალე გვექნება სურათი, რა ხდება სინამდვილეში. რაც შეეხება ივესტორის შემოყვანას, ეს პირველის პრეროგატივა არ არის, ჩვენ ვთანამშრომლობთ კანონის მიხედვით, ხელშეკრულება გაფორმებულია 2011 წელს, სანამ ჩვენ მოვიდოდით და ვალდებულები ვართ, შევასრულოთ ყველანაირი პირობა, რაც ამ ხელშეკრულებით არის გაწერილი. თუ ინვესტორი დაარღვევს ამ ხელშეკრულებას, მაშინ, რა თქმა უნდა, პროექტი ჩამოერთმევა, გამოცხადდება ინტერესთა გამოხატვა და ნებისმიერ ადამიანს, ნებისმიერ კომპანიას შეეძლება მიიღოს ტენდერში მონაწილეობა. ჩვენ ამ პროექტის განხორციელებას ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ამ პროექტს აქვს ორი მთავარი პლუსი - ერთი ეს არის ენერგეტიკული მხარე და მეორე - ეკონომიკური. ეკონომიკურად თუ განვიხილათ, ეს არის ჩვეულებრივი სანარმო, არანაირი გადასახადისგან არ არის თავისუფალი, ყველ-

კადრების ცვლილებებით მიდგომები არ შეიცვლება

„მე ისეთივე მინისტრი ვარ, როგორც სხვა დანარჩენი მინისტრთა კაბინეტში, ასევე ვარ ვიცე-პრემიერი, ბიძინა ივანიშვილის მოადგილე, მაგრამ ვნახოთ, ახალი პრემიერი გადაწყვეტს ვინ იქნება ახალ მინისტრთა კაბინეტში“

„ჩვენ ძალიან კარგად ვიცით დაინტერესებული ძალები, რომლებიც ხუდონჰესის პროექტის წინააღმდეგ მოქმედებენ, შეიძლება ლევან პირველიც იყოს ამ ადამიანების სიაში. შესაბამისი უწყებები ამ მიმართულებით მუშაობენ და ძალიან მალე გვექნება სურათი თუ რა ხდება სინამდვილეში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რომ ვართ შემდგარი სახელმწიფო“

„არ გამოვრიცხავ, ბატონ სააკაშვილსაც მოუწიოს გარკვეულ კითხვებზე პასუხის გაცემა“

„ყველა ის ადამიანი დაისჯება, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი ქვეყნის და ხალხის წინაშე“

„არანაირი საფრთხე არ ემუქრება საფლავებს, არ ჩაიძირება არც ეკლესიები, რითიც მანიპულირებენ სხვადასხვა არასამათვრობო ორგანიზაციები. მე მინდა ვუთხრა მოსახლეობას, რომ ეს არის არასწორი ინფორმაცია“

EXCLUSIVE

ანაირ გადასახადს იხდის, იქნება ეს მოგების გადასახადი, თუ ქონების გადასახადი. ის იხდის ჩვეულებრივად, როგორც ნებისმიერი სხვა სანარმო. მაგალითად, ქონების გადასახადი, რომელიც მან ყოველწლიურად უნდა გადაიხადოს, ეს არის 12 მილიონი დოლარი, ანუ დაახლობით 20 მილიონი ლარი, რომელიც ადგილობრივ ბიუჯეტში, სვანეთის მუნიციპალიტეტში შევა და წარმოიდგინეთ ეს რამხელა თანხაა ყოველწლიურად სვანეთისთვის. მათ შეუძლიათ ეს თანხა გამოიყენონ სვანეთის განვითარებისთვის, ამ კუთხის გასაძლიერებლად. ასევე, მოგების გადასახადი 20 მილიონი ამერიკული დოლარი, ყოველწლიურად შევა ცენტრალურ ბიუჯეტში, ასევე ხაზებში ელექტროენერგიის გატარების თანხა - 19 მილიონი...

- ტარიფზე აისახება?

- ტარიფზე აისახება იმ მიმართულებით, რომ ჩვენ გვექნება საშუალება არ გავზარდოთ ტარიფი და შევინარჩუნოთ ის, რაც არის. 10 წლის განმავლობაში ელექტროენერგიაზე ფასი, ერთ კილოვატსაათზე ჩვენ ჩაწერილი გვაქვს 5, 84 ცენტი. ეს, დღეის მდგომარეობით ძალიან მაგარი ფასია. როდესაც ჰესი აშენდება, შევა ექსპლოატაციაში, იქიდან დაიწყება ათვლა ამ ათწლიანი ვადის. დღეს, როდესაც ელექტროენერგიას ვყიდულობთ რუსეთიდან, ვიხდით 6, 5 ცენტს, უკვე ჩადებული გვაქვს და იქნება 5,84 ცენტი მას შემდეგ, რაც ჰესი ამოქმედდება. ეს პროექტი ენერგეტიკულად გვაძლევს იმის საშუალებას და ეს ჩადებულიც გვაქვს პირობებში, რომ 4 თვის განმავლობაში, ზამთრის პერიოდში, საქართველოში დატოვოს მთელი ელექტროენერგია. ამას ემატება ის რეგულირებული წყალი, რომელიც ამ ჰიდროელექტროსადგურიდან გამოდის, მიედინება ენგურში და გვაძლევს დამატებით საშუალებას. საერთო ჯამში 500 მილიონ კილოვატსაათს გამოიმუშავებს ორივე სადგური ერთად და ამ ელექტროენერგიის ფასი, საერთო შეწონილი დაახლოებით 2,5 ცენტი იქნება, წარმოიდგინეთ რამხელა შვებას მისცემს ენერგეტიკას ასეთი ფასი ელექტროენერგიაზე. ეს არის ის ძირითადი დადებითი მხარეები, რაც ამ პროექტს აქვს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მშენებლობის დროს დაახლოებით 4 000 ადამიანი დასაქმდება და როდესაც უკვე ფუნქციონირებას დაიწყებს, დაახლოებით 300 კაცი იქნება იქ დასაქმებული. მე დარწმუნებული ვარ, რომ ზუსტად ამ პროექტის განხორციელება გადაარჩენს სვანეთს, აღარ მოხდება ხეტყის უკანონო ჭრა, გაუბედურებული და გაჩეხილია მთელი სვანეთის ტყეები.

- გასაგებია ამ პროექტის მნიშვნელობა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივების უფლებების გათვალისწინებაც. გარკვეულმა ნაწილმა ხატზეც კი დაიფიცა, რომ არ მისცემენ არავის ამ პროექტის განხორციელების უფლებას. ეს ძალიან ძლიერი ტრადიციაა და როგორ ფიქრობთ, რომ გადაარწმუნოთ ისინი?

- ჩვენ ძალიან დიდ პატივს ვცემთ მათ ტრადიციებს, სარწმუნოებას, მაგრამ კანონზე მაღლა ვერ დადგება ვერავინ და ვერაფერი. ჩვენ უნდა გამოვიდეთ წარსულის იმ ცნობიერებიდან, თუ გვინდა წინსვლა და განვითარება. არსებობს კანონი და კანონის ფარგლებში ყველას შეუძლია თავისი აზრი დააფიქსიროს და თავისი შეხედულებები გამოხატოს. ვინც კანონს ოდნავ მაინც გასცდება, აუცილებლად დაისჯება, არ აქვს მნიშვნელობა ეს უბრალო მოქალაქე იქნება, სასულიერო პირი, ჩინოვნიკი თუ სხვა. უნდა მივეჩვიოთ, რომ კანონი ყველასთვის ერთია და ყველაზე მაღლა დგას. რაც შეეხება ადგილობრივებს, ეს ძალიან მტკივნეული თემაა ჩვენთვის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ, იმ ადამიანებს ავუხსნათ პროექტის მნიშვნელობა. თქვენ ძალიან კარგად ახსენეთ, არის გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ცეცხლს უნთებენ და აქეზებენ ადამიანებს, არის ხე-ტყის უკანონო ჭრის დიდი ინტერესები, აქ ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი და ჩვენ ვიცით ყველა ის პიროვნება ვინც ამ ყველაფრით არის დაკავებული. ის პიროვნებებიც ვიცით, ვინც ამ პროცესში არიან ჩართული და თავიანთი ინტერესები და სურვილები აქვთ ამ პროექტის განხორციელებისა და საუბრობენ იმაზე, რომ თითქოს ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას ეს პროექტი ვინ უნდა განახორციელოს. მე ერთს ვიტყვი, ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ ვართ შემდგარი სახელმწიფო და არავითარ შემთხვევაში უკანონობას არ დავუშვებთ.

მე მინდა აღვნიშნო, რომ პირველი, რაც ახლა დავიწყეთ, არის იმ მიწების დაბრუნება მოსახლეობისთვის, რომელიც მათ წინა ხელისუფლებამ ჩამოართვა, უკვე დაიწყო ამ მიწების დარეგისტრირება. კომპანია ამ ვალდებულებას თავის თავზე იღებს, შემდეგ მოხდება ამ მიწების აზომვა, მსოფლიო ბანკის სტანდარტებით შეფასება და გამოვლინდება თანხა, რომლითაც ანაზღაურდება მოსახლეობის ქონება.

- ადგილობრივებს ახალ სოფელს აუშენებთ?

- ჩვენ გვინდა და წინადადებაც გვაქვს, რომ შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, მათი მხრიდან გამოყონ ადამიანები ვისაც ენდობიან და ჩვენ მზად ვართ დავჯდეთ, განვიხილოთ. თუ შესაძლებელია იქვე გავაშენოთ ახალი სოფელი, ყველანაირი კომუნიკაციებით, ინფრასტრუქტურულად მოწყობილი, იმისთვის, რომ მივცეთ შესაძლებლობა არ დატოვონ სვანეთი. არანაირი საფრთხე არ ემუქრება საფლავებს, არ ჩაიძირება არც ეკლესიები, რითიც მანიპულირებენ სხვადასხვა არასამათვრობო ორგანიზაციები. მე მინდა ვუთხრა მოსახლეობას, რომ ეს არის არასწორი ინფორმაცია. ჩვენ შევძლებთ ყველა საფლავის გადასვენებას. ვიღებთ პასუხისმგებლობას, რომ რომელსაც ჭირისუფალი აღარ ჰყავს, ისიც კი გადავასვენოთ. მოხდება ასევე ტაძრის გადატანაც. ასე ხდება ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებში, წმინდანებს ასვენებენ, ასე რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ არის.

- არასამთავრობოების და ადგილობრივების მხრიდან კეთდება განცხადება, რომ პროექტში მითითებული სიმაღლის კაშხალი დაუშვებელია იმ ტერიტორიაზე აშენდეს, რადგან შესაძლოა ამას სერიოზული ეკოლოგიური პრობლემები მოჰყვეს. ეს პრინციპული საკითხია, რომ სწორედ ის სიმაღლე უნდა იყოს?

- მოცემული პროექტი, რომელიც ჩვენ გვაქვს, ყველანაირი კვლევებით და სპეციალისტების დადასტურებით ერთ-ერთი საუკეთესოა. ამაზე უკეთესი არ არსებობს. რაც შეეხება ეკოლოგიურ საფრთხეებს, არანაირი ეკოლოგიური საფრთხეები არ არსებობს. გარემოზე ზემოქმედება, რაც უნდა მომხდარიყო, უკვე მომხდარია, მაშინ, როდესაც ენგურჰესი აშენდა. კაშხლის სიმაღლეს და მის მდგრადობას რაც შეეხება, 9 ბალიან მიწისძვრაზეა გათვლილი. მსოფლიოში არსად არ არის ასე, ძირითადად 8 ბალზეა ხოლმე გათვლა. ჩვენს შემთხვევაში კი, როგორც გითხარით, ეს არის 9 ბალი. ასეთი სიმძლავრის მიწისძვრის შემთხვევაში მიწა იხსნება და თუ ქვეყანა აღარ იარსებებს, აღარც ჰესი იქნება საჭირო, ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი უბედურებისგან. ასე რომ, ის არგუმენტები, რასაც ჩვენ ვისმენთ, აბსოლუტურად არაკვალიფიციურია, არანაირად არ შეესაბამება სიმართლეს. ეს ადამიანები ამ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ქვეყანაში პროექტები არ განხორციელდეს და ამაში მათ მიიღონ გრანტი. ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია, შენ იღებდე თანხას იმაში, რომ ქვეყანა თავისი ეკონომიკით, ენერგეტიკით არ განვითარდეს და სიბნელეში ვიყოთ. თანაც ეს ყველაფერი მაშინ ხდება, როცა მსოფლიოში გლობალური დათბობის პრობლემა დგას. ზუსტად ჰიდროელექტროსადგურები არის ის განახლებადი, მწვანე ენერგია, რომელსაც ყველა მიესალმება და ხელს უწყობს მის განვითარებას, ჩვენთან კი ყველაფერი პირიქით არის...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

პირველ რიგში, ნაციონალების ინტერესში შედის ყველა ეგრეთწოდებული სკანდალური საქმის გამოძიება. ისინი საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულები არიან და წინასწარვე აცხადებენ, რომ უკვე შემდეგ, როცა ივანიშვილის მთავრობა, მისივე პროკურორები და ძალოვნები განაჩენებს გამოიტანენ, ბევრს მოუწევს ბოდიშის მოხდა...

გია ბარამიძის სახელს ორი ყველაზე ხმაურიანი საქმე უკავშირდება: ზურაბ ჟვანიას გარდაცვალება და ეგრეთწოდებული აფრასიძეების საქმე. არც ერთ მათგანზე ბარამიძე არ დაკითხულა. თავად დეპუტატი აცხადებს, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობის მზადყოფნა პირველი ოქტომბრის არჩევნების ჩამთავრებისთანავე გამოთქვა. შეიცვლება თუ არა ახალი მთავრობის გადაწყვეტილებებში მეთოდები ამას ახალი მთავარი პროკურორი თავისი ნაბიჯებით დაგვანახვებს.

გიორგი ბარამიძე: „ახლა სწორედ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ბრალდებები გამოიძიონ და დაამტკიცონ. თუ ვინმეს რაიმე ცოდვა აქვს ჩადენილი, დაასაბუთონ და დაიჭირონ“

EXCLUSIVE

გიორგი ბარამიძე, „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:

– პროკურატურის მხრიდან უფრო მკაცრი ზომებიც შეიძლება გატარდეს. ბიძინა ივანიშვილს უცხოელმა დიპლომატებმა უკვე უთხრეს, რომ, თუ კიდევ გაგრძელდება პოლიტიკური ნიშნით დაკავებები, რაც აქამდე ხდებოდა, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო დაკარგავს მხარდაჭერას. საუბარია იმ საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც ჩვენ გვინდა მხარდაჭერა, თორემ ალტერნატივად გაჩნდება მეორე საერთაშორისო ასპარეზი, რომელსაც ჰქვია ევრაზიული კავშირი. ამისკენ თუ უნდა ხელისუფლებას წასვლა, მაშინ სწორედ აგრესიულ გზას აირჩევს. ერთადერთი საკითხი, რაც საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკის თემა იქნება, იქნება სწორედ დაჭერების თემა. როგორც ბელორუსში ხდება. მისი ურთიერთობა ცივილიზებულ სამყაროსთან არის სწორედ დაჭერილი ადამიანების თემა და ის პოლიტიკა, რასაც ლუკაშენკო ატარებს ოპონენტებთან მიმართებაში. თუ ივანიშვილმა იმთავითვე ეს კურსი ჩაიფიქრა და სწორედ იმიტომ ცვლის კბილაშვილს, რომ მან ეს კურსი ვერ გაატარა, ეხლა კი მოვა ადამიანი, რომელსაც ხელი არ აუკანკალდება, ისე გააკეთებს იმას, რაც ზიანს მოუტანს არა მარტო საქართველოს, არამედ ახალ მთავრობასაც, მაშინ ეს სხვა საკითხია. თუმცა იმ მთავრობას, რომელიც დასავლურ კურსს ხელს შეუშლის, ძალიან სერიოზული პრობლემები შეექმნება თავად ქართველი ხალხის მხრიდან. თუმცა უნდა ითქვას, რომ გამოძიების წინააღმდეგი არავინაა, საუბარია იმაზე, რომ ტყუილუბრალოდ არ უნდა ამყოფო ოპონენტი ციხეში. ვანო მერაბიშვილი სამჯერ წავიდა საზღვარგარეთ და სამივეჯერ ჩამოვიდა, გარბოდა სადმე? არსად არ გარბოდა. 6 ათასი კაცი მოითხოვეს მოწმედ. ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი, ვანო მერაბიშვილი თურმე ამ მოწმეებზე ზეგავლენას მოახდენს, თავისუფალი რომ იყოს და ამიტომ ჰყავთ ციხეში ყოფილი პრემიერი, მთავარი ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი. ჩვენ ვითხოვთ, რომ კითხვები, რომლებიც აქამდე არსებობდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ, მათ შორის „ოცნების“ წარმომადგენლების მიერ შექმნილი და ხშირ შემთხვევაში არასამართლიანადაც, კეთილინებონ და ფაქტებით დაამტკიცონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოდიში მოიხადონ. ჩვენს ინტერესშია გამოძიებები და ამიტომაც მოვითხოვთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად და სამართლიანად მოხდეს გამოძიება. აბსოლუტური უმრავლესობა იმ სკანდალური საქმეებისა, არის შეთითხნილი, ბინძური ტყუილი. როცა ოპოზიციაში იყვნენ, ეს მეთოდი ჭრიდა და ხალხსაც სჯეროდა მათი, ამ ყველაფერმა მათს გამარჯვებაში ძალიან დიდი როლი ითამაშა. ახლა სწორედ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ეს ბრალდებები გამოიძიონ და დაამტკიცონ. თუ ვინმეს რაიმე ცოდვა აქვს ჩადენილი, დაასაბუთონ და დაიჭირონ. თუ მათ სურთ, რომ პოლიტიკური ოპონენტები დააშინონ და გვაფიქრებინონ, რომ ყველა ჩვენს ლიდერს იჭერენ და ღირს თუ არა ასეთ ფასად ოპონენტობა, ამით ვერ შეგვაშინებენ და ვერც ხალხს დააშინებენ.

– კითხვები თქვენს მიმართაც იყო, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამბობდნენ, რომ, თუ ვინმეა დასაჭერი ამ საქმეზე, სწორედ გია ბარამიძეაო...

– ვერ ვიტყვი, რომ ყველა ამას ამბობდა. ამიტომ, როცა საყვედურს ვამბობ, ბუნებრივია, ჩემი საყვედური მთელ მთავრობას არ ეხება. ბევრი სისულელის, სიგიჟისა და სიბინძურის ავტორობა არ ეკუთვნის მთელ ამ მთავრობას, თუმცა ვიღაცამ ამ მთავრობიდან მსგავსი რამ ნამდვილად თქვა. თუნდაც ასეთი გიჟური იდეა ხომ უნდა შეისწავლოს პროკურატურამ? ზურაბ ჟვანიას ძმა ლაპარაკობს, რომ ჩვენ ვიცით რაღაც ისეთი, რაც არ იცის გამოძიებამ. ვიღაც ხომ უნდა მოვიდეს და მკითხოს, რა ვიცი? ვფიქრობ, რომ ძალიან კარგად იცის პროკურატურამ, რა ინფორმაციას ვფლობ და ისიც იციან, რომ ეს არ არის ისეთი ინფორმაცია, რაც გამოძიებისთვის უცნობია. სწორედ ამიტომაც არ მომხდარა, ალბათ, ჩემი დაკითხვა, მაგრამ მაინც ხომ უნდა ეკითხათ ჩემთვის? მე ჩემს პირველივე ინტერვიუში, როგორც კი ახალი პარლამენტი შეიკრიბა, ვთქვი, რომ მზად ვარ, ვითანამშრომლო გამოძიებასთან. თუ ვინმე მოვა და მკითხავს, ბუნებრივია, ჩემი მოვალეობა იქნება, პასუხები გავცე.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, რატომ არ მოხდა თქვენი დაკითხვა?

– შეიძლება იმიტომაც, რომ გამომძიებელი თავს ხომ არ გაიმასხარავებს? მან კარგად იცის, რომ ჩვენ არაფერი ისეთი არ ვიცით, რაც გამოძიებისთვის უცნობია. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდეგ ის ადგილი ვნახე, რომელიც არის ნახსენები. არის ჭორი, რომ შემთხვევა იმ მისამართზე არ მომხდარა და იქ გვამები მიიტანეს. ამასთან დაკავშირებით გამოძიებას ვერანაირ ინფორმაციას ვერ მივაწვდი, რადგან ელემენტარულად მე მივედი იქ, სადაც ფაქტია დაფიქსირებული. გამოძიებამ სწორედ ის უნდა გამოიძიოს, ჩადენილ იქნა თუ არა მკვლელობა, მოხდა თუ არა ის ნამდვილად იმ მისამართზე... ამ შეკითხვებს, ბუნებრივია, მე ვერ გავცემ პასუხს. პროფესიონალმა პროკურორმა ძალიან კარგად იცის, ვისთან რა კითხვით უნდა მივიდეს. მე ვსაუბრობ იმაზე, რომ პოლიტიკური სპეკულაციები არ წყდება. როგორც კი გავრცელდა ჭორი, რომ ჟვანიას საქმე შეიძლება დაკავშირებული ყოფილიყო წინა ხელისუფლებასთან, გამოძიებას აზრი დაეკარგა, ნდობის ფაქტორის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მიერ ჩატარდა გამოძიება და მათი დასკვნა დაიდო. ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ცუდი რამ მოხდა, როცა პირველი ოქტომბრის არჩევნებში დავმარცხდით, მაგრამ არის მეორე მხარეც – ახლა მაინც შეწყდება ბრალდებების ტალღა და ახლა მაინც ჩატარდება ისეთი გამოძიება, რომლის შედეგსაც ხალხი დაუჯერებს.

– იმ შემთხვევაში, თუ გამოძიება იგივე შედეგს დადებს, რაც თქვენი ხელისუფლების დროს დაიდო, „ოცნებას“ მოსთხოვთ პასუხს ცილისწამებისთვის?

– როგორ უნდა მოვთხოვო პასუხი ვინმეს? მე მინდა, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადამიანის, ჩემი მეგობრის სული ერთხელ და სამუდამოდ მოვასვენოთ. აღარ მინდა, რომ მისი სახელის ხსენება ყველა ბრუნვაში ხდებოდეს. თუმცა პასუხს იმ ადამიანებისგან ველოდები, ვისაც ოდნავ მაინც აქვს სინდისი და ვინც ზურას მეგობრად მიიჩნევდა თავს, ასეთი ადამიანებისგან ბოდიშს დაველოდები. ყველა იმ ადამიანმა, ვინც ასეთი საქციელი იკადრა, ძალიან დიდი ტკივილი მოგვაყენა. როცა ასეთი ადამიანები თავად დარწმუნდებიან, რომ ზურას მეგობრებს აბსოლუტურად უდანაშაულოდ ჩრდილი მოგვაყენეს, ბოდიში უნდა მოიხადონ. იმ ადამიანებს, ვინც ზურას სიცოცხლეშივე ებრძოდნენ, მის სახელს მაშინაც იყენებდნენ და ახლა მისი სიკვდილითაც ცდილობენ მისი სახელის გაფუჭებას, რა უნდა მოვთხოვო? სწორედ ასეთი ადამიანები ცდილობენ, რომ ზურას სახელი იმით გასვარონ, რომ მის სიკვდილში მისივე მეგობრების სახელები გარიონ. ათასმეერთე ჩინურ გაფრთხილებასავით გვესმის მთელი ეს პერიოდი, რომ აი, ახლა გაიხსნება ეს საქმე. ახლაც იგივე გვესმის.

– თვლით, რომ კიდევ დიდხანს გაგრძელდება ასე?

– დაუსრულებლად ვერ გაგრძელდება, რადგან ყველაფერს აქვს თავისი ლიმიტი. ამ თემის ლიმიტი, ჩემი აზრით, უკვე ამოწურულია, თუმცა ჯერ კიდევ აქვს საზოგადოებას გარკვეული თმენის ლიმიტი. ჩვენც კიდევ მოვითმენთ, სადაც ამდენი ბინძური ცილისწამება მოგვითმენია, მით უმეტეს, თუ საზოგადოება დაინახავს, რომ ის საუბრები და ბრალდებები, რაც ჩვენთან მიმართებაში იყო, უნამუსო და ჩვენს წინააღმდეგ არსებული პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებაა. ან უბრალოდ, როგორც იტყვიან, უბედურებისგან გამწარებული ადამიანების შეცდომა, რასაც მე პირადად უნებლიე შეცდომას ვეძახი. ზურას ოჯახის წევრებს ვერ გავუბრაზდები ვერანაირად, ვერც ადამიანურად. ჩემთვის ისინი იყვნენ და არიან ზურას ოჯახის წევრები და მესმის, რომ მათ ყველანაირი უფლება აქვთ. თუმცა მათგან ამას არც მოველოდი და ვერც წარმოვიდგენდი, მაგრამ მაინც ვერ ვბრაზდები მათზე ისე, რომ რაიმე მწარე სიტყვა ვთქვა.

„ზურას ოჯახის წევრებს ვერ გავუბრაზდები ვერანაირად, ვერც ადამიანურად... თუმცა მათგან ამას არც მოველოდი და ვერც წარმოვიდგენდი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სკანდალური გამოძიება, რომლითაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს ბრალი კიდევ დაუმძიმდებათ

my View
ინგა გრიგოლია

ერთ-ერთი სკანდალური საქმე, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერებიდან სულ მალე დაიდება, ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიების დეტალებია... ეს სწორედ ის საქმე იქნება, რომლითაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილს, სავარაუდოდ, ბრალი დაუმძიმდებათ. გამოძიება ჯერ დუმს, თუმცა ღარიბაშვილი ღიად ამბობს, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის კვალი ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებამდე მიდის.

ამ დღეებში სახალხო დამცველი დადებს მასალებს, რომელიც, ჩვენი ინფორმაციით, მეტისმეტად სკანდალური შეიძლება აღმოჩნდეს. საქმე ეხება მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ხელს ადებენ სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილ მთავარ ფიგურებს. მათ შორის, ავსტრიიდან სკაიპით არიან ჩაწერილები ის ჩეჩენი მებრძოლებიც, რომლებიც ცოცხლები გადაურჩნენ ლაფანყურის სპეცოპერაციას და მშვიდობით გააღწიეს საქართველოდან ევროპაში. რამდენადაც ჩვენთვის ხდება ცნობილი, სწორედ ისინი ადებენ ხელს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მაღალჩინოსნებს, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე მათ მობილიზაციას ახდენდნენ, აცხოვრებდნენ და საგანგებოდ ამზადებდნენ რაღაც სპეცოპერაციისთვის.

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი მის ხელთ არსებული მასალის დეტალებს ჯერ არ ახმაურებს, თუმცა ამბობს, რომ ეს მასალები მეტისმეტად ხმაურიანი იქნება და ის პროკურატურას გადაეცემა. არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაციაც, თითქოს ამ ჩვენებებში არა მხოლოდ ყოფილი, არამედ ამჟამად მოქმედი მაღალი რანგის პოლიციელების გვარებიც იკვეთება. ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა, როცა სახალხო დამცველი მის ხელთ არსებულ მასალებს გაასაჯაროებს...

ვრცელდება ინფორმაციაც იმის შესახებ, თითქოს მოწმეები საუბრობენ ერთ მეტად უცნაურ ფაქტზე, რომ მათგან ითხოვდნენ, საკუთარ ჩვენებებში ყველას სახელი და გვარი ეხსენებინათ, გარდა სამისა. ეს სამი პიროვნება, რომელთა გასაიდუმლოებასაც მოწმეებს სთხოვდნენ, არის ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილე გია ლორთქიფანიძე, რომელიც წარმოშობით ახმეტიდანაა, კახეთის გუბერნატორის ყოფილი მოადგილე გიორგი სიბაშვილი და კუდ-ის უფროსის ყოფილი მოადგილე ვაჟა ლილუაშვილი. ვის და რატომ სჭირდება დღეს ამ სამი ადამიანისთვის ხელის დაფარება, ძნელი სათქმელია, მაგრამ სახალხო დამცველის მასალებში მოწმეები ყვებიან, როგორ მიდიოდა მათთან მოლაპარაკებები უკვე ახალი ხელისუფლების პირობებში, რომ ლორთქიფანიძე, ლილუაშვილი და სიბაშვილი მათ მიერ დასახელებულ მოქმედ პირთა შორის არ ყოფილიყვნენ.

ლაფანყურის სპეცოპერაცია იქნება კიდევ ერთი საქმე, რომლითაც ბაჩო ახალაიასა და ვანო მერაბიშვილის პატიმრობა შესაძლოა, კარგა ხნით გახანგრძლივდეს, მით უფრო, რომ საქმე სახელმწიფო უსაფრთხოებას და თავიდან ძლივსაცილებულ შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება, რომელიც პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე კინაღამ

EXCLUSIVE

ბომბივით აუფეთქდა საქართველოს.

ლაფანყურის საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებდა ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობისას. შესაბამისად, ყველანაირი ლოგიკით, სწორედ ეს იქნება პირველი სკანდალი, რომელსაც ღარიბაშვილის გაპრემიერებისთანავე დადებს სამინისტრო, უკვე ახალი მინისტრის პირობებში, თუმცა რეალურად ეს იქნება ირაკლი ღარიბაშვილის მიერ წარმოებული გამოძიება, რომელიც ბოლოდროინდელი ქართული პოლიტიკის ყველაზე ხმაურიანი საქმის დეტალებს გახდის ცნობილს.

თავისთავად ცხადია, რომ ღარიბაშვილის გადასვლა ქვეყნის პირველ პირად არ იქნება უბრალოდ თანამდებობრივი ცვლილება. პირველი, რაც ახალ პრემიერს მოუწევს, იმის დამტკიცება იქნება, რომ ის იწყებს დადებული პირობის შესრულებას სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური ტემპის შენელების საფრთხეებზე ღიად მიდის საუბარი, ახალ პრემიერ-მინისტრს მოუწევს, საზოგადოებას დაუმტკიცოს, რომ ის თავად ხდება სამართლიანობის აღდგენის გარანტი. სამართლიანობის აღდგენა კი, ჩვეულებრივ ენაზე, თავისთავად ნიშნავს იმ ყველაზე ხმაურიანი საქმეების გამოძიებას და შესაბამის პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაყენებას, რომლებთანაც მიდის ამ საქმეების კვალი.

შემთხვევითი, ალბათ, არ უნდა იყოს მთავარ პროკურორად სწორედ იმ პიროვნების დანიშვნა, ვინც ცნობილი გახდა ნაციონალების საკრებულოს წევრთა დაპატიმრებებითა და მინარეთის სკანდალით. ოთარ ფარცხალაძე, სავარაუდოდ, იქნება ღარიბაშვილის მთავარი ბერკეტი ამ სკანდალური საქმეების გამოძიებაში. შესაბამისად, ქვეყანაში დაჭერების ახალ ტალღას ელოდებიან. თუ ეს ასე მოხდა, ღარიბაშვილის პოლიტიკური რენომე სამართლიანობის აღდგენასთან იქნება პირდაპირ დაკავშირებული „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა თვალში, რაც შეანელებს მეოცნებეებისგან განხიბლული მისი მხარდამჭერების გადაბარგებას სხვა, უფრო რადიკალურ პოლიტიკურ ბანაკში, რომელსაც ნინო ბურჯანაძე ჩაუდგება სათავეში და რომელიც სწორედ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნის სლოგანით დაიწყებს წინასაარჩევნო სამზადისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

სავარაუდოდ, სწორედ ამ ხმაურიან საქმეებს შეეწირა არჩილ კბილაშვილი. სხვა თუ არაფერი, ბაჩო ახალაიას ორი გამამართლებელი განაჩენი დამოკლეს მახვილივით დაიკიდა მთავარი პროკურორის თავზე. გაბათილებული მტკიცებულებები, რომელიც პროკურატურას შერჩა, ახლა სხვა, უფრო მძიმე არგუმენტებს მოითხოვს... ეს სიმძიმე უკვე ოთარ ფარცხალაძეზე გადავა. სახალხო დამცველი აპირებს, საკუთარი მასალები ლაფანყურის თაობაზე პირდაპირ გადასცეს პროკურატურას. მასალების გადაცემის დრო ზუსტად დაემთხვევა ახალი პრემიერისა და მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას. დანარჩენი უკვე პოლიტიკური ნების ამბავი იქნება.

ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი ასახელებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ყოფილი მაღალჩინოსნების გვარებს, ვინც პირადად იყვნენ ჩეჩენი ბოევიკების მობილიზაციის ხელმძღვანელები. ამ გვარებს შორისაა მერაბიშვილის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, კონტრტერორისტული ცენტრის ყოფილი უფროსი ზურა მაისურაძე, ამავე ცენტრის კახეთის სამმართველოს ყოფილი უფროსი სანდრო ამირიძე, ამავე ცენტრის თანამშრომლები – ემზარ მაჩალაშვილი და ზელიმხან ნახგოშვილი. ეს სწორედ ის ჯაჭვია, რომელიც ყოფილი გუნდის ვერტიკალზე გაიყვანს გამოძიებას. მთავარი კი მთელ ამ ამბავში ის ჩეჩენი ბოევიკები არიან, რომლებმაც ცოცხლად გააღწიეს საქართველოდან. მათი ჩვენებები უკვე სახალხო დამცველს აქვს ხელთ და ამ დღეებში გახდება ცნობილი საზოგადოებისთვის. რამდენად დაუმძიმებს ბრალს ეს ჩვენებები ვანო მერაბიშვილსა და ბაჩო ახალაიას და გახდება თუ არა ეს თემა მათთვის ახალი ბრალის წაყენების საფუძველი – ეს, ალბათ, უკვე ამ კვირის „დიდი პოლიტიკის“ ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება.

ახალი ხელისუფლება, როგორც ჩანს, ახალაიასა და მერაბიშვილის განთავისუფლებას კიდევ კარგა ხანს არ აპირებს. ირაკლი ღარიბაშვილის გაპრემიერება კი თავისთავად აჩენს მოლოდინს, რომ ქვეყანაში ბევრ გახმაურებულ და გამოუძიებელ საქმეს აეხდება ფარდა, რადგან მთავარი პროკურორის ახალი კანდიდატურა სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გახდა ცნობილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გრიგოლ ვაშაძე: „ის, რომ რუსეთი სერიოზული პოლიტიკური დიალოგისთვის არ არიან მზად, ამის თქმა ყველას ნამდვილად შეუძლია“

EXCLUSIVE

ქეთი ხატიაშვილი

საქართველოს საგარეო კურსის მთავარი აქცენტები და პრიორიტეტები. დგას თუ არა საქართველო არჩევანის წინაშე და რუსეთთან მოლაპარაკებების ვექტორმა რამდენად გადაინაცვლა პოლიტიკიდან ჰუმანიტარულ საკითხებზე. კონფლიქტური ზონები და ის, რაც რუსეთს საქართველოში აინტერესებს.

„პრაიმტაიმს“ საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესაუბრა:

– ბატონო გრიგოლ, ჟენევის მოლაპარაკებით დავიწყოთ, 25-ე რაუნდი დასრულდა... ბევრი საუბარი იყო ჟენევის ფორმატის შეცვლის შესახებ. ამ რაუნდის დასრულების შემდეგ კი თითქმის ურთიერთგამომრიცხავი შეფასებები გაკეთდა. ხელისუფლება ამბობდა, რომ გარკვეული პროგრესი დაფიქსირდა, თუმცა ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ივანიშვილის ხელისუფლების პოლიტიკის მიუხედავად, რაც რუსეთისადმი რიტორიკის შერბილებას ითვალისწინებს, ჟენევის მოლაპარაკებებზე ეს არ ასახულა. როგორია თქვენი შეფასება?

– უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნოთ , რომ ის პროგნოზები, რომელსაც ხელისუფლება ერთი წლის წინათ აკეთებდა, მცდარი აღმოჩნდა. ხელისუფლების მოლოდინი იყო ასეთი: ქართული მხარის მიერ ე. წ. რიტორიკის შერბილება, პირდაპირი დიალოგის გახსნა – კარასინი-აბაშიძის ფორმატს ვგულისხმობ, - რუსეთზე საერთაშორისო ორგანიზაციებში სამართლებრივი და პოლიტიკური ზეწოლის დონის დანევა რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის პროგრესზე უნდა ასახულიყო. მინდა ვთქვა, რომ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობას ყველა მივესალმებით. ხუთი წლის განმავლობაში ვცდილობდით ამას, მაგრამ ყოველი კონტაქტის წინ ჩვენს პარტნიორებსა და რუსეთის ფედერაციასაც ვაფრთხილებდით, რომ არის წითელი ხაზები, რომელსაც საქართველო არასოდეს გადალახავს.

ის წინასაარჩევნო დაპირებები კი, რომელსაც ხელისუფლება უხვად იძლეოდა, ქვიშის კოშკებივით დაიფშვნა. თუ თქვენ ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეების განცხადებებს წაიკითხავთ, დარწმუნდებით, რომ არავითარი პროგრესი რუსეთთან მიმართებაში არ არის. მით უმეტეს იმ საკითხებში, რომლებიც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებს, ანუ ის, რომ რუსეთმა აიღოს თავის თავზე ძალის არგამოყენების ვალდებულება (ზუსტად ისე, როგორც 2010 წლის 23 ნოემბერს გააკეთა ეს საქართველოს პრეზიდენტმა), და მეორე, როდის და როგორ უნდა მოხდეს დევნილების და იძულებით გადაადგილებული პირების დაბრუნება თავიანთ სახლებში.

პირველ საკითხზე ჩვენ რუსეთისგან უარს ვიღებთ იმ მოტივით, რომ ის კონფლიქტის მონაწილე არ არის (პარალელურად კრემლი აგრძელებს მცდელობას საერთაშორისო-სამართლებრივი ლეგიტიმაცია შემატოს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ე.ნ. დამოუკიდებლობას). მეორე საკითხზე კი მოსკოვი საოკუპაციო რეჟიმებთან ერთად ამტკიცებს, რომ მათ ეთნოწმენდა არ ჩაუტარებიათ, დევნილებთან მიმართებაში ყველა ვალდებულება შესრულებული აქვთ და "ეხლა საქართველოს აქვს ვალდებულება მოახდინოს დევნილების ინტეგრაცია".

მე პირადად მოხარული ვარ, რომ ჟენევის მოლაპარაკეების დღევანდელი ხელმძღვანელობა აფიქსირებს, რომ საქართველო არ შეწყვეტს ზემოხსენებული საკითხების დაყენებას და სანამ ჟენევის მოლაპარაკებებში ამ ორ საკითხზე არ იქნება შედეგი, მანამ მოლაპარაკებებზე საქართველოს აზრით პროგრესზე ლაპარაკი ზედმეტია.

თუმცა გვახსოვდეს, რომ ჟენევის ფორმატს თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, რადგან საქართველო მოლაპარაკებების ამისთანა ფორმატს ვერასოდეს ვერ მიიღებს: არასოდეს აღარ გვეყოლება მონაწილედ საქართველო, აშშ და რუსეთის ფედერაცია, და სამი თანათავმჯდომარე – ევროპის კავშირი, ეუთო და გაერო.

ამიტომ ის, რომ დღეს ჟენევის მოლაპარაკებებში შედეგი არ არის, არ ნიშნავს, რომ ფორმატი არ არის კარგი.

25 რაუნდს რომ დავუბრუნდეთ: დაკვირდით კარასინის განცხადებებს – რით დამთავრდა ეს რაუნდი რუსეთის თვალსაზრისით? პირველი იმით, რომ საქართველო ჯერ კიდევ მზად არ არის, აღიქვას რეალობა, ანუ შეეგუოს იმას, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოები არიან. მეორე ის, რომ ყველა საერთაშორისო ვალდებულება დევნილებთან და იძულებით გადაადგილებული პირებთან მიმართებაში შესრულებულია და გალის რაიონში მოსახლეობის დაბრუნების შემდეგ ეს პრობლემა ამოწურულია. და მესამე, რაც შეეხება მავთულხლართებსა და მცოცავ ოკუპაციას: აქ, არაფერი უკანონო არ ხდება, რადგან აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოებია და ადგილი აქვს მათი საზღვრების დაფიქსირებას. კარასინმა რაუნდის წინ ისიც განაცხადა, რომ საქართველო იძულებული იქნება, საზღვარი თვითონ გაავლოს.

ამ პირობებში ქართულ დელეგაციას ვერ მოვთხოვთ პროგრესის მიღწევას, მაგრამ დროა ხელისუფლებამ შეწყვიტოს მოყოლა იმისა, თუ რა არნახულ წარმატებას მიაღწია მოსკოვთან ურთიერთობაში. ჟენევაში კი ჩვენ ამოცანად რჩება კეთილი ნების დემონსტრირება, რომ სამივე თანათავმჯდომარე და მათი მეშვეობით საერთაშორისო თანამეგობრობა იყოს დარწმუნებული, რომ საქართველო ძველებურად კონსტრუქციულ პოზიციებზეა და საერთაშორისო სამართლებრივი გზით სურს ჩვენი ორი პროვინციის დეოკუპაცია და ის, რომ ჩვენ ყველა საშუალებით მხარს ვუჭერთ ჟენევის ფორმატს.

– ახალი ხელისუფლება ხშირად აფიქსირებს, რომ უნდა დაიწყოს პირდაპირი მოლაპარაკებები აფხაზეთთან და ცხინვალთან. ხომ არ არის ეს იმის საფუძველი, რომ ჟენევის ფორმატში მათი წარმომადგენლებიც ჩაერთონ?

– სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რომ დღევანდელი ხელისუფლების ნარმომადგენელს ეთქვას, რომ ჟენევის ფორმატი უნდა ჩანაცვლდეს პირდაპირი მოლაპარაკებებით საოკუპაციო რეჟიმებთან. რამდენადაც მესმის, ხელისუფლების ზოგიერთი მოლაპარაკე თავი აცხადებს, რომ რიგ ჰუმანიტარულ საკითხებზე შეიძლება იყოს პირდაპირი კონტაქტები. ამასაც უკიდურესი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან პირდაპირი ე.წ. დიალოგი საოკუპაციო რეჟიმებთან შეიძლება დამთავრდეს იმით, რომ რუსეთმა დამატებითი არგუმენტი მიიღოს იმ თეზისის გასამტკიცებლად, რომ რუსეთი ამ კონფლიქტის მონაწილე არ არის.

– როგორც უკვე თქვეს პუტინმა და მედვედევმა...

– ისინი ამას ომის პირველი დღიდან იმეორებენ. რუსეთის მთავრობის შემადგენლობა და მიდგომები არ შეცვლილა, ამიტომ რა გასაკვირია, კრემლის სიჯიუტე განცხადებებში, რომ რუსეთი არ არის 2008 წლის ომის მონაწილე, და პრობლემების დარეგულირება შეიძლება მარტო საქართველოსა და "ორი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს" მოლაპარაკებების გზით. და კიდევ იმ "ახალი რეალობის" გათვალისწინებით, რომელიც სამხრეთ კავკასიაში "შეიქმნა".

ხელისუფლებას სიფრთხილე მართებს. ყოველი განცხადება უნდა გაკეთდეს სერიოზული საერთაშორისო სამართლებრივი ანალიზის შემდეგ და არ უნდა დავთმოთ ის სამართლებრივი პოზიციები, რომელიც ახლა გვაქვს – მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ასე რომ, არც ჩვენი სამართლებრივი პოზიციები, არც ჟენევის ფორმატი საფრთხის წინაშე არ უნდა დავაყენოთ. პირდაპირი დიალოგის მოუფიქრებელი მცდელობა, როგორც უკვე ვნახეთ, ირიბად თუ ასევე პირდაპირ ჟენევის ფორმატს საფრთხის წინაშე აყენებს.

– თქვენ ახსენეთ ვაჭრობა და ჰუმანიტარული საკითხები. რამდენადაც მახსოვს, თქვენი ხელისუფლების დროს პრიორიტეტი იყო პოლიტიკური თემები და ჰუმანიტარული თემები მეორე პლანზე იყო გადაწეული... ევროსაბჭოში მახსოვს, ერთ-ერთმა მომხსენებელმა ვერ გააკეთა მოხსენება აფხაზეთში ჰუმანიტარულ თემებზე მხოლოდ იმიტომ, რომ თბილისი მას რუსეთის ტერიტორიიდან შესვლის უფლებას არ აძლევდა, მოსკოვს კი სურდა, რომ ევროკავშირის დეპუტატი სოხუმში რუსეთის ტერიტორიიდან გადასულიყო...

– უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელი არასოდეს შეუშლია საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესულიყვნენ. ჩვენი მოთხოვნა იყო, ეს კანონიერი გზით მომხდარიყო და შესვლა საქართველოს თავისუფალი ტერიტო-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არ მიანოდე, არაფერს მოგანოდებენ“

„რუსეთში 10 მილიონი ბოთლი ღვინოა გატანილი, მაგრამ ამ პატარა პროგრესმა ფუნდამენტალურ საკითხებში ვერაფერს მიგვაღწევინა“

„ჟენევის ფორმატი საფრთხის წინაშე არ უნდა დავაყენოთ. ყოველი პირდაპირი დიალოგი, ირიბად თუ ასევე პირდაპირ, ჟენევის ფორმატს საფრთხის წინაშე აყენებს. თქვენ ნახეთ, რა რეაქცია ჰქონდა რუსეთს და რა მცდელობები მიდის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ვილნიუსში დაიბლოკონ - ზოგი პარაფირებისგან და ზოგი ხელმოწერისგან“

რიიდან განხორციელებულიყო. თუმცა თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ საგარეო საქმეთა სამინისტროს და ნახოთ, რამდენჯერ დავთანხმდით ჩრდილოეთიდან გამონაკლისის სახით საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლის ან ჰუმანიტარული ტვირთის აფხაზეთში ან ე.წ. სამხრეთ ოსეთში შესვლა დაგვეშვა. იმაზე აღარ ვლაპარაკობ, რომ მთელი რიგი ჰუმანიტარული აქციები, მათ შორის სამედიცინო ხასიათის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს ინიციატივითა და დაფინანსებით ხდებოდა. როდესაც ჰუმანიტარულ საკითხებზე ვსაუბრობთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად ავიწყდებათ, რომ ჩვენ დავიწყეთ და ორ რაუნდში მოვრჩით მოლაპარაკებებს ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნის თაობაზე. ასევე, ჩვენი მეშვეობით აღდგა პირდაპირი ავიამიმოფრენა რუსეთისა და საქართველოს ქალაქებს შორის, რომელსაც კი ჰქვია ჩარტერული, მაგრამ ავტომატურად ახლდება სამ თვეში ერთხელ. ასევე, ჩვენ ცალმხრივად მოვხსენით საავიო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებზე. 2012 წლისთვის რუსეთის ტურისტების რაოდენობა 500 ათასამდე გაიზარდა. ჩვენ ყოველთვის ვაცხადებდით, რომ ერთის მეორეთი ჩანაცვლებას არასოდეს დავთანხმდებოდით, მაგრამ ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებულ საუბარზე უარი არასოდეს გვითქვამს.

კიდევ ერთ მაგალითს მოგიყვანთ: ჩვენ რამდენჯერმე ვიყავით ძალიან ახლოს იმასთან, რომ ქართულ ბიზნესს დაეწყო მოლაპარაკება სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და ღვინის გატანაზე რუსეთში. მაგრამ ბოლო წუთს რუსები იღებდნენ გადაწყვეტილებას, რომ ეს მოლაპარაკებები არ დაწყებულიყო პოლიტიკური მიზეზების გამო. ზუსტად იმ მიზეზების გამო, რის გამოც 2006 წელს ჩვენს პროდუქციას დაუწესეს ემბარგო. რაკი დღეს ბაზრის გახსნის გადაწყვეტილება მიიღეს, ჩვენ მივესალმებით რუსეთში 10 მილიონი ბოთლი ღვინის გატანას, მაგრამ გვახსოვდეს, რომ ამ პატარა პროგრესმა ფუნდამენტალურ საკითხებში ვერაფერს მიგვაღწევინა.

პრინციპულ პრობლემებში როგორც მაშინ ვერ შევაცვლევინეთ რუსებს პოზიცია, ვერ ვაცვლევინებთ ახლაც. უბრალოდ ნუ დავავიწყებთ რუსებს, რომ საქართველოში წარმოუდგენელია ისეთი მთავრობა, რომელიც ეკონომიკური სარგებლის გამო წითელ ხაზებს გადაკვეთს. მე პირად ამაზე ფიქრიც კი არ მინდა.

– როდესაც საუბრობდით, რომ წინა ხელისუფლების დროს გქონდათ რუსეთთან ურთიერთობის დალაგების მცდელობა, თქვენ ჩამონათვალი გააკეთეთ. შეიძლება გვითხრათ, პოლიტიკური არხებით რა რესურსი იყო გამოყენებული? და თუ არსებობდა საერთოდ ასეთი რესურსი?

– ყველანაირი შესაძლებლობა იყო გამოყენებული, მაგრამ გამოდის, რომ რესურსი არ არსებობდა, ისევე როგორც დღეს. რესურსი არსებობს მაშინ, როდესაც შედეგი არის მიღწეული. და როდესაც არაფერი არ მოხდა, ესე იგი რესურსი არ არსებობდა. ისე, უამრავი მცდელობა იყო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ რამდენიმე უკიდურესად ავტორიტეტული და მაღალ პოსტზე მყოფი ადამიანი, ჩვენი მოკავშირე ქვეყნების წარმომადგენელი, პერიოდულად მოგვმართავდა თხოვნით, რომ რუსეთთან დიპლომატიური არხებით კონტაქტების დაწყებას დავთანხმებულიყავით. რამდენჯერმე ვითომ

ძალიან ახლოს ვიყავით პროცესის დაწყებასთან, მაგრამ ბოლო წუთში ის ადამიანები, ვისაც რუსეთი უნდა წარმოედგინათ, თავიანთი პოლიტიკური ხელმძღვანელობისგან საბოლოო თანხმობას ვერ იღებდნენ.

– არ თვლით, რომ პოლიტიკური საკითხების ჰუმანიტარული საკითხებით ჩანაცვლება მაინც მოხდა?

– იცით, რა არის? მე ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და არ მინდა ჩემი მთავრობის წარუმატებლობა. მით უმეტეს, როდესაც პოლიტიკური საკითხების შეგნებულად ჩანაცვლება ჰუმანიტარული დისკუსიებით არ მომხდარა. სხვა შეცდომას აქვს ადგილი: ხელისუფლება თავისივე ოპტიმისტური და, მაპატიეთ, დილეტანტური დაპირებების მძევალი გახდა. უჭირთ შეცდომის აღიარება. ამ დროს დადასტურდა თეზისი იმაზე, რომ რუსები სერიოზული პოლიტიკური დიალოგისთვის არ არიან მზად და ხელისუფლება შეცდა. ამის თქმა ნამდვილად შემიძლია და დამეთანხმებით, რომ ამის ყველანაირი საფუძველი არსებობს.

ნება მიბოძეთ ცოტა უკან დავბრუნდეთ. კარასინმა 25-ე რაუნდის შემდეგ თქვა, რომ იმედგაცრუებულია საქართველოს ხელისუფლებაში მოსული ახალი ხალხით და მათ ის იმედები, რაც რუსეთს ჰქონდა, ვერ გაამართლეს. ანუ სერიოზულად ფიქრობდა მოსკოვი, ან ილუზია ჰქონდა, რომ ივანიშვილის მთავრობა საელჩოს გახსნიდა და ზედ ქართულ დროშას ჩამოკიდებდა ცხინვალსა და სოხუმში? და საიდან გაუჩნდათ ეს რწმენა ან ილუზია? მეოცნებების წინასაარჩევნო ფანფარების გამო ხომ არა?

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სადაც იყო ურთიერთშეხების წერტილი, ჩვენ ეს საკითხები ძალიან მალე მოვაგვარეთ. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, პროგრესი არ არის და დღევანდელი რუსეთის ხელისუფლების პირობებში პროგრესი არც იქნება. აქ დისკუსია აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზეც კი არ არის. დისკუსია არის იმაზე, რომ საქართველომ შეუკვეცა და წაართვა რუსეთს ერთპიროვნული გეოსტრატეგიული წამყვანი როლი სამხრეთ კავკასიაში. ამას რუსეთი ვერ შეეგუა. მას წამყვანი როლის დასაბრუნებლად ჩვენს რეგიონში საქართველოს ტერიტორია მთლიანად სჭირდება. რუსეთისთვის ოკუპირებული ტერიტორიები არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს, გარდა იმისა, რომ ეს არის ინსტრუმენტი საქართველოზე ზემოქმედების.

– თქვენ იყავით საგარეო საქმეთა მინისტრი... მაინტერესებს, იყო თუ არა რაიმე შემოთვლა ევრაზიულ კავშირთან დაკავშირებით?

– არასოდეს... მოსკოვში მშვენივრად ესმოდათ, რომ საქართველო არასოდეს შევიდოდა არც ერთ იმ გაერთიანებაში, რომელიც რუსეთის ეგიდით შეიქმნებოდა, და რომ ჩვენი არჩევანი იყო და არის ნატო და ევროპის კავშირი. ისიც იცოდნენ, რომ ეს მარტო მთავრობის გადაწყვეტილება კი არა, ხალხის არჩევანია. ამიტომ არანაირი შემოთვლები არ ყოფილა და ვერც იქნებოდა.

საერთოთ რუსეთის შემოთვლებსა და შემოთავაზებას, ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ, რადგან რუსეთთან დახურული კონტაქტი შესაძლებელია მაშინ, როდესაც შენი მოკავშირეები სრულიად საქმის კურსში არიან და ერთი მაინც მონაწილეობს პროცესში შუამავლის სახით. აუცილებლად უნდა იყოს მესამე ობიექტური მხარე, რომელიც დაადასტურებს იმ შედეგს, რომელიც ამ თამაშის შედეგად შეიძლება მივიღოთ. რუსებთან „ტენისის“ თამაში არბიტრის გარეშე არ შეიძლება.

– რამდენად სავარაუდოა, რომ სოჭის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოზე გაგრძელდეს ზეწოლა ევრაზიულ კავშირში შესვლასთან დაკავშირებით?

– სოჭის ოლიმპიადამდე, სოჭის ოლიმპიადის დროს, სოჭის ოლიმპიადის შემდეგ საქართველოს მთავრობა რუსეთის ფედერაციისთვის არის მოწინააღმდეგე და არა პარტნიორი, გამომდინარე იქიდან, რომ არც ერთი ხელისუფლება უარს არ იტყვის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე. თქვენ ნახეთ, რა რეაქცია ჰქონდა რუსეთს და რა მცდელობები მიდის, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები ვილნიუსში დაიბლოკონ - ზოგი ხელშეკრულებების პარაფირებისგან და ზოგი ხელმოწერისგან. თუმცა ადრე ბრიუსელში რუსეთი ევროპის კავშირს უმტკიცებდა, რომ ნატო მათთვის უზარმაზარი საფრთხეა, ხოლო ევროპის კავშირი კი საფრთხეს არ წარმოადგენს.

– ვილნიუსში რა შედეგს ელოდებით?

– პარაფირებას. პარაფირებაა გამოცხადებული, თუ მანამდე რაიმე კატაკლიზმი არ მოხდა... ეს შედეგი არ უნდა გავაზვიადოთ, როგორც დიდი მიღწევა და არც მნიშვნელობა არ უნდა დავუკარგოთ, რადგან ორი ფუნდამენტური საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი მთლიანად არის შეთანხმებული საქართველოსა და ევროპის კავშირს შორის... ეს დიდი მიღწევაა.

– თქვენ იყავით ჩართული ამ პროცესებში...

– ამ დოკუმენტის ტექსტის 95% ჩვენი ხელისუფლების დროს უკვე მზად იყო, რაც იმას არ ნიშნავს, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ უმუშავია. მათ მიიყვანეს ეს სამუშაო ბოლომდე. ერთადერთი მინდა აღვნიშნო, რომ 2012 წლის ოქტომბრამდე ჩვენც და ჩვენი ევროპელი პარტნიორებიც გამოვდიოდით იქიდან, რომ ვილნიუსში დოკუმენტებს ხელი უნდა მოგვეწერა. თუმცა 2012 წლის ნოემბერში, როგორც ეს ერთ-ერთმა დღევანდელმა მინისტრმა გვაუწყა, ივანიშვილის ვიზიტის დროს ბრიუსელში ევროპელმა პარტნიორებმა მათ განუცხადეს, რომ ვილნიუსში იქნება პარაფირება. მიზეზი, მგონია, ყველასთვის ნათელია.

იყოს პარაფირება. ეს უკვე მიღწევაა... საბოლოო ნაბიჯი თუ არა, საბოლოო ნაბიჯის ნახევარი უკვე გადადგმულია იმისკენ, რომ ჩვენ ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები მივიღოთ. საქართველოსთვის ეს გიგანტური ნახტომია. ამას ყველა უნდა მივესალმოთ.

გარდა ამისა, იმედი მაქვს, რომ საქართველოს დიპლომატია უკვე დიდი ხანია მუშაობს თავის ევროპელ კოლეგებთან ერთად იმაზე, რომ ვილნიუსის სამიტის ფინალურ დოკუმენტში ობიექტურად იყოს აღნერილი ის პროგრესი, რომელიც საქართველოს აქვს თავის სახელმწიფოებრიობის დემოკრატიულ განვითარებაში. ეს ჩვენ მარტო ვილნიუსში და ევროკავშირთან მიმართებაში არ გვჭირდება. ეს კიდევ უფრო დაგვჭირდება 2014 წლის აპრილში ნატოს სამიტზე.

– და ბოლოს, თქვენ ხედავთ, როგორი იქნება ამ ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა ერთი, ორი ან თუნდაც სამი წლის შემდეგ?

– საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეინარჩუნა ევროპული და ევროატლანტიკური ვექტორი და არასოდეს უშვებს ხელიდან შესაძლებლობას, რომ რიტორიკის დონეზე მაინც დაადასტუროს ჩვენი ქვეყნის მტკიცე არჩევანი. თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათ თავისივე ხელისუფლებაში არც თუ ისე ცოტა მოწინააღმდეგე ჰყავთ.

მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ძალიან ბევრი მიმართულებით მუშაობა ან სრულიად შეწყვეტილია, ან სერიოზულად არის შესუსტებული.

ტრაგედიაა, თუ ვინმეს არ ესმის, რომ საქართველოს არ შეიძლება არ ჰქონდეს მრავალვექტორული დიპლომატია, დამოუკიდებელი პოლიტიკა ცენტრალური და ლათინური ამერიკის, აფრიკის, აზიის და ოკეანეთის ქვეყნებთან მიმართებაში. დიპლომატია ტენისს ჰგავს: შენ თუ არ მიაწოდე, არაფერს მოგაწოდებენ. ამიტომ როდესაც ჩვენ ჩვენ საკითხებზე ვმუშაობდით, პარალელურად მზად ვიყავით დახმარება გაგვეწია ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჩვენი დახმარება ესაჭიროებოდათ თავისი საკითხების დაყენებაში.

საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩვენი აქტივობა სახიფათოდ შესუსტებულია, რაშიც თავისი როლი პოლიტიკური მოსაზრებებით ნაკარნახევმა საკადრო გადაწყვეტილებებმაც ითამაშეს.

არაღიარების პოლიტიკის უგულველყოფამ მიგვიყვანა იქამდე, რომ საოკუპაციო რეჟიმები ევროსაბჭოში თავის "დღეებს" ატარებენ და მათი "საგარეო საქმეთა მინისტრები" რომში იტალიისგან აღიარებას ითხოვენ.

მთლიანობაში შემიძლია გითხრათ, რომ მე ვერ ვხედავ იმ ხედვას, რაც საქართველოს დიპლომატიაში თითქმის ყოველთვის იყო: ანუ სად ჩაიბარე შენ საგარეო პოლიტიკა და სად გინდა, რომ ეს საგარეო პოლიტიკა იყოს სამი-ოთხი წლის შემდეგ.

ამ პროცესის ხელოვნურად დაყვანა მხოლოდ ევრო და ევროატლანტიკურ ინტეგრაციამდე კარგს არაფერს მოგვიტანს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი ინაუგურაციაზე მივა

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილის მისვლა ინაუგურაციაზე დადებითად აისახება ქართულ პოლიტიკურ კლიმატზე“

სერგო რატიანი: „ვნახავთ, როგორ გაგრძელდება ამ დღეებში უმრავლესობის რიტორიკა და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ“

თორნიკე შარაშენიძე: „მიხეილ სააკაშვილი ინაუგურაციაზე მისვლით ქულებს ჩაიწერს და დააფიქსირებს, რომ ქართველი ხალხის ნებას პატივს სცემს“

ნინო დათაშვილი

სააკაშვილი ახლა გაცილებით მეტს კითხვებს ტოვებს, ვიდრე პასუხებს იძლევა. მაგალითად, პოლიტიკიდან თუ მიდის, სად და რამდენი ხნით? გიორგი მარგველაშვილს გამარჯვება მიულოცა, მაგრამ მივა ინაუგურაციაზე? ანდრო ბარნოვმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ პრეზიდენტს ინაუგურაციაზე დასწრებას არ ურჩევდა. თუმცა, არ არის გამორიცხული, მიხეილ სააკაშვილი ინაუგურაციაზე მაინც მივიდეს. ის უფრო პოლიტიკოსია, რომელიც პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე პროცესებს ყოველთვის უწევს ანგარიშს. ნაციონალებში ამბობენ, რომ ჯერ გადაწყვეტილი არაფერია და ყველაფერი „ქართულ ოცნებაზეა“ დამოკიდებული. დათქმა ასეთია: ახალმა ხელისუფლებამ პრეზიდენტის ინსტიტუტს მაინც უნდა სცეს პატივი, თუ თავად პრეზიდენტს არა. ეს, უბრალოდ, ქვეყანას სჭირდება, – განმარტავენ პარტიაში.

„თუ ახალი პრეზიდენტი, ახალი მთავრობა ბოლო დღეებში, ახლა მაინც გამოიჩენს პატივისცემას ამ ინსტიტუტების მიმართ, რა თქმა უნდა, მე არანაირი საფუძველი არ მექნება, რომ რაიმე მათ წინადადებაზე უარი ვთქვა“, – ეს თავად მიხეილ სააკაშვილის განცხადებაა.

რამდენიმე დღის წინ დავით საგანელიძემ ისიც კი განაცხადა, რომ, თუ მიხეილ სააკაშვილი ინაუგურაციას დაესწრება, ამ ცერემონიას მე გამოვაკლდებიო. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კობიტაციური მიდგომები და მოთმინება ბოლო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური „ივენთვისთვის“ არ ეყოფათ.

როდის მიიღებს სააკაშვილი გადაწყვეტილებას? ალბათ, უკვე მიღებული აქვს და იმ პარლამენტის ეზოში, სადაც ფეხი აიდგა პოლიტიკაში, მაინც მივა. ამით ის საკუთარ თავსაც სცემს პატივს. წარმოუდგენელია, რომ იქ, სადაც მთავარი პოლიტიკური ცერემონია ჩაივლის, თავად კულისებში დარჩება. პირიქით, ალბათ, შეეცდება, საკუთარი გამოჩენით მთელი მედიის ფოკუსი მხოლოდ თავად შეავსოს.

თუმცა, პარტიაში, არ ჩქარობენ, რაიმე გამოკვეთილად თქვან.

სერგო რატიანი, უმცირესობის ერთ-ერთი წევრი:

– დღეს მმართველი ძალისგან არის გზავნილები, საერთოდ, პრეზიდენტის ინსტიტუტის უპატივცემულობის. თქვენ წარმოიდგინეთ, ამერიკის რომელიმე პრეზიდენტს რომ ეთქვა, არ შევალ პრეზიდენტის სასახლეშიო. თავისთავად გზავნილები მოდის არაკეთილისმსურველი, არანორმალური, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს არა რომელიმე პოლიტიკურ ძალას, არამედ სახელმწიფოს. თუმცა ჩვენ ვნახავთ, როგორ გაგრძელდება ამ დღეებში მათი რიტორიკა და გადაწყვეტილებას ამის შემდეგ მივიღებთ. ჯერჯერობით არაადეკვატური გზავნილებია მმართველი პარტიიდან.

ექსპერტების აზრი ამ საკითხზე ერთმნიშვნელოვანია. ისინი მიიჩნევენ, რომ სააკაშვილი უნდა წავიდეს მარგველაშვილის ინაუგურაციაზე, რადგან ეს დადებითად იმოქმედეს ქვეყნის პოლიტიკურ იმიჯზე. თუმცა პროგნოზის გაკეთება, დაესწრება თუ არა მოქმედი პრეზიდენტი მისი შემცვლელის ფიცის დადების ცერემონიალს, მათაც უჭირთ.

რამაზ საყვარელიძე, ექსპერტი:

– თუ ურთიერთობის ევროპულ სტანდარტებს ვიცავთ, თუ მივისწრაფვით ამ სტანდარტებისკენ, მაშინ ევროპული ურთიერთობა სწორედ ამას ნიშნავს, რომ გაყრილი ცოლ-ქმარი ერთმანეთს ელაპარაკება და არ ჩხუბობს და ხელისუფლებისგან წასული პრეზიდენტიც ახალ პრეზიდენტს არ ეჩხუბება და არ ებუტება. თუ დაპატიჟეს, წესით, უნდა მივიდეს. თუ არ მივა, ამან შეიძლება წყალში გადაყაროს კობიტაციაზე ის ტრაბახი, რაც ხშირად ისმოდა „ნაციონალების“ მხრიდან. ისინი ამბობდნენ, რომ ჩვენ ვართ კობიტაციის მომხრე და ისინი არ არიან.

– პრეზიდენტის მისვლა ინაუგურაციაზე რაიმე მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს უმრავლესობისა და უმცირესობის ურთიერთობაზე?

– დადებითად აისახება ქართულ პოლიტიკურ კლიმატზე. ასევე დადებითად აისახება საქართველოს პოლიტიკურ იმიჯზე. უმრავლესობის ურთიერთობა კიდევ სხვა საქმეა, პრეზიდენტის იქ ყოფნამ არა მგონია, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინოს მათი და ოპოზიციის ურთიერთობაზე.

– როგორ ფიქრობთ, მივა პრეზიდენტი ინაუგურაციაზე?

– არ ვიცი. ვერ გეტყვით... ისე გეტყვით, რომ ფართო საზოგადოებაში მისი გამოჩენა ცოტა გაღიზიანებას გამოიწვევს, ისევე როგორც მისი გამოჩენა ტელეეკრანზე.

თორნიკე შარაშენიძე, ექსპერტი:

– როგორ ფიქრობთ, რამდენად სასურველია, რომ პრეზიდენტი მივიდეს გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე?

– რა თქმა უნდა, უნდა მივიდეს. ეს ქვეყნის იმიჯზე კარგად აისახება. მგონი, ამით სააკაშვილიც ქულებს ჩაიწერს. დააფიქსირებს, რომ ქართველი ხალხის ნებას პატივს სცემს.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილისგან არის იმის მზაობა, რომ ის ინაუგურაციაზე მივა?

– არ ვიცი. ეს იმას უნდა ჰკითხოთ, ვინც ბოლო პერიოდში სააკაშვილთან დაახლოებულია.

my View

მირიან ბოქოლიშვილი

საპარლამენტო უმცირესობის წევრი გოგა ხაჩიძე სოციალურ ქსელში საკმაოდ აქტიურია... ხშირად იუმორისტულ ჟანრში აკრიტიკებს ხელისუფლებას, თუმცა ჩვენ შევეცადეთ, დეპუტატთან შედარებით სერიოზულ თემებზე გვესაუბრა. ინტერვიუ არქიმანდრიტ ბართლომე ფირცხალაშვილით დავიწყეთ, რომელმაც ასევე სოციალურ ქსელში საკმაოდ სკანდალური პოსტი გამოაქვეყნა... მაღალი რანგის სასულიერო პირი პრეზიდენტ სააკაშვილსა და მის გუნდს წყევლისა და „ფეისბუკის“ მეგობრებს ამ წყევლის გავრცელებისკენაც მოუწოდებს. სანამ გოგა ხაჩიძის ინტერვიუს გაგაცნობთ, მოდით, კიდევ ერთხელ ვნახოთ, რას წერს არქიმანდრიტი ბართლომე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე.

„წყეული იყოს მიშა სააკაშვილი და მისი ხროვა! მისთვის მზე დაბნელდეს, მთვარემ ნათელი არ მისცეს, მიწის ნაყოფი შხამად შეერგოს, წყალი გამწარდეს, მარილი განქარდეს და ჰაერი მავნებელ იქმნას! ამინ!..“, – წერს სოციალურ ქსელში არქიმანდრიტი.

ახლა კი ინტერვიუ გოგა ხაჩიძესთან, რომელიც, სავარაუდოდ, „დაწყევლილ ხროვაში“ მოიაზრება.

– არქიმანდრიტმა ბართლომემ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში სკანდალური განცხადება გამოაქვეყნა, უფრო სწორად დაწყევლა მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი. როგორი რეაქცია გქონდა, როცა ეს პოსტი წაიკითხე?

– ადამიანურად ეს ყველაფერი ნამდვილად ძნელი აღსაქმელია. მით უმეტეს, რომ ეს არ არის ერთჯერადი შემთხვევა და რაღაც სისტემური ხასიათი მიიღო რიგი სასულიერო პირების მხრიდან წყევლა-კრულვამ. გაგახსენებთ, თუნდაც საპარლამენტო არჩევნების დღეს, როდესაც ხაშურში სპეცრაზმის გამოძახებაც კი გახდა საჭირო იმისთვის, რომ რამდენიმე სასულიერო პირი ცდილობდა საარჩევნო პროცესის ჩაშლას. შემდეგ ეს შემოატრიალეს ისე, თითქოს სპეცრაზმი შევარდა უბანზე, რეალურად კი სწორედ ეს სასულიერო პირები შეიჭრნენ, დაავლეს ხელი საარჩევნო ურნას და სჩადიოდნენ სრულიად მიუღებელ ქმედებებს. სამწუხაროდ, ეკლესია იქცა პოლიტიკური ნიშნების მქონე ძალად, რომელიც ხან ფრაგმენტულად, ხან ჯგუფურად გამოხატავს კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს. ამას მოწმობს, თუნდაც საპრეზიდენტო არჩევნების დღეს მამა ტარიელ სიკინჭილაძის SMS-გზავნილები, სადაც ის პირდაპირ მოუწოდებდა ადრესატებს, რომ მხარი დაეჭირათ გიორგი მარგველაშვილისთვის და რომ თითქოს ამაზე არსებობდა პატრიარქის კურთხევა. ასეთი უამრავი ფაქტის გახსენება შეიძლება, მაგრამ არქიმანდრიტ ბართლომეს წყევლამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. როდესაც მოქმედი არქიმანდრიტი წყევლის ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს და მის პოლიტიკურ ძალას, მეუფლება განცდა, რომ რაღაც საოცრებათა ქვეყანა ვხდებით. „ფეისბუკზეც“ დავწერე, რომ ამ ყველაფრის შემდეგ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება – ღმერ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Ო გოგა ხაჩიძესთან



„მაინტერესებს, ჩემსა და ამ არქიმანდრიტს შორის სად არის ღმერთი“?

სამწუხაროდ, ეკლესია იქცა პოლიტიკური ნიშნების მქონე ძალად, რომელიც ხან ფრაგმენტულად, ხან ჯგუფურად გამოხატავს კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს

თო, თვალყური გვადევნე. ყოველგვარ პოლიტიკას თავი რომ გავანებოთ, წმინდა ადამიანურად გეუბნები, რომ არანაირად არ წაადგება ეს ყველაფერი ეკლესიის იმიჯს.

– ფიქრობ, რომ საპატრიარქომ თავად უნდა მოახდინოს გამიჯვნა მსგავსი რადიკალური განცხადებებისგან, წყევლისგან და აგრესიული ქმედებებისგან?

– არ ვიცი, რა პოზიციას დაიჭერს საპატრიარქო, მაგრამ ამ მღვდელმსახურთ რატომ ჰგონიათ, რომ მართლმადიდებლობა მაინცდამაინც წყევლა-კრულვაა? მიუხედავად იმისა, რომ საპატრიარქო საკმაოდ დახურული რელიგიური სისტემაა, ვფიქრობ, საკმაოდ ბევრი პრობლემაა შიგნით. საკმაოდ ბევრი შიდადაპირისპირება იკითხება ამ ყველაფერში. არ მინდა დავიჯერო, რომ ეს არის საპატრიარქოს ზოგადი პოზიცია. გუშინ ჩემს მეგობრებთან ერთად დამწყევლეს მეც, დამწყევლა საპატრიარქოს მაღალი რანგის სასულიერო პირმა, ამიტომ მაინტერესებს, ჩემსა და ამ არქიმანდრიტს შორის სად არის ღმერთი? რატომ უნდა ვეძებო მასთან, ან მის გარშემო რწმენა?

– სხვა თემაზეც მინდა გკითხო... ძალიან აქტიური ხარ სოციალურ ქსელში და ხშირად გოგა ხაჩიძის იუმორისტული და ირონიული პოსტები ხდება საინფორმაციო პორტალების დღის მთავარი თემა...

– იუმორი, ზოგადად, არის საუკეთესო გამოსავალი, როდესაც ისმენ, მაგალითად, ხადურის განცხადებას, რომ საბიუჯეტო კრიზისი პრეზიდენტის ბრალი ყოფილა, რომ ისმენ არქიმანდრიტის წყევლას და ა.შ. ეს ყველაფერი ან სერიოზულად უნდა მიიღო, ან იუმორს უნდა შეაფარო თავი. ზოგადად, დეპუტატისთვის საზოგადოებასთან კომუნიკაცია აუცილებელია და როდესაც საშუალება გაქვს, ათიათასობით ადამიანს ესაუბრო სოციალური ქსელის მეშვეობით, რატომ არ უნდა გამოიყენო ეს შესაძლებლობა, გაუგებარია. ბოლოს და ბოლოს, არქიმანდრიტი იყენებს „ფეისბუკს“ წყევლისთვის და მე რომ გამოვიყენო განცხადებების გასაკეთებლად, მგონი, ცუდი არაფერია. ეს არის ის, რაც ნამდვილად მომწონს.

– მითქმა-მოთქმის საფუძველი გახდა ყვარელში რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტთან გამართული უმრავლესობის შეხვედრა... რეალურად რა მოხდა ამ შეხვედრაზე?

– ძალიან საინტერესოა, როცა შენ ხარ რაღაცის მონაწილე და შემდეგ ამაზე ისმენ რაღაც ჭორებს, რომელიც, საერთოდ, ახლოსაც არ დგას რეალობასთან. ეს იყო უმცირესობის, გუნდის წევრების ჩვეულებრივი შეხვედრა პრეზიდენტთან. არსად არ შევპარულვართ და ნინძის ფორმები ნამდვილად არ ჩაგვიცვამს. ძალიან ბევრი ადამიანი ესწრებოდა ამ შეხვედრას, სადაც განვიხილეთ პარტიის სამომავლო გეგმები, შევაჯამეთ განვლილი პერიოდი. ეს იყო და ეს. რატომღაც ეს მოინათლა, როგორც რაღაც საიდუმლო სერობა და ა.შ.

– არსებობს თუ არა გუნდის შიგნით უთანხმოება? ბევრს საუბრობენ იმაზეც, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით თითქოს არსებობს ე.წ. მერაბიშვილისა და ახალაიას გუნდები, რომლებსაც მთლად შეხმატკბილებული ურთიერთობა არ აქვთ...

– სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ გუნდის შიგნით არანაირი პრინციპული უთანხმოება არ არსებობს. იყო და არის გარკვეული საკითხები, რომლებზეც მუდმივ რეჟიმში მიდის დისკუსია, მსჯელობა და კამათი, თუმცა ეს არანაირად არ უკავშირდება რაღაც მითიურ დაპირისპირებებს გუნდებს შორის. „ნაციონალური მოძრაობა“ არის საერთო იდეალებისა და ღირებულებების ირგვლივ გაერთიანებული მთავარი ოპოზიციური ძალა.

– შედეგი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა აჩვენა საპრეზიდენტო არჩევნებზე, რამდენად მოსალოდნელი იყო?

– ჩვენ დაახლოებით ამ შედეგს ველოდით. ამაზე მიუთითებდა ყველა ის კვლევა, რომელიც არჩევნებამდე ქვეყნდებოდა. ვფიქრობ, ამ ერთწლიანი ზეწოლისა და დევნის შემდეგ ეს საკმაოდ ნორმალური შედეგია. ამ პირობებში, როდესაც 400 ათასი ადამიანი სტაბილურად გიჭერს მხარს, ეს გვაძლევს იმედს, რომ მხარდაჭერა მომავალში კვლავ გაიზრდება. ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის პოლიტიკურად ფორმირებული, რომ არსებობდეს მყარი ელექტორატი. ეს არის მუდმივად ცვალებადი განწყობის მქონე საზოგადოება. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ნაციონალურ მოძრაობას“ გაუჩნდა მყარი ელექტორატი, რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, გატარებული რეფორმების, დაშვებული შეცდომებისა და ა.შ., მხარს უჭერს „ნაციონალურ მოძრაობას“ და იმ იდეალებს, რომელსაც ეს პარტია გამოხატავს. არჩევნებმა აჩვენა, რომ გარკვეულ უბნებზე ფრაგმენტულად მოვიგეთ კიდეც და არის საკმაოდ საინტერესო სიგნალები.

– რაც შეეხება ახლად არჩეულ პრეზიდენტს... რა დამოკიდებულება გაქვს მარგველაშვილის მიმართ?

– მე პირადად ახლა ინტერვიუში მიჭირს იმ ეპითეტების გამეორება, რა ეპითეტებსაც ხმარობს საკუთარი თავის მიმართ გიორგი მარგველაშვილი. ის არის ნათელი მაგალითი იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე ვინც არ უნდა დაესახელებინა ბიძინა ივანიშვილს, მნიშვნელობა არ ჰქონდა. აქ მთავარია, არა პრეზიდენტის კანდიდატურა, არამედ ივანიშვილის ფიგურა. კაცის კაცი – ალბათ, ყველაზე კარგი შეფასებაა ამ შემთხვევაში, თუმცა ბოროტი უნდა იყო, რომ შენი ქვეყნის პრეზიდენტს წარმატება არ უსურვო. ყოველ შემთხვევაში ნამდვილად არ დავწყევლი.

– გასულ კვირას თანამდებობა დატოვა არჩილ კბილაშვილმა... როგორ ფიქრობ, რა გახდა ამის მიზეზი?

– კბილაშვილი რომ თანამდებობის დატოვებას გეგმავდა, გარკვეული მოლოდინები არსებობდა და ამაზე ყველა საუბრობდა, რომ არჩევნების შემდეგ მთავარი პროკურორი თანამდებობას დატოვებდა. მე შეგახსენებთ, მთავარი პროკურორის განცხადებებს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ის ახერხებდა და საზოგადოება პერმანენტულად კვებავდა გარკვეული „ინტრიგის შემცველი“ განცხადებებით, „ფაქტების მოყვანით“ და, საბოლოო ჯამში, ვიღებდით არაფერს. არჩილ კბილაშვილმა გაკეთებულ განცხადებაში ისაუბრა, რომ მას გარკვეული უთანხმოება აქვს რაღაც საკითხებში მომავალ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილთან, თუმცა მის მიერ გაკეთებული განცხადება იყო ბიძინა ივანიშვილის ხოტბითა და მისი განდიდებით მოცული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოფლის მეურნეობის სამინის

my View
თამარ
გორთამაშვილი

ქართველ ფერმერებს გრანტის მიღების შესაძლებლობა მიეცემათ



შალვა ფიფია: „პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იქნება მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, რომელსაც საშუალება ექნება, მიიღოს საგრანტო დაფინანსება დაბეგვრის გარეშე. მეორე და მნიშვნელოვანი შეღავათია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ჩართული ქონება არ დაიბეგრება ქონების გადასახადით“

„მე არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ერთი წლის განმავლობაში აქ ათასობით კოოპერატივი შეიქმნება. ეს არ არის მიზანი, მაგრამ, თუ ჩვენ გვექნება თუნდაც ერთი წლის შემდეგ ათეული ან ასეული წარმატებული კოოპერატივი, რომლის წევრებიც იცხოვრებენ უკეთ, ვიდრე მანამდე, მე ნამდვილად მაქვს ქართველი გლეხის პრაგმატულობის იმედი და იმის იმედიც, რომ კარგი მაგალითი მათთვის მისაბაძი იქნება“

დეკემბრიდან მთელი საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემა ამოქმედდება. პარლამენტმა შესაბამისი კანონი უკვე მიიღო და სწორედ ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც ფუნქციონირებას სწორედ დეკემბრიდან დაიწყებს.

რას გულისხმობს და რა შედეგზეა გათვლილი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნა, რა შეღავათებს ჰპირდება ის ფერმერებს და რა მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობა ამ პროექტს – ამ საკითხებზე „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია საუბრობს.

შალვა ფიფია: „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი არის გზა კოოპერატივის წევრების მიერ მათი რესურსების გაერთიანების. საუბარია ყველანაირ რესურსზე, როგორც მიწის, ისე შრომით და ინტელექტუალურ რესურსზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წახალისებითა და ხელშეწყობით ჩვენ ველოსიპედს არ ვიგონებთ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია განვითარებულია ყველა წარმატებულ ქვეყანაში, მათ შორის ევროპაში. მაგალითად, იაპონიაში ყველა ფერმერი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრია და თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც მიწის რესურსები ნაკლებად შეზღუდულია, საკმაოდ კარგად არის ეს მიმართულება განვითარებული.

– რა არის კოოპერაციის მიზანი?

– პირველ რიგში, გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ვართ ქვეყანა საკმაოდ შეზღუდული, ლიმიტირებული მიწის რესურსით და ამავდროულად ამ რესურსების ფრაგმენტაციის ხარისხი არის ძალიან მაღალი. დღეს საშუალო ქართველ ფერმერს აქვს დაახლოებით ერთ ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, რაზეც ძალიან რთულია, მომგებიანად და ეფექტურად აწარმოო სოფლის მეურნეობა. თუმცა ამ რესურსის კონსოლიდაციის გზით, შესაძლებელია, თითოეული ფერმერის საქმიანობა უფრო მომგებიანი გახდეს. ამ კონსოლიდაციის ერთადერთი გზა არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება.

– სავალდებულო იქნება თუ ნებაყოფლობითი ამ კოოპერატივებში გაწევრიანება?

– ხშირად მსმენია პარალელები „კოლხოზთან“, მაგრამ მინდა გითხრათ ორი მთავარი მომენტი, რაც ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას. პირველი – ეს არის ნებაყოფლობითობის პრინციპი; და მეორე – დემოკრატიულობის პრინციპი, ანუ ერთი წევრი უდრის ერთ ხმას. კოოპერატივის წევრები აბსოლუტურად თანაბარუფლებიანები არიან.

– ვთქვათ, ერთ ფერმერს 1 ჰა აქვს, მეორეს – 10. ამ შემთხვევაშიც თანაბარია ხმები?

– არ არის აუცილებელი, კოოპერატივის პაი მხოლოდ და მხოლოდ მიწით შეივსოს. როგორც უკვე აღვნიშნე, პაის შევსება სხვა რესურსითაც შეიძლება. მეტსაც გეტყვით, შესაძლოა, საერთოდ არ ჰქონდეს მიწა და სულ სხვა ქონებით იყოს მისი პაი განპირობებული.

– რეგულირება როგორ მოხდება?

– კოოპერატივის შიდა პროცედურებსა და წესებს განსაზღვრავს კოოპერატივის წესდება. თქვენ იცით, რომ სულ ცოტა ხნის წინ შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანიცაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭება იმ კოოპერატივებისთვის, რომლებიც ჩართული არიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ასევე, მისი ფუნქციაა, მუშაობა მათთან იმისთვის, რომ დაიხვეწოს ის დოკუმენტაცია, რომელიც ამ კოოპერატივებს არეგულირებს.

– წესდებას თავად კოოპერატივები განსაზღვრავენ?

– კანონი საკმაოდ ზოგადია, თუმცა აქ განსაზღვრულია, რას უნდა მოიცავდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წესდება და სააგენტოს არსიც სწორედ ის არის, რომ მოხდეს ამ წესდებების გადამოწმება. საკმაოდ ძლიერი იურიდიული ჯგუფია სააგენტოში, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ამ კოოპერატივებს, როგორ უნდა წარიმართოს თითოეული მათგანის საქმიანობა.

– საფუძვლიანად ინფორმირებული თუ არიან ფერმერები და არის თუ არა დაინტერესება?

– ჩვენ შარშან, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დავიწყეთ ამ პროექტზე მუშაობა, მთელ ამ პერიოდში გავიარეთ კონსულტაციები ფერმერთა ჯგუფებთან, არასამთავრობო სექტორთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასე რომ, ჩართულობის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო ამ კანონის მომზადების პროცესში. რაც შეეხება პოტენციურ წევრებს, ჩვენ დღეს გვაქვს ამ პროექტის პრეზენტაცია და უკვე ხვალიდან ვიწყებთ საინფორმაციო კამპანიას, სადაც მონვეული იქნებიან დაინტერესებული პირები, ფერმერები მთელი ქვეყნის მასშტაბით და მათ სრული განმარტება მიეცემათ იმაზე, რა უპირატესობა აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, რატომ უნდა გაწევრიანდნენ და რა სარგებელს მისცემთ მათ ეს სიახლე.

– რა შეღავათებითა და პრივილეგიებით ისარგებლებენ კოოპერატივში გაწევრიანებული ფერმერები?

– სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ითვალისწინებს მთელ რიგ შეღავათებს. პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი შეღავათია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი იქნება მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი, რომელსაც საშუალება ექნება, მიიღოს საგრანტო დაფინანსება დაბეგვრის გარეშე.

მეორე და მნიშვნელოვანი შეღავათია ის, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ჩართული ქონება არ დაიბეგრება ქონების გადასახადით. თქვენ იცით, რომ სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში ჩართული პირები, 200 ათას ლარამდე ბრუნვის შემთხვევაში, განთავისუფლებული არიან ყველა გადასახადისგან, გარდა საშემოსავლოსი, ხოლო კოოპერატივები, ამ შემთხვევაში მთლიანად თავისუფლდებიან.

გარდა ამისა, ჩვენ დაგეგმილი გვაქვს მთელი რიგი ხელშეწყობის პროგრამები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისთვის, როგორც ჩვენი ბიუჯეტის ფარგლებში, ასევე ინტენსიურად ვმუშაობთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რათა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მენეჯმენტისთვის შესაძლებელი იყოს ხარისხიანი სასწავლო პროგრამების მოწყობა, იმისთვის რომ ამ ადამიანებმა მიიღონ სწორი და საჭირო ცოდნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მართვისთვის.

– რა რისკები არსებობს ამ პროცესში?

– რა რისკებიც არსებობს, ზოგადად, სოფლის მეურნეობაში, თავისთავად ეს რისკები ექნება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას, თუმცა მას დიდი სარგებელიც აქვს. მარტივი მაგალითი რომ ავიღოთ, ერთჰექტარიანი ფერმერი გაცილებით ნაკლებად კრედიტუნარიანია, ვიდრე ასჰექტარიანი, ასი ადამიანისგან შემდგარი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. ასეთ კოოპერატივს აქვს გაცილებით მეტი შანსი, რომ მიიღოს შეღავათიანი აგროკრედიტი, ვიდრე ერთჰექტარიან ფერმერს.

– ანუ ნებისმიერ შემთხვევაში მომგებიანია?

– მიმაჩნია და მსოფლიო პრაქტიკაც გვიჩვენებს, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, ანუ გამსხვილების გზით წასვლა არის მომგებიანი და ამას მოაქვს ფინანსური შედეგი. მე არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ერთი წლის განმავლობაში აქ ათასობით კოოპერატივი შეიქმნება. ეს არ არის მიზანი, მაგრამ, თუ ჩვენ გვექნება თუნდაც ერთი წლის შემდეგ ათეული ან ასეული წარმატებული კოოპერატივი, რომლის წევრებიც იცხოვრებენ უკეთ, ვიდრე მანამდე, მე ნამდვილად მაქვს ქართველი გლეხის პრაგმატულობის იმედი და იმის იმედიც, რომ კარგი მაგალითი მათთვის მისაბაძი იქნება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი, რომელიც პარლამენტის აგრარულ კომიტეტში მომზადდა, საკანონმდებლო ორგანომ ივლისში მიიღო. კომიტეტის თავმჯდომარის გიგლა აგულაშვილის განცხადებით, კოოპერატივების შექმნის იდეა წინა მოწვევის პარლამენტში გაჩნდა, თუმცა კანონის სახე ვერ მიიღო.

გიგლა აგულაშვილი: „იდეა ზოგადად ტრიალებდა ქვეყანაში დიდი ხნის განმავლობაში, როდესაც ახალი მოწვევის პარლამენტი შეიკრიბა და კომიტეტი შედგა, მოვიკითხეთ წარსული საქმიანობა. ერთგვარი მემკვიდრეობითობა ყოველთვის მნიშვნელოვანია, გაგრძელდეს. არ არის აუცილებელი ყოველთვის ახალ რელსებზე გადავიდეთ. როდესაც ჩვენი წინამორბედების საქმიანობას გადავხედეთ, დიდი ვერაფერი ნაშთი დაგვხვდა, მაგრამ ერთ-ერთი, რასაც ყურადღება მივაქციეთ, უპირველესი ეს იყო კოოპერირების შესახებ კანონის დაწერის მცდელობა. თუმცა თვითონ პროექტის ის ვერსია, რაც არსებობდა, არ მოგვეწონა. კანონპროექტის შექმნაზე ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში მოღვაწეობენ და დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობის სექტორით. ვთანამშრომლობდით, ასევე, ცალკეულ ექსპერტებთან. ჩვენ არ მიგვიღია ნაჩქარევი ტიპის კანონი, ვცდილობდით, ფართო კონსენსუსის შედეგი ყოფილიყო. თავისთავად ეს არ გულისხმობს, რომ მას ასპროცენტიანი მხარდაჭერა ექნება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვცადეთ, შეგვექმნა კოოპერირების პროცესის ხელშეწყობის ფართო შესაძლებლობები და რაც შეიძლება ნაკლები შეზღუდვები დაგვეწესებინა.

იმედი გვაქვს ჩვენი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერის. შარშან გამოყოფილი ოცმილიონიანი გრანტი უკვე განაწილებულია 4 ორგანიზაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, რეგიონებში ხელს შეუწყობს კოოპერირების პროცესს საქართველოში. ჯამში, ვფიქრობ, კოოპერატივებმა შრომის კულტურის ამაღლება უნდა შეძლონ.

ეს კანონი იძლევა მხოლოდ და მხოლოდ ნებაყოფლობითი გაერთიანების შესაძლებლობას. ადამიანთა ერთობა დამოკიდებულია მხოლოდ მათ ნება-სურვილზე. ვის რა როლი ეკისრება, ისინი თავად თანხმდებიან ერთმანეთში. ჩვენ მხოლოდ ვქმნით მოდელსა და შესაძლებლობას, ვახალისებთ პროცესს. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან კეთილი ნება. სახელმწიფომ ასევე დააწესა რამდენიმე საგადასახადო შეღავათი. ერთი შეხედვით პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება დავიწყეთ. მსოფლიო ანალოგებს რომ გადავხედოთ, 2012 წელი იყო გამოცხადებული კოოპერირების წლად. მსოფლიოში ამ კუთხით არსებობს საუკეთესო გამოცდილება. თუნდაც, მაგალითად, იაპონია, სადაც თავიდან შეიქმნა 27 ათასი ერთეული, შემდეგ მოხდა მათი გამსხვილება. აქ ლაპარაკია კოოპერატივებზე, რომელთა ბრუნვაც რამდენიმე მილიონს აღემატება. შემდგომი კომპონენტი იქნება სწორედ ამ კოოპერატივების გამსხვილება, როდესაც თვითონ კოოპერატივები შექმნიან ერთ კოოპერატივს, სადაც თავმოყრილი იქნება ის უნარები, რაც ერთ ფერმერთან ნაკლებად არის. შემდგომ ნაბიჯად, ასევე, გვესახება კოოპერაციული ბანკის დაფუძნება. როგორც კი კოოპერატივებში გაჩნდება მეტი ფინანსური რესურსი, შეიძლება ისინი გაერთიანდნენ ბანკში, რაც ევროპის ქვეყნებში უკვე ფუნქციონირებს. ჩვენი ერთ-ერთი აქილევსის ქუსლი საბანკო სექტორის დაინტერესებაა. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ სოფლის მეურნეობის სექტორში შვიდი თვის განმავლობაში 120 მილიონზე მეტი უკვე გაცემულია სესხის სახით, მაშინ როცა მთელი წლების მანძილზე მხოლოდ მხოლოდ 54 მილიონი იყო მთლიანი პაკეტი. ახლა პროცესი კი კარგად მიდის, დინამიკაც კარგია, მაგრამ იმდენად დიდია თავისი მოცულობით, რომ საბანკო სექტორი ვერ ახერხებს მათ დაკმაყოფილებას. გაერთიანებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ექნებათ შესაძლებლობა, რომ მათი წარმატებით განვითარების შემთხვევაში შექმნან საკუთარი საფინანსო ინსტიტუტი, რომელიც მოტივირებული იქნება მხოლოდ სოფლის მეურნეობის სექტორის დაფინანსებაზე.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების პროექტში აქტიურადაა ჩართული ევროკავშირი. რეკომენდაციები, რომელიც მომზადდა, გათვალისწინებულია და ახლა მხოლოდ წარმატებულ სტარტს ელოდება. სოფლის მეურნეობის, რეგიონული მეურნეობის განვითარებისა და სურსათის უვნებლობის პროექტის მენეჯერი ჰუან ეჩანოვე „პრაიმტაიმთან“ საუბარში



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი – მოგებაზე ორიენტირებული იურიდიული პირი საგადასახადო შეღავათებით

აცხადებს, რომ პროექტს ბევრი დადებითი მხარე აქვს, რაც ქართველ ფერმერებს მხოლოდ მოგებისკენ წაიყვანს.

ჰუან ეჩანოვე: „მსოფლიოში ძალიან ბევრი მაგალითია იმისა, რა სარგებლობის მიღებაა შესაძლებელი კოოპერატივის დახმარებით. თუნდაც, მაგალითისთვის ავიღოთ ტრანსპორტირება. თუკი აქამდე ფერმერებს უწევდათ, მარტო გადაეტანათ პროდუქცია, მათ ვერ ექნებოდათ კარგი შემოსავალი. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი. კოოპერატივების არსებობის შესახებ სოფლის მეურნეობის ყველა სფეროში შეიძლება ფიქრი – მომარაგებაში, მარკეტინგში, ფინანსებთან წვდომაში, სერვისების გაფართოებაში, დასაწყობებაში და ა.შ. ფერმების უმეტესობა ძალიან მცირე ზომისაა. აქედან გამომდინარე, მათ ბაზარზე გასვლის საშუალება არ აქვთ. ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ახალმა მთავრობამ, რომელმაც 2012 წლის არჩევნებში გაიმარჯვა, პრიორიტეტად კოოპერატივების განვითარება დაისახა, რადგან ეს არის ერთ-ერთი მთავარი გზა, რომელიც ფერმერების საცხოვრებელ პირობებს გააუმჯობესებს. ჩვენ თავიდანვე მხარს ვუჭერდით მთავრობას ამ კანონის შემუშავების პროცესში.

საქართველოში არის ბევრი გაუგებრობა კოოპერატივებთან დაკავშირებით, ფიქრობენ, რომ ეს იგივე კოლმეურნეობებია. მაგრამ არსებობს ბევრი რამ, რითაც შეიძლება გავაგებინოთ მათ, რომ ეს არის მარკეტინგის საშუალება, რომელსაც კოლმეურნეობებთან საერთო არაფერი აქვს. ეს არის კომპანია, რომლის მფლობელებიც ფერმერები არიან. ყოველი ფერმერი საკუთარი მიწის დამუშავებას განაგრძობს, მაგრამ სპეციალური მიზნებისთვის ერთიანდება სხვებთან.

ჩვენ მხარს ვუჭერდით მთავრობას კანონის შექმნაში, მაგრამ ჩვენი როლი ამ კანონის აღსრულების პროცესშიც რჩება. ადგილობრივ არასამთავრობოებს ვამარაგებთ გრანტებით, რათა დაიწყონ კოოპერატივების ფორმირება სხვადასხვა რეგიონებში. მიზანი არის ის, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 170 კოოპერატივი შეიქმნას.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ვინმესთვის რამის დაძალება, ან თავზე მოხვევა. კოოპერატივი არის იმ ფერმერებისთვის, ვისაც უნდათ ერთად მუშაობა.

როდესაც ბაზარი შევისწავლეთ, აღმოვაჩინეთ, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის ფერმერები არაფორმალურად არიან კოოპერატივის წევრები. მთავარი მიზეზი, რატომაც მათ ლეგალურად არ აქვთ კოოპერატივი, არის გადასახადები. მცირე ზომის ფერმერები განთავისუფლებული არიან გადასახადებისგან, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანდებოდნენ, ძველი კანონის მიხედვით, მოუხდებოდათ გადასახადების გადახდა. ახლა, ახალი კანონის შემოღების შემდეგ, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია იქნება. კოოპერატივების ჩამოყალიბება მხოლოდ ბაზარზე უკეთესი წვდომა არ არის, ეს არის საშუალება ცოდნის გაღრმავებისა. კოოპერატივები არის იმ ფერმერებისთვის, რომლებსაც ბიზნესორიენტაცია აქვთ, რომელთაც უნდათ განვითარება, რათა უფრო თანამედროვე მეურნეობა ჰქონდეთ. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ ფერმერებთან არა მხოლოდ თანხა მიგვაქვს, არამედ ცოდნაც. ეს არის ძალიან დიდი პროექტი, რომელსაც ჰქვია ENPARD – ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა. პროგრამა არის ძალიან მოცულობითი. ეს ევროკავშირის ყველაზე დიდი პროექტია საქართველოში. პროგრამისთვის 40 მილიონი ევროა გამოყოფილი, რაც 80 მილიონ ლარზე მეტია. ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს. ერთი კომპონენტია – სოფლის მეურნეობის სამინისტროს პირდაპირი მხარდაჭერა, ასევე იმ ახალი სააგენტოს მხარდაჭერა, რომელიც კოოპერატივებისთვის შეიქმნა. მეორე კომპონენტი, როგორც უკვე აღვნიშნე, არის არასამთავრობო სექტორში კაპიტალის მოზიდვა. ანუ ჩვენ ვიმუშავებთ როგორც უშუალოდ ფერმერებთან, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთანაც. ერთი წლის წინათ, როდესაც ახალმა მთავრობამ თქვა, რომ სოფლის მეურნეობა იქნებოდა პრიორიტეტი, ვამბობდით, რომ ამას ძალიან დიდი დრო დასჭირდებოდა. დღეს, ერთი წლის შემდეგ, ამ ქვეყანას აქვს საუკეთესო რთველი, ვიდრე ეს ბოლო წლების განმავლობაში ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. რაც ყველაზე მთავარია, უნდა აღვნიშნო, რომ თქვენ გყავთ საუკეთესო ფერმერები. უნდა ამაყობდეთ, რადგან ისინი არიან თავდადებული ადამიანები, ძალიან ბევრს მუშაობენ. ისინი არიან ადამიანები, რომლებმაც ამ მძიმე პერიოდში შეძლეს, გადარჩენილიყვნენ. ბოლო 20 წლის განმავლობაში იყო ომები, არ იყო არანაირი ყურადღება მათ მიმართ. ასე რომ, თუ მათ შეძლეს ასეთ რთულ პირობებში მუშაობა და გადარჩნენ, ეს საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ახლა, როდესაც მთავრობისა და დონორების მხრიდან არის მხარდაჭერა, ისინი აუცილებლად ძალიან სწრაფად განვითარდებიან“.

როგორ მოხდება სტატუსის მინიჭება, რა არის ამისთვის საჭირო და როგორ განაწილდება მოგება იმ შემთხვევაში, თუ კოოპერატივში თითოეული ფერმერის პაი განსხვავებული იქნება – „პრაიმტაიმის“ კითხვებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს უფროსი გიორგი მიშელაძე პასუხობს.

გიორგი მიშელაძე: „იმისათვის, რომ რამდენიმე გლეხმა, ანუ გაერთიანებამ სტატუსი მოიპოვოს, პირველ რიგში, უნდა დარეგისტრირდეს, როგორც კოოპერატივი. რეგისტრაცია, როგორც იურიდიული პირისა ხდება არა ჩვენთან, არამედ საჯარო რეესტრში. ამის შემდგომ, თუ მათ სურვილი გაუჩნდებათ, რომ სტატუსი მოიპოვონ, ისინი მოვლენ ჩვენთან და კანონის თანახმად, წარმოადგენენ წესდებას, უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს და იმ ქონებაზე, რა ქონებასაც ფლობენ კოოპერატივში გაწევრიანებული მეპაიეები, საჯარო რეესტრიდან ამონაწერებს. ეს შეეხება უძრავ ქონებას, მიწის სახით თუ შენობების სახით, და ეს შეეხება მოძრავ ქონებას, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება. სწორედ ამ დოკუმენტების წარმოდგენა მოუწევთ მათ, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ, რომ კოოპერატივის წესდება ისე უნდა იყოს შექმნილი, რომ აკმაყოფილებდეს კანონის მოთხოვნებს.

– რამდენ ადამიანს შეუძლია შექმნას კოოპერატივი?

– მაღალმთიან რაიონებში კოოპერატივი უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისგან, ხოლო დანარჩენ საქართველოში – მინიმუმ 5 წევრისგან.

– როგორ განაწილდება მათი მოგება?

– კოოპერატივი ეფუძნება დემოკრატიულობის პრინციპს – ერთი წევრი, მიუხედავად იმისა, რამდენი პაი აქვს, არის ერთი ხმა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ თანაბარი უფლებები აქვთ გადაწყვეტილებების მიღების დროს. რაც შეეხება შემოსავალს, მათ შორის შემოსავლის გადანაწილება წესდების შესაბამისად მოხდება.

ჰუან ეჩანოვე

„ჩვენ ფერმერებთან არა მხოლოდ თანხა მიგვაქვს, არამედ ცოდნაც. ეს არის ძალიან დიდი პროექტი, რომელსაც ჰქვია ENPARD – ევროპის სამეზობლოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამა. პროგრამა არის ძალიან მოცულობითი. ეს ევროკავშირის ყველაზე დიდი პროექტია საქართველოში. პროგრამისთვის 40 მილიონი ევროა გამოყოფილი, რაც 80 მილიონ ლარზე მეტია“

გიორგი მიშელაძე

„კოოპერატივი ეფუძნება დემოკრატიულობის პრინციპს – ერთი წევრი, მიუხედავად იმისა, რამდენი პაი აქვს, არის ერთი ხმა, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ თანაბარი უფლებები აქვთ გადაწყვეტილებების მიღების დროს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოსამართლეების ორმაგი სტანდარტი?!

რა მაქინაციებს მიმართავს პროკურატურა და სასამართლო სისხლის სამართლის რიგით საქმეებზე?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

ბოლო ერთი წლის განმავლობაში დარჩა შთაბეჭდილება, რომ სასამართლო გაყოჩაღდა, უფრო პრინციპული და შეუვალი გახდა. ამას ბევრი ახალი ქართული დემოკრატიის მონაპოვრად მიიჩნევს, ზოგიც პროკურატურის უსუსურობას უსვამს ხაზს. რა ხდება რეალურად?

ვექილები, რომელთაც დასაცავი არ ჰყავთ ბაჩანა ახალაია და ვანო მერაბიშვილი, სულ სხვა რამეს გვიმტკიცებენ. ისინი საკუთარ საქმეებში სულაც ვერ ხედავენ სასამართლოს ასეთ სახეცვლილებას და იგივე საქმეში არც პროკურატურა გამოიყურება ისეთი გაფარჩაკებული, რომელსაც ფართო აუდიტორია ძველი ბობოლების სასამართლო პროცესებიდან ხედავს.

სხვათა შორის, საქმეს, რომელსაც დღეს ვეხებით, ის მოსამართლე განიხილავს, რომელმაც ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინასასამართლო სხდომა ჩაატარა. ეს ისე, შენიშვნისთვის.

ახლა კი ისტორია მოკლედ, ვინაიდან „პრაიმტაიმმა“ ამ ამბის დეტალებზე ერთხელ უკვე უამბო თავის მკითხველს რამდენიმე თვის წინ:

მოქმედება ამა წლის 14 მარტს ვანის რაიონის სოფელ მთისძირში, შალვა ანდღულაძის ოჯახში ხდება. უკვე საკმაოდ გვიანია და ღია აივანზე სახელდახელოდ გაშლილი სუფრის წევრებიც ალკოჰოლით მიღებულ სიამოვნებას ერთმანეთის სიძულვილში ზრდიან. გაისმის რამდენიმე გასროლა და ოჯახში სტუმრად მისული მამიდაშვილი, დავით გოგსაძე მძიმე ჭრილობებით ვანის საავადმყოფოში მიჰყავთ, სადაც, სამწუხაროდ, არც ქირურგია, არც ანესთეზიოლოგი და გამოძახებული ექიმი გადაწყვეტილებას იღებს, პაციენტი სამტრედიის საავადმყოფოში გადაიყვანონ. დავით გოგსაძე გზაში გარდაიცვლება.

ბიძაშვილ-მამიდაშვილების გარდა, იქ იმყოფებიან გიორგი მინაშვილი, რომელიც ოჯახის უფროსის შვილის ნათლიაა (ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელია, კერძოდ კი კონტრდაზვერვის დეპარტამენტის რადიოეთერის კონტროლის სამმართველოს განყოფილების უფროსი), ბენია მინაშვილი – მათი მეზობელი, რომელსაც ორი სახლის მოშორებით გარდაცვლილი მამა უსვენია სახლში და მისი ქვისლი – დავით დათაშვილი, რომელიც ნათესავის ოჯახში დაახლოებით ორი კვირის წინ მისივე თხოვნით ჩავიდა თბილისიდან, რათა ქვისლის ავადმყოფი მამისთვის მიეხედა....

15 მარტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველომ დავით დათაშვილი სამტრედიაში, ერთ-ერთ ოჯახში დააკავა, სადაც ის საკუთარი ფეხით მივიდა და განაცხადა, რომ პოლიციას ჩაბარდებოდა...

ამ ეტაპზე მკითხველს თავს აღარ შევაწყენთ ამ ტრაგედიის დეტალების განხილვით. თუმცა, იმას კი გეტყვით, რომ დაცვა სერიოზულად ემზადებოდა პროცესისთვის, სადაც არაერთი სიურპრიზი ექნებოდა პროკურატურისთვის. სასამართლო განხილვის საპროცესო ვადა ერთ თვეში ინურება... საქმე კი ნახევრამდეც არ არის ჯერ მიყვანილი...

ამ შემთხვევაში ჩვენი სტატიის თემა იქნება, როგორ ზღუდავს სასამართლო და პროკურატურა დაცვის უფლებას შეხმატკბილებულად:

ინგა შარაშენიძე, დავით დათაშვილის ადვოკატი:

– რა სტადიაშია სისხლის სამართლის ეს საქმე?

– მაისში დაიწყო წინა სასამართლო სხდომა. ივნისის ბოლოს კი – არსებითი განხილვა. დაკითხულია დაახლოებით 6 კაცი. დასაკითხი დარჩა 22 კაცი. ამაში შედიან ექსპერტებიც. ამის გარდა, დარჩა წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა და ნივთმტკიცებების დათვალიერება.

– პროცესის დამთავრებამდე რა დრო რჩება?

– პროცესი 15 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს...

– თუ 5 თვის განმავლობაში 6 მოწმე დაიკითხა მხოლოდ, როგორ აპირებთ დარჩენილ ერთ თვეში სრულყოფილი დაცვის განხორციელებას?

– საქმეც სწორედ ეს არის. პროკურატურა და სასამართლო ამ პროცესს ერთობლივად ხელოვნურად გვიჭიანურებენ, ზუსტად იმიტომ, რომ ვერ მოხერხდეს სრულყოფილად დაცვა. ჩვენ ერთ-ერთი პროცესი მოსამართლემ გადაგვიდო, რადგან ერთი თვით მიდიოდა შვებულებაში. მას შემდეგ ჩაენაცვლა პროკურორის შვებულება. ერთი სიტყვით, შვებულების მიზეზით დავკარგეთ თვე-ნახევარი. სექტემბერში კიდევ ერთი თვით გადაგვიდეს პროცესი იმის გამო, რომ მოსამართლე მიდიოდა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის რაღაც სემინარზე. სხვათა შორის, დავინტერესდი და ეს სემინარი ორი კვირა გრძელდებოდა მხოლოდ და რატომ დაგვიკარგა სასამართლომ დარჩენილი ორი კვირა, ჩემთვის გაუგებარია... რამდენიმე პროცესი იყო, როდესაც მხოლოდ ერთი მოწმე დაკითხეს. უკვე აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ მოწმეზე პროკურორი ზეწოლას ახდენდა. პრაქტიკულად თვითონვე კარნახობდა პასუხებს. ჩემს მოთხოვნას, კითხვების მოხსნაზე, არ მიკმაყოფილებდნენ... ბრალდების ყველა მოწმემ შეცვალა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება...

– ჩვენებები თქვენს სასარგებლოდ შეიცვალა?

– არა, პირიქით, ჩვენს საწინააღმდეგოდ.

– წინასწარ გამოძიებაში ხომ ისედაც ასეთი ჩვენებები იყო მიცემული?

– მაგრამ გამოძიებას ჰქონდა ლაფსუსები, რომლებიც ამ მეთოდის გამოყენებით სასამართლო პროცესზე გასწორდა.

– ვინ იყო ის 6 მოწმე, ვინც დაიკითხა?

– ესენი იყვნენ ვანის პოლიციის თანამშრომლები და შემთხვევის ადგილზე მყოფი რამდენიმე პირი. დასაკითხი იყო ბრალდებულის ქვისლი, რომელიც ბრალდების მოწმეა და გაიკეთა ოპერაცია. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ სწორედ ამიტომ გადადეს პროცესი ორი კვირის ნაცვლად ერთი თვით. როდესაც განახლდა პროცესი, სასამართლოზე გამოჩნდა სხვა პროკურორი, რომელმაც განაცხადა, რომ ის აპირებდა ამ საქმეში გამოსვლას, როგორც ბრალმდებელი, და რადგან ის არ იცნობდა საქმის მასალებს, ამისთვის მას სჭირდებოდა გონივრული ვადა. ჩვენი წინააღმდეგობის მიუხედავად, მოსამართლემ ეს დაუკმაყოფილა და იქვე დასძინა, რომ პროკურორი, დავით სიმონია, ვინც მანამდე გამოდიოდა პროცესზე, მონაწილეობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, საიდანაც მას კონკრეტულ დრომდე (დაასახელა დრო) არ გაათავისუფლებდნენ. შეიძლება მოსამართლემ იცოდეს, რომ პროკურორი ნაფიცი მსაჯულების პროცესზე გამოდის, მაგრამ დრო არ უნდა იცოდეს და იმის გამო, რომ პროკურორი გადის სხვა პროცესზე, მე, დაცვა, არ უნდა შემზღუდოს. თანაშემწემ ჩაგვინიშნა 12-ში. საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ასეთი მიდგომით სამართლიანი განაჩენი ვერ დადგება და ვერც ნივთმტკიცებების სრულყოფილი გამოკვლევა მოხდება... რჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს ისევ ძველებურად ეშინია პროკურატურის.

ადვოკატი ინგა შარაშენიძე

– რაღაც არ ეტყობა ბოლო დროს გამოტანილ განაჩენებს ეს შიში...

– მხოლოდ გახმაურებულ საქმეებზეა სასამართლო ასეთი პრინციპული, თორემ ჩვეულებრივ მოკვდავთა საქმეებზე ისევ ის ხდება, რაც ადრე ხდებოდა, სასამართლო და პროკურატურა შეხმატკბილებულად ავიწროებენ დაცვას.

– გინდათ თქვათ, რომ პროკურატურამ ითაღლითა და ამის საქმის კურსში იყო მოსამართლეც?

– დიახ, სწორედ ასე იყო... საქმეში არის არაერთი ახალი გარემოება, როს გამოც სასამართლოში უნდა დადგეს მოთხოვნები, რომ შესაბამისი მტკიცებულებები გამოითხოვონ. ამ ყველაფრის მოსწრება დარჩენილ დროში სრულიად წარმოუდგენელია. მარტო წერილობითი მტკიცებულებები რომ წაიკითხოს მოსამართლემ, იცით, რამდენი დროა საჭირო? ორი ტომი უნდა წაიკითხოს კიდევ...

– ხომ შეიძლება, აღარ გაგიჭიანურონ პროცესი?

– ასეც რომ მოხდეს, უკვე რაც გააკეთეს, იმითაც საკმაოდ შემზღუდეს... მე უკვე ვეღარ ვასწრებ ექსპერტიზების დანიშვნას. ნივთმტკიცებები რომ გაიგზავნოს იქ, სასამართლოზე, როგორღა უნდა მოხდეს მათი გამოკვლევა? საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ პროკურატურამ იცის ჩემი გეგმების შესახებ, ვინაიდან თავადაც კარგად იციან საკუთარი შეცდომებისა და ლაფსუსების შესახებ, რაც წინასწარ გამოძიებაში დაუშვეს და ამიტომაც მიმართავენ ასეთ ხერხებს. ეს იქნება არასრულყოფილი სასამართლო... პროკურატურისთვის ცნობილია, რომ არაერთი ახალი გარემოება ამოტივტივდება და ამ მაქინაციებში სასამართლოსაც იშველიებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ შეხვედრას 2014 წელს საქართველო უმასპინძლებს

„ეს ყველაფერი გავლენას მოახდენს ქართული ღვინის ინდუსტრიაზე, საქართველოს იმიჯის განვითარებაზე“

„ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა, საშუალებას მოგვცემს, დავაფიქსიროთ საქართველო ღვინის ინდუსტრიის მქონე ქვეყანათა რიცხვში, რაც ქართული ღვინის განვითარებისთვის პოზიტიური იქნება“

EXCLUSIVE

ნანა შონია

რამდენიმე დღის წინ, ვაშინგტონში, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ყოველწლიურ პლენარულ შეხვედრაზე, ხელი მოეწერა ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) ფარგლებში შემუშავებულ დოკუმენტს ეტიკეტირების მოთხოვნების შესახებ, რომელიც ეხება ალკოჰოლის დასაშვებ გადახრას, მოსავალს, რთველს, ყურძნის ჯიშებს და მეღვინეობის რეგიონებს. წლევანდელ ფორუმში ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი მონაწილეობდა. გადაწყდა, რომ 2014 წელს ანალოგიური ფორმატით შეხვედრა საქართველოში გაიმართება.

რა შედეგის მომტანია საქართველოსთვის ეს დოკუმენტი და რას გეგმავს ამ მიმართულებით სააგენტო - ამ საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი ესაუბრა.

ლევან დავითაშვილი, ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი: „ფორუმი, რომელიც წელს გაიმართა, ვაშინგტონში ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არის ორგანიზებული. საქართველო უკვე მესამე წელია, რაც მსგავს ღონისძიებაში მონაწილეობს. აქ გაერთიანებული არიან ღვინის მწარმოებელი ე.წ. ახალი სამყაროს წევრები, ჩილე, არგენტინა, კანადა, აშშ და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია ამ ორგანიზაციის ფარგლებში სავაჭრო ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებთან. როგორც იცით, წელს გამოვაცხადეთ, რომ ევროპის პარალელურად აზიის მიმართულება გავხადოთ პრიორიტეტული ქართული ღვინისთვის. ამ ბაზრებზე მარტივი წვდომა კი ამ ორგანიზაციის წვდომით არის შესაძლებელი. არსებობს აზია წყნარი ოკეანის ფორუმი, რომელშიც ბევრი სახელმწიფოა გაერთიანებული, მათ შორის იაპონია, ჩინეთი. ეს არის ერთობლივი ღონისძიება ოპეკთან. აქ არის სხვადასხვა საკითხი, მათ შორის, როგორი უნდა იყოს ეტიკეტირება, ნორმები ღვინოსთან დაკავშირებით, ანალიზები, სერთიფიცირების რეცეპტი და ა.შ. უამრავი ტექნიკური დეტალი, რომელიც, როგორც წესი, ბარიერია საერთაშორისო ვაჭრობაში. სწორედ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა, საშუალებას გვაძლევს დავაკმაყოფილით ის მოთხოვნები, რაც მსოფლიო ბაზრებზე არსებობს. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველო მონაწილეობდეს ასეთ ღონისძიებებში, თავის საჭიროებებს აფიქსირებდეს მაღალ ტრიბუნებზე და მსოფლიოში პრიორიტეტულ მიზნობრივ ბაზრებზე.

- თქვენი გათვლებით რა გავლენას მოახდენს ეს ყველაფერი ქართული ღვინის ხარისხზე და ცნობადობაზე?

- ეს ყველაფერი გავლენას მოახდენს ქართული ღვინის ინდუსტრიაზე, საქართველოს იმიჯის განვითარებაზე. რადგანაც ასეთ მაღალ ტრიბუნაზე, ქვეყანას ექნება შესაძლებლობა მისი პოზიციები დააფიქსიროს. შეგვიძლია საზოგადოებას დავანახვოთ, რომ ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა ვართ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ხოლო ღვინის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობა საშუალებას მოგვცემს, დავაფიქსიროთ საქართველო ღვინის ინდუსტრიის მქონე ქვეყანათა რიცხვში, რაც ქართული ღვინის განვითარებისთვის პოზიტიური იქნება.

- რამდენად დიდია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული პროდუქციით დაინტერესება?

- ამ ღონისძიებებში მონაწილეობენ სამთავრობო სტრუქტურები და სამთავრობო დონეზე ჩვენ ძალიან კარგი ურთიერთობები გვაქვს, რაც პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია. რაც შეეხება უშუალოდ მომხმარებელზე მუშაობას და მიზნობრივ ბაზრებს, ეს ცალკე სამუშაო საგანია. აქ კი აქტიურად მიდის მუშაობა ისეთ ღონისძიებებზე, როგორიც გამოფენები, დეგუსტაციები, შეხვედრები, სხვადასხვა საკომუნიკაციო წყაროებით სარგებლობაა. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, ადმინისტრაციული მხარე, რაშიც სწორედ მსგავსი ღონისძიებების საშუალებით ვამარტივებთ ურთიერთობებს. მაგალითისთვის რომ ვიმსჯელოთ, საუბარია ამერიკაში რეგისტრაციის პროცედურების გაადვილებაზე, რომ არ მოხდეს ქართული ღვინის ფალსიფიკაცია და ამ ყველაფერზე სწრაფად მოვახდინოთ რეაგირება. ჩვენ ძალიან კარგი კომუნიკაცია გვაქვს მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებთან.

რაც მთავარია, ამ ორგანიზაციის წევრობა და ასეთ ორგანიზაციაში მონაწილეობა ხელს უწყობს ცნობადობის ამაღლებას. ჩვენ უნდა გავუადვილოთ ადმინისტრაციული ბარიერების გადალახვა მეწარმეებს, რისთვისაც მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა აუცილებელია. რაც შეეხება მარკეტინგულ მხარეს, გეტყვით, რომ ამ მიმართულებით ნოემბრის თვე ძალიან აქტიურია. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, ჩვენ, საერთაშორისო დონეზე აქტიურად ვმონაწილეობთ გამოფენებში. ნოემბრის თვე კი ამ კუთხით საკმაოდ დატვირთულია. შანხაიში იმართება ძალიან დიდი გამოფენა, სადაც ქართული ღვინო მწარმოებელი კომპანიებისა და სხვადასხვა მეწარმეების სტენდებით იქნება წარმოდგენილი. ამავე დროს ჰონგკონგში იქნება დიდი გამოფენა. ვილნიუსის სამიტის წინ ქართული დღეები გაიმართება, სადაც ასევე ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები იქნებიან წარმოდგენილი. ასევე ნოემბერშივეა დაგეგმილი კრაკოვში დიდი გამოფენა. იტალიაში, ექსკლუზიური ღვინის საერთაშორისო გამოფენაში ვმონაწილეობთ. მთლიანობაში რომ ვთქვათ, ნოემბერში თითქმის ყოველდღე იქნება ღონისძიებები და ეს ყველაფერი ღვინის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებითა და მხარდაჭერით ხდება.

- ბატონო ლევან, როგორც ცნობილია, საუბარი მიდის იმაზე, რომ შესაძლოა საქართველომ, 2014 წელს ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ პლენარულ შეხვედრას უმასპინძლოს...

- ყოველ წელს, როტაციის პრინციპით, ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის ყოველწლიურ პლენარულ შეხვედრას სხვადასხვა სახელმწიფო მასპინძლობს. 2014 წელს სწორედ საქართველო ხდება თავმჯდომარე ქვეყანა. რაც მისასალმებელია და მოგეხსენებათ, რომ ამ სახის ღონისძიების მასპინძლონა თავისთავად პოზიტიურად აისახება ღვინის ინდუსტრიის განვითარებაზე. რადგანაც საქართველომ უნდა წარმართოს მოლაპარაკებები ღვინით ვაჭრობის ბარიერების შემცირებასთან დაკავშირებით და უხელმძღვანელოს ამ ყველაფერს. მთელი წლის მანძილზე ჩვენ გვექნება ელექტრონული მოლაპარაკებები წევრ ქვეყნებთან, რათა გავაუმჯობესოთ ურთიერთობები საერთაშორისო სავაჭრო დონეზე. ამ პროცესს კი საქართველო გაუწევს კოორდინაციას. გარდა ამისა, რიგი მნიშვნელოვანი დოკუმენტები ღვინით ვაჭრობასთან დაკავშირებით საბოლოოდ გაფორმდება და შეთანხმდება წლიურ ყრილობაზე, რომელიც საქართველოში 2014 წელს ჩატარდება. ამ ღონისძიების ფარგლებში კი ქვეყანას წამყვანი ინდუსტრიის მქონე ქვეყნები ეწვევიან. რაც შეეხება კონკრეტულ თარიღს, ამაზე მსჯელობა მიმდინარეობს, თუმცა ჩვენი ვარაუდებით ეს შეიძლება იყოს სექტემბერში ან ოქტომბრის თვის პირველ ნახევარში. ქართული მხარე მზადყოფნას გამოთქვამს, რომ ღირსეული მასპინძლობა გაუწიოს და საკმაოდ მაღალ დონეზე ჩავატაროთ ყველაფერი. მოგეხსენებათ ეს ყველაფერი უფრო მეტად გაზრდის ქართული ღვინის ცნობადობას მსოფლიო დონეზე და უფრო მეტად გაადვილებს სავაჭრო ურთიერთობებს წამყვან სახელმწიფოებთან.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რეზონანსულ საქმეებს ახალი გუნდი გამოიძიებს

ირაკლი ღარიბაშვილი: „მას ეყოლება ძალიან კარგი, ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ეფექტური გუნდი“

my View
მირიან ბოქოლიშვილი

მომავალი კვირიდან ახალი მინისტრთა კაბინეტი ოფიციალურად შეუდგება მუშაობას. ღარიბაშვილის კაბინეტის მთავარი ინტრიგა ამოხსნილია. ვინ შეცვლის ირაკლი ღარიბაშვილს? ამ კითხვაზე ბოლო დღეებში არაერთი ვერსია გავრცელდა. ყველაზე აქტიურად ამ პოსტზე მინისტრის მოქმედი მოადგილე ვახტანგ გომელაური განიხილებოდა. კვირის ბოლოს ვერსიებს წერტილი თავად ირაკლი ღარიბაშვილმა დაუსვა, როდესაც საგანგებო ბრიფინგზე ყველასთვის მოულოდნელად საკუთარ მემკვიდრედ 28 წლის ალექსანდრე ჭიკაიძე დაასახელა. „პირველ რიგში, მინდა ვთქვა ის, რომ ლექსო გაიზარდა ღირსეული პოლიციელის ოჯახში. მას ძალიან კარგი მამა ჰყავდა.

ის იყო ღირსეული პოლიციელი. ლექსომ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს სამინისტროში დაიწყო მუშაობა. მან პრაქტიკულად ყველა ეტაპი გაიარა და თანაც ძალიან წარმატებულად. ის იყო დამწყები ოპერატიული თანამშრომელი. შემდეგ გამომძიებელი დეტექტივი, შემდეგ გახდა თბილისში ერთ-ერთი პოლიციის განყოფილების უფროსი. ბოლოს მე დავნიშნე კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსად, სადაც ბრწყინვალედ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. მინდა გავიხსენო ის კომენტარები, რომლებსაც ჩემი თანამშრომლები აკეთებდნენ ლექსოსთან დაკავშირებით, რომ მან საათივით ააწყო და გამართა სისტემა, ჯერ კახეთის სამმართველოში და შემდეგ უკვე გადმოვიყვანეთ თბილისში. გაზაფხულზე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაიბარა თბილისის სამმართველო და სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ასევე საათივით ააწყო და გამართა. მას ჰყავს ძალიან კარგი გუნდი, თავისი თანამებრძოლები, რომლებიც არიან ძალიან წარმატებული პოლიციელები. რაც მთავარია, ლექსომ აჩვენა, რომ მას შეუძლია მართვა. თბილისი არის ყველაზე რთული ქალაქი საქართველოში. ასე რომ, მე სრულ ნდობას ვუცხადებ ბატონ ალექსანდრეს. დარწმუნებული ვარ, ძალიან ეფექტური მინისტრი იქნება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა. ალექსანდრე ჭიკაიძე პროფესიით დიპლომატია, თუმცა მუშაობა პოლიციის სტრუქტურაში არჩია. კარიერა რიგითი პოლიციელობით დაიწყო გლდანი-ნაძალადევის რაიონულ განყოფილებაში. 2010 წელს ამავე განყოფილების გამომძიებელი ხდება, ერთი წლის შემდეგ კი გლდანი-ნაძალადევის პოლიციის უფროსად დაინიშნა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ალექსანდრე ჭიკაიძეს ირაკლი ღარიბაშვილმა კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველო ჩააბარა, რამდენიმე თვეში კი ის თბილისის პირველი პოლიციელი გახდა. მმართველ გუნდში მის სახელს უკავშირებენ დედაქალაქში კრიმინოგენური სიტუაციის გაუმჯობესებას და რამდენიმე კრიმინალური ავტორიტეტის, მათ შორის გიორგი ჯოხაძისა და ათამდე ქურდული სამყაროს წევრის დაკავებას. მედიასთან პირველი გამოჩენისას შს მომავალი მინისტრი მცირე კომენტარით შემოიფარგლა. მან ირაკლი ღარიბაშვილს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა. „დიდი მადლობა ბატონ მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის. ყველაფერს ვიღონებ იმისთვის, რომ ბატონი ირაკლის დაწყებული საქმე ღირსეულად გავაგრძელო“, – აღნიშნა ჭიკაიძემ. შს მინისტრის გარდა, როგორც მოგეხსენებათ, კიდევ ერთი ცვლილება პროკურატურაში განხორციელდა. არჩილ კბილაშვილმა თანამდებობა სამოქალაქო სექტორში გადასვლის მიზნით დატოვა და მის შემცვლელად მომავალმა პრემიერმა ოთარ ფარცხალაძე დაასახელა. ოპონენტები ფარცხალაძეს სახელს ანდერს ფოგ რასმუსენის ვიზიტის დროს საკრებულოს ნაციონალი წევრების მოწმის სახით დაკითხვაზე მიყვანასა და შემდეგ განთავისუფლებას უკავშირებენ. დაკითხული22 პირიდან იმავე დღეს ფინანსურმა პოლიციამ 4 პირი 50 მილიონის მითვისების ბრალდებით დააკავა. (სასამართლო პროცესები ამ საქმეზე ჯერ არ დასრულებულა), სამთავრობო გუნდში კი ფარცხალაძეს პროფესიონალ კადრად ახასიათებენ. ის ამჟამად ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს ხელმძღვანელობს, მანამდე კი ამავე სამსახურის ქვემო ქართლის სამმართველოს უფროსი გახლდათ. „მას ეყოლება ძალიან კარგი, ახალგაზრდებითა და გამოცდილი პროკურორებით დაკომპლექტებული ეფექტური გუნდი და დარწმუნებული ვარ, ძალიან ეფექტური მთავარი პროკურორი იქნება“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავარი პროკურორის კანდიდატურასთან დაკავშირებით და იქვე აღნიშნა, რომ არჩილ კბილაშვილთან არანაირი უთანხმოება არ ჰქონია. ახალ მინისტრთა კაბინეტს საქართველოს პარლამენტი ნდობას 21-22 ნოემბერს გამოუცხადებს, რის შემდეგაც ირაკლი ღარიბაშვილი – პრემიერ-მინისტრის პოსტზე, ალექსანდრე ჭიკაიძე – შს მინისტრის, ოთარ ფარცხალაძე კი მთავარი პროკურორის თანამდებობებზე ოფიციალურად შეუდგებიან მუშაობას. სხვა ცვლილებებს მინისტრთა კაბინეტში ჯერჯერობით არ ელოდებიან. სამართალდამცველი სტრუქტურების ახალ ხელმძღვანელებს წინ რამდენიმე ხმაურიანი საქმე ელით. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დაწყებული რეზონანსული გამოძიებები ახლა სწორედ მათ სახელთან იქნება დაკავშირებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იოსებ ხითაროვი - ცხოვრება გრძელდება, ადამიანი შეცდომებზე სწავლობს...

„რომ არ ვმუშაობდე, ძალიან გამიჭირდებოდა, მით უფრო, ციხიდან გამოსვლის შემდეგ. თავს სრულიად უფუნქციოდ და უუნაროდ ჩავთვლიდი“

„დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, პრობაციის სააგენტოს, იმის გამო, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ ყოფილ პატიმრებს საშუალებას აძლევენ, დასაქმდნენ და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ“

EXCLUSIVE

„ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი ერთი გაუცნობიერებელი საქციელით, დიდი ტრავმა მივაყენე საკუთარ თავს და საყვარელ ადამიანებსაც...“

თორნიკე ყაჯრიშვილი

51 წლის იოსებ ხითაროვი 2011 წლის 24 დეკემბერს, ხუდადოვის ქუჩაზე, ავტომობილის მარჯვენა ხედვის სარკის მოხსნის ფაქტზე დაიჭირეს... ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაულისთვის 4 წელი მიუსაჯეს. შემდეგ, ამნისტია შეეხო და ციხეში სულ 6 თვე გაატარა. ახლა - პირობით მსჯავრდებულია. ამბობს, რომ გაუცნობიერებელი საქციელით საკუთარ თავს და ოჯახს დიდი ტრავმა მიაყენა...

მამის დაპატიმრება, ყველაზე მეტად მისმა ორმა სტუდენტმა გოგონამ განიცადა, რომლებსაც დედა, უკვე წლებია, სამუშაოდ საბერძნეთში ჰყავთ. პროფესიით არქიტექტორი, სასჯელის მოხდის შემდეგ, პრობაციის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების სარემონტო სამუშაოებზე დასაქმდა, სადაც ოთხი თვე იმუშავა. ამჯერად, ჯიქიას ქუჩაზე, სასჯელაღსრულების პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს შენობის სარემონტო სამუშაოებზე, სააგენტოს რეკომენდაციით და საკუთარი ინიციატივით განაგრძობს მუშაობას.

„დეკემბერში 14 წელი გახდება, რაც ჩემი მეუღლე საბერძნეთშია წასული...“

იოსებ ხითაროვი: „ციხიდან გამოსვლის შემდეგ, როცა აღრიცხვაზე პრობაციის ეროვნულ სააგენტოში დავდექი, მეგონა, რომ კვირაში ერთხელ მივიდოდი, თითს დავადებდი და სულ ეს იყო... მაგრამ ჩემი ოფიცერი დეტალურად დაინტერესდა ჩემი მდგომარეობით, სოციალური პირობებით, რამდენჯერმე ფსიქოლოგსაც კი შემახვედრეს. ვუთხარი, რომ ჩემი მთავარი პრობლემა უმუშევრობა იყო. მოგეხსენებათ, ყველა უფრთხის ყოფილი პატიმრის დასაქმებას. არადა, ცხოვრება ხომ გინდა... ვიცი, რომ პრობაციის სააგენტოს ჩვენი დასაქმება არ ევალება და ვერც კი წარმოვიდგენდი, სამსახურს თუ შემომთავაზებდნენ. მუშაობა მშენებლობაზე დავიწყე. მისი დასრულების შემდეგ, ახალ ობიექტზე დამასაქმეს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, პრობაციის სააგენტოს, იმის გამო, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ყოფილ პატიმრებზე ზრუნავენ, საშუალებას აძლევენ, დასაქმდნენ და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ. ერთი კვირაა, რაც აქ ვმუშაობ. ძალიან კარგი პირობებია და არც ხელფასით ვარ უკმაყოფილო“.

იოსებ ხითაროვი 1962 წლის 25 აგვისტოს, ახალციხეში დაიბადა. მშობლებმა, ერთადერთში შვილი, საშუალო განათლების მიღების შემდეგ, სასწავლებლად რუსეთში გაგზავნეს.

იოსებ ხითაროვი: „სკოლის დამთავრების შემდეგ, რუსეთში, არქიტექტურის ფაკულტეტზე ვსწავლობდი. იქ 10 წელი ვიცხოვრე. არდადეგების პერიოდში ვმუშაობდი და ასე ვირჩენდი თავს. 22 წლის ვიყავი, როდესაც პირველი ოჯახი შევქმენი. ჩემი პირველი მეუღლე ეროვნებით რუსია. შეგვეძინა გოგონა, რომელსაც თამილა დავარქვით. პირველი ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა და, გარკვეული მიზეზების გამო, 4 წლის შემდეგ განქორწინდით. ოჯახის დანგრევა ჩემთვის ყველაზე დიდი ტრაგედია იყო. საქართველოში რომ წამოვედი, ბავშვი პატარა იყო. ახლა უკვე შვილიშვილიც მყავს, თუმცა, პირველ შვილს ჩემთან ურთიერთობის სურვილი არ აქვს... საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ხელობაზე დავიწყე მუშაობა. ჯერ რემონტებს ვაკეთებდი, შემდეგ კაფელის დაგება ვისწავლე. ასე ვარჩენდი ოჯახს. სამი წელი ინგუშეთშიც ვიმუშავე.

29 წლის ვიყავი, როდესაც მეორე ოჯახი შევქმენი. მომავალი მეუღლე ლაგოდეხში, ჩემი ნათლიის შვილის ქორწილში გავიცანი. ირმა მეჯვარე იყო. გაცნობიდან სამ თვეში დავქორწინდით. შევქმენით ბედნიერი ოჯახი. გვყავს 2 ქალიშვილი, ორივე სტუდენტი. უფროსი იურიდიულ ფაკულტეტზეა, წელს ამთავრებს, უმცროსი ჟურნალისტიკაზე სწავლობს. 90-იან წლებში, როგორც ყველას, ჩვენც გაგვიჭირდა. ხალხში ფულიც არ იყო, რომ ხელობაზე მემუშავა. მუშად თუ იმუშავებდი, მაშინაც ფულის ნაცვლად პროდუქტებს გაძლევდნენ. იყო პურის ტალონები და გაუთავებელი რიგები. სახლთან ახლოს პურის თონე იყო და ყოველდღიურად ფქვილის ტომრებს ვცლიდი, რომ პური მოეცათ. გარკვეული პერიოდი ასე გაჭირვებით ვცხოვრობდით. იმ პერიოდში, ჩემი ნათლიის შვილი, რომლის მეჯვარე ჩემი მეუღლე იყო, საბერძნეთში წავიდა სამუშაოდ. სამი წლის შემდეგ ჩემი მეუღლეც წაიყვანა. უფროსი შვილი მეხუთე კლასში იყო, უმცროსი მესამეში. მთელი ოჯახის ტვირთი მე დამაწვა. დედაჩემი მეხმარებოდა ბავშვების გაზრდაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, ბავშვები სტუდენტები რომ გახდნენ, მეც მათთან თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად. ვცხოვრობთ ქირით. სწავლის და ქირის ფულს საბერძნეთიდან ირმა აგზავნის. ჩემი შემოსავალი, ძირითადად, საჭმელში იხარჯება, მაგრამ, კიდევ კარგი, რომ ამის საშუალება მაინც მაქვს. რომ არ ვმუშაობდე, ძალიან გამიჭირდებოდა, მით უფრო, ციხიდან გამოსვლის შემდეგ. თავს სრულიად უფუნქციოდ და უუნაროდ ჩავთვლიდი. დეკემბერში 14 წელი გახდება, რაც ჩემი მეუღლე საბერძნეთშია წასული...“

„ეს ყველაფერი ძალიან დიდი ტრაგედია იყო ჩემი ოჯახისთვის, განსაკუთრებით კი შვილებისთვის, რომლებსაც დედა საბერძნეთში ჰყავდათ და მამა ციხეში...“

- 2011 წლის 24 დეკემბერს დამიჭირეს... იმ დღეს ძალიან ბევრ სუფრაზე მოვხვდი და აღარ მახსოვს როგორ აღმოვჩნდი ხუდადოვის ქუჩაზე, სადაც არ ვიცი რატომ მოვატეხე მანქანას სარკე. 100 მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ დამიჭირეს... ექვსი თვე ვიჯექი... ეს ყველაფერი ძალიან დიდი ტრაგედია იყო ჩემო ოჯახისთვის, განსაკუთრებით კი შვილებისთვის, რომლებსაც დედა საბერძნეთში ჰყავდათ და მამა ციხეში... ციხეში სულ იმის შიში მქონდა ბავშვებს ზურგი არ ექციათ... უფროსი გოგონა ძალიან მგრძნობიარეა, ყველაზე მეტად მას გაუჭირდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც ის მპატრონობდა. ფულსაც ის მირიცხავდა ბარათზე, ტანსაცმელიც მას მოჰქონდა და პაემანზეც ის მოდიოდა სანახავად... ორივე შვილი გვერდში ამომიდგა და მამხნევებდნენ. ჩემთვის ეს ძალიან ბევრს ნიშნავდა მორალურად... ორი კვირა მქონდა დარჩენილი სასჯელის მოხდამდე, როცა უფროსი გოგონა მოვიდა დედაჩემთან ერთად. მაშინ მკითხა, „მამა, რომ გამოხვალ რას აპირებო..“. პირობა მივეცი, რომ აღარასდროს გავეკარებოდი სასმელს. ახლა, ლუდი რომ ლუდია, იმასაც აღარ ვსვამ. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ჩემმა მეუღლემაც ძალიან განიცადა. გამოვედი თუ არა დამირეკა და მითხრა, ეს ყველაფერი, ალბათ, კარგი მაგალითი იქნება შენთვისო...

მარტო მათთვის კი არა, ჩემთვისაც დიდი ტრაგედია იყო ციხე. აღარ მინდა იმ დღეების გახსენება. ციხეში ადამიანი მორალურად ეცემა. მარტო იმის ფიქრებში ხარ, რა ხდება გარეთ, როგორ არიან შენები... რატომ, რისი გულისთვის ჩაიდინე დანაშაული... სულ ეს კითხვები გიტრიალებს თავში... ყველა ნორმალურმა ადამიანმა, ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ოჯახს... ოჯახზე ძვირფასი, ამ ცხოვრებაში არაფერია. ყველაზე კარგი მრჩეველი და მეგობარი, მათ გარდა რომელია? სიკეთე უნდა აკეთო, ეკლესიაში იარო, დაეხმარო გაჭირვებულს... და მაშინ შენც დაგეხმარებიან. ზუსტად ისე, როგორც ეს ჩემს შემთხვევაში მოხდა. იქიდან ზოგი ცხოვრებაზე აღრენილი გამოდის, არადა თუ რეალურად შეხედავ ცხოვრებას, ყველაფერი კარგად იქნება. მთავარია, იმედი არ დაკარგო. იმაზე მეტი ბედნიერება რა არის, როცა შენი ოჯახის წევრებს უყურებ, რომლებსაც ყველაზე მეტად უყვარხარ. ზოგს ჰგონია, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება ფულში და ოქროშია, ბედნიერება მხოლოდ ჯანმრთელობასა და თავისუფლებაშია. ყველას ის უნდა ჰქონდეს, რაც ეკუთვნის.

- 14 წელი თუ თქვენი მეუღლე საბერძნეთშია, არ გაგჩენიათ სურვილი მასთან წასულიყავით?

- 2009 წელს უნდა წავსულიყავი. ჩემი მეუღლის ოჯახსაც ძალიან უჭირდა და ირმა ველარ წვდებოდა ორი ოჯახის ფინანსურ დახმარებას. თავისი და წაიყვანა. სანამ დამიჭერდნენ, ცოტა ხნით ადრე დამირეკა და მითხრა, აქეთ წამოდიო, მაგრამ ბავშვები უკვე სტუდენტები იყვნენ და მათ როგორ დავტოვებდი. ყურადღების მიქცევა სჭირდებოდათ... ნასვამ მდგომარეობაში ჩადენილი ერთი გაუცნობიერებელი საქციელით, დიდი ტრავმა მივაყენე საკუთარ თავს და საყვარელ ადამიანებსაც, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ადამიანი შეცდომებზე სწავლობს. ვნანობ ყველაფერს, მაგრამ უკვე გვიანია. მე აღარასდროს დავლევ სასმელს. ახლა, ჩემი მთავარი საზრუნავი ჩემი ოჯახი და მათი კეთილდღეობაა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დანაშაულის სტატისტიკა

რა ციფრებით ტოვებს ირაკლი ღარიბაშვილი შსს-ს?

my View
მირიან ბოქოლიშვილი

21-22 ნოემბერს პარლამენტი ღარიბაშვილის კაბინეტს ნდობას ოფიციალურად გამოუცხადებს... ახალი პრემიერი საკუთარი გუნდის წარმატებაში დარწმუნებულია... პრემიერობის კანდიდატი შსს-ს კონკრეტული ციფრებით ტოვებს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ირწმუნებიან, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა იკლო, ამის გასამყარებლად კი სტატისტიკას იშველიებენ. მონაცემები ასახავს კრიმინოგენურ მდგომარეობას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, რეგიონების მიხედვით.

„სტატისტიკური მონაცემებით, 2013 წელს, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ქვეყნის მასშტაბით დანაშაულმა 7112 ერთეულით იკლო, რაც 22,7%-ს შეადგენს, ხოლო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელმა 40,6%-ით მოიმატა და 59,1% -ია“, – განმარტავენ შსს-ში.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე აქვეყნებს ოქტომბრის დანაშაულის სტატისტიკას როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე რეგიონების მიხედვით. უწყების ინფორმაციით, 2013 წლის ოქტომბერში ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის კლება 1004 ერთეულით დაფიქსირდა, რაც 27,6%-ს შეადგენს. დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი 64,5%-ია და 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 56,3 %-ით მოიმატა.

რაც შეეხება რეგიონებს, აი, ასე გამოიყურება შსს-ს ოფიციალური სტატისტიკა რეგიონების მიხედვით:

ქვეყნის მასშტაბით 2013 წელს 24 175 დანაშაულია რეგისტრირებული, რომელთაგან 59,1 % გახსნილია. 2012 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 31 ათას 287 დანაშაულზე დაიწყო ძიება, რომელთაგან 5789 გაიხსნა. დედაქალაქში 2013 წლის 10 თვეში 1304 დანაშაული დარეგისტრირდა, გახსნილია 696; გასული წლის ანალოგიურ პერიოდში თბილისში 1644 დანაშაული მოხდა, აქედან გაიხსნა 96. იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ფიქსირდება დანაშაულის 41,4-პროცენტიანი კლება, გახსნის მაჩვენებელი კი 76,7 პროცენტით გაიზარდა. ქვემო ქართლში დანაშაულმა იკლო 255 ერთეულით, გახსნის მაჩვენებლის მატება – 53,2%. სამეგრელო-ზემო სვანეთი – დანაშაული შემცირდა 38,9 პროცენტით, გახსნის მაჩვენებელმა კი მოიმატა 71,8 პროცენტით. კახეთი – დანაშაულმა იკლო 27 ერთეულით, გაიხსნა 67,9 პროცენტით მეტი საქმე. აჭარაში დანაშაულმა დაიკლო 16,4 პროცენტით, გახსნილი საქმეების მაჩვენებელმა კი მოიმატა 61,3 პროცენტით. შიდა ქართლში დანაშაულის 40-პროცენტიანი კლება ფიქსირდება, გახსნის მაჩვენებელი – 52,9%. სამცხე-ჯავახეთში ფიქსირდება დანაშაულის მცირე მატება, კონკრეტულად 3 ერთეულით, თუმცა გახსნის მაჩვენებელი 64,3 პროცენტს აღწევს. გურიაში დანაშაულმა 5,5 პროცენტით მოიმატა, გახსნის მაჩვენებელმა კი – 43,5 პროცენტით. შსს-ის სტატისტიკური მონაცემებით, დანაშაულის ყველაზე მაღალი მატება მცხეთა-მთიანეთში დაფიქსირდა (12 ერთეული), თუმცა აქ გახსნის მაჩვენებელიც ერთ-ერთი ყველაზე მაღალია – 73,8 პროცენტი.

ასეთია ქვეყნის მასშტაბით კრიმინოგენური ვითარება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით. ირაკლი ღარიბაშვილი უწყებას სწორედ ამ ციფრებით ტოვებს. რა ციფრებს დადებს შს ახალი მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე, ამას უკვე მომავალი გვიჩვენებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ახალი კონცეპტუალური მაღაზიები კომპანია „ჯეოსელისგან“

მობილური ტელეფონების ფართო სპექტრი საუკეთესო ფასად, ყველაზე ხელსაყრელი შეთავაზებები, მაღალკვალიფიციური ექსპერტთა ჯგუფი, მობილური ინტერნეტის ამოუწურავი შესაძლებლობები, განსაკუთრებული გარემო, ეს იმ მომსახურების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც კომპანია „ჯეოსელი“ მომხმარებელს ახალ კონცეპტუალურ მაღაზიებში სთავაზობს.

კომპანიის პირველი ობიექტის პრეზენტაცია ვაკეში, ჭავჭავაძის გამზიზე N 34-ში სანახაობრივად დატვირთული და საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა. არაჩვეულებრივი „ფლეშმობის“, მუსიკალური პერფორმანსის და ლაზერული შოუს შემდეგ შეკრებილმა საზოგადოებამ პირველი კონცეპტუალური მაღაზია დაათვალიერა. მაღაზია, რომლით სარგებლობაც „ჯეოსელის“ ქსელშია შესაძლებელი, სხვადასხვა სახის მომსახურებას აერთიანებს. აქ, კვალიფიციური კონსულტატენტების მეშვეობით, მომხმარებელს შესაძლებელობა ექნება გაერკვიოს შეძენილი მობილური ტელეფონის ფუნქციებში, ისარგებლოს ყველა სახის მომსახურებით, რომელიც „ჯეოსელის“ სერვის ცენტრებშია შესაძლებელი. ადგილზე დაგხვდებათ სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სივრცე, სადაც შეგიძლიათ მიირთვათ ყავა და კომფორულად იგრძნოთ თავი. თანამედროვე მაღალი ხარისხის ტელეფონების შეძენა „ჯეოსელის“ კონცეპტუალურ მაღაზიებში, სხვა მაღაზიებისგან განსხვავებით, 10,15 და ხშირ შემთხვევაში 20%-ზე დაბალ ფასად იქნება შესაძლებელი.

„ჯეოსელი“ „თელიასონერას“ ჯგუფში ერთ-ერთი პირველი კომომპანიაა, რომელიც მსგავს წამოწყებას იწყებს საქართველოს მასშტაბით. ზემოაღნიშნული სიახლეების გარდა კომპანია კონცეპტუალურ მაღაზიებში მომხმარებელს საინფორმაციო შეხვედრებზე და მასტერკლასებზე დასწრებას სთავაზობს. სადაც თქვენ უფასოდ შეძლებთ გაერკვიოთ თანამედროვე ტექნოლოგიებში. ახალ ოფისებში ასევე შესაძლებელია მიიტანოთ ძველი, უვარგისი მობილური ტელეფონი და განათავსოთ ოფისში არსებულ სპეციალურ ყუთებში.

ამ ყველაფრის პარალელურად კომპანია „ჯეოსელი“ მომხმარებელს მორგებულ სატელეფონო პაკეტს სთავაზობს.

აირჩიეთ თქვენზე მორგებული პაკეტი „მეტი“

- მეტი სასაუბრო წუთი
- მეტი SMS
- მეტი მობილური ინტერნეტი.

პასი კოისტინენი, კომპანია „ჯეოსელის“ აღმასრულებელი დირექტორი: „ჩვენს ახალ ოფისებში წარმოდგენილია ყველა ის სიახლე, რითიც „ჯეოსელი“ კვლავაც გააგრძელებს აბონენტებზე ორიენტირებულ მომსახურებას მშვიდ და მეგობრულ გარემოში. ოფისში სპეციალურად გამოყოფილ სტენდებზე მომხმარებელს თავად შეეძლება გამოსცადოს და გაეცნოს მსოფლიო ტენდენციებს უახლესი მობილური აპარატებისა და აქსესუარების შესახებ. ახალ ოფისში მომხმარებელს დახვდება კომპეტენტური კადრები, სასიამოვნო ატმოსფერო, განსაკუთრებული დიზაინი და შინაურული გარემო. აქ მთავარი მიზანია, მომხმარებლისთვის მაქსიმალურად გამარტივდეს და სახალისო გახდეს ერთი შეხედვით რთული ტექნოლოგიური სიახლეები, რაც ასე მნიშვნელოვნად ცვლის ადამიანების ცხოვრებას“.

ივანე მაჭავარიანი, კომპანია „ჯეოსელის“ კომერციული დირექტორი: „მთავარი სიახლე, რასაც დღეს კომპანია „ჯეოსელი“ გთავაზობთ, ეს არის ახალი კონცეპტუალური მაღაზიები. კონცეფცია მდგომარეობს იმაში, რომ გქონდეთ ფართო არჩევანი მობილური ტელეფონების და მიიღოთ მაღალკვალიფიციური მომსახურება. კვალიფიციური სპეციალისტები სრულიად უფასოდ გაგიწევენ კონსულტაციებს და სპეციალური მასტერკლასების მეშვეობით შეძლებთ ისარგებლოთ მობილური ტექნოლოგიების ყველა სიახლით. გარდა ამისა, ჩვენ მომხმარებელს ახალ სეზონზე ვთავაზობთ მათთვის მორგებულ ტარიფს, პაკეტს სახელწოდებით „მეტი“. რომლის მიხედვითაც თქვენ შეძლებთ ისარგებლოთ სასურველი და მორგებული ტარიფებით.

ნიკა მაჩაიძე: „კომპანია „ჯეოსელის“ ახალი მომსახურების სერვისები, კონცეპტუალური მაღაზიები, ეს არის განვითარების და საინფორმაციო ტექნოლოგიების გლობალური ნაწილი. მისასალმებელი და ძალიან სასიამოვნოა, რომ საქართველო ხდება ამ ყველაფერში ჩართული“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირშია ზაზა ხატიაშვილი „კანონიერ ქურდებთან“

ზაზა ხატიაშვილი: „ეგ სამყარო საერთოდ მეზიზღება, ჩემს პრაქტიკაში არ დამიცავს „კანონიერი ქურდი“, პოლიციელი და პროკურორი“

EXCLUSIVE

ნინო დათაშვილი

ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლას სხვადასხვა ინტერესები და მოლოდინები დაუკავშირდა. მაგალითად, ლოზუნგს – „აღდგეს სამართლიანობა“, ხშირ შემთხვევაში სწორედ ის ადამიანები არიან ამოფარებული, რომლებმაც თავის დროზე ბიუჯეტის ხარჯზე ან სხვადასხვა მაქინაციებით საკმაოდ სოლიდური ქონება დააგროვეს. ახლა კი ამ ქონების უკან დაბრუნება სურთ ან ისეთი მექანიზმების აწყობა, რომელიც მათ მაშინდელივით დიდ მოგებას დაუტოვებს ბიუჯეტის გვერდის ავლით.

ვინ „ბუტკების“ ქუჩაში დადგმას ელოდა, ვინ – დიდი საწარმოების დაბრუნებას... მოკლედ, ყველა ელოდა და როცა არც ახალმა ხელისუფლებამ არ მისცა მათ შავ ხვრელში ფინანსური კომფორტის მოწყობის საშუალება, ამიტომაც მათი დიდი ნაწილი ბურჯანაძის გარემოცვაში აღმოჩნდა.

მეორე დიდი და ასევე გავლენიანი კასტა, ვინც ივანიშვილის მოსვლას მოუთმენლად ელოდა, „კანონიერი ქურდები“ იყვნენ.

შევარდნაძის დროს „კანონიერ ქურდებს“ შს მინისტრი ტრაპთან ხვდებოდა ხოლმე, ამაზე მაშინ მედიაც წერდა და პოლიტიკოსებიც დაუფარავად ლაპარაკობდნენ. აღარაფერს ვამბობთ იმ წილებზე, რომელიც ქართული ბიზნესიდან „კანონიერ ქურდებს“ ყოველთვიურად მისდიოდათ. ძველი გავლენების, ანუ „პალაჟენიის“ დაყენების მოლოდინი მათაც ჰქონდათ.

თავის დროზე ამბობდნენ, რომ ნანა კაკაბაძის ზედმეტად საეჭვო აქტიურობა ფართომასშტაბიან ამნისტიაში „კანონიერი ქურდების“ ჩართვაზე სწორედ ქურდული სამყაროს დაკვეთა იყო. ყველას ახსოვს, საკითხის შეფერხების ფონზე როგორ იტირა ნანა კაკაბაძემ პარლამენტში.

ისინი ციხიდან გამოვიდნენ და როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ „კანონიერმა ქურდებმა“ გარკვეული მოძრაობები მაინც დაიწყეს. ირაკლი ღარიბაშვილის შს მინისტრობის დროს 6 „კანონიერი ქურდი“ დაიჭირეს. ეს საქართველოში, ევროპის მასშტაბითაც განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერაციები, „კანონიერი ქურდები“ დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნებშიც აიყვანეს. ანტიკრიმინალური სპეცოპერაცია ჩატარდა როგორც იტალიაში, ისე ავსტრიაში, საბერძნეთსა და თურქეთში. სულ 20-მდე ყველაზე გავლენიანი „კანონიერი ქურდი“ დაიკავეს. ქართველმა ქურდებმა იქ იმდენად „გამართული“ კრიმინალური ქსელი შექმნეს რომ მათ ქართული მაფია უწოდეს.

ასე რომ, კრიმინალებს იმედები გაუცრუვდათ ახალი ხელისუფლება ქურდული სამყაროს მოკავშირე არ გახდა. ყველას ახსოვს, დედ ჰასანის მკვლელობის შემდეგ (ის სნაიპერმა მოკლა), როგორ სურდათ მისი თბილისში გადმოსვენება. თვითმფრინავს, რომელსაც მისი ცხედარი გადმოჰქონდა, ევროპიდან საქართველოში კანონიერი ქურდებიც მოჰყვებოდნენ, თუმცა, ოფიციალურმა თბილისმა ისინი ქვეყანაში არ შემოუშვა.

რა თქმა უნდა, „კანონიერი ქურდები“ საქართველოში სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანებით არ შემოუშვეს. შს მინისტრი ფართომასშტაბიანი ამნისტიის წინააღმდეგიც იყო და მან ეს ღიად დააფიქსირა; ამბობენ, რომ გარეთ გამოსულ ქურდებს მინისტრმა ქვეყნის დატოვებისთვის დრო მისცა. ზოგი წავიდა, ზოგმაც არ დაიჯერა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში „პალაჟენიებს“ ვერ აღიდგენდა. ვინც ვერ დაიჯერა, ის ისევ საპატიმროში აღმოჩნდა.

„კანონიერი ქუდები“ ყოველთვის ცდილობდნენ, აქტიურად ჩარეულიყვნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბოლო პერიოდის არჩევნებში მათ ფინანსებიც კი გაიღეს. მაგალითად, იგივე ნინო ბურჯანაძის საარჩევნო კამპანიაში (უფრო შორს რომ არ წავიდეთ). სხვათა შორის, პოლიტიკოსებისგან მხოლოდ ნინო ბურჯანაძე მივიდა ნანა კაკაბაძის ღონისძიებაზე, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა და რომელსაც ამნისტირებული ეგრეთწოდებული პოლიტპატიმრები ესწრებოდნენ.

„კანონიერი ქურდების“ უფლებებს აქ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფიგურები იცავდნენ.

ამბობენ, რომ ბოლო დროს „კანონიერ ქურდებთან“ „ლინკი“ ცნობილ ადვოკატს ზაზა ხატიაშვილსაც გაუჩნდა. თითქოს იმ „კანონიერი ქურდების“ სიაც ცნობილია, ვინც ხატიაშვილთან კავშირზეა. ესენი არიან: გიორგი ვიბლიანი, გიორგი ხმელიძე (იგივე ხმელა), შუშანაშვილისა და ლორთქიფანიძის დაჯგუფებები.

კონფიდენციალური წყაროს ცნობით, საქართველოში ზაზა ხატიაშვილისა და გელა ქარდავას შეხვედრაც იყო დაგეგმილი, მაგრამ ეს უკანასკნელი საქართველოში არ შემოუშვეს. ქარდავა ცნობილი „კანონიერი ქურდია“, გავლენებიც აქვს და ბოლო წლებში ქურდულ „რაზბორკებშიც“ მონაწილეობდა. შესაძლოა, ეს მხოლოდ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობაა და მეტი არც არაფერი, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ხანს ხატიაშვილი მთელი ძლევამოსილებით აკრიტიკებს ღარიბაშვილს და მის პერსონა ნონ გრატად გამოცხადებასაც კი ითხოვს, საზოგადოების ნაწილს ეჭვები გაუჩნდა – ხომ არ არის ეს მიზანმიმართული კამპანია ღარიბაშვილის წინააღმდეგ, რომელმაც 10-თვიანი მუშაობის პერიოდში 6 „კანონიერი ქურდი“ დააპატიმრა.

ასეა თუ ისე, „კანონიერი ქურდები“ ახალი ხელისუფლების პირობებში დისკომფორტს გრძნობენ. გასაკვირი არ იქნება, თუ ისინი ამ ხელისუფლების წინააღმდეგაც ჩადებენ ფულს.

ირაკლი ღარიბაშვილი ერთ-ერთი იმათგანია, ვინც მათ მიზანში ჰყავთ ამოღებული. ამბობენ, რომ, სხვებთან ერთად, ზაზა სისხლის სამართლის კოდექსიდან იმ მუხლის ამოღებას ითხოვს, რომელიც კანონიერი ქურდობისთვის საპატიმრო სასჯელს აწესებს.

თავად ზაზა ხატიაშვილის განმარტებით, ის სისხლის სამართლის კოდექსის შეცვლას კი არა, საპროცესო კოდექსის დახვეწას ითხოვს, სადაც დღემდეა ჩანაწერი, რომელიც „კანონიერი ქურდთან“ დაახლოებული პირის დასჯას ითვალისწინებს.

რაც შეეხება „კანონიერ ქურდებთან“ მის შესაძლო კავშირს, ამას კატეგორიულად უარყოფს:

– ეგ სამყარო საერთოდ მეზიზღება, ჩემს პრაქტიკაში არ დამიცავს „კანონიერი ქურდი“, პოლიციელი და პროკურორი. პოლიციელი იმიტომ, რომ ვინც მომმართა რამდენჯერმე, მე მათ ვუთხარი: თქვენ ადამიანს აწამებდით და ვერ დაგიცავთ-მეთქი. ერთადერთი შემთხვევა იყო მახარაძე, რომელიც კვდებოდა და წამალს არ აძლევდნენ, მისი საქმე გავასაჩივრე სტრასბურგში და მოვიგე კიდეც...

არც ვიცნობ „კანონიერ ქურდებს“, ვერავინ იტყვის, რომ არათუ შეხვდა, ვინმემ დამირეკა მაინც. მკვდარ დას ვფიცავ, საერთოდ არ ვიცნობ მაგ ქარდავას. შეიძლება მას სურდა ჩემთან შეხვედრა, მაგრამ მასე ჩემთან შეხვედრა სააკაშვილსაც უნდოდა და ამ ხელისუფლების მინისტრებსაც უნდათ... ვის არ მიგზავნიდნენ და ახლაც მიგზავნიან. მაგრამ მე არ ვიყიდები...

ეს ყველაფერი 8 დეკემბერს უკავშირდება, ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელის არჩევაა და უნდათ, რომ კენჭი არ ვიყარო. მაინც ვიყრი და მაინც გავიმარჯვებ...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

არასაპარლამენტო ოპოზიცია ნინო ბურჯანაძის გარშემო ერთიანდება?

ნინო დათაშვილი

ერთხელ ჯონდი ბაღათურია უკვე გამოვიდა სკანდალური ინიციატივით – პაატა ბურჭულაძე პოლიტიკაში შემოდისო. ბევრი ხმაურისა და სკანდალური ვერსიის შემდეგ, ბურჭულაძემ, ბოლოს და ბოლოს, თქვა: არა, პოლიტიკაში შემოსვლას არ ვგეგმავო.

ახლა ჯონდი ბაღათურია, როგორც ჩანს, მორიგი ხმაურიანი განცხადების გაკეთებას აპირებს, როცა არასაპარლამენტო ოპოზიციის თითქმის გაერთიანებას დააანონსებს. არასაპარლამენტო ოპოზიციაში ლიდერად ნინო ბურჯანაძე გამოიკვეთა. გაერთიანებაც, ალბათ, სწორედ მის გარშემო უნდა მოხდეს, თანაც ადგილობრივი არჩევნებისთვის. თუმცა, ყველაფერი, ალბათ, მაინც ტექნიკურად გაკეთდება. გაერთიანება ჯერ თემატური იქნება და შემდეგ კოალიციაშიც გადაიზრდება. სახელდებიან ის პარტიები, ვინც თემატურ ჯგუფში შევლენ. ესენი არიან: გიორგი თარგამაძე, ნინო ბურჯანაძე, მამუკა კაციტაძე, კახა კუკავა, ჯონდი ბაღათურია. „პრაიმტიმი“ შეეცადა, გაერკვია, რა კონსულტაციები მიმდინარეობს არასაპარლამენტო ოპოზიციას შორის.

ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასის“ ლიდერი:

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება...

– კონსულტაციები ნამდვილად მიმდინარეობს ყველა ძირითად ოპოზიციურ ძალას შორის. ყველა ერთმანეთთან ლაპარაკობს.

– კონკრეტულად ვინ?

– ამ ეტაპზე ამას ვერ გეტყვით. ჯერჯერობით შემიძლია გითხრათ, რომ მიმდინარეობს კონსულტაციები და მე საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი მომავლის მიმართ.

– ვის გარშემო ერთიანდებით და რა იქნება თქვენი მოთხოვნები?

– სახელმწიფოსა და სახელმწიფოს ინტერესების გარშემო მოხდება ეს გაერთიანება.

– ერთი კონკრეტული ლიდერი არ ეყოლება ამ გაერთიანებას?

– ლიდერი ბევრი იქნება.

– ნინო ბურჯანაძე შემოვა თქვენს გაერთიანებაში?

– პერსონალიებზე ახლა კომენტარს ვერ გავაკეთებ. წინასწარ, ნაჩქარევად გაკეთებული განცხადებები საქმეს აფუჭებს ხოლმე. ყველა სუბიექტი მას შემდეგ იქნება ცნობილი, რაც გაიმართება კონსულტაციები. ერთი რამ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს შეკრებილი გუნდი და პოლიტიკური ძალები თავისუფალი იყვნენ თავისი ბიოგრაფიით დანაშაულებრივი წარსულისგან. ეს არის ჩვენი მთავარი ამოსავალი წერტილი. არ დაგიმალავთ იმასაც, რომ პირადად მე მაქვს კონსულტაციები, ასევე, აპოლიტიკური სივრციდან ცნობილ თუ არაცნობილ სახეებთან. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მიმაჩნია, რომ პოლიტიკური სპექტრის დიდმა ნაწილმა სრული დეგრადაცია განიცადა და ქართული პოლიტიკა ახალ სახეებს საჭიროებს ბიზნესიდან, მეცნიერებიდან და ასე შემდეგ.

მათ მოზიდვას პოლიტიკაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება.

– ვინ იქნებიან ეს აპოლიტიკური სახეები?

– სამწუხაროდ, ვერც ამას დაგიკონკრეტებთ.

– ადგილობრივი არჩევნებისთვის თუ ემზადებით?

– რა თქმა უნდა, ვემზადებით. ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეები“:

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება... თქვენ თუ მოიაზრებით ამ გაერთიანებაში და თუ გაქვთ მათთან კონსულტაციები?

– მგონი, თქვენ არ გაქვთ სწორი ინფორმაცია, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია ერთიანდება...

– ეს უკვე დაადასტურა ჩვენთან საუბარში ჯონდი ბაღათურიამ...

– მოდით, მე გეტყვით ჩემს პასუხს, ის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის არასაპარლამენტო ოპოზიცია შესაძლებელია გარკვეულ კოალიციაში ჩაერთოს, ამაში არაბუნებრივი და არარეალური არაფერია. ეს იდეა კახა კუკავამ რამდენიმე დღის წინ გააააჟღერა. ბუნებრივია, ჩვენც ვამბობთ, რომ გაერთიანება და ალიანსი შესაძლებელია, მაგრამ ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული ამ მიმართულებით ჩვენი ჩართულობით ნამდვილად არ არის დაწყებული. ალბათ, დღეს ძირითადი ყურადღება ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას უნდა მოვაქციოთ და შემდეგ საარჩევნო კოდექსს ადგილობრივ თვითმმართველობასთან მიმართებაში, რადგან ვიცოდეთ, 2014 წლის არჩევნებში რა წესით შევალთ საარჩევნო რეჟიმში. ამის შემდეგ გარკვეული პოლიტიკური პარტიები მოვახერხებთ ერთმანეთთან გარკვეულ საფუძვლებზე, ღირებულებებსა და იდეოლოგიაზე დაყრდნობით იმას, რომ შეიქმნას კოალიცია ან გაერთიანება. თუმცა ამ ეტაპზე, როდესაც ჩვენ არჩევნების თარიღიც კი არ ვიცით, რაიმე გადაწყვეტილ ფორმაზე საუბარი, რომ იქმნება გაერთიანება ან ალიანსი, ერთმნიშვნელოვნად გეუბნებით, რომ გადაჭარბებულია. ამ საკითხზე ახლა სხვას ვერაფერს გეტყვით.

„ოქროს საჭე 2013“- წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საავტომობილო კონკურსი დაიწყო

მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საავტომობილო დაჯილოდოება „ოქროს საჭე 2013“ საქართველოში წლის ბოლოს გაიმართება. ღონისძიებას საავტომობილო ჟურნალი „აუტო ბილდ საქართველო“, კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით გამართავს. საერთაშორისო კონკურსი „ოქროს საჭე 2013“, წლის საუკეთესო ავტომობილების გამოვლენას ისახავს მიზნად.

ლაშა წიკლაური, ჟურნალ „აუტო ბილდის“ მარკეტინგის მენეჯერი: „ეს არის პროექტი, რომელსაც ევროპაში საავტომობილო „ოსკარს“ უწოდებენ. საქართველოში ეს პროექტი „აუტო ბილდის“ ორგანიზებითა და კომპანია „ვისოლის“ მხარდაჭერით ხორციელდება. ქართველ ავტომოყვარულებს აქვთ საშუალება, აირჩიონ თავიანთი ფავორიტი ავტომობილი, მისცენ ხმა და წლის ბოლოს შევაჯამოთ შედეგები. კონკურსის საშუალებით გამოვარჩევთ ექვს კლასში საუკეთესო ავტომობილებს. ასეთი პერმანენტული შოუები და ღონისძიებები წლის ბოლომდე გაიმართება. ეს საშუალებას აძლევს ყველა წამყვანი საავტომობილო ბრენდის წარმომადგენელს საქართველოში წარმოაჩინოს თავისი უახლესი მოდელები, უფრო ფართო საზოგადოებას გააცნოს მათი უპირატესობები და გახდეს „ოქროს საჭე 2013“. ეს კონკურსი გერმანიაში 1976 წლიდან დაიწყო. წელს, საქართველო, ევროპის 25 ქვეყანასთან ერთად, აწყობს ამ დაჯილდოებას“.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში „ვისოლ ჯგუფის“ პრეზიდენტმა სოსო ფხაკაძემ განაცხადა, „ოქროს საჭე 2013“-ის კონკურსში მონაწილე მსოფლიოს წამყვანი ბრენდების უახლესი მოდელებისათვის რეკომენდებული სწორედ უახლესი ევროპული სტანდარტის, უმაღლესი ხარისხის სანვავია, რომლის რეალიზაციას საქართველოში „ვისოლი“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელის საშუალებით ახდენს.

სოსო ფხაკაძე: „მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული საავტომობილო კონკურსი „ოქროს საჭე“, ძალიან ბევრ ქვეყანაში იმართება და მიხარია, რომ საქართველოშიც ჩაეყარა საფუძველი. კონკურსში მონაწილეობენ, თანამედროვე ავტომობილები, რომლებსაც სჭირდებათ მაღალი ხარისხის საწვავი, ასეთი ხარისხი საქართველოში კომპანია „ვისოლს“აქვს. შესაბამისად, „ვისოლი“ მოხარულია იყოს მხარდამჭერი საავტომობილო სივრცეში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიებისა“.

რამდენიმე დღის წინ, „ოქროს საჭე 2013-ის“ კონკურსის საქართველოში დაწყების საზეიმო ცერემონიალს „ნისანის“ ცენტრმა უმასპინძლა. ღონისძიების ორგანიზატორებმა და მასპინძელმა მედიის წარმომადგენლებს საშუალება მისცეს მონაწილეობა მიეღოთ Test Drive-ში და თავად შეეგრძნოთ უახლესი საავტომობილო მოდელების შესაძლებლობები და უპირატესობები.

ქრისტინე პატარაია, კომპანია „ჯეო ავტოს“ გაყიდვებისა და მარკეტინგის მენეჯერი: „რამდენიმე დღის წინ, საერთაშორისო საავტომობილო კონკურსი „ოქროს საჭე 2013“ ოფიციალურად საქართველოშიც გაიხსნა. გახსნის ღონისძიებას მასპინძლობდა კომპანია „ჯეო ავტო“, რომელიც საქართველოში „ნისანის“ ოფიციალური წარმომადგენელია. კონკურსში „ნისანის“ ერთ-ერთი მოდელიც მონაწილეობს. გვინდა, რომ ამ ღონისძიებით მხარი დავუჭიროთ და მოვუწოდებთ ყველა ჩვენს გულშემატკივარს ხმა მისცენ „ნისანს“.

კონკურსში მონაწილეობენ წლის საუკეთესო ავტომობილები, რომლებიც გადანაწილებულნი არიან 6 კლასში. რჩეული ავტომობილისთვის ხმის მიცემის პროცედურა „პალიტრა მედიას“ რამდენიმე მედია საშუალებით -www.autobild.ge, www.ambebi.ge, www.palitratv.ge, ასევე „ვისოლის“ ვებ გვერდისა და facebook პროფილის მეშვეობით მიმდინარეობს. დამატებით, „ოქროს საჭე 2013“-ის კონკურსის ფარგლებში, ყოველ შაბათს დაგეგმილი ღონისძიებები საშუალებას მისცემს ფართო საზოგადოებას ჩაერთოს წლის საუკეთესო ავტომობილის გამოვლენის პროცესში და აირჩიოს მისთვის საუკეთესო ბრენდი.

ხმის მიცემის პროცედურა დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება და საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალით დასრულდება. საუკეთესო ავტომობილების გამოვლენის კამპანიაში ჩართულნი არიან საავტომობილო დილერები, სხვადასხვა ავტობრენდის ფან კლუბები და სხვა გულშემატკივრები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფეხსაცმლისა და ჩანთების ახალი კოლექცია „თბილისი მოლში“

სართული 1

Aldo
Banana Republic
Bershka
Call it Spring
Charles & Keith
Massimo Dutti
TopShop/TopMan
Marks & Spencer
New Look
Pull & Bear
Suit Blanco
Steve Madden
Stradivarius
Zara
Samsonite
cortefiel

სართული 2

Alberto Guardiani
AVTANDIL
Clarks
Bagatt
Bata
Bosanova
Clarks
Converse &Columbia
F&F
Factory
Ginno Rossi
Lee / Wrangler
Levi's
F&F
New Yorker
Nike
Polaris
Shoes Gallery
Schön
Zara
Ferro

Columbia Sportswear Company & CONVERSE

Bata

ferro

TOPSHOP TOPMAN

PETER KAISER since 1838

FOOTWEAR ACCESSORIES FACTORY

AIRSTEP

softinos HAPPY FEET

Levi's

Lee

VANS

BENSIMON

DOCKERS

Gabor IRRESISTIBLE

Burlington

FALKE

Wrangler

PARFOIS

GIORDANO

Polaris

Samsonite

Schön

Ⓐ

სტუდიო | ფეხსაცმლის გალერეა

ALBERTO GUARDIANI

BISSE

PULL&BEAR

ZARA

bagatt

Stradivarius

gino rossi

NEW YORKER

TM თბილისი მოლი

OPENING HOURS
Everyday 10:00 AM – 10:00 PM
სამუშაო საათები
ყოველდღე 10:00 - 22:00 სთ

P
2000+
FREE PARKING SPACES
უფასო ავტოსადგომი

TRANSPORT
ტრანსპორტი
44 51 87 116 117 121

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კომპანია, რომელსაც უყვარს თავისი მომხმარებელი

„ამაზე იაფად მხოლოდ ფეხით თუ წახვალ“

EXCLUSIVE

„ჩვენ უკვე მოვახერხეთ ქართველების გაკვირვება თბილისი-სტამბულის რეგულარულ რეისზე არსებული უპრეცედენტოდ დაბალი ფასით და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ“

სამირ ხალილოვი

my View
თამარ გორთამაშვილი

უკვე ერთი თვეა, რაც თურქული ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ ქართულ ბაზარზე შემოვიდა უპრეცედენტოდ დაბალი ფასით და მომსახურების სრული სერვისით. ოქტომბრის ბოლოს კომპანიამ ქართული მედიისთვის ინფოტურიც მოაწყო, თბილისი-სტამბოლი-ჩრდილოეთ კვიპროსი. ჩვენ ყველა ისტორიული ძეგლის და თანამედროვე ინფრასტრუქტურის დათვალიერების საშუალება მოგვეცა, როგორც სტამბოლში, ისე კვიპროსში, სადაც, როგორც აღმოჩნდა, წლის ნებისმიერ სეზონზე დასვენება იმაზე იაფი ჯდება, ვიდრე საქართველოს კურორტებზე, თანაც ჩვენი ტურისტული ინფრასტრუქტურა, სასტუმროები თუ სხვა გასართობი ადილები, იქაურთან ახლოსაც ვერ მივა. ამ პროდუქტით კომპანია ქართულ ბაზარზე მალე შემოვა.

დეტალური ინფორმაცია ავიაბილეთების შესახებ თქვენ შეგიძლიათ კომპანია „ატლასჯეტის“ ოფისში მოიკითხოთ, რომელიც თბილისში აბაშიძის 78-ში მდებარეობს. მანამდე კი „ატლასჯეტის“ ქართული წარმომადგენლობის გენერალურ დირექტორთან, სამირ ხალილოვთან ინტერვიუს გთავაზობთ, სადაც ის ყველა იმ სიახლეზე საუბრობს, რომელსაც კომპანია უახლოეს მომავალში გეგმავს:

სამირ ხალილოვი: „დღევანდელი დღისთვის „ატლასჯეტი“ მომხმარებელს ყველაზე ხელმისაწვდომ ტარიფს სთავაზობს, როგორც სტამბულში ფრენებზე, ისე, ინტერლაინის სისტემით, სხვა ქვეყნებში. ქართველი მომხმარებელი უკვე გაეცნო ჩვენს ფასებს. ჩვენ უკვე გვქონდა 13 რეისი, ყველა შემთხვევაში შევსება მაღალი იყო და რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ის ადამიანები, რომლებმაც ერთხელ მაინც ისარგებლეს ჩვენი სერვისით, მოდიან და მადლიერებას გამოხატავენ. გვეუბნებიან, რომ კვლავაც ჩვენი სერვისით ისარგებლებენ, ეს ძალიან გვახარებს. ჩვენი პირველი უპირატესობა არის ფასი, მეორე - მიმღები აეროპორტი - ათათურქი, რომელიც სტამბოლის ევროპულ ნაწილში მდებარეობს და საიდანაც ჩვენს მგზავრებს შეუძიათ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გაფრინდნენ. გარდა ამისა, ჩვენ მგზავრებს მომსახურების სრულ სპექტრს ვთავაზობთ, მიუხედავად იმისა, რომ კერძო ავიაკომპანიას წარმოვადგენთ, სერვისი ზუსტად ისეთ დონეზე გვაქვს, როგორც მსხვილ ავიაკომპანიებს. სრულ სერვისში შედის უფასო კვებაც, რომელიც ძალიან ხარისხიანია. ჩვენ ძალიან მაღალი დონის მფრინავები გვყავს. გარდა იმისა, რომ მათ ძალიან დიდი სტაჟი აქვთ, ჩვენ გვყავს ყოფილი სამხედრო მფრინავები, რომლებმაც პენსიაზე გასვლის შემდეგ გაიარეს გადამზადება და დღეს სამოქალაქო ავიაციაში არიან. უფრო მეტიც, ჩვენ გვაქვს საკუთარი აკადემია, სადაც ვასწავლით, ვატარებთ ტრენინგებს, ხდება მფინავების გადამზადება და ა.შ.

გარდა ამისა, ჩვენი თვითმფრინავების სალონი ძალიან მოხერხებულია ნებისმიერი მგზავრისთვის. სავარძლებს შორის დისტანცია 77 სანტიმეტრია, რაც საშუალებას აძლევს ყველას კომფორტულად მოეწყოს სალონში. ფრენის დროც ძალიან ხელსაყრელია ტრანზიტული მგზავრებისთვის. ჩვენ ღამის ფრენა გვაქვს და ათათურქის აეროპორტში ჩასულ ტრანზიტულ მგზავრს აღარ უწევს სხვა რეისზე დიდი ხნის ლოდინი. მგზავრებისთვის ექსკლუზიური შეთავაზებაც გვაქვს - ეს არის მათი ტრანსპორტირება თბილისიდან და რუსთავიდან აეროპორტამდე და პირიქით. ამისთვის გამოვყავით კომფორტული ავტობუსები, რომლებსაც მგზავრები აბსოლუტურად უფასოდ გადაჰყავთ აღნიშნულ მარშრუტზე.



კიდევ ერთი სიახლე ჩვენი მგზავრებისთვის არის კორპორატიული და საოჯახო დაგროვებითი ბარათები, რაც შემდეგ ფრენებზე სხვადასხვა ბონუსებს აძლევს მათ. ანუ ჩვენ ყველა სერვისს კიდევ უფრო გაუმჯობესებულს ვთავაზობთ მგზავრებს, ვიდრე ეს მსხვილ ავიაკომპანიებშია. ამიტომაც ჩვენთან არის არა ეკონომკლასი, არამედ ეკონომპლუსი.

- ამ ყველაფრის შემდეგ მოგებაზე გადიხართ?

- ჯერჯერობით ზარალზე ვმუშაობთ, თუმცა მე იმედი მაქვს, რომ მინუსიდან მალე გამოვალთ. ეს ბუნებრივიცაა, ნებისმიერი ბიზნესისთვის ეს ნორმალურია. პირველივე დღიდან მოგებას ვერავინ იღებს, მით უმეტეს ისეთი სპეციფიკური ბიზნესიდან, როგორიცაა სამოქალაქო ავიაცია. მე მესმის, რომ ქართველები ძალიან ფრთხილად ეკიდებიან ასეთ შეთავაზებებს და დაპირებებს, რადგან დაუჯერებლად მიაჩნიათ, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ ისინი ჩვენ ობიექტურად შეგვაფასებენ და ჩვენი მუდმივი მომხმარებლები გახდებიან.

მომავალი წლის გაზაფხულიდან ვგეგმავთ დავიწყოთ რეგულარული რეისები ანტალიაში, ხაზი მინდა გავუსვა, ეს იქნება არა ჩარტერული, არამედ რეგულარული რეისები. ჩვენ ყოველდღიურად ვიფრენთ ანტალიაში. გარდა ამისა, „ატლასჯეტის“ ჰოლდინგში შედის თურქეთის ყველაზე მსხვილი ტუროპერატორი „ეტეესთურქი“, რომელთან ერთადაც ჩვენ ძალიან მალე შემოვალთ ქართულ ბაზარზე და სრულიად ახალ პროდუქტს შემოვიტანთ - ეს არის ჩრდილოეთ კვიპროსი. გვინდა საქართველოს მოსახლეობას გავაცნოთ ჩრდილოეთ კვიპროსის კურორტები და იმედი მაქვს, რომ ქართველ მომხმარებელს ეს შეთავაზება ძალიან მოეწონება. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანია ეტეესი ჰოლდინგში შედის, ჩვენ გავყიდით ტურისტულ პაკეტებს, სადაც ბილეთის ფასი ფაქტობრივად შეუმჩნეველი იქნება. ეს ყველაფერი ძალიან იაფი დაჯდება და ქართველი მომხმარებელი სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩება ყველაფერ იმისგან, რასაც მათ შევთავაზებთ. ჩვენ უკვე მოვახერხეთ ქართველების გაკვირვება თბილისი-სტამბულის რეგულარულ რეისზე არსებული უპრეცედენტოდ დაბალი ფასით და მომავალშიც ასე გავაგრძელებთ.

კიდევ ერთი ახალი პროდუქტი, რომელსაც ჩვენ შემოვიტანთ საქართველოში - ეს საზღვაო კრუიზებია. კომპანია „ეტეესთურქი“ ფლობს რამდენიმე საზღვაო ლაინერს და ვფიქრობ, რომ ქართველები ამ სერვისითაც დაინტერესდებიან. საშუალო ფასი 8-დღიანი საკრუიზო მარშრუტისა - იზმირი - სტამბოლი - დუბროვნიკი - ბენედიქტი - ბარი - კატაკოლონი - იზმირი - 499 ევრო. ამაზე იაფად მხოლოდ ფეხით თუ წახვალ. აი, ასეთ პროდუქტებს შემოვიტანთ ქართულ ბაზარზე ძალიან მალე.

მაგალითად, დღეს აქ მოვიდა ერთი ადამიანი, რომელიც ითხოვდა ბილეთს თბილისი-სტამბოლი-ლონდონი-სტამბოლი-თბილისი. ბილეთი მას 292 ევრო დაუჯდა. ეს ისეთი დაბალი ფასია, რომ ხალხს ძალიან უჭირს დაჯერება. ფიქრობენ, რომ ვხუმრობთ, არადა ეს სიმართლეა და ის ტარიფია, რომელსაც ჩვენ ვთავაზობთ ყველას, თანაც ისეთი მაღალი დონის ავიალაინერებით და მაღალხარისხიანი მომსახურებით, რისი თვითმხილველიც ქართველი ჟურნალისტები გახდნენ. ჩვენი კომპანიის სლოგანია - „ატლასჯეტი“- კომპანია, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარს თავისი მომხმარებელი. ჩვენ ამ სლოგანს ვამართლებთ და ვფიქრობ, რომ ქართველი მომხმარებელიც შეგვიყვარებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დავით სარაჯიშვილის (1848-1911) დაბა





გიორგი სარაჯიშვილი

„სახლი, რომელიც კაცმა 1905 წელს აიშენა... „რევკომმა“, 1921 წელს ხელოვნების სასახლედ გამოაცხადა“

„მაჩაბლის ქუჩის №13-ში მდებარე მამისეულ სახლში დავითმა 1902 წლის ზაფხულამდე იცხოვრა, შემდეგ იგი დაანგრია და 18 ივლისიდან ახლის შენება დაიწყო. მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა მიანდო ხის უნიკალურ მეჩუქურთმეს ილია მამაცაშვილს, რომელიც სახლის დანგრევამდე წაიყვანა ბერლინში, უჩვენა შენობების ნიმუშები. სახლი დაპროექტებულია გერმანიიდან მოწვეული არქიტექტორის პროფესორ კარლ ცარის მიერ. ცარი, ამავე დროს, სახლის მშენებლობის მთავარი ინჟინერიც იყო, ხოლო მშენებელ ინჟინრებად მოწვეულნი იყვნენ ალექსანდრე ოზეროვი – შიდა სამუშაოებისათვის, კონსტანტინე ტატიშჩევი – გარე გაფორმებისათვის. დავითს გადაწყვეტილი ჰქონდა აეშენებინა სახლი არა მარტო სწრაფად, არამედ არქიტექტურაში მიმდინარეობის მოდერნის მიხედვით, რადგან იცოდა, რომ საქართველო მდებარეობს აბრეშუმის გზაზე –დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზაგასაყარზე, რომ „თბილისი... ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორით – ევროპისაკენ“ და იქნებოდა კავკასიაში პირველი შენობა.

მამაცაშვილის ხელით და ხელმძღვანელობითაა გაკეთებული ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების შენობებში ხის ყველა სამუშაო.

მამისეული სახლის დანგრევისას, პირველი სართულის ქვეშ, სარდაფში 22 ბოთლი კარგად შენახული და ძველებური ღვინო უნახავთ. ახალი სახლის საძირკვლის ბალავარში რწმენა-ადათის მიხედვით, დავითს მუჭით ოქრო ჩაუყრია – „მაგარი საძირკველი ექნებაო“. მშენებლობა სამ წელიწადში, 1905 წლის გაზაფხულზე დამთავრებულა. იმავე წლის 3 აპრილს მომხდარა კურთხევა, ზეიმზე აკაკის თერთმეტსტროფიანი ლექსი უძღვნია ცოლ-ქმრისათვის:

„განგებამ მოგცათ
სუყველაფერი,
ნუ სწუხართ იმას,
რომ ხართ უშვილო,
ნუთუ არ კმარა
შვილად და ძირად
თქვენთვის სამშობლო
და საქართველო!“

გენიოსმა მხატვარმა ნიკო ფიროსმანმა დახატა: „უშვილო მილიონერი და ღარიბი ქალი შვილებით“(1905) და მოერიდა მიერთმია დავითისათვის სურათი.

შენობას ბევრი მნახველი ჰყავდა. ნახვაში არც ჩამოსული სტუმრები ჩამორჩებოდნენ. შენობის წინ დიდხანს იდგნენ და ათვალიერებდნენ, სოლოლაკის არისტოკრატთა უბანში. სოლოლაკის ქედიდან გამოყვანილი წყალი ადგილზე იფილტრებოდა. ქალაქში დავითის ოჯახი პირველი იყო ვინც ტელეფონით სარგებლობდა. ტერასაზე ლომის პირიდან გადმომდინარე წყარო, სულმნათი აკაკის ექსპრომტით დამშვენდა: „კარგო სტუმარო, დაუვიწყარო, შესვი, გაამოს, ეს წმინდა წყარო“ (1905).

ეზოში ხელოვნურად აშენებულ კლდეზე, სარაჯიშვილის ფირმის ნაწარმის ეტიკეტის – „კავკასიის ნატურალური კონიაკის“ ემბლემა – შავრქიანი ჯიხვი იდგა. გალიებში თუთიყუში და არწივი იყვნენ „დატყვევებულები“.

არტურ ლაისტი იგონებდა: „როცა დავით სარაჯიშვილმა ჩაიფიქრა ახალი სახლის აშენება, ის ხშირად მეუბნებოდა: „ფიქრი, რომ მექნება საშუალება ჩემი მეგობრები მივიღო, მყუდრო, მოხერხებულ და მოხდენილ სახლში, მახარებს ყველაზე მეტად“... მათ სტუმართმოყვარე ოჯახში ხარობდა მისი გული. ასეთი იდეალური ჰარმონიის წყალობით მათ სახლში ყოველთვის იგრძნობოდა ამაღლებული განწყობილება... პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და მხატვრები შეადგენდნენ მის დაინტერესებულ წრეს, რომლებიც იკრიბებოდნენ კვირაობით, ასევე, ხშირად სადღესასწაულო დღეებში“.

„ერთ დღეს, სადილად ვიყავი ბიძა დავით სარაჯიშვილთან. ეს სახლი მუდამ ღია იყო ქართველი მოღვაწეებისთვის, საზღვარგარეთელ მოგზაურთათვის. ბევრი დიდი საქმე დაწყებულა ამ კურთხეულ ოჯახში, ბევრი ახალი აზრი გამოთქმულა ამ კედელთ შორის, განხორციელებულა კიდეც. აქ კვირაობით უზიარებდა თავის მეგობრებს განვლილი კვირის სამუშაო საქმის წინ წაწევაზე. აქ პირველად ნიკო ცხვედაძემ აღძრა საკითხი ქართველ თავადაზნაურთა სკოლისათვის შენობის აგების შესახებ: „ვინ იცის დათიკო, იქნებ მოვიდეს დრო და ქართულ უნივერსიტეტს მოხმარდეს ეს შენობაო“. (ელისაბედ დავითის ასული ერისთავი). „მოსვენებას არ ვაძლევდით ილიას, გვინდოდა, რომ „ივერიისათვის“ რაიმე ახალი მოთხრობა მოეცა. ვიცოდი, რომ ჩანასახად უკვე აქვს დაწყებული მოთხრობა, რომლისათვის წინათ განზრახვა ჰქონია „გიორგი“ ეწოდებინა სახელად, მერე კი „ოთარაანთ ქვრივი“ დაარქვა... ახლად შობილს მონათვლა უნდოდა. განუყრელი, უცვლელი ნათლია ილიას ნაწარმოებებისა დავით სარაჯიშვილი იყო; იმდენად გულუხვი, პატივცემული ნათლია, რომ ნათლობასაც თვითონვე იხდიდა თავის სტუმართმოყვარე სახლში. ასე იყო მონათლული „განდეგილი“ (1883) და ამ წესრიგს არც ახლა გადაუდგა სარაჯიშვილი. ფართო, მდიდრულად მოწყობილ სახლში, სოლოლაკში, დიდძალ ქართველობას მოეყარა თავი. აქ იყვნენ „ივერიის“ ყველა თანამშრომელი, ქართველი მწერალნი და საზოგადო მოღვაწენი. მათ შორის იყვნენ: მოხუცი პოეტი რაფიელ ერისთავი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, გრიგოლ ვოლსკი, - საუცხოვო მცოდნე ქართული ენისა, პოეტი და საზოგადო მოღვაწე და კიდევ ბევრნი სხვანი... შუაღამე გადასული იყო, პურადმა მასპინძელმა ყველანი ვახშმად მიგვიწვია. შევედით დიდ სასადილო ოთახში, სადაც დიდებული სუფრა იყო გაშლილი. ვახშამმა მხიარულად ჩაიარა. მეტადრე ღაზათი დასდო სუფრას თამადამ, მოხუცმა რაფიელ ერისთავმა“. (იაკობ მანსვეტაშვილი). 1905 წლის მანიფესტის გამოცხადების წინ გურიის საქმე დიდად გართულდა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ალიხანოვის ჯარი გაგზავნა გურიის დასასჯელად. ქართველი ინტელიგენტები ხელმეორედ შევიკრიბეთ დავიდ სარაჯიშვილის ბინაზე, ილიაც მოვიდა, შეიქმნა ბაასი, თუ რა ზომა მიგვეღო, როგორ მოვქცეულიყავით, რომ გურია დაღუპვას გადაგვერჩინა... ხელმეორედ უნდა გაგვეგზავნა დეპუტაცია ვორონცოვთან და გვეთხოვა დაბრუნება ალიხანოვის დამსჯელი რაზმისა... პირველად დაასახელეს ილია ჭავჭავაძე, მაგრამ ილიამ განაცხადა: „ჩემი წასვლა ვორონცოვთან არ ივარგებს, რადგან ამ ცოტა ხნის წინათ ვარწმუნებდით, რომ გურულები მთავრობას აღარავითარ წინააღმდეგობას აღარ გაუწევენო“... დეპუტაციაში აგვირჩიეს: ქალაქის თავი ალექსანდრე ჩერქეზიშვილი, დავით სარაჯიშვილი, ვლადიმერ მიქელაძე, ეპისკოპოსი გიორგი ალადაშვილი, სტეფანე ჭრელაშვილი, მე და კიდევ რამდენიმე სხვა... მიგვიღო ვორონცოვმა თავის კაბინეტში... ჩემ სიტყვაზე ვორონცოვი ცოტა ხანს გაჩუმდა... გამოგვიცხადა: „ია პოდუმაიუ ი პოსლე დამ ვამ ზნატ“... ილიას დიდად გაუკვირდა და გვითხრა: „ეს დიდი, დიდი მიღწევაა, მე არ მოველოდი ამასო“. (ექვთიმე თაყაიშვილი). მომხდარა ასეთიც, კვირა დღეს, როგორც ყოველთვის, დავითმა შინ მიიწვია მეგობრები. სტუმრად მისულ ექვთიმე თაყაიშვილს საგანგებოდ მიუბრუნდა და უთხრა: „აი, საშენო, საშენო“, - გაუწოდა ძვირფასი ხელნაწერი ვეფხისტყაოსნისა“. უნიკალური ხელნაწერის გადარჩენით გახარებული ექვთიმე იგონებდა: „...იმ ხელნაწერში რამდენიმე ათეული საუცხოო მინიატურა იყო და თითო მათგანი გვიღირდა ას მანეთადო“.

CIC საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ქართული საზოგადოებრი აზრის გაცხოველება, კულტურის საერთო დონის აღმავლობა, არსდება: „ქართული გალობის აღმადგინებელი კომიტეტი“, სამუსიკო სასწავლებელი, ლადო აღნიაშვილისა და იოსებ რატილის გუნდები, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, დრამატიული დასის საქმიანობა. ასობით ნიჭიერი ჭაბუკი მიემგზავრება რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში უმაღლესი ცოდნის მისაღებად. დავით სარაჯიშვილმა დიდი დახმარება აღმოუჩინა ამ კულტურულ ორგანიზაციებსა და ახალგაზრდობას. დავითის ბიძაშვილი ვანო, რომელზეც დავითი 31 წლით უფროსი იყო, უყვარდა, სჯეროდა, გულით უნდოდა უფრო დიდი ყოფილიყო, მოუწოდებდა ნიჭიერ ნათესავს დასრულებული მეცადინეობისაკენ, რადგან უცხოეთის უნივერსიტეტებში გამოწრთობილ დავითს აწუხებდა ვანოს ლაღი ბუნება და დაუდეგარი ტემპერამენტი, აღგზნებული ჭაბუკური სილაღე, დარდიმანდობა. დავითი მეტს მოითხოვდა ვანოსაგან. მან „საგანგებოდ მოიწვია ილია ჭავჭავაძე, სხვა გავლენიანი პირები, თვით მიხაილოვი (მუსიკის მოყვარული, სახაზინო პალატის გამგებელი), ვანოს საოჯახო გუნდი და ამ წრეში მოუსმინა თავის ნათესავს. ვანო მღეროდა ფორტეპიანოს თანხლებით. აკომპანიმენტს უწევდა დავითის დის შვილიშვილი „სამშობლოს“ ავტორის დავით ერისთავის ასული. ილიამ მოკლედ მოსჭრა: „უსათუოდ უნდა გაიგზავნოს სასწავლებელში, დახმარება დაენიშნება“. შესრულდა ილიას განაჩენი, ვანოსთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. დახმარება გადაწყვიტა დავით სარაჯიშვილმა“. (შალვა კაშმაძე)

გაზეთებმა სათაურით – „გულუხვი საჩუქარი ქალაქს“, გამოაქვეყნეს ცნობა, სადაც აღნიშნული იყო: „სარაჯიშვილის გარდაცვალების მეორე დღეს – 1911 წლის 26 ივნისს, მიცვალებულის ბინაზე, სერგეევის ქუჩაზე, შემდგარ პირველ პანაშვიდზე მისულ სტუმრებისაგან მოისმინეს რა ქვრივისადმი და ნათესავების მიმართ სამძიმრის სიტყვები: ქალაქის თავის ალექსანდრე ხატისოვის, აღმასრულებელი წევრების თავად ა. არღუტინსკის, ნ. კოვჩაევის და გიორგი ჟურულის, მიცვალებულის ქვრივმა და ანდერძის აღმასრულებელმა ალექსანდრე სარაჯიშვილმა სტუმრებს მოახსენეს მიცვალებულის სურვილი, რომლითაც მან გამოხატა ნება, გადასცეს თავისი სახლი ქალაქ თბილისს განკარგულებაში, რომელიც მდებარეობს სერგეევის ქუჩაზე, ყოველივე მოწყობილობით: სურათებით, ავეჯით და მხატვრული ნივთებით“. გამოთქმული სურვილით სახლში ქალაქს უნდა გაეხსნა კუსტარულ-ხელოსნური მუზეუმი, ან სურათების გალერეა, ან ორივე დაწესებულება ერთად, სადაც ცხოვრების ბოლომდე ქვრივს ჰქონდა უფლება სახლით სარგებლობისა. ადგილისა და სახლის ღირებულება შეფასებული იქნა 300 ათას მანეთად, ხოლო მოწყობილობა და სხვა - 200 ათას მანეთად.

1914 წლის 24 მაისს ეკატერინემ სახლში სპეციალური მოსაწვევი ბარათების დარიგებით გაუმართა შეხვედრა საიმპერატორო კარის თეატრის დამსახურებულ არტისტს – ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინს, სადაც ახალგაზრდა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა სტუმარს ექსპრომტად საკმაოდ დიდი ლექსი მიუძღვნა. მანამდე კი, ორი წლით ადრე, 1914 წლის 28 ნოემბერს დავითის ქვრივმა თავადაზნაურთა თხოვნით გამართა იმპერატორ ნიკოლოზ II მიღება. ჩამოსვლიდან მესამე დღეს, საღამოს ექვსი საათის დაწყებამდე შედგა თავადაზნაურთა მიერ მისი აღმატებულების მიღება. სტუმრობა გაგრძელდა ერთი საათის ხანგრძლივობით. ლამაზად მორთულ, დეკორატიულად გაფორმებულ სადარბაზოში იმპერატორს შეეგება თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავადი აფხაზი. დარბაზში შესასვლელთან იმპერატორს შეეგებნენ ტრადიციული პურით და მარილით. ორკესტრმა და გუნდმა შეასრულეს ჰიმნი, რასაც ერთვოდა დამსწრეთა ამაღლებული „ვაშა“. შემდეგ იმპერატორს უმღერეს ქართულად - „სამშობლო“ და „მრავალჟამიერი“.

სადარბაზოსთან უმაღლესმა ხელისუფალმა - იმპერატორმა ნიკოლოზ II გამომშვიდობებისას, თავადაზნაურთა წინამძღოლს სთხოვა მადლობა მოეხსენებია სარაჯიშვილის ქვრივისათვის, შესანიშნავი და ამაღლებული მიღებისათვის.

1916 წლის ზაფხულში, ჯანმრთელობაშერყეული ეკატერინე, სააგ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეპიდან 165 წლისთავის აღსანიშნავად

საქართველოს პრეზიდენტის 2003 წლის 14 აპრილის #431 განკარგულებით ცნობილი მრეწველის და საზოგადო მოღვაწის, დიდი ქველმოქმედისა და მეცენატის დავით სარაჯიშვილის სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა „დავით სარაჯიშვილის დღე“, რომელიც ყოველი წლის 10-11 ნოემბერს აღინიშნება

არაკოდ კისლოვოდსკში გაემგზავრა. იმპერიალისტური ომი მძვინვარებდა. რუსის მთავრობას გადაუწყვეტია სახლის ჩამორთმევა სამხედრო ჰოსპიტალის საჭიროებისათვის. ამბავი კისლოვოდსკში შეუტყობინებიათ ეკატერინესათვის, სწყენია და თბილისისაკენ მაშინვე ავტომობილით წამოსულა. როდესაც სოფ. მლეთს მოსულა, თავი ცუდად უგრძნია. მასთან მყოფ ექიმებს მგზავრობის გაგრძელების უფლება არ მიუციათ და მლეთში გაჩერებულან. აღელვებას თავისი გაუტანია და 5 აგვისტოს დილის 5 საათზე თავისი ძმის ადამ ფორაქიშვილის ხელში გარდაცვლილა.

1917 წლის 1 მარტს (#47) გაზ. „საქართველომ“ გამოაქვეყნა ცნობა „ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძის“ შესახებ: დ. სარაჯიშვილის კანტორის გამგემ ქალაქის თავს გაუგზავნა პირი ეკატერინე სარაჯიშვილის ანდერძის თანახმად, სახლი თუ მოანდერძეს სიკვდილის წინა წამებამდე მის ხელში იქნებოდა, სიკვდილის შემდეგ ქალაქს უნდა დარჩენოდა. ამ სახლში ქალაქმა გადაწყვიტა საქირურგო საავადმყოფო მოაწყოს. ამ სახლს გარდა ქალაქსავე მიეცემა 100 ათასი მანეთი, აქედან 40 ათასი მანეთი ხელუხლებელ თანხად დარჩება სახლის სარემონტოდ, ხოლო 60 ათასი მანეთი თვით საავადმყოფოს მოსაწყობად იქნება. ქალაქი შეუდგა ამ ქონების ჩაბარების თადარიგს. „ჩაბარების თადარიგი“ დარჩა ჩაუბარებლად. თავდაყირა დაყენებულ თბილისში, არავის ეცალა ჩაბარებისათვის. ანდერძის აღმასრულებლები და ნათესავები შეეცადნენ საკითხის მოგვარებას, მაგრამ ამაოდ. ერთნი რას ამბობდნენ და მეორენი რას. ბოლოს გადაწყდა „დავით სარაჯიშვილის სახლი“ გაყიდულიყო. არ უნდოდათ, მაგრამ სხვა გზა არ იყო. საქმეში მრჩეველნი ბევრნი იყვნენ.

„გადმოცემით 1918 წელს თბილისელმა ქართველებმა სპარსეთში მყოფ აკაკი ხოშტარიას შეატყობინეს, რომ აუქციონით უნდა გაყიდულიყო ცნობილი ქართველი კაპიტალისტის და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი სერგეევის (მაჩაბლის) ქუჩაზე და სთხოვეს შეეძინა იგი. ეროვნული ინტერესების შესაბამისად ქართველებს სურდათ, რომ აღნიშნული შენობა, რომელიც თავისი ისტორიითა და არქიტექტურული მნიშვნელობით დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, დარჩენილიყო ქართველებისავე ხელში... იმავე წელს, როგორც იხსენებს ქალბატონი თინა კვაჭაძე, აკაკი ჩამოვიდა თბილისში და შეისყიდა აღნიშნული სახლი. ახალ, ძვირფასი ნივთებით განყობილ სახლში, 1919 წელს, მან დიდი ბანკეტი გადაიხადა, სადაც თავი მოუყარა მაშინდელ მოწინავე ქართველ საზოგადოებას. ამ ბანკეტს, სასახლის წინ, ქუჩაში იცავდა აპოლონ ურუშაძე. ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ აკაკიმ საბოლოოდ გადაწყვიტა ემიგრაციაში წასვლა და მან ეს სასახლე საჩუქრად დაუტოვა მთელ ქართველ ერს, იქ დაცული უძრავი ქონებით, რათა იქ მოეწყოთ ხელოვნების სასახლე. ამასთან დაკავშირებით არსებობს ცოცხალი მოწმე ქალბატონი ბაბო დადიანი-მასხარაშვილისა, რომლის გადმოცემით, მაშინდელი ქართველი საზოგადოება აღფრთოვანებული იყო აკაკისათვის ჩვეული ამ დიდი პატრიოტული ქმედებით“. არსებობს დოკუმენტი: „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი, ფონდი #8, 1921 წელი აღწ. #1. საქართველოს „რევკომის“ მიმართვა ხოშტარიას სახლის საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ. 1921 წელი 28 თებერვალი. თბილისი, სასახლე, საქმე #174. საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს. „რევკომის“ დადგენილებით ხოშტარიას სახლი, რომელიც იმყოფება სერგეევის ქუჩაზე, გადაცემულია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის, რათა იქ მოწყობილ იქნეს ხელოვანთა სასახლე. ეს ბინა განთავისუფლებულია რეკვიზიციისა, ჩასახლებისა და შეზღუდვისაგან. თავმჯდომარე: შალვა ელიავა; მდივანი: მ. მიქაძე.

ამ იურიდიულ დოკუმენტთან ერთად არსებობს აკაკის მიერ სასახლეში საჩუქრად დატოვებული უძვირფასესი ანტიკვარული ნივთების სია, ნივთების საინვენტარიზაციო ნუსხას ხელს აწერენ: ფრიად ავტორიტეტული პირები: დიმიტრი შევარდნაძე, დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ამირანაშვილი, რომლებიც შედიოდნენ საქართველოს ეროვნული გალერეის სამხატვრო საბჭოში.

მეუღლის – მინადორა თურქიას გარდაცვალების შემდეგ, 1924 წლის 24 დეკემბერს საფრანგეთში მყოფმა აკაკიმ თხოვნით მიმართა სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა მისთვის დაებრუნებინათ მეუღლის პირადი ნივთები და ფოტოსურათები. რაც მას არ მიუღია“.

ილია მამაცაშვილის უფროსი შვილი ნიკოლოზი კი გადმოგვცემს, რომ „1919 წელს, როდესაც ეს სახლი შეიძინა ცნობილმა კომერსანტმა ა. ხოშტარიამ, მან მაშინათვე დაანგრია ეზოში ხელოვნური კედელი და მასზე დადგმული ჯიხვი შავი რქებით, რადგან არ უნდოდა, რომ სახლს რაიმე კავშირი ჰქონოდა დ.ზ. სარაჯიშვილის სახელთან და მის კონიაკის ფირმასთან“.

ქალბატონ ლალი ნიკოლაძის სადისერტაციო (1998) ნაშრომიდან, ზემოთ მოყვანილში: „არსებობს ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ხოშტარიასეული სახლის მწერალთა კავშირისათვის გადაცემას“, თავაზიანი, კეთილშობილური მიდგომაა საკითხთან. ამაღლებს აკაკი ხოშტარიას პიროვნებას და განგვაწყობს მისდამი პატივისცემით, მაგრამ ამ დოკუმენტის არსებობა ბუნებაში არ არსებობს. ბოლშევიკებს უნდოდათ შენობაში „ხელოვანთა სასახლე“ მოეწყოთ, მოაწყვეს კიდეც. „მწერალთა კავშირის დელეგაციის მიმართვის თანახმად სარევოლუციო კომიტეტმა განსაკუთრებული დეკრეტით... გამოაცხადა ხელოვნების სასახლედ“.

ერთნი ამბობენ, ყველაფერი იმის ბრალია, დავითი უძეო რომ იყოო, მეორენი კი, ცოლის ძმას – ადამ ფორაქიშვილს არ უნდა გაეყიდაო. ორივე მცდარი აზრია, რადგან: ძე, ბოლშევიკების შემოსვლისას, საზღვარგარეთ გაიქცეოდა, ისე როგორც აკაკი ხოშტარია მოიქცა, ხოლო, რომ არ გაეყიდათ „რევკომი“ საქმეს (#174) მაინც დაწერდა.

ვისაც სურვილი გაუჩნდება, დისერტაციაში ჩამოთვლილი ნივთებიდან გაარჩიოს ვის ეკუთვნის – აკაკი ხოშტარიას თუ დავით სარაჯიშვილს, ურჩევდით, იქვე ბიბლიოთეკაში დაცული ფოტოალბომის (დ. სარაჯიშვილმა ცნობილ ფოტოგრაფს დიმიტრი ერმაკოვს დაამზადებინა ალბომი 100 ფოტოსურათით, გადააღებინა სახლის ინტერიერი, 600 მანეთად, რომელიც იქვე ბიბლიოთეკაში ინახება) მიხედვით დაადგინოს. ფოტოსურათები ოთახების შიგა მოწყობილობების მიხედვით გადაღებული, სადაც ყოველი კუთხე-კუნჭული აღბეჭდილია.

ხელოვნების საქმეთა მთავარი საბჭო, სახალხო განათლების კომისარიატთან არსებობდა.

ხელოვნების სასახლე დაარსებულია 1921 წელს, გასაბჭოების პირველ დღეებში. მწერალთა კავშირის დელეგაციის მიმართვის თანახმად სარევოლუციო კომიტეტმა განსაკუთრებული დეკრეტით სარაჯიშვილის ყოფილი სახლი, შემდეგ აკაკი ხოშტარიასი, გამოაცხადა ხელოვნების სასახლედ, ხელოვნების სასახლეს განაგებს სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის კომიტეტი. სასახლესთან არსებობს ახალგაზრდა ქართველ მხატვართა გალერეა და მდიდარი, სპეციალურად შერჩეული ხელოვნების ბიბლიოთეკა. ხელოვნების სასახლეში ერთდებიან სექციები: საქართველოს მწერალთა კავშირი, საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია „პროლემაფი“, პოეზიის აკადემია, მხატვართა კავშირი, მსახიობთა კავშირი და მომღერალთა და მუსიკოსთა კავშირი.

საქართველოს მწერალთა კავშირი დაარსებულია 1917 წლის 5 ოქტომბერს. იმყოფება ხელოვნების სასახლეში (მაჩაბლის ქ. #13. ტელ. #17-51.).

დავითის და ეკატერინეს საუცხოო თვისებებზე ლაპარაკობდნენ საზღვარგარეთელი სტუმრები, რომლებიც იყვნენ ნამყოფები მათ სახლში. „მახსოვს, ქების სიტყვები ცნობილი მიუნხენელი მეცნიერის გოტფრიდ მერცბახერის, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორის ადოლფ ვაგნერის, ბერლინელი პროფესორის კარლ ცაარის, მარკიზა ფრესინე დე ბერანჟეს, ინგლისელი ოლივერ უორდროპის და სხვების... საინტერესო და გაცხარებული იყო სუფრის საუბრები, სადაც ილია ჭავჭავაძე და დავით სარაჯიშვილი სუფრასთან მუდმივად გვერდი-გვერდ ისხდნენ... ძალზე ამაღლებული იყო შეხვედრა CVII საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში წაყვანილებთან (ლაპარაკია თბილისში ორჯერ ჩამოსულ ფერეიდნელ რამდენიმე პიროვნებაზე). მათი წესების და ჩვევების მოსმენისას, ზოგიერთ ქალბატონს თვალებზე ცრემლები მოსდიოდათ... ქართული ცხოვრების გამორჩეული მოვლენა: ახალი მწერლის გამოჩენა ან ახალი გაზეთის გამოსვლა; არჩევნები; ან რომელიმე საზოგადოების სხდომა; თეატრალური და ლიტერატურული საქმეები – განიხილებოდა იქ“. (არტურ ლაისტი). ჩამონათვალში ლაისტს, შემთხვევით ბევრ სხვასთან ერთად გამორჩენილი ჰყავს ბარონ დე ბაი, რომელიც ისე აღფრთოვანდა დავითთან მიღებით, რომ სთხოვა სამახსოვრო სურათის გადაღება.

„გაივლიან წლები, დავით სარაჯიშვილის ხსენება ადამიანების გულებში იქნება განსაკუთრებული დიდებით მოსილი და სახლი მათ მოაგონებს სახელოვან საქმეებს, მომხიბლავი სულის მქონე სახელოვანი ქართველის ლამაზ ცხოვრებაზე. „სახლი დავით სარაჯიშვილისა“ – იქნება მისი მყარი ძეგლი და უკვდავყოფს მის კაცთმოყვარე და კულტურულ საქმეებს“. (არტურ ლაისტი).

<u>მწერალთა სახლის შესახებ ინტერვიუ გიორგი სარაჯიშვილთან ჩაწერა ნანა შონიამ</u>

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიორგი ჩიტაური თანადგომას ითხოვს

გიორგი ჩიტაური: „ჩვენ არა გვყავს დასაკარგი თაობები, ერთადერთს ვითხოვ, მოგვისმინონ და მხარში ამოგვიდგნენ, ნუ მოვკლავთ ნიჭს“

my View
დეა თავგერიძე

ხევსურული საღამოები ხალხური სიმღერებითა და მთის სხვადასხვა სოფლებში მოძიებული მომღერლებით. ეს გიორგი ჩიტაურის ხელწერაა. უკვე რამდენიმე წელია, რაც კონცერტები მისი ორგანიზებით ტარდება და სცენაზე ბევრისთვის უცნობი სახეები ჩნდებიან. ხშირად ღონისძიებაში მონაწილეთა რიცხვი სამოცს აღემატება. გიორგი ამ ყველაფერს უმეტესწილად საკუთარი სახსრებით უმკლავდება, მაგრამ როგორც ჩვენთან საუბარში აღნიშნა უფინანსობით შექმნილმა პრობლემებმა შეიძლება მალე მის პროექტზე იმოქმედოს და კონცერტების ჩატარება ვერ შეძლოს. არადა მის მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიებების შედეგია ბევრი კეთილი საქმე. ერთ-ერთი ფუძნარის ეკლესიის აღდგენას უკავშირდება.

გიორგი ჩიტაური: „ჩვენთან, თიანეთისა და დუშეთის გასაყარზე არის თამარ მეფის დროინდელი 12 საუკუნის საკმაოდ მნიშვნელოვანი გუმბათოვანი ტაძარი, ფუძნარის ეკლესიას ეძახიან. თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის მეუფე თადეოსის ლოცვა-კურთხევით ამ ეკლესიის აღდგენასთან დაკავშირებით საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარეთ, შეიძლება დიდი ვერაფერი გავაკეთეთ, მაგრამ შევძელით ის, რომ ამ ტაძარზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაწყებულიყო, რომელიც ძალიან მალე დასრულდება.

- როგორც მითხარით „პრაიმტაიმის“ რედაქციაში გულისტკივილმა მოგიყვანათ.

- ხევსურული საღამოებს უკვე რამდენიმე წელია რაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ვაწყობ. ძირითადად უკრაინაში ვმოღვაწეობ, იქ ჩემი სტუდია მაქვს და უკრაინელ ბავშვებს ქართულ ფოლკლორსაც ვასწავლი. აქ სეზონურად ჩამოვდივარ და კონცერტებს ვმართავ. მონაწილეთა და მსურველთა რიცხვმა იმატა, მაგრამ წელს სიტუაცია იმაზე გაცილებით ცუდია ვიდრე რამდენიმე წლის წინ იყო. ადრე კულტურულ ღონისძიებებს რაღაც დონეზე სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა ჰქონდა. დღეს ასე არ არის და ეს მტკივა ძალიან. არავინ არ გვიწყობს ხელს, ელემენტარულითაც არ გვეხმარებიან. ფინანსების გარეშე კი რთულია. როცა 5 000 ლარს გადაგახდევინებენ საკონცერტო დარბაზში, რა ფასში უნდა გაყიდო ბილეთი? ან ამოიღებ დარბაზის ფულს ან ვერა. მომღერლების ჰონორარზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომ ყველა მონაწილე იმ სულისკვეთებით მოდის, რომ შევინარჩუნოთ და არ დავკარგოთ ის, რაც გვაქვს. კონცერტებს, რომელსაც უკვე სამი წელია ვაკეთებ, ერთადერთი მიზანი აქვს, როგორმე ხალხიც დავაინტერესოთ, უფრო მეტ ქართველს გავაგებინოთ ის სიმღერა და სულისკვეთება, რასაც ჩვენ ვმღერით.

„არადა, თავადვე უმძიმეს პირობებში არიან“...

„სამწუხაროდ, ხალხის მხრიდანაც არ იგრძნობა მხარდაჭერა. ქართველებს ასეთი ხასიათი გვაქვს სამი ჭიქის მერე გვინდა სიმღერა. რეალურად ხალხმაც ამ ყველაფერში რაღაც წვლილი რომ შეიტანოს ბევრად უკეთ იქნება ჩვენი საქმე. ასე არ ხდება... ერთადერთი ვინც გვერდში გვიდგას მომღერლებია. ისინი უკაპიკოდ, თანხების გარეშე ემსახურებიან ქართულ საქმეს. არადა, თავადვე უმძიმეს პირობებში არიან. ელემენტარული საშუალება არა აქვთ. უსახსრობის გამო ერთი ადგილიდან მეორეზე ვერ გადაადგილდებიან და რეპეტიციებზე ვერ დადიან, სიმღერის ჩაწერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. ბევრად უკეთესი ვიდრე ჩვენ ვართ“.

„იქნებ ყურად იღონ ჩვენი თხოვნა“

- ბევრჯერ ვიყავი კულტურის სამინისტროში თხოვნით, რომ როგორმე შემძლებოდა იმ ადამიანთან შეხვედრა ვისაც ქართული კულტურის დაცვა და მასზე ზრუნვა ევალება, მაგრამ ვერაფრით მივაღწიე იმას, რომ შევხვედროდი. რამდენიმეჯერ უარით გამომისტუმრეს. იქნებ ყურად იღონ ჩვენი თხოვნა და გვერდში ამოგვიდგნენ. ის მაინც გააკეთონ, რომ ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს სტუდიაში სიმღერის ჩაწერის საშუალება მიეცეს. ისინი ხომ ქართულ საქმეს ემსახურებიან. მათი ყველაზე დიდი სურვილია საზოგადოებას გააცნონ თავი, ეს თუ მოხდება, მერწმუნეთ, კიდევ უფრო მეტს შექმნიან. ბევრი თავადვე წერს ტექსტს, მუსიკას, მღერის, ეს ხომ საამაგად დასაფასებელია, ასეთი ადამიანების მიმართ, ხომ მეტი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ. რატომ უნდა დაიკარგოს ნიჭი. ისინი ხომ ჯანსაღი, ნამდვილი, ქართული სულით იზრდებიან... ჩვენ არა გვყავს დასაკარგი თაობები, ერთადერთს ვითხოვ, მოგვისმინონ და მხარში ამოგვიდგნენ, ნუ მოვკლავთ ნიჭს.

შერონ მარი - ქართველ

my View
დეა თავგერიძე

„უცხოეთში ბევრად მოთხოვნადი ვარ, იქ, ასე თუ ისე, ჩემი ადგილი დავიკავე“

„საოცარი რეაქცია მქონდა, ჯერ დავიბენი, მერე ვყვიროდი, ვკიოდი, ჩემს სახლში საოცრებები ხდებოდა, საერთოდ, ემოციური ვარ და ამ დროს მოქმედებებს ვერ ვაკონტროლებ“, - ეს ემოციური განწყობა იმ ქართველ დიზაინერს ეკუთვნის, რომლის სახელმაც საქართველომდე უცხოეთში გაიჟღერა. ასე კი, სიცილიიდან მოულოდნელად მიღებულმა მოწვევამ აღაფრთოვანა... სიცილიაში შერონ მარი(მარცვალაძე) SIKANIE CREATIVA შემოქმედებითი დიზაინერის პრიზით დაჯილდოვეს. 3 ნოემბერს კი თავისი კოლექციით დონეცკის ფეშენ ვიკი დახურა. თებერვალში ახალი კოლექციით ნიუ-იორკში მიემგზავრება. გრანდიოზულ ჩვენებას საქართველოშიც აწყობს. გაზაფხულზე უცხოელი მოდელები თბილისში ჩამოჰყავს.

შერონ მარი: „მექსიკიდან ფანი ტორესი ჩამოდის, ამერიკიდან კი ცნობილი მოდელი სემ კაზიმი ჩამომყავს. მასთან უკვე დავასრულე მოლაპარაკება. თებერვალში ნიუ-იორკში ფოტოსესიები გვექნება. ასევე, იქნება უკრაინელი მოდელი ალისია გრებელნიკი, რომელიც დონეცკში სპეციალური დიპლომით დავაჯილდოვე და ჩემი ბრენდის სახე გახდა; იქნებიან უცხოელი ფოტოგრაფებიც. ჩვენების მოწყობას თბილისში აპრილისთვის ვგეგმავ“.

დიზაინერობამდე

„მხატვრებისა და რეჟისორების ოჯახში გავიზარდე, მამიდა მხატვარი მყავდა. მის შემყურეს ხშირად მიჩნდებოდა ხატვის სურვილი. კარგად მახსოვს, როცა აკადემიისთვის დიპლომის დაცვა ჰქონდა, როგორ მოვიპარე ესკიზი და გადავიხატე, 12 წლის ვიყავი მაშინ, მერე, როცა ნახა, გაოცებული მიყურებდა, ვერ წარმოედგინა თუ ასეთი სიზუსტით შევძლებდი იმ ნამუშევრის შესრულებას, რომელსაც მან, მაშინ, მთელი თავისი გამოცდილება შეალია. მასაც მოდელირების განხრით ჰქონდა აკადემია დამთავრებული. საოცარი ნიჭი გაქვსო, მითხრა, მაგრამ რატომღაც მსახიობობა უფრო მინდოდა, ან რეჟისორობა. პატარა, უბნის ბავშვებთან ერთად ხშირად ვდგამდი ხოლმე ჩემი სცენარით დაწერილ პიესებს და რეჟისორობასთან ერთად მსახიობობასაც ვითავსებდი. მაყურებელიც უამრავი გვყავდა. მერე კი, მოულოდნელად გადავწყვიტე დიზაინერი ვყოფილიყავი. 9 კლასი დავამთავრე თუ არა ნიკოლაძეში მოდელირებაზე ჩავაბარე. მერე საბუთები აკადემიაში გადავიტანე. ია ფიცხელაურის მოსწავლე ვიყავი და 4 წელი მასთან ვემზადებოდი. მერე ჩვენებების კეთების სურვილიც გაჩნდა“.**

საქართველოდან უცხოეთში

„იყო ბევრი კარგი შეფასება, მოდის კრიტიკოსების ქება და ერთ-ერთი ჟურნალისტის კრიტიკული სტატიაც. მაშინ ეს ძალიან განვიცადე, რაღაც პერიოდი ვფიქრობდი კიდეც, რომ ცუდი დიზაინერი ვარ. ამას საზღვარგარეთ გამგზავრება მოჰყვა. გარკვეული პერიოდი პორტუგალიაში ვმოღვაწეობდი. ადგილობრივ ჩვენებებსა და ფესტივალებში ვმონაწილეობდი. იქ ყოფნის პერიოდში ჩემი მონაცემები „მედ მოდაზე“ გავგზავნე. დავუკავშირდი მასიმო პასტორელოს, დაინტერესდა და საქართველოში „მედ მოდის“ წარმომადგენელთან კლაუდიო დებიაზთან მომიწყო შეხვედრა. ამიტომ თბილისში მომიხდა ჩამოსვლა. შევხვდი, წარვუდგინე ჩემი პორტფელიო, მომიწონა და გადაწყდა, რომ მედ მოდაზე გამეტანა ჩემი ნამუშევრები. იქ კი გავიცანი ამერიკელი დიზაინერები, მოდელები, პროდიუსერები, ისინი მოდიოდნენ და თბილ სიტყვებს არ იშურებდნენ. მოწონებას როგორ არ ველოდი, მაგრამ ასე მასშტაბურად არა“.

აქედან დაიწყო შერონის საერთაშორისო დონეზე ასპარეზობა. 11 აპრილს, „მედ მოდაზე“ ქართველმა დიზაინერმა, დადებით შეფასებებთან ერთად, ბევრი საინტერესო შემოთავაზებაც მიიღო. ამას კი სიციალიაში გამგზავრება და ჯილდო მოჰყვა. ჯილდოს მილანის, ლონდონისა და პარიზის მოდის კვირეულის ფოტოგრაფის ანტონიო ტაკონის მიერ კოლექციის ფოტოგადაღება.

შერონ მარი: „სიცილიაში ჩვენება 11 აგვისტოს უნდა ყოფილიყო. შვიდში კი ოფიციალური მოწვევა მივიღე. საოცარი რეაქცია მქონდა, ჯერ დავიბენი,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი დიზაინერის წარმატება უცხოეთში

„ბედნიერი ვარ, მაგრამ გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ვიწვალე, მარტივად არ მოსულა“

EXCLUSIVE

ქართველ დიზაინერს: „სამომავლოდ, როცა ჩვენება გექნებათ, თუ შემატყობინებთ მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ, იქ ჩამოვალ სადაც იქნება, გზას და მანძილს მნიშვნელობა არა აქვსო“.

ფერებით თავხედურად თამაშობს, მაგრამ საბოლოო ჯამში მის სამოსებს ლამაზი ფერთა გამა აქვთ. შერონ მარი უკვე ბრენდია და უცხოეთშიც მყიდველი ბლომად ჰყავს, თუმცა საქართველოში რატომღაც არა. ამბობს, აქ აღიარება რთულად მოიპოვებაო. ამჯერად მოლაპარაკებას რომში აწარმოებს, მალე იტალიის რამდენიმე მაღაზიაში გაიყიდება.

შერონ მარი: „ამ ყველაფრით ბედნიერი ვარ, მაგრამ გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ბევრი ვიწვალე, მარტივად არ მოსულა. საქართველოში ცოტა რთულია ეს პროფესია, აღიარებაა პირველ რიგში რთული, არ გაღიარებენ. უცხოეთში ბევრად მოთხოვნადი ვარ, იქ, ასე თუ ისე, ჩემი ადგილი დავიკავე“.

„მოდელების მიმართ საერთოდ პრიტიკული ვარ, უფრო ტიპაჟებს ვეძებ. რომ გითხრათ იდეალური პარამეტრები მჭირდება, არა. მთავარია, კოსტიუმი ისე წარმოიჩინოს, როგორც იდეაში მაქვს წარმოდგენილი“

მერე ვყვიროდი, ვკიოდი, ჩემს სახლში საოცრებები ხდებოდა, საერთოდ, ემოციური ვარ და ამ დროს მოქმედებებს ვერ ვაკონტროლებ... სულ 10 დიზაინერი ვმონაწილეობდით. მათ შორის ორი ქართველი ვიყავით მე და იტალიაში მოღვაწე ქართველი თამარ ქირია. იქ მიღებულმა პრიზმა განაპირობა ის, რომ დონეცკში მოდის კვირეულის ორგანიზატორებმა ოფიციალური გადასახადი 500 დოლარი მომიხსნეს. ამ კოლექციაში ორი ეპოქა გავაერთიანე. მეთვრამეტე საუკუნის დეტალები 21-ე საუკუნის დეტალებში ჩავსვი და დავარქვი „ქალი მომავლიდან“. ეს არ არის პრეტა პორტე, მითხრეს, თეატრში ტარდებაო და „მედ მოდის“ ხაზიც გავითვალისწინე“.

Donetsk Fashion Days სამი დღე გაგრძელდა. 3-ში ჩვენება თავისივე კოლექციით დახურა. დონეცკში თბილისიდან ქართველი მოდელი ქეთი მოდებაძე ჩაიყვანა. მისივე მოწვევით მექსიკიდან ცნობილი მოდელი ფანი ტორესიც ჩავიდა. ფანი ტორესი იტალიაში გაიცნო. ევროპაში ცნობილმა მოდელმა თავადვე შესთავაზა

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მირიან ბარათეონმა და ლევან ვა

my View
თამარ გონგაძე

უკვე ორი თვეა დათო დარჩია თავისმა პერსონაჟმა დაჩრდილა და „შეჭამა“. ტვინი წაუღეს მირიან ბარათეონით და მისი პროტოტიპობით, ლევან ვასაძესთან შედარებით და იცნობს თუ არა ბიზნესმენს. თავის კარიერაში ვერ იხსენებს როლს, რომელსაც ასეთი რეზონანსი გამოეწვიოს. ეს თან მოსწონს და თან - არა. როგორ შეიძლება მსახიობს მაყურებლის ასეთი გამოხმაურება არ მოსწონდეს, მაგრამ დარჩიას თავისი არგუმენტი აქვს. გულის სიღრმეში სწყინს, რომ ყველა მხოლოდ ბარათეონის პერსონაჟზე საუბრობს, ეს რა სახე გამოძერწა სცენარისტმაო, აჟიტირებულნი არიან მისი ვასაძესთან მსგავსებით და არავინ აღნიშნავს, რა კარგად თამაშობს დათო დარჩიაო. შეძლებისდაგვარად „დავამშვიდე“, თქვენ რომ ასე არ თამაშობდეთ და იმივჯი არ შეგექმნათ, არც არავის გაუჩნდებოდა ცნობილ ბიზნესმენთან მსგავსების ასოციაცია-მეთქი.

მირიან ბარათეონი დარჩიას ცხოვრებაში კარგ დროს გამოჩნდა. არც თეატრშია დაკავებული და არც კინოში. ბარათეონმა თავის შემქმნელ მსახიობს სიკეთე გაუკეთა - ხმაურიან-პროვოკაციული როლი მისცა. ბატონი მირიანი „ცვეტშია“.

სოციალურ ქსელში ნავიკითხე, რომ თურმე გმირი არ მოსწონთ და უარყოფითად ახასიათებენ, სცენარისტმა სულ გაუტიაო. სულ არ არის ჩემთვის ბარათეონი უარყოფითი პერსონაჟი. პირიქით, მისი გამოჩენა ღიმილს მგვრის და სერიალს ფერადოვანს ხდის. ასეთ კომენტარსაც წერენ - ლევან ვასაძე მოსწონთ და მისი პროტოტიპი არაო, ბარათეონის როლმა ვასაძეს პოლიტიკაში მოსვლის შანსები შეუმცირაო და ათასი ამგვარი „მჭევრმეტყველება“. მოკლედ, კატოს და დიტოს ოჯახის დანგრევის წინააღმდეგი საზოგადოება ნაბდოსან ბარათეონს უპირისპირდება. მერე რა, რომ დიტომ ხელი „აღმართა“ ცოლზე და წაღმა-უკუღმა აგინებს, უხილავი მანტიის მქონე გალანტურ მირიანს მაინც შეჩვეული ჭირი ურჩევნიათ. სცენარისტები გვაიმედებენ, რომ სერიალში დიდხანს იქნება ბარათეონი. ალბათ, მონარქიის აღდგენის თემაზეც დიდხანს გასტანს ქვეყანაში საუბარი. სერიალში ეს თემა გროტესკულად გააჟღერა სცენარისტმა დევდარიანმა. მირიანის პერსონაჟიც ხომ მონარქიის აღდგენის მომხრეა, ფარნავაზიანთა შტოს შთამომავალი გასულ კვირას სვეტიცხოველში უფლისწულ გიორგი ბაგრატიონის ნათლობის შემდეგ ოჯახის წევრებმა და ნათლიებმა კამერების წინ კომენტარები გააკეთეს. ერთ-ერთი ნათლია ლევან ვასაძეა. მის გამოჩენაზე მაყურებელს ავტომატურად ბარათეონის გმირი და სერიალი გაახსენდა. ასეთ დროს „ჩემი ცოლის დაქალების“ სცენარისტის ქეთი დევდარიანის კედელი („ფეისბუქის“) პოსტებით ჭრელდება. გოგა ხაჩიძემ დაუწერა - „გუშინდელი ნათლობის ტექსტები შენი დაწერილია?...“ სახუმარო თემა არ ილევა. წინა კვირაში „პირველმა რადიომ“ ლევან ვასაძეს კითხვა დაუსვა - უყურებს თუ არა სერიალს და იცის თუ არა, რომ პროტოტიპი ჰყავს? „წარმოდგენა არ მაქვს, მე ამ სერიალს არ ვუყურებ, წავიკითხე ინტერვიუ მისი რეჟისორისა, რომელიც მე მლანძღავს და „არსებას“ მეძახის და ამბობს, რომ ეს ჩემი პროტოტიპია და ესეც მეტყველებს ჩვენი ლიბერასტების ფსევდო პაცეფიციზმზე და სინამდვილეში უდიდესი აგრესიულობაა“ - იყო ლევან ვასაძის პასუხი.

„ვიღაცას მართლა ბარათეონი არ ვეგონო, ჯადოქები არ გამიკეთონ და არ მომიცვივდნენ“

„მოდი ის თქვით, დათო დარჩია კარგია თუ ცუდი და არა ლევან ვასაძეს როგორ ჰგავს. მსახიობს ის სიამოვნებს, მის განსახიერებულ გმირთან დაკავშირებით რომ საუბრობენ და არა პროტოტიპებზე“

„ეს საუბრები თან მომწონს, თან - არა“

დათო დარჩია: „მირიან ბარათეონზე იმიტომ მიდის ამდენი ლაპარაკი, რომ კონკრეტულ პიროვნებასთან მის შედარებას და გაიგივებას ახდენენ. ამიტომ აფეთქდა, ამიტომ ატყდა ხმაური. პოლიტიზირებულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და მირიანის გარშემო ეს ხმაურიც ამის ბრალია. თორემ როლი როლია - ხან მილიონერს ითამაშებ, ხან მათხოვარს, ხან მეფეს და ხან - ბანდიტს. აქამდე არც ერთი ჩემი როლი არ მახსენდება, რომელსაც ასეთი განხილვა მოჰყოლოდეს. მე არ მაქვს „ფეისბუქი“ და მეუბნებიან, რომ ბარათეონი დიდი თემაა, დადებითიც და უარყოფითიც“.

- ეს მოგწონთ? მისია შესრულებულია?

- ეტყობა, სერიალის ჯგუფს „აწყობდა“ ასეთი მომენტი. მე, როგორც ჯარისკაცი, ვასრულებ დავალებას. მსახიობს ის სიამოვნებს, მის განსახიერებულ გმირთან დაკავშირებით რომ საუბრობენ და არა პროტოტიპებზე. მოდი ის თქვით, დათო დარჩია კარგია თუ ცუდი და არა ლევან ვასაძეს როგორ ჰგავს. ჩემს გმირს პოლიტიკასთან აკავშირებენ. რატომ? ეს ხომ ხელოვნებაა?

- სერიალი გროტესკულობით ასახავს რეალობას. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიზირებულია ჩვენი საზოგადოება.

- გეთანხმებით, ასეა. მაგრამ ეს ჩემთვის სამუშაო პროცესია.

- რეზონანსულობის მიუხედავად ბარათეონი რიგითი როლია თქვენთვის?

- არ ვიტყვი, რომ რიგითია. ყველა როლი მსახიობისთვის ნამუშევარი და ძვირფასია. სამუშაო როლია, ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეთი როლი არ მქონია. ეს საუბრები თან მომწონს, თან არა, 50/50-ზეა.

- რა კუთხით არ მოგწონთ? მაყურებელს ვასაძის ასოციაცია რომ უჩნდება და მსახიობის ნამუშევარს არ აფასებენ?

- დიახ, პირველ რიგში ამიტომ.

„ხალხნო, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ხელოვნებაა და კინოა, კინო, აქ ვიტყუებით ყველაფერს!“

- რადგან ამის ასოციაცია გაჩნდა, თავისთავად მაგრად ითამაშეთ. ეს ხომ იგულისხმება?!

- არის ამაში ლოგიკა. მე მაინც ვთვლი, რომ კონკრეტული პიროვნება ვითამაშე, რომელიც მსახიობის შექმნილია. დათო დარჩიას ნაკლებად აინტერესებს ბარათეონი კარგი პერსონაჟია, თუ - ცუდი. მახსოვს, 2005 წელს გადავიღეთ ფილმი „თენდება გვიან“. ჩემი გმირი, გელა, ძმაკაცს კლავს. მაშინ თემა იყო - გიგილო როგორ მოკალი? ეს კითხვა ჩემთან ჰქონდათ. ხუმრობა ხუმრობაში ერთხელ სუფრასთან ერთი ტიპი სერიოზულად გადამეკიდა - რატომ მოკალიო. რომ თვრებოდა ნელ-ნელა უმატებდა ტონს - რატომ? რატომ? ავუხსენი, ეს ფილმია, გიგილო - ანუ „კორკოტა“ ჩემი ძმაკაცია, ფილმში საჭირო იყო და მოვკალი-მეთქი. ტელევიზიას ეს ძალა აქვს, უცებ გამოჩნდები, პოპულარული ხდები, ან მიწაში ჩაგდებენ, ან ზეცაში აგიყვანენ და მერე ავიწყდები.

- ბარათეონი დიდხანს გაგყვებათ?

- რაღაც პერიოდი გამყვება. მერე ახალი გმირი გამოჩნდება და თუ ისიც ასეთი პოპულარული გახდა, კარგად ყოფილა საქმე ჩემს პროფესიაში.

„ქართველია და ოფოფები ექნება“

- როგორ ფიქრობთ, რატომ დაგინახეს მირიან ბარათეონის სახეში?

- არ ვიცი, მასავით ბრექით არ დავდივარ... კასტინგზე დამირეკეს, მივედი გამესაუბრნენ და... გადაღებები სექტემბრის ბოლოს დავიწყეთ. ახალი როლი იყო ჩემთვის გასაკეთებლად. ასეთი ინტრიგა რომ მოჰყვა, უკვე წარმატებაა სრულიად ფილმისთვის.



„ფრთიანს არ ჭამს, რა მოხდა მერე? მე, მაგალითად, ცხვარს არ ვჭამ. ამიტომ გიჟი ხომ არ ვარ?“

- როგორ დაიწყეთ ბარათეონის ძერწვა?

- ფიქრი რომ დავიწყე, ამოტივტივდნენ ასოცირებული ტიპები. ინგლისელი ჯენტ-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

საძემ დათო დარჩია დაჩრდილეს

პარალელები დარჩიას, ბარათეონსა და ვასაძეს შორის

„შეიძლება ლევანმა მოისურვოს ჩემი გაცნობა. ეს იქნება ბარათეონისა და ვასაძის შეხვედრა“

„ბოლო ორი წლის განმავლობაში ასეთი როლი არ მქონია“

EXCLUSIVE

„ბარათეონის კამანდას რომ ილეხენ, გადამლები ჯგუფიც კი მოხილიზებულია. ჯგუფს ჩვენს მიმართ სხვანაირი მოკრძალება აქვს“

ლმენის დახვეწილობა უნდა ჰქონოდა, თუმცა ქართველია. ამიტომ ვფიქრობდი, რომ ქართული იუმორი და სიგიჟეები შემემატებინა მისთვის. ვფიქრობ, ჩემი როლი ჯერ არ არის გახსნილი. სადილობისას და რესტორნებში გვყავს ნანახი. ეს ადამიანი სხვანაირადაც უნდა დავინახოთ. კეთილი ადამიანიც შეიძლება ერთხელ ისე გადაირიოს, რომ სიგიჟეები გააკეთოს. ქართველია და ოფოფები ექნება. თავის დაცვასთან ერთად ომები გამოვლილი აქვს, აფხაზეთში, ოსეთში იბრძოდა. ამდენი უკეთებია და ამ თავისი ზებუნებრივის უკან „რაღაც“ ექნება.

- თქვენ რა შემატეთ გმირს?

- ვცდილობ, მირიანი იყოს დახვეწილი. დარჩია სხვანაირად დადის. ბარათეონიც 21-ე საუკუნის ადამიანია, მაგრამ სულ სხვანაირი სიარულის მანერა აქვს. გალანტურია, მოხდენილია. მე ბარათეონივით არ ვსაუბრობ. ზოგჯერ შეიძლება ქუჩური ტერმინითაც წავისაუბრო. ფრაზების თქმას, პაუზების დაჭერას, ელეგანტურობას, თავდაჯერებულობას - ყველაფერს ვაკვირდები. ჩემს თავს სერიალში არ ვუყურებ, გავდივარ ხოლმე. მრცხვენიასავით. როცა ვუყურებ, ვიჭერ შეცდომებს. არ მინდა რაღაც გამეპაროს, ის, რასაც ბარათეონი არ გააკეთებდა. ზოგჯერ გამომდის, ზოგჯერ არა. ახლა სამუშაო პროცესის შუა წელია.

„ასე უარყოფითადაც ნუ იქნებიან განწყობილნი“

- როგორია თქვენი დამოკიდებულება მირიანის მსგავსი ადამიანების მიმართ?

- არ ვარ განებივრებული ასეთი ადამიანების ნაცნობობით. არ ვიცნობ ლევან ვასაძეს. რაც მსმენია, სულ დადებითი მსმენია. ფული აქვს ადამიანს და საზოგადოებას ეხმარება. ეს უკვე ღვთის წინაშე წინ გადადგმული ნაბიჯია, მე ასე მგონია. შეიძლება გავიცნო, არც არის გამორიცხული, შეიძლება ლევანმა მოისურვოს ჩემი გაცნობა. ეს იქნება ბარათეონისა და ვასაძის შეხვედრა. ვხუმრობ. დარჩია ვასაძის შეხვედრა იქნება. არც ის ვიცი, სერიალი ნანახი აქვს თუ არა, ხმა არ მომსვლია. „იმას ეხმარება და მე რატომ არ მეხმარებაო“ ყველამ ასე თუ თქვა ბიზნესმენზე, ასე არ გამოვა. დანარჩენს სხვა დაეხმარება. კაცმა რომ თქვას, ამ ქვეყნიდან ვის რა წაუღია? როცა ასეთი ფულის და შესაძლებლობის ადამიანი ხარ, ბევრი სიკეთე უნდა აკეთო. ცუდი ბარათეონსაც რა გაუკეთებია? აფინანსებს რაღაცებს. უბრალოდ, მკვეხარაა, თავისი აფორიზმები აქვს, ეს სასაცილოა. ფრთიანს არ ჭამს, რა მოხდა მერე? მე, მაგალითად, ცხვარს არ ვჭამ. ამიტომ გიჟი ხომ არ ვარ? საქონლის ხორცს მივირთმევ. ასეთი „ნიკები“ ვიღაცებს აღიზიანებთ - შეგვჭამა ამ ბარათეონმაო. მაგრამ ვხედები, რა თემაც აღელვებთ, კატოს და დიტოს ოჯახს მიჩვეულები არიან. არ უნდათ, რომ მათ ოჯახი დაენგრეთ და მათ შორის მესამე ჩადგეს. დიტომ ცოლს უღალატა, აგინა, ხელი გაარტყა, მაგრამ მაინც დიტოსკენ არიან. არ ვამბობ, რომ მაინცდამაინც მოეწონოთ მირიანი, მაგრამ ასე უარყოფითადაც ნუ იქნებიან განწყობილნი.

- რატომ ხდება ასე?

- მიჩვეულია. არ უნდათ წყვილს შორის მესამე ჩადგეს. ლევან ყოჩიაშვილი ლამის გაწეწეს - ოჯახს რატომ ანგრევო. კარგია, რომ ხალხი ასე შედის სერიალში და რეზონანსულია, მაგრამ ხალხნო, არ დაგვავიწყდეს, რომ ეს ხელოვნებაა და კინოა, კინო, აქ ვიტყუებით ყველაფერს! ვიღაცას მართლა ბარათეონი არ ვეგონო, ჯადოები არ გამიკეთონ და არ მომიცვივდნენ.

- ყოფილა რამე მსგავსი?

- არაფერი ჯერჯერობით. სამეგობრო მეშაყირება მხოლოდ, ბატონო მირიანო :)სხვათა შორის, ბარათეონის კამანდას რომ იღებენ, გადამღები ჯგუფიც კი მობილიზებულია. ჯგუფს ჩვენს მიმართ სხვანაირი მოკრძალება აქვს. მუშაობის პროცესს ვატყობ, რომ ანყობილად და სწრაფად მიდის. არ არის ქაოსი და ხმაური. სამუშაო განწყობით მიმდინარეობს. ეს მომწონს. სამუშაო პროცესისთვის ეს იდეალურია.

- რითი გხიბლავთ ბარათეონი პიროვნულად?

- როცა დასაძინებლად წვება და თავთან მარტო რჩება, გულის სიღრმეში ფიქრობს, რომ ერის კაცია და უნდა, რომ ერს გაუძღვეს, გამოადგეს. ნეტა ბევრი იყოს ჩემნაირი და ამქვეყნად ბედნიერება და სიკეთე იბატონებდაო. მთავარია ერს გამოადგეს და იმის იქით ქათამი არ უყვარს, თუ ციფრი 6-იანი ეს უკვე არ არის საინტერესო. სხვათა შორის, მე ტელეფონის ნომერში მაქვს ექვსიანი :)

ნაბდოსანი

„პირველად რომ ვნახე მანქანის სერია „მირიანი“ მაგრად ვიღადავე. ეგეც იმ ყველაფრის ნაწილია, რაც ასეთი სტატუსის ადამიანებს აქვთ, ახალი არ არის. ლეილა მესხი ბიზნესმენი არ იყო, მაგრამ მანქანაზე ეწერა თავისი სახელი და გვარი. ესეც თემაა - „მე ვარ!“ მე არ ვარ ეგეთი ტიპი. თუმცა არც ის ადამიანები მაღიზიანებენ, ვისაც ასეთი სერიები აქვთ მანქანებზე. უნდა და ახურებს.

- ბარათეონის მსგავსად რომ გქონდეთ შესაძლებლობა, რა სიგიჟეს გააკეთებდით, ყურადღებას რითი მიიქცევდით?

- ბევრ სიგიჟეს გავაკეთებდი ალბათ. ყურადღებას სიკეთით მივიქცევდი. თუ ყველაფერს სიკეთით გააკეთებ, შენთვისვე იქნება მაგარი. შესაძლებლობა რომ მქონდეს, სიკეთის მეტს არაფერს ჩავიდენდი. პიჯაკით ვივლი თუ ნაბდით, ეს არავის ეხება.

- დაცვას იყოლიებდით?

- არ მიფიქრია, არ ვიცი:) თუ მეტყვიან, რომ უსაფრთხოების მიზნით ეს საჭიროა, მაშინ მეყოლებოდა. დაცვაში ისეთი ადამიანი გყავს, ვისაც ენდობი. მასზეა დამოკიდებული შენი სიცოცხლე.

- აფუჭებს ადამიანს ბევრი ფული?

- არა, რატომ უნდა გააფუჭოს? თუ თვითონ არ არის გაფუჭებული, ფული ვერ გააფუჭებს. უფულო და ცუდი ადამიანი არ გინახავთ? ფული გაქვს, ბედნიერი ხარ და შენს ირგვლივ ყველას აბედნიერებ. ადამიანის გულში რაც დევს, აქედან განისაზღვრება მისი საქციელი.

- ბრენდების მოყვარული ხართ?

- თანამედროვე სტილს ვერ მივყვები. ჯერ ქვეყანა გავაწყოთ, კაცო, რა დროს ბრენდებია. პიჯაკით და ასე სოლიდურად არ დავდივარ. დახეული ჯინსები მაცვია.

- რა მოიტანა ნაბდის მოხურვამ?

- პირველად არ მომიხურავს. ქართველი რომ ამ სამოსს მოირგებს, ძალა ემატება, მოხრის საშუალებს არ გაძლევს. სულ გამართული ხარ, ძლიერი ხარ. ნაბდოსანია მირიანი, გაღადავებული თემაა. ჩოხა ლეკსაც და ოსსაც აცვია. ნაბადი მხოლოდ ქართველებს, ამაშია საქმე.

- შინაგანად ნაბდოსანი და პოეტური ხართ?

- ვცდილობ ვიყო. ყველა ქართველი ცდილობს თავი სიკეთით და მჭერმეტყველებით გამოიჩინოს.

- სადღეგრძელოები გიყვართ?

- როგორ არ მიყვარს, ჩამოყალიბებულად და კოხტად. ქართველი კაცი სადღეგრძელოს გარეშე არ არსებობს. მის გარეშე დალევა არ მიყვარს. რაღაცას მაინც ვამბობ ხოლმე. არის მომენტი თემა მოგაწვება, მშობლები, დედა, საქართველო. სიყვარულის სადღეგრძელო ყველაზე მაგარია. სიყვარული ღმერთის ძალაა.

- პოზაში როდის ხართ?

- მაშინ, როცა დაიძახებენ - „მატორ“!.. ისე არ ვპოზიორობ, დათო ვარ, დარჩია.

- რა აზრის ხართ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის თემაზე?

- მართალი გითხრათ, ამ თემაზე არ მიფიქრია. ქვეყანა სხვანაირად გამართული უნდა იყოს საამისოდ. სულ სხვა რამ სჭირდება. 19 საუკუნე მეფე გვყავდა, ერთი არ გვყოლია. დედა, ეს რა მიუღებელიაო რომ ატეხეს - რატომ არის მიუღებელი? ბევრი წამყვანი ქვეყანა მშვენივრად არსებობს კონსტიტუციური მონარქიით. თუ ეს ქართველი ერისთვის კარგი იქნება, მივესალმები.

- მრჩება შთაბეჭდილება, რომ ვასაძესთან გაიგივებით დათო დარჩია დაიჩრდილა და გული გწყდებათ.

- არ მწყდება გული. ვთვლი, რომ ადრე თუ გვიან ხალხი იტყვის - კარგად ვითამაშე, თუ არა. დროთა განმავლობაში შეაფასებენ. ხალხო ეს ხელოვნებაა, ხელოვნება.

- რას დაარქმევთ ამ ეტაპს?

- კარგ მუშაობას. მსახიობისთვის მთავარია სამუშაო და ეს ასალაპარაკებელი თუ იქნება, ორმაგად გასახარია. მადლობა ღმერთს, ამისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დეა თავბერიძე

ლაშა ონიანის კიდევ ერთი პროექტი უცხოეთში

„ყველაზე მაგარი წუთებია, როდესაც შენი ქვეყნის ჰიმნი ჟღერს და მთელი პარტერი ფეხზე დგას. ეს არის ყველაფერი ჩემთვის“

EXCLUSIVE

„რაც უფრო მეტს გავაპიარებთ და მეტ ინფორმაციას გავცემთ საზღვარგარეთ, ამით უფრო ხალხმრავალი გახდება ყველა სეზონი“

ქართული კულტურის დღეები უცხოეთში, ლაშა ონიანის თაოსნობით, უკვე მესამე წელია ტარდება, ამჯერად ღონისძიებები სამ ქალაქში - დიუსელდორფში, პარიზსა და ლუქსემბურგში მოეწყობა. ლაშა ონიანს დეკემბერში საქართველოდან 45-კაციანი დელეგაცია მიჰყავს. ქართულ საღამოებზე უცხოელ სტუმრებს მრავალფეროვანი სანახაობა ელით. ღონისძიებამდე ფოიეში დოკუმენტური ფილმების ჩვენება მოეწყობა, ამ ფილმებითა და დარიგებული ბუკლეტებით უცხოელები ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ საქართველოს შესახებ. ასევე გომოიფინება ევროპაში მცხოვრებ ქართველ მხატვართა ნამუშევრები, სტუმრები ქართულ ღვინოსაც დააგემოვნებენ.

ლაშა ონიანი: „საბოლოო ჯამში გამოდის საქართველოს საპრეზენტაციო საღამო. ამ იდეას დასავლეთ ევროპის ეპარქიასთან ერთად ვახორციელებ. გერმანიაში არ არის ქართული მართლმადიდებლური ეკლესია, ამიტომ შემოსავალი, რომელსაც ეს ღონისძიება მოიტანს ეკლესიის მშენებლობის ფონდში გადაირიცხება. ამ შემოქმედებითი მხარით ჩემი წილი შემაქვს ამ კარგ საქმეში. თანადგომის სურვილი ბევრმა გამოთქვა, ტურიზმის დეპარტამენტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ნაწილობრივ საქართველოს კულტურის სამინისტრომ და ასევე, აჭარის კულტურის სამინისტრომ. რადგან ამდენი ორგანიზაცია შეგროვდა კონცერტი სამ ქალაქში დაიგეგმა. სამივე ქალაქში პრესტიჟული შენობები შევარჩიეთ. დიუსელდორფში 1200-კაციანი ფილარმონიული ტიპის შენობა, პარიზსა და ლუქსემბურგში კი თეატრები“.

მოწვეული სტუმრები

„ამ საღამოს ჰქვია, საქართველო ევროპის ნაწილია, ამჯერად აჭარის მხარეს გაეწევა რეკლამა, ვინაიდან ეს საქართველოს პრეზენტაციაა, და ერთი მხრივ, საქართველოს რეკლამა, აჭარის რეგიონი მიზანდასახულად შევარჩიე, რადგან აჭარაში ტურიზმის საკითხი ბევრად მოგვარებულია ვიდრე სხვა რეგიონებში. ჩვენ კი, რაც უფრო მეტს გავაპიარებთ და მეტ ინფორმაციას გავცემთ საზღვარგარეთ, ამით უფრო ხალხმრავალი გახდება ყველა სეზონი.

ბილეთიც გაიყიდება და ჩვეულებრივი მოქალაქეებიც იქნებიან. ასევე მოწვეული გვყავს სამივე ქალაქის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები. შეგნებულად მოვიწვიეთ ისინი. რადგან ვალდებულნი არიან განავრცონ ეს ინფორმაცია, სად იმყოფებოდნენ, რა ნახეს, რა ურთიერთობაა... მაყურებელი შენობაში ოთხ საათზე შემოდის და ბევრ ინფორმაციას ეცნობა საქართველოს შესახებ. რვა საათზე დარბაზში ჩატარდება ღონისძიება, რომელიც ორი საათი გაგრძელდება“.

მონაწილეები

„საქართველოდან მიმყავს აჭარის სახელმწიფო ანსამბლი, მოცეკვავეები, სახელმწიფო ანსამბლის მუსიკალური ბენდი. ასევე დავამატე რამდენიმე კლასიკური ინსტრუმენტი, საბოლოოდ მიქს ბენდი გამოგვივიდა, რომელიც კლასიკურ ვერსიებსაც შეგვისრულებს, რაზეც ძირითადად ქორეოგრაფიებს ავაწყობთ. ვამზადებთ საკმაოდ საინტერესო მუსიკალურ ნომერს, ფოლკლორისა და კლასიკური ინსტრუმენტების ნაზავი. მყავს ანსამბლი „ბათუმი“, პროფესიონალები, წლებია ვიცნობ მათ, ამჯერად ვპარტნიორობთ. ამ ყველაფერს კი თანამედროვე სიმღერებით ნოდიკო ტატიშვილი და სოფო გელოვანი გაალამაზებენ, ეს მოთხოვნაა, საელჩომ და სათვისტომომ მოითხოვა მათი ჩაყვანა. ისინი იმ ნომერს შეასრულებენ, რომელიც შვედეთში, ევროვიზიაზე იმღერეს. უცხოეთში ჩემ მიერ მოწყობილი ყოველი საღამო საქართველოს ჰიმნით მთავრება. ყველაზე მაგარი წუთებია, როდესაც შენი ქვეყნის ჰიმნი ჟღერს და მთელი პარტერი ფეხზე დგას. ეს ჩემთვის ყველაფერია“.

- ყოველთვის ასეთ მასშტაბურ ღონისძიებებს ეჭიდები ხოლმე, არ გირთულდება?

-კი, როგორ არა, უბრალოდ, ეს ჩემი მიმართულებაა. უამრავი დეტალია ისეთი, რაც არ ჩანს, რასაც არ ვყვებით, საბოლოოდ კი ყველაზე კარგი სამუშაო ის არის, რაც სცენაზე ხდება, დანარჩენი ყველაფერი გართულებულია, საათი, დრო, ორგანიზაცია, დათანხმება, თანადგომა, ფინანსები... სირთულე მანამდეა, სანამ ეს ბირთვი შეიკვრება და ხელშეკრულება გაფორმდება. მოკლედ, წვალება გიწევს.

- საკმაოდ წარმატებულ კაცად გთვლიან და ალბათ, ამ წვალების გარეშე არც ეს წარმატება მოვიდოდა.

- რა თქმა უნდა. არიან წარმატებული ადამიანები, რომლებსაც ვიღაცამ და რაღაცამ შეუწყო ხელი. მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც დასახულ მიზანს არ უხვევენ, თუნდაც ამას წლები დასჭირდეს. რომ ვთქვა, ვინმე ისეთმა ხელი მკრა, რომ ვეღარ ვჩერდები და დიდი ინერციით გავრბივარ-მეთქი ტყუილს ვიტყვი. ამგვარი წვლილი მარტო ჩემმა მშობლებმა შეიტანეს, სხვას ვერავის დავაბრალებ. უბრალოდ, მე თვითონ ვარ ინტერესიანი და მთელი ახალგაზრდობა და სტუდენტობა დავხარჯე იმისთვის, რომ მესწავლა ბევრი რამ სცენასა და ხელოვნებაზე. ოჯახშიც მოგვდგამს შემოქმედების მიმართულება. ამანაც შემიწყო ხელი. სცენაზე დგომა მუდმივი იყო, მაგრამ პარალელურად არ მოვწყვეტილვარ სპორტულ ცხოვრებას. სპორტის ყველა სახეობას ვფლობ და თანრიგოსანიც ვარ სამ-ოთხ სახეობაში. ასე რომ, დასახულ მიზანს არ უნდა გადაუხვიო, რაც არ უნდა დრო დაგჭირდეს ამისთვის, მაინც იმ მიმართულებას უნდა სდიო. გზადაგზა სწორედ იმას სწავლობ, რაც იმ მიზნის მიღწევაში დაგეხმარება, რამდენჯერაც გადაუხვევ იმდენჯერ დაკარგავ ამ მიზანს.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ გონგაძე

ეკო ფანგანი „ლუბოვ ვლადიმიროვნად“ იქცა

ეკო ფანგანმა „ფეისბუქზე“ ახალი ფოტოები დადო. სულ სხვა ეკოა. რინოპლასტიკა - ცხვირის ოპერაცია გაუკეთებია. ბოლო დროს ძალიან შეიცვალა. ცვლილება ბოტოქსის გელის შეყვანით დაიწყო, წარბებს შორის. „ნამზეურს ბავშვობიდან ვიღებ. ამ დროს მზეზე უსათვალოდ მოჭმუხნული ვარ, ამიტომ გამიჩნდა მიმიკური ნაოჭი“. მოდელმა და ტელეწამყვანმა სექტემბერში უცებ ცხვირის წვერის აწევა გადაწყვიტა და ოპერაციაც სპონტანურად გაიკეთა. ოპერაციის შემდგომმა პერიოდმა თაბაშირისა და ჩალურჯებების გარეშე ჩაიარა. მხოლოდ ნახვევით ჰქონდათ ცხვირი აწეული.

„კონჩიკი“ ოდნავ გასიებული მქონდა და ნელ-ნელა ცხრება. მეგონა, ისეთ შედეგს მივიღებდი, ბოტოქსის მერე სახე რომ ოდნავ გაბადრულია, მაგრამ არა, ძალიან შემცვალა. „ლუდმილა“ და „ეკატერინა“ გავხდი. ერთმა მეგობარმა „ლუბოვ ვლადიმიროვნა“ (ვლადიმიროვნა ვარ ისედაც) დამარქვა. თავიდან შოკი მქონდა, ვიღაც ვლადიმიროვნა მიყურებდა სარკიდან, მერე ნელ-ნელა შევეჩვიე. ზოგს მოსწონს, ზოგი - ეჩვევა. რად გინდოდაო, მსაყვედურობენ. კიდევ ერთხელ დაამტკიცეს - გიჟი ხარო.

ეკოს გადაცემა „ჩემი ქორწილი“ ჯერ გაჩერებულია და როგორც თვითონ ამბობს, „მაესტროზე“ ახალ სეზონზე, ორ თვეში განახლდება.

„გოგი, მოვიდა“

გაზაფხულზე ქართულ-რუსული კოპროდუქციის გადაღება იგეგმება. ფილმის პროდიუსერები დავით აბდალაძე და რეზო შარაბიძე არიან, რეჟისორი კი ევგენი გრეგორიევია. სცენარის ავტორი - ამირან ამირანაშვილი გახლავთ. სცენარის ფილმად ქცევის იდეაც მასვე ეკუთვნის. ამჟამად ფილმის წინა მოსამზადებელი პერიოდი მიმდინარეობს. მთავარ როლში ზუზუ ბეჟაშვილია. გოგის როლი ძალიან მოსწონს. ფილმში რუსი მსახიობები ითამაშებენ.

ზუზუ ბეჟაშვილი: „ძალიან კარგი სცენარია, ჩემი როლიც გემრიელად სათამაშოა. ცოტათი სიუჟეტი „მიმინოს“ მოგაგონებთ, ქართველისა და სომეხის მეგობრობით. გოგი თბილისელი მსახიობია. მოლაპარაკება აქვთ ასეთი - ვისაც პირველს ეყოლება შვილი, მეორემ უნდა მოუნათლოს. ეს სომეხი გმირი მურმანსკში მიდის, იქორწინებს და შვილიც შეეძინება. გოგი მიდის მოსანათლად. სანამ მურმანსკში ჩავა, თავგადასავლები გადახდება. გზაში სასწაულები ხდება. არ უჯერებენ, რომ არტისტია და აგენტი არ არის. პოლიტიკაც არის გარეული. მურმანსკში კი ყოველ შაბათს სუფრა იშლება და დიდი მოლოდინია. გოგი კი ფილმის ბოლოს ჩადის...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანკა კალატოზიშვილი

my View
თამარ გონგაძე



„როდესაც შვილი საყვარელი ადამიანისგან გიჩნდება, ეს კიდევ უფრო მაგარი შეგრძნებაა. დანიში რომ კედოსთან რაღაც მსგავსებას ვხედავ, ამას ცალკე გავყავარ რეალობიდან“

„რახან მე და კედოს ხელი არ გვაქვს მოწერილი, ჩემს შვილს საშინელებები აკადრეს, შეურაცხყოფა მიაყენეს. კედომ პირველად ნახა ჩემი ალეწილი სახე. არაადეკვატურად გავმწარდი“

ნანკა რომ დედობამ ძალიან შეცვალა, ამას „ფეისბუქზე“ მისი სტატუსებით ვხვდებოდი. თითქმის ყველა მისი პოსტი დანიელს ეძღვნებოდა. ფილმის გადაღებაზე იყო ყაზბეგში, სამი თვის დანი პირველად დატოვა რამდენიმე დღით და სოციალურ ქსელში პოსტიც გაჩნდა: „საშინელ დღეში ვარ, სასტუმროს მეზობელ ნომერში ბავშვი ტირის, ოღონდ ნერვები არ მეშლება. უბრალოდ, ლამის შევუვარდე და დავაძინო. დანი მინდაააა. აუ, რა შარში ვარ, რა შარშიიი“. პოსტი შემდეგი: „ჩემო მინი და დიდო კედო, მიყვარხართ ცხოვრებაზე მეტად, თუმცა ესეც ძალიან შეზღუდული შეფასებაა. ისე მიყვარხართ, უბრალოდ, სიტყვების უსუსურობა მბოჭავს გამოსახატად:)))“... „დანის ისე გავყავარ, რას შევადარო რომ ავხსნა, ვერ ვხვდები. არა, უკვე ვბოდავ, ვერ ავხსნი, შეუდარებელია. ყველაფერს ანოლებს. აااა, სიყვარულით გასვლა ყველაზე მაგარია, ყველა და ყველაფერი რომ უსუსტესია და გკიდია. მოკლედ, მიყვარხართ, ვინც მიხვდით რა მჭირს:)))“... ასეთ დღეშია, არადა, ვინ იფიქრებდა, რომ გადასაღები მოედნიდან ნანკა ბავშვზე მოსაუბრე ფსიქოლოგს გადაცემაში დაურეკავდა, მერე გიჟივით გადაახვევდა და სასარგებლო რჩევებს ახალბედა დედებისთვის გულდასმით მოუსმენდა. როცა ამის შანსი აქვს, დღის განმავლობაში შეუძლია სახლში რამდენჯერმე მიირბინოს დანის ჩაეხუტოს, ეთამაშოს და ისევ საქმეზე გაიქცეს. სულ სხვანაირად იყურება, სხვანაირად საუბრობს, შვილის ხსენებისას ხომ ხმაში სხვა სითბო ეღვრება... ნანკა დედობამ შეცვალა. გამოვტყდები და ვიტყვი, რომ მისგან ასეთ გადაფოფრილ დედობას არ ველოდი.

ახლა ჭარბ წონას ებრძვის. 16 კილო მოიმატა და სულ უდიეტოდ დაიკლო. ამბობს, რომ კიდევ 6 კილო აქვს ზედმეტი. ურეჟიმობის გამო წონას ვერ ვებრძვი, ვერ ვდიეტობო, ამბობს. ინტერნეტში 27-წუთიან ვარჯიშს გადაწყდომია და ცდილობს დღე არ ჩააგდოს. უნდა, რომ 54 კილომდე დავიდეს. დანიელს ორ თვემდე აწოვა ძუძუ. „ვინერვიულე, მინდოდა დიდხანს მეკვება, მაგრამ არ გამოვიდა, თავისით გამიშრა“. ყველაზე საყვარელი ადამიანი ძიძას ვერ ანდო. გაზრდაში დედა ეხმარება. ღამით მორიგეობაა დაწესებული. ღამურა ნანკა ბავშვს დილის ხუთ საათამდე უვლის, მერე ირაკლის ჯერი დგება, დილით კი დანიელი ბებოსთან ინაცვლებს. მსახიობი საქმეს არ მოწყვეტია. ახლა „GDS“-ზე სერიალში იღებენ, აქეთ - „ცეკვავენ ვარსკვლავები“. თეატრი და დოის რეპეტიციები ძალიან ენატრება...

„კედოს ჰგავს და „მინი კედოს“ ვეძახი“

ნანკა კალატოზიშვილი: „პასუხისმგებლობის გრძნობა არც აქამდე მაკლდა, მაგრამ ახლა ამით აღსავსე გავხდი. აქამდე მარტივად ვუყურებდი ყველაფერს. ახლა ძალიან მაგარ ვინმეზე ვარ დამოკიდებული. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ რეპეტიციაზე ცირკში ორჯერ მოვედი და ორჯერვე გიჟივით გავვარდი დანისთან. ბევრი ვეთამაშე და წამოვედი. ხუთი თვისაა, თავისი ენა აქვს, უკვე დიდი ხანია კონტაქტში შემოდის. ყველას უცინის და ძალიან საყვარელია. კედოს ჰგავს და „მინი კედოს“ ვეძახი. ტუჩები „ქოფი ფეისთით“ აქვს ჩემგან გადატანილი. დანარჩენი სუფთა კედოა, გამოხედვით საოცრად ჰგავს. ძალიან მინდოდა, რომ კედოს თვალები ჰქონოდა და ზუსტად მისი თვალები გამოჰყვა. ერთად ძალიან სასაცილოები არიან“.

გმირი მამა

„კედო გმირი მამაა. მშობიარობას დაესწრო. მე ვერ დავესწრებოდი. არც დამიძალებია. დათო დავარაშვილმა მირჩია, ჯობია, გვერდით გყავდეს, მშობიარობაში ბევრად დაგეხმარებაო. ასეც იყო. საოცრად მეხმარებოდა. მერე, როგორც მითხრეს, ექიმის ნათქვამზე დაძაბული ვყოფილვარ, კედოს ნათქვამზე, ახლავე-მეთქი, ვუჯერებდი თურმე. ვეცოდებოდი, მეფერებოდა, სითბო მოდიოდა მისგან. ძალიან გამიჭირდა, 19 საათი გამიგრძელდა... მშობიარობის მერე სიცხე მომცა მეც და დანისაც, ამიტომ ცოტა ხანი დამაწვინეს და გადასხმაზე მალევე გაიყვანეს. ამიტომ ვერც მოვასწარი მისი ნახვა. მისი სახე პირველად ტელეფონში ვნახე, კედოს დამ, თეამ მაჩვენა :) მერე კედომ მეგობრებს უთხრა, ამ ქვეყანაზე ნული ხარ, თუ ამ ყველაფერს არ დასწრებიხარ, ბევრს კარგავ ცხოვრებაშიო. შვილი ჩემზე ადრე მან ნახა. მშობიარობამ ისე დამსტრესა, რომ მომდევნო ორი დღე ისევ მეგონა, რომ უნდა გამეჩინა. დანის ხმას სხვების ხმაში ვცნობდი, მის ტირილზე მაშინვე გავდიოდი. დილის ექვსის ნახევარზე ერთი მამა ელოდა შვილის დაბადებას და ეს რომ გავიგე, შიშები დამეწყო, მეგონა, მეც უნდა მემშობიარა. მერე გამახსენდა, რომ გავაჩინე და ბლოკში აღარ უნდა შევსულიყავი. მესამე დღეს ეს სტრესი მომეხსნა“.

ბედნიერებისგან შოკში

„ვფიქრობ, დედა სწორ ასაკში გავხდი. 34 წლის ვარ. ამისთვის აქამდე ფსიქოლოგიურად არც ვიყავი მზად. მამობას კედოც მზად შეხვდა. კლუბში რომ ვეღარ მივყვები, იქიდან მირეკავს, დანი მენატრება, როგორ არისო? სასწაული მამაა. პამპერსის გამოცვლა, საჭმლის ჭმევა, თამაში, ყველაფერს აკეთებს. კედო ყოველთვის მაგარი ტიპი იყო, რა შეცვლიდა. უნდა იოცნებო, რომ შვილს ასეთი მამა ჰყავდეს. ძალიან თბილია. დანი ძალიან კომუნიკაბელური ტიპია. მის გარეშე აზრი არაფერს აღარ აქვს. ვერანაირი სიამოვნება და „ზონიდან“ გასვლა ვერ შეედრება შვილს. ბედნიერებისგან შოკში ვარ. ეს ქრონიკულად მჭირს. როდესაც შვილი საყვარელი ადამიანისგან გიჩნდება, ეს კიდევ უფრო მაგარი შეგრძნებაა. დანიში რომ კედოსთან რაღაც მსგავსებას ვხედავ, ამას ცალკე გავყავარ რეალობიდან. მაგარი შეკრული სამკუთხედი გვაქვს. ორი მეგრელი და მე. დიდი ბებია მყავდა მეგრელი, „პადპოლნი“ მეგრელი ვარ :)“.

„პატარა ბავშვებს რომ ვხედავ, საქციელი მეკარგება“

- „ფეისბუქზე“ შენს პოსტებზე ძალიან ვხალისობ. ვხვდები, რომ დანიელმა შენი ცხოვრება ამოაბრუნა.

- ყაზბეგში გადასაღებად რომ წავედი,

„მარტო ჩემი კაიფისთვის აღარ ვაკეთებ საქმეს. მართლა სად ვიყავი აქამდე, დანის გარეშე? ბედნიერებისგან შოკში ვარ“

„კედო გმირი მამაა. მშობიაობას დაესწრო. მერე მეგობრებს უთხრა, ამ ქვეყანაზე ნული ხარ, თუ ამ ყველაფერს არ დასწრებიხარ, ბევრს კარგავ ცხოვრებაშიო“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დედოზამ შოკში ჩააგდო

EXCLUSIVE

„ბავშვები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ასე არასდროს ვინეოდი მათკენ. ახლა პატარა ბავშვებს რომ ვხედავ, საქციელი მეკარგება“

ფოტო: გიორგი ცაავა

მაშინ პირველად დავტოვე დანი, 3 თვის იყო. გვერდით ნომერში ტიროდა ბავშვი. მშობლების წუწუნი რომ გამეგო - რატომ ტირისო, შესვლას ვაპირებდი და შეთავაზებას - მე დავაძინებ-მეთქი. ორ დღეში ზედა სართულიდან ჩამოვიდა ტირილის ხმა. ადრე თუ ეს მაწუხებდა, ახლა პირიქით - სურვილი მიჩნდება - მომეცით, ვათამაშებ, დავაძინებ-მეთქი. ბავშვები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ასე არასდროს ვიწეოდი მათკენ. ახლა, პატარა ბავშვებს რომ ვხედავ, საქციელი მეკარგება. ტანსაცმელს ვიზომებდი მაღაზიაში, უცებ ბავშვის ტირილი გავიგონე და გავვარდი. მერე აზრზე მოვედი, სად მირბიხარ, შენი შვილი არ ტირის-მეთქი, მოვბრუნდი. თავი სახლში მეგონა. ძალიან მაგარი რამ ხდება ჩემს თავს. სულ სხვა სტიმული მაქვს. მარტო ჩემი კაიფისთვის აღარ ვაკეთებ საქმეს. მართლა სად ვიყავი აქამდე, დანის გარეშე?! კარგად ვარ. მეტრიკაში ჩაწერეს დანიელი კეიდია. ერთი კვირის მერე არ დამეზარა, მივედი „ი“ მოაშორეთ და დანიელ კეიდია ჩაწერეთ-მეთქი. კედო ათას სახელს ეძახის, ახლა „ცუნციკა“ დაარქვა. ხელში ვერ ვიყვან, ხერხემლის პრობლემა მაქვს. ადრე ხიდან ჩამოვვარდი და ზურგით დავვარდი. თან დიდია დანი, ხუთი თვისაა, მაგრამ 6-დან 9 თვემდე ბავშვის ზომის ტანსაცმელი აცვია. მაღაზიაში თბილ ფეხსაცმელს ვეძებდი და ერთი შევარჩიე, თუმცა თვალით დიდად მომეჩვენა, არადა, ზომა ზუსტად მახსოვდა. კონსულტანტი მეუბნება, მამას შეხედეთ, რა გიკვირთო:). კედოს დაემსგავსება, გრძელი ბიჭია. დედა მეხმარება. აღარ მუშაობს, ამაზე კარგს რას გავაკეთებო და მაზრდევინებს. ძიძასთან ვერ დავტოვებდი პატარას. უცხო ადამიანთან ძაღლი არ დამიტოვებია, არა თუ შვილი. წყნარად ვარ, მე გადაღებებზე დავდივარ, დანი დედასთან. წყალტუბოშიც კი ვიყავი ოთხი დღე. ჩემი ნათლიაც გვეხმარება.

ზურგზე და თავზე მოფერებით იძინებს. ჩემი ხელი უჭირავს, სახეზე იდებს. ხელში თუ მიჭირავს, ერთ ხელს სახეზე მადებს და მეფერება. ეს პროცესი მე უფრო მაძინებს. პირველი ორი თვე კალათით გვერდით გვეწვინა. ახლა თავის ოთახშია და დამაგრებული კამერით ვაკონტროლებთ, ვუსმენთ. მე დილამდე ვერ ვიძინებ. 5 საათზე ფხიზლდება. ამ დროს გვერდით უნდა დახვდე და იცინის. თუ ვერ დამინახა, პანიკაში ვარდება. ამიტომ, რომ შეირხევა, შევდივარ, თვალს გაახელს თუ არა, უნდა დამინახოს.

ორსულობიდან მოყოლებული ვქექავდი ინფორმაციას ახალბედა დედებისთვის. ვუყურებ გადაცემებს, სადაც ფსიქოლოგები, ექიმები საუბრობენ. ფილმის გადასაღები მოედნიდან დავრეკე და გადაღება გავაჩერე, რომ გადაცემაში ფსიქოლოგს გავსაუბრებოდი. სამშობიაროში ექიმს ვკითხე, გაზების რა წამალი მისცეს და როცა გამწერეს, გზაშივე ვიყიდე და სახლში ისე ავედი“.

„დანის რომ შეეხნენ, გავგიჟდი“

„ჯერ მონათლული არ გვყავს. ნათლიების სია ასეთია: ლაშა ფარღალავა, ზურა კვირკვია, დათუნა ანთაძე და ნატუკა კახიძე. მე და კედოს ჯვარი არ გვაქვს დაწერილი, არც ხელი მოგვიწერია. მირეკავს ჟურნალისტი - ბავშვს გვარი მისცა კედომო? რახან ხელი არ მოგვიწერია, ოჯახი არ ვართ, თუ რა გაგებაა? თუ საჭიროება მოითხოვს, ოფიციალურად გავაფორმებთ ქორწინებას. ბავშვის ფოტოებს არ ვდებ „ფეისბუქზე“. ჩემმა დამ დადო და სანამ მე დავურეკე, აიღე-მეთქი, უკვე ერთ საიტს აღებული და გამოქვეყნებული ჰქონდა. ბავშვის ფოტოებს ისეთი ამაზრზენი კომენტარები მიაწერეს, შოკში ჩავვარდი. რადგან მე და კედოს ხელი არ გაქვს მოწერილი, ჩემს შვილს საშინელებები აკადრეს - შეურაცხყოფა მიაყენეს. პატარა ბავშვის ფოტოზე ასეთი რამის დაწერის სურვილი რომ გიჩნდება, მაგარი ვერა ხარ. კედომ პირველად ნახა ჩემი ალეწილი სახე. ცუდ დღეში ჩავვარდი. არაადეკვატურად გავმწარდი. პირველად გნახე ასეთიო, ირაკლიმ მითხრა. მერე იმ საიტმა გაითვალისწინა ჩემი თხოვნა და წაშალა კომენტარები.

მეშვიდე თვეში ვიყავი, მშობიაროობას გადაჰყვაო, ხმა გაავრცელეს. მერე დანერეს, კედო და ნანკა დაშორდნენო. ტვინი წამიღეს. მაგრამ არ მქონია რეაქცია. აი, დანის რომ შეეხნენ, გავგიჟდი. გაბოროტებულია ხალხი. ვერაფერს ვუშველი“.

„პირველად ვარ ასეთ გადაღებაზე“

„თვე-ნახევრის წინ „მაკბეტით“ ვიყავით გასტროლზე ვილნიუსში. ძალიან მომენატრა თეატრი და კერძოდ დოის რეპეტიციები. მენატრება შეგრძნება, რაც „მაკბეტის“ რეპეტიციის დროს მქონდა. მიყვარს ჭოლასთან მუშაობა. სიამოვნებით ვიმუშავებდი დათა თავაძესთან. ის ნათელი წერტილია თანამედროვე თეატრალურ სამყაროში. ახლა, სერიალ „პარადოქსში“ მიღებენ. ფანტასტიკის ჟანრია, ექიმის როლი მიმცეს. მთავარ როლში თორნიკე გოგრიჭიანია. სერიალს ჯაბა მელქაძე ძალიან პედანტურად იღებს. პირველად ვარ ასეთ გადაღებაზე, სადაც ყველაფერი მიხარია. ყველა თავის საქმეს აკეთებს. მობილიზებული გადაღებაა. თან ასაკით პატარები არიან. ყველაფერს მცირე დროში ასწრებენ“.

- „ცეკვავენ ვარსკლავებში“ რატომ არ მონაწილეობსო, ამბობენ შენზე...

- არ ვარ იმ ფორმაში, რომ ვიცეკვო. ამას მეც მეკითხებიან. ჩემი გაბარიტებით კარგი სანახავი ვიქნები ასეთ კაბებში და ასეთი ტანწერწეტა გოგონების გვერდით. ერთადერთი ვარ პროექტში, ვისაც ნამზეური არ აქვს. გასულ ზაფხულსაც ყველაზე თეთრი ვიყავი. ხერხემლის გამოც არ ვიცი შევძლებ თუ არა ცეკვას. ორსულობის ბოლოს მუხლები დამიმძიმდა, მიჭირდა სიარული. „ზაფხულის ღამის სიზმარის“ რეპეტიციის დროს კარგი პლასტიკა მჭირდებოდა. ტანვარჯიშის ტრენერთან მივედი გასაწელად. არ ვიცოდი, რომ ორსულად ვიყავი. ზურგზე ფეხებით შემდგნენ, გამწელეს. ბატუტზე დავხტოდი. ერთი კვირის მერე შევამჩნიე, მაქანავებდა. ორსულად ხომ არ ხარო, მკითხა ტრენერმა. რა სისულელეა-მეთქი და ორ დღეში გავიგე, რომ მართლა ორსულად ვიყავი.

- დანის დამსახურებაა, რომ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ წამყვანის ამპლუაში სხვანაირი ხარ?

- ეს პროდიუსერის მოთხოვნაა. „სიმართლის დრო“ ფორმატიდან გამომდინარე სხვანაირს მიმყავდა, „ინტუიციასა“ და „მუსიკალურ ლიგას“ სულ სხვადასხვა წაყვანა უნდოდა. ეს სულ სხვა გადაცემაა. აუტსაიდერის გამოცხადების დროს ვკვდები ნერვიულობით. წელს რომ ხდება, ასეთი რამ არც ერთ სეზონზე არ ყოფილა. მართლა ყველა ცეკვავს. გოგონები ერთი მეორეზე უკეთესები არიან, ბიჭები კი განსხვავებული ტიპაჟები.

- მეორე შვილზე ჯერ არ იფიქრებ?

- მეორეზე სამი წელი ნუ ვისაუბრებთ, სანამ დანი ბაღში არ წავა. ყურადღება ხომ უნდა გავანაწილო. უცებ მეორეც რომ გავაჩინო, რაღაცას რომელიღაცას მოვაკლებ. დანის რომ ვუყურებ, მარტო ყოფნა არ სიამოვნებს. სულ თამაში უნდა, გიცინის. ამიტომ ჯერ ყურადღებას ვერ მოვაკლებ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოყენება იკრძალება

PRIME Time

N45 (243) ორშაბათი, 11 ნოემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

რატომ არ დაჰპატიჟეს ბაგრატიონების იმერეთის შტო უფლისწულის ნათლობაზე

EXCLUSIVE

ნანკა კალატოზიშვილი დედოსა და შოკში ჩაყვდა

„შეიძლება ლევანმა მოისურვოს ჩემი გაცნობა. ეს იქნება ბარათეონისა და ვასაძის შეხვედრა“

EXCLUSIVE

მირიან ბარათეონმა და დევან ვასაძემ დათო დარჩია დაჩრდილეს

ISSN 1987-7404

9 771987 740005

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება